საქართველო ბეჭედია ბადაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№49 (675)

2 – 8 დეკემბერი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 74

როგორი პოპულარობა არ სიამოვნებს თორნიკე გოგრიჭიანს და რა სტერეოტიპები დაინგრა მის გარშემო

გვ. 22

როგორ გახდა გიორგი ჯაჯანიძე თბილისელი ქალისა და უცხოპლანეტელი მამაკაცის პაემნების მოწმე და სად არ ტოვებს მას არაამქვეყნიური მეგობარი

გვ. 70

იცეკვებენ თუ არა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ნანკა კალატოზიშვილი და დემეტრე სხირტლაძე



გვ. 14

რა რეკორდი დაამყარა დავით ნარმანიამ და რატომ მუშაობს მისი გული სხვა რიტმში



გვ. 19

რატომ სთხოვდა ნუცა შანშიაშვილი დედას გათხოვებას და ვის გამო გადაწყვიტა მან საკუთარი თითების დაზღვევა

ISSN 1987-569X

9 771987 569002



რა წესებს არღვევს ბუბა კიკაბიძე ჰაერში და რა ქალაქი ამოშალა მან რუკიდან

გვ. 12



გვ. 18

რა გრძნობა ანადგურებს სოფო გელოვანს და როგორ აფხიზლებს მას პატარ-პატარა განსაცდელები



რა პერიოდი გაატარა გია ცინაძემ ძილსა და სიყვარულში

გვ. 23



გვ. 75

როდის გაიმართება ქულიოს კონცერტი თბილისში და რა მოთხოვნები წაუყენა რეპერმა ქართველ ორგანიზატორებს

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი

## ოქროს კატალოგი




# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# მეტრომარტი



## დიდი ფასდაკლება და ბევრი საჩუქარი დეკემბრის განმავლობაში

### მეტრომარტი ტექნიკის ყველაზე დიდი ჰიპერმარკეტების ქსელი საქართველოში



## ყველა ბრენდი – მეტრომარტში

### მეტრომარტის ჰიპერმარკეტების ქსელი გელით თბილისისა და ქუთაისის მაღაზიებში, გრანდიოზული ფასდაკლებითა და ბევრი საჩუქრით, მთელი დეკემბრის განმავლობაში



ნუ მოცდებით სხვადასხვა ბრენდის მაღაზიებში სასურველი ტექნიკის ძებნით! აირჩიეთ ნებისმიერი მსოფლიო ბრენდის პროდუქცია ერთ, დიდ სივრცეში და ისიამოვნეთ შენაძენით!

კვალიფიციური კონსულტანტები აგარჩევინებენ ზუსტად ისეთ პროდუქციას, როგორიც თქვენ გჭირდებათ!



პროდუქციის დიდი არჩევანი: კომპიუტერული ტექნიკა, TV აუდიო, სათამაშო კონსოლები, მსხვილი და წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ჩასაშენებელი ტექნიკა, სამზარეულო ტექნიკა და ჭურჭელი, ელექტრო და რბილი აქსესუარები, მობილურები, ფოტო-ვიდეო კამერები.

**უმაღლესი სტანდარტის მომსახურება**

**შეგიძლიათ ისარგებლოთ შვიდი სხვადასხვა ბანკის უპროცენტო განვადებით**



მეტრომარტი არის ოფიციალური წარმომადგენელი მსხვილი, მსოფლიო ბრენდებისა, როგორიცაა: SONY, ASUS, APPLE, HP, FUJITSU, Lenovo, ACER, PACKARD BELL, GREATZ, SCARLET, IRIT, ILITEK, CITRONIC, GORENIE, LG, HTC, FLY, HUAWEI, NOKIA, PHILIPS, PANACONIC, SAMSUNG, CANON, ELECROLUX, FAGOR, KENWOOD, BOSCH, BRITA, MOSER, SIEMENS, TOSHIBA, VITEK, ARCUISINE, TEFAL, PYREX, BRITA.







**თბილისი – ვაგზლის N2, თბილისი ცენტრალის მე–2 სართული;**
**ქუთაისი – ჭავჭავაძის გამზირი, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთი.**
**ცხელი ხაზი: 032 2 000 555**

# „უნიქარდის“ უპრეცედენტო გათამაშება – „მოგების სამმაგი შანსი და 10 000 გამარჯვებული“

*„უნიქარდი“ ყოველთვის გამოირჩევა ინოვაციური შეთავაზებებით და მუდამ ზრუნავს თავისი მომხმარებლის კომფორტზე. ამას კომპანიის ხშირი სიახლეები, მნიშვნელოვანი პროექტები და მრავალფეროვანი აქციები მოწმობს.*

*„უნიქარდმა“ ამჯერადაც პარტნიორებთან ერთად უპრეცედენტო გათამაშება დაიწყო, სახელწოდებით – „მოგების სამმაგი შანსი და 10 000 გამარჯვებული“. გათამაშება 2013 წლის 28 ნოემბერს დაიწყო. დეტალებსა და პირობებზე კომპანიის პიარმენეჯერი* ***ანა კოშაძე*** *გვესაუბრება:*

**– როგორც ვიცი, მსგავსი გათამაშება უპრეცედენტოა. სახელწოდებაც – „მოგების სამმაგი შანსი და 10 000 გამარჯვებული“ – მის გრანდიოზულობაზე მიგვანიშნებს. რაში გამოიხატება ამ გათამაშების უნიკალურობა?**

– პირველ ყოვლისა, იმაში, რომ ძალიან ბევრი, 10 000-ზე მეტი ადამიანი დასაჩუქრდება და, რაც მთავარია, ძალიან დიდია დასაჩუქრების ალბათობა – ეს გახლავთ მომენტალური პრიზების მოგების შანსი. „ვისოლში,“ სუპერმარკეტ „სმარტში“, „სოკარში“, „ჯიპისიში,“ „სითი ფარმაში,“ „ჯინს გალერი ჯგუფის“ მაღაზიებში, „ვულე ვუში,“ „არაიში“, „მეტრომარტში,“ „ოქეიში“ მომხმარებლები გარკვეულ შენაძენზე მიიღებენ გადასაფხეკ ბილეთს, რომლითაც, საშუალება აქვთ, მოიგონ მომენტალური პრიზები; იმ შემთხვევაში, თუ გადასაფხეკი ბილეთი არ აღმოჩნდა მომგებიანი, მაშინ, მომხმარებელი მას ჩააგდებს სპეციალურ ყუთში და 30 იანვარს ექნება შანსი, გახდეს „პორშე კაიენის“ ან სამი „ფორდ მონდეოდან,“ ერთ-ერთის მფლობელი; მესამეა ბინის მოგების შანსი. „უნიქარდის“ ყველა მომხმარებელი ნებისმიერ პარტნიორში დაგროვილ ყოველ 10 ქულაზე, მიიღებს ელექტრონულ ბილეთს. ელექტრონული იმიტომ ჰქვია, რომ ბილეთი ხელში არ უჭირავს. როგორც კი 10 ქულას დააგროვებს, ჩვენს სისტემაში ბარათის ანგარიშზე აისახება ერთი ბილეთი. ელექტრონული ბილეთის ერთ-ერთი მფლობელი 30 იანვარს მოიგებს საირმის ქუჩაზე „აქსის პალასის“ გარემონტებულ ბინას.




**– ჩამოთვალეთ, რა პრიზები თამაშდება?**

– მომენტალური გათამაშების პრიზები, რომლებიც „ვისოლმა,“ „სმარტმა,“ „ჯინს გალერი ჯგუფის“ მაღაზიებმა, „სოკარმა“, „ჯიპისიმ,“ „სითი ფარმამ,“ მაღაზიებმა, „ვულე ვუმ,“ „არაიმ,“ „მეტრომარტმა,“ „ოქეიმ“ დააწესეს, ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია: საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სასაჩუქრე ვაუჩერები, უნიტური ბარსელონაში და სხვა.

**– როდის და როგორ მოხდება ამ პრიზების გათამაშება?**

– მომენტალური პრიზების მიღება მომხმარებლებს „უნიქარდის“ სერვისცენტრში შეეძლებათ. ზოგიერთი პრიზის მიღება კი ადგილზევეა შესაძლებელი. „პორშე კაიენის,“ 3 „ფორდ მონდეოსა“ და „აქსის პალასის“ ბინის მფლობელების ვინაობა 30 იანვარს „რუსთავი 2-ის“ პირდაპირ ეთერში გაირკვევა.

**ნინო ნოდია** *(„ვულე ვუს” პიარმენეჯერი):*

– საქართველოში ძალიან ხშირია წამახალისებელი გათამაშება, მაგრამ, ვფიქრობ, მსგავსი მასშტაბის გათამაშება, არ ყოფილა. „უნიქარდი“ და „ვულე ვუ” პირველი დღიდან პარტნიორები არიან. როცა დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ახალი იდეები აქვთ და, სურთ, გაგვიზიარონ, ვერც კი წარმოვიდგენდით, მსგავსი მასშტაბის ღონისძიებას, ასეთ მოკლე ხანში თუ შეასხამდნენ ფრთებს. როდესაც მათი წარმომადგენლები „ვულე ვუს“ სათავო ოფისში გვეწვივნენ გათამაშების პირობების გასაცნობად, ჩვენ უყოყმანოდ დავთანხმდით პარტნიორობაზე. ვფიქრობთ, რომ „უნიქარდი” უნიკალური პროდუქტია, ის მართლაც ყველასთვისაა და ამ გათამაშებით, ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდება. ასე რომ, „ვულე-ვუ“ და „უნიქარდი“ გელით! ჩვენ დაგეხმარებით წინასაახალწლოდ ამაღლებული განწყობის შექმნაში.

**სოფი ლორია**

# სარჩევი

რა უნდა ვიცოდეთ ფულის გასესხებისა და სესხებისას და რატომ არის ბანკის მიერ გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხებიც კი უზრუნველყოფილი ....... 6

რა კავშირი აქვს ლაფანყურის ოპერაციას სირიაში მიმდინარე საომარ პროცესებთან და როგორ გახდა საქართველოს მოქალაქე სირიელ ამბოხებულთა ემირი ....... 8

რამდენი საცხოვრებელი ბინა აქვს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს ბრიუსელიდან თბილისის გავლით გუდაურამდე ....... 9

რატომ გადაწვა დავით აღმაშენებელმა თბილისი გათავისუფლების შემდეგ და რატომ დატოვეს ფულიანმა სომხებმა საქართველოს დედაქალაქი საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე ....... 10

როგორ ცხოვრობენ საპატრიარქოს სკოლა-პანსიონში ერთად ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები და როგორ გახდა ფოფოდია 126 ბავშვის დედა ....... 15

ადვოკატი გირჩევთ ....... 16

როდის არ იკეთებს მამაკაცი საქორწინო ბეჭედს და ცდილობს თუ არა ის ამ გზით, თავი მარტოხელად გაასაღოს ....... 20

როგორ დაკარგეს დედმამიშვილებმა ერთმანეთი და ვინ ეძებს საქართველოში მამასა და ნახევარდებს ....... 21

რატომ არ უნდა ფიქრობდეს ქრისტიანი მუდმივად მომავალზე და რა ცოდვებს იწვევს ადამიანის მიერ წარსულზე ჩაციკვლა ....... 24

მოძღვარი გვირჩევს ....... 25

მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე დარჩენილი ვარსკვლავები ....... 26

„როკ-ენ-როლის მეფე” – ელვის პრესლი: ფაქტები ვარსკვლავის ცხოვრებიდან ....... 27

„ფორბსის” მილიარდერები, რომლებიც უკვდავებაზე ოცნებობენ ....... 27

ექიმის რჩევები ....... 29

ვისთან ერთად აგროვებდა ხელმოწერებს რობერტ სტურუა თეატრიდან დოდო ალექსიძის გაშვებაზე და რატომ არ ესალმებოდნენ მსახიობები რეჟისორს ....... 30

რატომ ეწყება გათვალულ ადამიანს შიშები და თავის ტკივილები და როდის იწყებს ამოქმედებას მემკვიდრეობითი წყევლა ....... 32

კოსმეტოლოგის რჩევები ....... 34

სტალინის რომელი რეფორმის გატარება დაავალა ჰიტლერმა გებელსს გერმანიაში ....... 35

რა პერიოდში იმატებს ადამიანებში პესიმისტური განწყობა, თავის ტკივილი, უძილობა და გაღიზიანება....... 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი....... 45

რატომ არ ჰყოფნის ლევან ციქურიშვილს დღე-ღამეში 24 საათი და როგორ აღმოჩნდნენ მის ფილმში მსოფლიო დონის ვარსკვლავები....... 47

ვის პიროვნებას შეეწირა კინაღამ ედუარდ შევარდნაძის კარიერა ....... 48

ვეტერინარის რჩევები ....... 50

ფლორის სამყაროში ....... 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ....... 51

მკვლელი აჩრდილი ....... 57

ქურდული ცხოვრება ....... 64

სერიული მანიაკები ....... 68

რა მისია შეასრულა ირან-ოსმალეთ-საქართველოს ცხოვრებაში ქართველმა დიპლომატმა ქალმა გულჩარამ ....... 72

როგორ იშოვა ნარკომანმა ყაჩაღმა ნარკოტიკისთვის ფული და რატომ დააბა მან მშობლების ახლობელი ქალი საწყობში ....... 73

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მწუხარება ბელორუსიის სიხარულსა ზედა

## ბიუჯეტს თეთრიც არ მოაკლდება

ბელორუსიის პრეზიდენტმა, თუმცა ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას რფ-სთან საბაჟო კავშირი არჩია, გასულ კვირას „ბელაზის“ თანამშრომლებს მეტად საინტერესო რამ აუწყა, კერძოდ, პროექტ „დიდი ოჯახის“ დაწყება.

როგორც ევროპის უკანასკნელ დიქტატორად შერაცხილი ბ-ნი ლუკაშენკო გვპირდება (ჩვენ რა, ბელოუსიის მოქალაქეებს ჰპირდება), რამდენიმე ვარიანტი განიხილება, მაგალითად, ამგვარი: წყვილებს საბანკო ანგარიშს



გაუხსნიან და ბავშვების შემატებისთანავე თანხას ჩაურიცხავენ (რაც მეტ ბავშვს გააჩენენ, მით მეტ თანხასაც მიიღებენ სახელმწიფოსგან: პირველისთვის – 10 000 აშშ დოლარს, მეორისთვის – 20 000-ს, მესამისთვის კი – გაორმაგებულს), იმის პარალელურად, რომ სახელმწიფო მათ ბინითაც უზრუნველყოფს.

მეორე მხრივ, არც ჩვენი მთავრობაა უქმად და, თუ მთლად შობადობის სტიმულირებას ვერ ენევა, ჯანსაღ გარემოზე მაინც ზრუნავს.



კერძოდ, გასულ კვირას, მაშინ, როდესაც ბ-ნი ლუკაშენკო მრავალშვილიანობის მატერიალური წახალისების გზებს ეძებდა, ჩვენებურებმა თამბაქოს კონტროლის 6-წლიანი გეგმა დაამტკიცეს, რისი მიზანიც, როგორც ჯანდაცვის სამინისტრომ გვაუწყა, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებაა (ისე, არანაკლები, თუ მეტი არა, ზიანი არასრულფასოვან კვებას მოაქვს). ღონისძიებებს კი რამდენიმე მიმართულებით გვპირდებიან: აქეთ – საგანმანათლებლოსკენ, იქით – თამბაქოზე აქციზის თანდათანობით გაზრდისა და ჯარიმების გააქტიურებისკენ.

ეს იდეაც, უდავოდ, კეთილშობილურია, ზედაც, ბიუჯეტის შევსებაზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, ბ-ნი ლუკაშენკოს იდეისგან განსხვავებით, მთავრობისგან მხოლოდ ქაღალდებზე ხელმოწერას მოითხოვს (ბიუჯეტს თეთრი არ მოაკლდება, რადგან, ხერხი სჯობია ღონესა, თუ მთავრობა მოიგონებსა)!

# „გოდოს მოლოდინში“

გასულ კვირას ლატვიის მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა: არც ომი წაუგიათ, არც ბუნებრივ კატაკლიზმებს დახვედრიან მოუმზადებლად, უბრალოდ, რიგაში სავაჭრო ცენტრი ჩამოინგრა, რამაც ლატვიის 52 მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა.



ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ვალდის დომბროვსკის ბევრი არ უფიქრია, პოსტს უმალ საკუთარი ნებით გამოემშვიდობა, რადგან, ამ ტრაგედიაში საკუთარი პასუხისმგებლობაც დაინახა. მას, ბუნებრივია, მინისტრთა კაბინეტის დანარჩენი წევრებიც მიჰყვნენ და, რაც მთავარია, ლატვიურ დემოკრატიას ამ გადადგომის გამო თმაც არ შერხევია (არათუ არ ჩამოშლილა).

იმის გათვალისწინებით, რომ ყველას ჩვენი გაგვჭირვებია, მართალია, საქართველოში აშშ-ის ერთ დროს ელჩად მყოფმა ბ-ნმა მაილსმა სულ ახლახან გაგვიმხილა, რომ, ფრიად გაოცებულია, რატომ არ გადადგა მიხეილ სააკაშვილი 2008 წლის ომის შემდეგ, თავად ან უკვე პირველ ოპოზიციურ ძალად გადანათლული „ნაცმოძრაობა“ ამ ვარიანტს არც მაშინ განიხილავდა და, ბუნებრივია, ახლა –

# ანუ, მიჩოჩებულები

მით უფრო – აღარ განიხილავს.

მეტიც, ჩვენი მთავარსარდალი გულს გვიმშვიდებდა, რომ, ოდენ ქვების გროვა და ათიოდე სოფელი დავკარგეთ, ხოლო, მისი თანამებრძოლები კი გვარწმუნებდნენ, რომ არასდროს ყოფილა საქართველო ისე ახლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან, როგორც 2008 წლის 26 აგვისტოს (რფ-ის მიერ მისი აღიარების შემდეგ) მიუჩოჩდა.

იმას აღარ შეგახსენებთ, რომ გენშტაბის იმჟამინდელ უფროს ბ-ნ გოგავას (სამხედრო მოქმედებებზე უშუალო პასუხიმგებელ პირს) სამუშაო ადგილი შეუცვალეს და საზღვრები ჩააბარეს. მანაც ჩაიბარა და ერთი უხერხულად არ შეშმუშნილა, ტერიტორიის შენარჩუნებას ვინ ჩივის, დაღუპული სამხედროების ცხედრების გამოტანაც რომ ვერ მოახერხა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით კი, რაც უნდა გაგვახაროს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პარაფირებამ – ბრმისთვისაც ნათელია, რატომ გახდა ლატვია „ნატოსა“ და ევროკავშირის წევრი, ხოლო ჩვენ კი, აგერ უკვე ათეული წელია – ღია კართან გვაყურყუტებენ!

# ღრმაც და ყოვლისმომცველიც?!

თუმცა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმების პარაფირებას დიდხანს ველოდით, უკვე პარაფირებულები მთლად ისეც ვერ აღგვაგფრთოვანა; უფრო ზუსტად, ნაწილი – დიახაც რომ, აღაფრთოვანა, მეორენი – არც ისე, მესამენი – ზედაც, შეაშფოთა. თუმცა, გული საგულეს არც ერთს არ გვაქვს, რადგან, მომავალ ერთ წელს, ხელმოწერამდე, რფ-სგან ახალ-ახალ სიურპრიზს ელიან (ელიან, ვინაიდან, ევროკავშირის ალტერნატივად ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს საბაჟო კავშირი ესახება, რომელშიც უკვე შეგულებული ჰყავს გასაწევრიანებლად რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანა).

ასეა თუ ისე, ან უკვე ევროკავშირი გვპირდება, რომ კარი გაგვიღო (თუ გავიხსენებთ, რომ, იქით – „ნატოს“ კარიც ღიაა, ორპირში, თუ დროზე არ გვისაშველეს, შესაძლოა, ფილტვების ანთებაც კი ავიკიდოთ).

# „დიდხანს გელოდი, ახლა ჩემი დროა“

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით, პოსტსაბჭოთა სივრციდან ევროკავშირს აღმოსავლეთით პარტნიორობის პროგრამიდან მხოლოდ ორნი შემოვრჩით – ჩვენ და მოლდოვა (პათოსით: „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე“. ბუნებრივია, ამ კონკრეტულ „ღამეში“ მოლდოვა იგულისხმება). მაგრამ, ამ ჩვენი ორის პარტნიორი ევროპა, რატომღაც, გამოვიდა ინიციატივით, რომ ბიომეტრული პასპორტების მქონე მოლდოველებისთვის 2014 წლიდან უვიზო რეჟიმი დაამყაროს. ჩვენ, ბუნებრივია, გული დაგვწყდა (ფილტვების ანთების სამკურნალო ფულს მაინც არ გამოგვიგზავნიან?!), თუმცა, თუ ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებს გავიხსენებთ, ევროკავშირის მოქალაქეებს მეტად ხშირად და კრეატიულად რომ ძარცვავენ, იქნებ, არც ტყუის ევროკავშირი?!


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „ფული გაქვს“?!

**მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იქით – მომხმარებელს სესხებს სესხებზე სთავაზობენ** (მაგალითად, იპოთეკურს თვეში, სულ რაღაც, 2 პროცენტად), **აქეთ – კონფერენციებს აწყობენ საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად,** სხვათა შორის, **მეტად ამაღელვებელი მიზნით – მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებისა და არსებული პრობლემების გადასაჭრელად.**



თუ გავითვალისწინებთ, რომ **ამ ერთ, მცირე ზომის და საკმაოდ ღარიბი მოსახლეობით დასახლებულ ქვეყანაში, ამ ეტაპზე 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა**, რომელთა მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე **წლიური საპროცენტო განაკვეთი**, არცთუ იშვიათად, **100 და მეტ პროცენტს ურახუნებს,** შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ ეს **მეტად სარფიანი ბიზნესია.**

როგორც უნდა იყოს, **რაკი პრესკონფერენციას ჩვენი ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც ესწრებოდა, ბ**-ნმა ქადაგიძემ **განგვიმარტა, რომ „ეროვნული ბანკი ყველა საქი-**

## „მაქვს, მაქვს!“

**რო ღონისძიებას გაატარებს იმისთვის, რომ მოქალაქეები სამომავლო რისკებს მაქსიმალურად აარიდოს**.“ ამ რისკების თავიდან ასარიდებლად კი დაგვპირდა, რომ „უპირველესად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დავავალდებულებთ, ხელშეკრულების სტანდარტიზაცია მოახდინონ და **პირველსავე გვერდზე თვალსაჩინოდ და მარტივად აღსაქმელად გამოიტანონ ხელშეკრულების ყველა მნიშვნელოვანი პირობა.“**

ხოლო მოქალაქეებს კი მოგვიწოდა, **ყურადღებით წავიკითხოთ ხელშეკრულების ტექსტი და უფრო მეტად დავინტერესდეთ, ვის ვანდობთ საკუთარ ფინანსებს.**

**რჩევები**, ბუნებრივია, **საშურია** და, ისიც გასათვალისწინებელია, რომ **მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კლიენტების ბედნიერი საფინანსო მომავლისთვის არ წამოუწყიათ ეს ბიზნესი**, თუმცა, არის ერთი „მაგრამ“: **ხელშეკრულების ტექსტი** სულაც **რომ დაიზეპიროს მომხმარებელმა, მის შინაარსს მაინც ვერ შეცვლის**. იქნებ, **ეროვნულ ბანკს იმაზე ეზრუნა, რომ საფინანსო ორგანიზაციების ხელშკრულებები მომხმარებლისთვის კაბალური არ ყოფილიყო?!**

# მგლები თუ ...?!

## „მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა“

ჩვენი ქვეყნის **რუკაც მოწმობს, რომ თავდაცვის სისტემის რეფორმა მთლად წარმატებითაც ვერ განვახორციელეთ** (მიუხედავად დახარჯული არაერთი მილიარდისა), ყოველ შემთხვევაში, **წინ კუს ნაბიჯებით მივიწევთ**. თუმცა, თუ წარსულს გავიხსენებთ და, მათ შორის, მტრულად განწყობილ მემატიანეებსაც დავუჯერებთ, **მთლად ჩამოსაწერებიც არ ვართ**, ბოლოს და ბოლოს, **„მგლების ქვეყანა“ დაგვარქვეს** („გურზ“ იგივეა, რაც „მგელი“). ამის პარალელურად კი, **ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც გვეხმარებიან: ხან – რჩევებით, ხან – ტექნიკით, ზოგჯერ ფულითაც შეგვეწევიან.**



მოკლედ, როგორც უნდა იყოს, გასულ კვირას ჩვენებური თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის ახალმა უფროსმა, **ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ გვამცნო, რომ ბრიტანელი ექსპერტები უკვე გვეწვივნენ, 2014-შიც გვეწვევიან და ჩვენს პრობლემებსაც შეისწავლიან.**

ოღონდ, **ამ ეტაპზე მხოლოდ კვების სისტემის გაუმჯობესებაში შემოგვეშველებიან.** მათ **უკვე შეუსწავლიათ კვების მიმართულებით ქართულ ჯარში არსებული ვითარება და წინადადებებიც შემოუთავაზებიათ**, თუმცა, **მთელი ძალებითა და თავდავიწყებით ამ საკითხს 2014 წელს შეეჭიდებიან**, რაც, როგორც გვპირდებიან, **კვების სისტემას საგრძნობლად გააუმჯობესებს.**

იმის გათვალისწინებით, რომ **სწორი და კალორიული კვება სამხედროსთვის აუცილებელია** (ბუნებრივია, იმისთვის, რომ ხარისხიანად იომოს), ცხადია, ჩვენ **ვერ დავუწუნებთ თავდაცვის სამინისტროს ამ მიმართულებით აქტიურობას,** თუმცა, მაგალითად, **თუ ნაპოლეონს დავუჯერებთ: *ნანგრევებიდან აჩრდილებივით ამოდიოდნენ მშიერი, გაძვალტყავებული ესპანელი პარტიზანები და ჩემს 200 000-არმიას ცოცხლად ჭამდნენო...***

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

# „სულ ბნელია, რაცა ელავს“

## „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“

მაშინ, **როდესაც „ცოცხი“ ახალი იყო**, კერძოდ, **2012 წლის ოქტომბერში,** მაგალითად, უკვე **ხალხის რჩეული** ბ-ნი **შავგულიძე ამბობდა: „საზოგადოება დაინახავს, რომ ეს ხელისუფლება მზადაა, სამართალი ერთხელ და სამუდამოდ მოვიდეს და აღარასდროს წავიდეს.** ბუნებრივია, **ყველა ის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება ერთბაშად და უცებ ვერ დაბრუნდება**. მოხდება რაღაც შეთანხმებები, ადამიანის რეაბილიტაცია და **გაიცემა არსებითი და საგრძნობი კომპენსაცია. სამართლიანად განაწილდება ეს ყველაფერი**. ჩვენ **გვყავდა ბრძენი კაცი რუსთაველი და ის ამბობს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად**.“



**ამ პათოსს იმხანად სრულად იზიარებდა მმართველი კოალიცია**, ოღონდ, **ეს მაშინ, როდესაც ხალხი განა ბნელი, უბრალოდ, სიხარულის ცრემლებით თვალდაბინდული იყო**. ხოლო, გასულ კვირას, კერძოდ, **2013 წლის ნოემბერში, შევიტყვეთ, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია ამ ეტაპზე აღარ შეიქმნება** (მარილზე გავიდაო!).

იუსტიციის მინისტრი ბრძანებს, რომ **იდეას არავინ ეწინააღმდეგება** (დაახლოებით, ასეთი პათოსით: **„ოღონდ გჯეროდეთ თქვენ თქვენი ბოდვის და სიყვარულის დღესასწაული**“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბუნებრივია, „სიყვარულში“ სამართლიანობა იგულისხმება, მაგრამ, **რაკი კომისიის შექმნამ, თურმე, შესაძლოა, ქვეყანას გაუთვლელი ფინანსური და ეკონომიკური შედეგები მოუტანოს, ამიტომაც, მისი ხორცშესხმა ნაადრევია** (საშური ჩინოვნიკთა მაღალ-მაღალი ხელფასებისა და პრემიების შენარჩუნება იყო – გენაცვალეთ მადაში!).

შიშები კი იმას უკავშირდება, რომ, **„თუ ადამიანი გამართლდება, მას უკვე გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის კი დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური მდგომარეობა მზად არის“.**

თუმცა, ისიცაა, რომ **ამ ჩვენს მთავრობას იმედი მთლად ბოლომდეც არ გადაუწურავს** (პათოსით: „კაცი იმედით ცოცხლობს“?!) **და დაგვამშვიდეს** (თუმცა, ჩვენ რა, ქონებაწართმეულები დაამშვიდეს), რომ, **„როგორც კი ჩაითვლება, რომ ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა დაზარალებულთა მატერიალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მზად იქნება, აღნიშნული კომისიის შექმნის საკითხი დაიძვრება იმ წერტილიდან, სადაც გაჩერდა.“**

ერთი სიტყვით, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, **მძარცველებს ნაძარცვი ტკბილად შეერგებათ** (ერთი – მკვდარი გაცოცხლდება და, მეორე – ის კომისია დაიძვრება მკვდარი წერტილიდან). **შესაბამისად, „ამად ვწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რაცა ელავს“...**

ნდობის ტელეფონი
*ინფიმი*
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ჩვენებური ბანკები კვლავაც უშურველად სთავაზობენ მომხმარებლებს სამომხმარებლო სესხებს ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე. ამით შეგულიანებული მომხმარებელიც თავდავიწყებით ეძალება საბანკო შემოთავაზებებს, თუმცა შესაძლოა, მათმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუკი ისინი არ ფლობენ არანაირ უძრავ და მოძრავ ქონებას, აღმასრულებელი მათ ახლობლებს აიძულებს, საკუთარი ქონებით გაისტუმრონ დავალიანება. რა უნდა ვიცოდეთ სესხის აღებისას როგორც ბანკებისგან, ისე კერძო პირებისგან და როგორ შეიძლება, დაგვაყენოს უსიამოვნო რეალობის წინაშე ოჯახის წევრმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს საკუთრებაში დროებით მცხოვრებმა პირმა? თემას საიას იურისტი ლალი პეტრიაშვილი განგვიმარტავს.**

# რა უნდა ვიცოდეთ ფულის გასესხებისა და სესხებისას და რატომ არის ბანკის მიერ გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხებიც კი უზრუნველყოფილი



**დღეს, თუ ვიღაც ცხოვრობს თქვენს სახლში 8-9 თვის განმავლობაში, მას აქვს უფლება, თქვენი თანხმობის გარეშე ჩაეწეროს, ანუ თავისი საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაცია მოახდინოს**

**– გამომდინარე იქიდან, რომ არაერთ ჩვენს მოქალაქეს აქვს შეუსრულებელი ვალდებულებები და აღსრულების მოლოდინშია, განვუმარტოთ მკითხველს, როგორ არეგულირებს კანონი აღსრულების პროცესს?**

– აღსრულების პროცესს არეგულირებს „საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მაგრამ ძალიან ბევრი პროცედურა, რომელიც ამ კანონშია მითითებული, არ არის დეტალურად გაწერილი, ამიტომ რეგულირდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებებით. უმეტესად, მოსახლეობას სააღსრულებო ორგანოებთან ურთიერთობა უწევს, როდესაც საქმე ეხება შეუსრულებელ ვალდებულებებს. მაგალითად, თუ ერთმა ფიზიკურმა პირმა, მოვალემ, მეორე ფიზიკური პირისგან, ანუ კრედიტორისგან ისესხა თანხა, ასეთ შეთანხმებას, როგორც წესი, ებმება ხოლმე იპოთეკის ხელშეკრულებაც. იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და, თუ მოვალემ არ დააბრუნა სესხად მიღებული ფულადი თანხა, კრედიტორი, ანუ გამსესხებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს იძულებითი მექანიზმების გამოყენება მოვალის წინააღმდეგ, ანუ მოითხოვოს ამ ქონების რეალიზაცია ფულის ამოღების მიზნით. ხოლო, თუ გარანტიად წარმოდგენილია მოძრავი ნივთები, ავტომანქანა, ოქროული და ასე შემდეგ, ამას უკვე ეწოდება გირავნობა და მასზე ცოტა სხვა წესები ვრცელდება. მაგრამ როგორც იპოთეკა, ისე გირავნობა, არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები. სააღსრულებო პროცესი მეტწილად ეხება ისეთ დავებს, როდესაც კრედიტორები ითხოვენ იპოთეკით ან გირავნობით დატვირთული ნივთების რეალიზაციას აუქციონზე.

**– როგორ მიმდინარეობს სააღსრულებო პროცესი?**

– კრედიტორი მიმართავს აღსრულების ბიუროს, მიაქვს სასამართლო გადაწყვეტილება, რომ მას სასამართლომ დაუკმაყოფილა მოთხოვნა მოვალის მიმართ.

**– ანუ კრედიტორმა, უპირველესად, უნდა მიმართოს სასამართლოს?**

– დიახ, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოსთვის მიმართვა არ არის აუცილებელი. უმრავლეს შემთხვევაში კრედიტორს სჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიაქვს სააღსრულებო ბიუროში, რომელიც მოვალეს უგზავნის წინადადებას და სთავაზობს, მიცემულ ვადაში შეასრულოს სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება. თუ მოვალე ამ ვადას უშედეგოდ გაუშვებს, აღმასრულებელი უფლებამოსილია, მოიძიოს მოვალის ქონება. ინფორმაციის მოძიება ხდება, საჯარო რეესტრში, საფინანსო დაწესებულებებში, მაგრამ, თუ მოვალეს იპოთეკაში ქონება აქვს ჩადებული, პირდაპირაა შესაძლებელი ამ ქონების იძულებით აუქციონზე გატანა. ყველაზე პრობლემურია ისეთი სააღსრულებო პროცედურები, როდესაც მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი, ანუ, როდესაც მოვალეებს გარანტიები არ აქვთ წარდგენილი კრედიტორებთან, ამიტომ, კრედიტორები რომ არ დაზარალდნენ, სასურველია, ნებისმიერი გარიგება დაიდოს უზრუნველყოფილი მოთხოვნებით. ანუ არ გაასესხონ თანხა, ვიდრე გარანტიას არ ჩადებს მოვალე.

**– პრობლემურ სესხებთან მიმართებაში, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულება, როგორ მიმდინარეობს აღსრულების პროცესი?**

– ავიღოთ ალიმენტის შემთხვევა: სასამართლო ერთ-ერთ მშობელს აკისრებს სარჩოს გადახდას შვილისთვის, აქ იპოთეკასთან და გირავნობასთან არ გვაქვს საქმე, უბრალოდ ის მშობელი, რომელსაც არ შეუსრულეს სასამართლოს გადაწყვეტილება, უფლებამოსილი ხდება, მიმართოს სააღსრულებო ორგანოს აღსრულების პროცესის დასაწყებად იმ მშობლის წინააღმდეგ, რომელსაც დაეკისრა ალიმენტის გადახდა. მაგრამ, თუ ასეთ მშობელს არ აღმოაჩნდა ქონება, აღსრულების პროცესი შესაძლოა, წინ ვერ წავიდეს. რას აკეთებს ამ შემთხვევაში აღმასრულებელი? ის მოიძიებს მოვალე მშობლის ქონების შესახებ ინფორმაციას საჯარო რეესტრში, საბანკო დაწესებულებებში, მაგრამ, თუ იქაც არ აღმოჩნდა არაფერი, კანონმდებლობით გათვალისწინებული ბოლო გამოსავალი ასეთია: აღმასრულებელს შეუძლია, დაადგინოს მოვალის საცხოვრებელი ადგილი, მივიდეს მის საცხოვრებელ მისამართზე და აღწეროს და დააყადაღოს ის უძრავი ქონება, რაც იქ აღმოჩნდება, გარდა პირველადი მოხმარების ნივთებისა.

**თუ ადამიანი თქვენთან აღარ ცხოვრობს რაღაც პერიოდის განმავლობაში, თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ მისი რეგისტრაციის გაუქმება**

**– თუ მოვალის არ არის ქონება?**

– შესაძლებელია, აღმოჩნდეს, რომ აღმასრულებლის მიერ აღწერილი და დაყადაღებული ქონება სულაც არ ეკუთვნოდეს მოვალეს და, ვინაიდან ის ცხოვრობს თავისი მშობლების სახლში, დაყადაღებული ქონება იყოს მისი მშობლების.

**– თუმცა ალიმენტის შემთხვევაში, ჩემი აზრით, ბებია-ბაბუასაც ეკუთვნის შვილიშვილისთვის სარჩოს გადახდა. სხვა მაგალითი რომ მოვიტანოთ? მიჭირს ალიმენტის შემთხვევაში მოვალე მშობლის თანაგრძნობა. ვთქვათ, ხელწერილის საფუძველზე ფული ვასესხე პირს, რომელსაც არ აქვს უძრავი ქონება და არც საბანკო ანგარიშები?**

– ესეც არაუზრუნველყოფილი სესხია და მის აღსრულებას ისეთივე პრობლემა ექნება, როგორიც ალიმენტის შემთხვევაში. თუ ისეთი პირის ქონება დაყადაღდა აღმასრულებლის მიერ, რომელიც არ არის მოვალის საკუთრება, მაშინ, ვისიც არის ის ქონება, ის იძულებული ხდება, აღძრას სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ, ანუ საკუთარი შვილისა და იმ სუბიექტის წინააღმდეგ, ვინც მის შვილს მოედავა გარკვეული ვალდებულების შესრულებას და მოითხოვოს დაყადაღებული ქონების ყადაღისგან გათავისუფლება იმისთვის, რომ სხვა პირის ვალების გამო მისი ქონების აუქციონზე რეალიზაცია არ მოხდეს.

**– და კანონი იცავს მას, თუ დაამტკიცა, რომ დაყადაღებული ქონება მისია და არა მოვალის? როგორ ამტკიცებს, რომ ქონება მისია?**

– თუ შეძენილია ტექნიკა, როგორც წესი, ჩვენ გვაქვს პასპორტი და შესაბამისი დოკუმენტაცია და მტკიცება ძალიან ადვილია, ისევე, როგორც ავტომანქანის შემთხვევაში, თუ ის სამომხმარებლო სესხითაა შეძენილი, მაგრამ რთულია მტკიცება იმ ნივთებთან მიმართებაში, რომლებიც არ შეგვიძენია ისეთ ადგილას, სადაც კონკრეტულ დოკუმენტს შეგვიდგენდნენ. ვთქვათ, შევიძინეთ ავეჯი ფიზიკური პირისგან ან პიანინო, რომელიც შევიძინეთ 20 თუ 30 წლის წინათ. თუმცა ასეთი ნივთების კუთვნილების ფაქტი შეგვიძლია, დავადასტუროთ მოწმეთა განმარტებით. ანუ შეგვიძლია, სასამართლოში დავაყენოთ შუამდგომლობა კონკრეტული მოწმეების დაბარების შესახებ, რათა მათ თქვან, რომ ეს პიანინო იქამდეც გამაჩნდა, ვიდრე შვილი მეყოლებოდა, ვისი ვალებისთვისაც დამიყადაღეს ეს პიანინო.

**– როდესაც არაფერი არ აქვს, არც მოძრავი ქონება გააჩნია, არც უძრავი, არუ მშობლების ბინაში ცხოვრობს და არის ასეთი უქონელი და უთვისტომო, მაშინ რა ხდება?**

– სადღაც ხომ ცხოვრობს? სადღაც ხომ არის რეგისტრირებული?! ადრე კანონმდებლობაში იყო შესაძლებლობა, რომ პირი არსად არ ყოფილიყო რეგისტრირებული. ეს პრობლემას ქმნიდა საარჩევნო პროცედურების კუთხითაც – ხმის მიცემის ადგილის განსაზღვრისას, ამიტომ დღეს ვერავინ აიღებს პირადობის მოწმობას, თუ მას არ აქვს მისამართი. თუმცა უმისამართო მოსახლეობაც არსებობს – ეს კიდევ სხვა პრობლემაა. დღეს, თუ ვიღაც ცხოვრობს თქვენს სახლში 8-9 თვის განმავლობაში, მას აქვს უფლება, თქვენი თანხმობის გარეშე ჩაეწეროს, ანუ თავისი საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაცია მოახდინოს.

**– როგორ?**

– მოწმეს მიიყვანს და, თუ მოწმემ არასწორი განმარტება მისცა, მას აქვს პასუხისმგებლობა, ამიტომ არც ერთი მოწმე არ წაჰყვება არავის ისე, თუ, მართლაც, რეალურ ფაქტს არ ადასტურებს. თუ ის ადამიანი თქვენთან აღარ ცხოვრობს რაღაც პერიოდის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ მისი რეგისტრაციის გაუქმება.

**– თორემ ქონება დაგიყადაღდება სხვისი ვალების გამო.**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნინო ჯანიკაშვილი** *(38 წლის. თბილისი).*

**დიაგნოზი**: წელის მალების ოსტეოქონდროზი.

– წელის ტკივილები ქალიშვილობიდან მოყოლებული მაწუხებდა. გავთხოვდი და სამი შვილი გავაჩინე. მესამე მშობიარობის შემდეგ კი ტკივილებმა მკვეთრად მიმატა, ფეხში ჩაინაცვლა და დაბუჟებაც დაერთო. მანანა ექიმთან ახლობლების რჩევით მოვედი. მანამდე ყველაფერი მქონდა ნაცადი. ექიმმა კომპიუტერული გამოკვლევა დამინიშნა და აღმომაჩნდა ორი დისკის თიაქარი: L4 – 6 მილიმეტრი, L5 – 8 მილიმეტრი. ოპერაცია გარდაუვალი იქნებოდა, რომ არა ეს კლინიკა.

მკურნალობამ არნახული შედეგი გამოიღო. ტკივილები პირველივე დღეს შემიმსუბუქდა, სამ დღეში კი მთლიანად მომეხსნა და დაბუჟებაც აღარ მაწუხებს. თითქოს მეორედ დავიბადე, მიხარია, ოჯახს უკვე თავისუფლად ვუძღვები, ვსაქმიანობ. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, მანანა ექიმო!



**მერაბ დვალი** *(56 წლის, მძღოლი. რუსთავი).*

**დიაგნოზი**: მწვავე პოდაგრული ართრიტი, მხრის სახსრის ართროზი.

– აქ საშინელმა ტკივილებმა მომიყვანა. თითქოს უმიზეზოდ, დილით გამაღვიძა მწვავე ტკივილმა; ტერფი და მუხლი შესიებული მქონდა, მიხურდა. ფეხს ძირს ვერ ვაბიჯებდი, ვკოჭლობდი. ასეთი რამ არასდროს მქონია. ეს კლინიკა ახლობლებისგან კარგად ვიცოდი და პირდაპირ აქეთ გამოვეშურეთ. მხოლოდ ორი პროცედურა გახდა საჭირო, რომ ტკივილი მოხსნილიყო. შედეგით განცვიფრებული ვარ. ასევე, უკვე დიდი ხანია, მტკიოდა მხრის სახსარი – სამ დღეში ამ ტკივილმაც გამიარა. მინდა გითხრათ, რომ ჩემი მკურნალობა საკმაოდ რთულია, რადგან, მაქვს დიაბეტიც, მაღალი წნევებიც და კუჭის წყლულიც. მიუხედავად ამისა, მანანა ექიმმა უსწრაფესი შედეგით მიმკურნალა. ულრმესი მადლობა მას!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**ნანა ტოგონიძე** *(60 წლის, დიასახლისი. ქუთაისი).*

***ჰემოროიდული დაავადება, მესამე ხარისხის (სისხლმდენი), ანალური ნაპრალი, კოლიტი.***

– 7-8 წელია, ეს დაავადება მაქვს. დავიტანჯე. სულ დიეტაზე ვარ, სულ წამლებს ვიღებდი. ნაღველიც მაწუხებდა, კუჭიც (გასტრიტი).

ბოლოს ისეთი შეკრულობა დამემართა, სენადეზე „შევჯექი". ამანაც აღარ მიშველა, პირიქით, ბუასილი გამიმწვავა. ქირურგმა – საოპერაციო ხარო. მანანა ექიმთან კლინიკაში თქვენი ჟურნალის დახმარებით მოვხვდი. გმადლობთ, რომ არსებობთ. არაჩვეულებრივი შედეგი მივიღე. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება, 2-3 დღეში სისხლდენა შეწყდა და კვანძებიც დამიპატარავდა. დღეს მეორე კურსისთვის მალამოები მიმაქვს. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**გუგა რაზმაძე** *(45 წლის. თბილისი).*

***ჰემოროიდული დაავადება, III ხარისხის (მწვავე).***

– იმდენად მწვავე ტკივილით მოვედი, პროქტოლოგმა ძლივს გამსინჯა... რაღაცამ მაწყინა, კუჭ-ნაწლავის მოქმედება ამერია, გამიხშირდა და, სავარაუდოდ, გამწვავებაც ამან გამოიწვია. მაწუხებდა დაბერილი კვანძები, ტკივილი, ფაღარათი.

სასიამოვნოა, რომ ყველა მალამო და საშუალება მცენარეულია, ნატურალური. ძალიან სწრაფი ეფექტი მივიღე. მეორე დღისთვის ტკივილის 50 პროცენტი უკვე მოხსნილი მქონდა. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა როგორც კუჭ-ნაწლავის, ასევე, კვანძების პრობლემა და თავს მშვენივრად ვგრძნობ. ექიმმა ჯერჯერობით დალევა ამიკრძალა (ერთი კვირით) და მხოლოდ ეს მაწუხებს ***(იცინის).***

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

– დიახ, ეს საკითხები ერთმანეთთანაა კავშირში. შეიძლება, ასეთი რამეც: თქვენ მოითხოვოთ ამ ადამიანის რეგისტრაციის გაუქმება, როდესაც აღარ იცხოვრებს თქვენთან 8 თვის განმავლობაში, მაგრამ, რადგან ის აღარ ურთიერთობს სახელმწიფო ორგანოსთან, ისე უუქმდება რეგისტრაცია, რომ ახალი მისამართი არ არის რეგრისტრირებული, ამიტომ გვყავს დღეს უმისამართო ადამიანები.

**– როგორც ვიცი, ანალოგიური რამ ხდება, თუ მოვალე ცხოვრობს დაგირავებულ ან დაქირავებულ ბინაში.**

– თუ მოვალე დაგირავებულ ან დაქირავებულ ბინაში ვცხოვრობ, აღმასრულებელმა შეიძლება, დააყადაღოს იმ ბინაში არსებული უძრავი ნივთები, რომლებიც მოვალეს არ ეკუთვნის.

**– ასეთი შემთხვევაც ხომ არის, როდესაც მესაკუთრე დაამტკიცებს, რომ დაყადაღებული ნივთი არის მისი და არა მოვალის საკუთრება?**

– ასეთ შემთხვევაში სააღსრულებო საქმე შეუსრულებლად დაუბრუნდება კრედიტორს და მას ვერ დაუბრუნდება თანხა.

**– ხომ შეიძლება, მოვალემ შემდეგ დააგროვოს ქონება ან გახსნას ანგარიში ბანკში? კრედიტორი უნდა იყოს ჩასაფრებული?**

– ნამდვილად ჩასაფრებული უნდა იყოს, რომ გაიგოთ მისი ქონების შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება იმას, თუ როდემდე შეიძლება, მოვთხოვოთ შეუსრულებელი ვალდებულება, თუკი არ გვინაზღაურებს მას მოვალე: მოქმედი სამოქალაქო კოდექსი გვეუბნება, სასამართლო გადაწყვეტილებით რაც მოგეკუთვნათ, იმის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 10 წელი. 10 წლის შემდგომ ვეღარ მოითხოვთ ვერაფერს. ლაპარაკია იმ ქონებაზე, რაც სასამართლოთი მოგეკუთვნათ. მაგალითად, თუ ჩვენ შორის ჩაიდო მომსახურების ხელშეკრულება და არ შემისრულეთ, თქვენ შეგიძლიათ 3 წლის ვადაში მიმართოთ სასამართლოს და, თუ სასამართლომ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა, აღსრულების პროცედურის დაწყებისთვის გაქვთ 10 წელი.

**– 10 წლის შემდეგ რატომ არ მაქვს?**

– ამიტომ კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას, უზრუნველყოფილი იყოს ჩვენი მოთხოვნები: გავაფორმოთ იპოთეკის ან გირავნობის ხელშეკრულება.

**– ანუ ჭკუა დავატანოთ, როდესაც ფულს ვასესხებთ. ჩვენ ვისაუბრეთ მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობაზე.**

– ანალოგიურია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობაც. მაგალითად, თუ თქვენ განვადებით გამოიტანთ ნივთს და სესხად მიღებული თანხა უნდა დაფაროთ 2008 წლის 30 იანვარს, ამ ვალდებულებას ამ ვადაში არ შეასრულებთ და სამი წელი ისე გავა, რომ ბანკი სასამართლოში არ დაგიყენებთ მოთხოვნას, თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ ამ ვალდებულების შესრულებაზე.

**– არ მგონია, ბანკმა სამ წელს იცადოს.**

– არის შემთხვევები, როდესაც გადის ვადა და ჩვენ განვუმარტავთ მოქალაქეებს, რომ აქვთ უფლება, უარი თქვან ასეთი ვალდებულების შესრულებაზე, მაგრამ თუ ისინი მაინც გამოცხადდებიან სასამართლო სხდომაზე და იტყვიან, რომ თანხმანი არიან, შეასრულონ ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ ბანკს გაუვიდა სასამართლოსთვის მიმართვის ვადა, სასამართლომ შესაძლოა, მოქალაქეს დააკისროს თანხის გადახდა. სამწლიანი ვადა აითვლება ვალდებულების შესრულების ბოლო დღიდან.

**– მიკვირდა, ბანკები ასე მარტივად რატომ იძლევიან სამომხმარებლო სესხებს უზრუნველყოფის გარეშე, კანონის იმ მუხლის იმედი ჰქონიათ, რომელიც მათ რეგისტრაციის ადგილას არსებული უძრავი ქონების დაყადაღების უფლებას აძლევს.**

– ნებისმიერი სამოქალაქო ურთიერთობა არის მაღალი რისკის. ბანკიც რისკავს გარკვეულწილად, როდესაც მომხმარებელს აძლევს სამომხმარებლო სესხს უზრუნველყოფის გარეშე. უზრუნველყოფილი სესხებიც კი რისკიანია, იმიტომ რომ შესაძლებელია უზრუნველყოფად ჩადებული უძარვი ქონება განადგურდეს ხანძრის გამო და არ იყოს დაზღვეული ან ღირებულება დაკარგოს იმის გამო, რომ გვერდით არასასურველი მშენებლობა დაიწყოს. წარმოიდგინეთ, როგორი რისკია არაუზრუნველყოფილი სესხები.

**– რას ურჩევთ მსესხებლებსა და გამსესხებლებს?**

– მხარეებს, როგორც კრედიტორს, ისე მოვალეს, ვურჩევ, ნებისმიერი გარიგების დადების წინ გაიარონ კონსულტაცია იურისტთან, მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი საშუალებაა, უფასოდ მიიღონ იურიდიული კონსულტაცია, რომ ვიცოდეთ სამოქალაქო რისკების შესახებ და ამის შემდეგ დავდოთ ხელშეკრულება. მაშინაც კი, როდესაც მხარეებს შორის მაღალია ნდობის ხარისხი, აუცილებელია, რომ მოთხოვნა იყოს უზრუნველყოფილი. და ეს არ არის მხოლოდ კრედიტორის ინტერესი; მოვალეც უნდა იყოს დაინტერესებული, რომ დაბევებული ჰქონდეს უზრუნველყოფის ნივთი კრედიტორისთვის, რადგან, რომ ვერ შეძლოს ვალდებულების შესრულება, ზეგ და მაზეგ საერთოდ ვერ აიღებს სესხს, იმიტომ რომ მოვალეთა რეესტრში მოხვდება.

და არის კიდევ ერთი პრობლემური საკითხი: ჩვენი კანონმდებლობით არ იკრძალება ერთი და იმავე ნივთის რამდენჯერმე დატვირთვა იპოთეკით ან გირავნობით და, საბოლოოდ, გამოდის, რომ ნივთი დატვირთულია ვალდებულებით, რომელიც რამდენჯერმე აღემატება კრედიტის თანხას. ამიტომ არ უნდა მიიღოთ უზრუნველყოფად და გარანტიად ის ნივთები, რომლებიც უკვე დატვირთულია იპოთეკით ან გირავნობით.

**ნინო ხაჩიძე**

**უკვე დაზუსტებით გაირკვა, რომ სირიაში ამბოხებულთა მხარეს საქართველოს რამდენიმე მოქალაქეც იბრძვის, თანაც, მაღალ სამეთაურო დონეზე. როგორ მოხვდნენ ისინი არეულ სირიაში, რა მიზანს ემსახურება მათი ბრძოლა და რამ გადააწყვეტინათ, უცხო ქვეყნისთვის სამხედრო სამსახურის გაწევა? – ამ შეკითხვებზე პასუხების მიღებას კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარისგან, ზაალ კასრელიშვილისგან, შევეცდებით.**

# რა კავშირი აქვს ლაფანყურის ოპერაციას სირიაში მიმდინარე საომარ პროცესებთან და როგორ გახდა საქართველოს მოქალაქე სირიელ ამბოხებულთა ემირი

**– როგორ აღმოჩნდა ქართული ფაქტორი, საქართველოს მოქალაქეების სახით, სირიაში?**

– ერთ შესწორებას შევიტან თქვენს კითხვაში: ჩვენ ამის შესახებ ადრეც ვიცოდით და განცხადებაც გავაკეთეთ, რასაც დავარქვით პრევენციული განცხადება. მაშინ არ გვითქვამს, კონკრეტულად რამდენი ადამიანია იქ და არ დაგვისახალებია მათი ვინაობა, მაგრამ ვთქვით, რომ 2010 წლის გაზაფხულიდან 2012 წლის აგვისტომდე, ლაფანყურის მოვლენებამდე, რამდენიმე ათეულმა ადამიანმა საქართველოს გავლით მიაშურა სირიას.

**– საქართველოს გავლით საქართველოს მოქალაქეები მოხვდნენ სირიაში თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა ისარგებლეს საქართველოს ტერიტორიით?**

– საქართველოს მოქალაქეებიც და სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც საქართველოს გავლით მოხვდნენ სირიაში, ისევე, როგორც საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეები თურქეთის გავლით მოხვდნენ სირიაში და, შესაბამისად, აზერაბაიჯანის გავლით მოხვდნენ სირიაში. ისინი ჭურვებით და ავტომატებით ხელში კი არ გადაადგილდებოდნენ, არამედ, იყვნენ კარგად ჩაცმული, სუფთად დავარცხნილი ადამიანები, რომლებიც საქმიანი იერით მოძრაობდნენ ამ სამი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასე რომ, ამაში არაფერი უჩვეულო არ არის.



**ამ სამმა ქართველმა ისე იომა რუსეთ-ჩეჩნეთის პირველ ომში, რომ დღემდე ჩრდილო კავკასიაში ბავშვებს მათ მაგალითებზე ზრდიან. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ უსახელო გმირებს არ აფასებენ, თორემ იქ ყველას კარგად ახსოვს ისინი**

**– ერთია, მოხვდე სირიაში და მეორე, როგორ პოზიციაზე მოხვდები. მხოლოდ ერთის გვარი დასახელდა, ბათაშვილის, ამიტომ მეც გავიმეორებ. საქართველოს მოქალაქეები იქ არიან საველე მეთაურები, ესე იგი, დიდი ხანია, რაც იქ იმყოფებიან?**

– მებრძოლმა შეიძლება, ორი წარმატებული ბრძოლა ჩაატაროს და ის მეთაურად აირჩიონ. ასე რომ, კავშირი არ არის ყოფნის ხანგრძლივობასა და პოსტს შორის. თუმცა ვიცი, რომ მათ ამოძრავებდათ რელიგიური მოტივები. მეამბოხეების მხარეს საბრძოლველად ყველა ჩავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ბაშარ ალ ასადს აშკარად მიაწოდა იარაღი და სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში. რის გამოც ბაშარ ალ ასადის ოპოზიციაში მყოფმა მუსლიმანმა მებრძოლებმა, უფრო სწორად, მათმა ლიდერებმა, მსოფლიო მუსლიმანებს სთხოვეს დახმარება და სირიაში დაიძრა უამრავი მებრძოლი, რომელთა მოტივაცია იყო მუსლიმანი ძმების დახმარება. რა თქმა უნდა, სხვა მოტივებიც იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით. უფრო ზუსტად, არ გვაინტერესებს და ამიტომ არ ვიცით. ამ ადამიანების მოტივაცია არის ისლამური ჯიჰადი პრორუსული ორიენტაციის ტირანის წინააღმდეგ, რომელიც არაისლამური წესებით ცხოვრობს სირიაში. თქვენ მიერ დასახელებულის გარდა, საქართველოს სხვა მოქალაქეებიც არიან და რამდენიმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა.

**– რომელ წლებში?**

– ზუსტი წლები არ ვიცი, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის პერიოდში იყვნენ ოფიციალური სამხედრო მოსამსახურეები თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში. ასე რომ, მათ სამხედრო ცოდნა და გამოცდილებაც ჰქონდათ, რადგან თავდაცვის სამინისტროში, როგორც მინიმუმ, ზოგი ოფიცერი იყო და ზოგი – სერჟანტი. სირიის ოპოზიციისთვის კი საუკეთესო კადრებია პროფესიონალი სამხედროები, რომლებსაც აქვთ რელიგიური მოტივაცია.

**– რელიგიური მოტივაცია ნიშნავს, რომ ისინი, მართალია, საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ ეთნიკური ქართველები არ არიან თუ მუსლიმანი ქართველები არიან?**

– არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს, რა ეთნიკური წარმომავლობის არიან, მთავარია, აქვთ მოტივაცია: ერთი – ეხმარებიან მუსლიმან ძმებს, მეორე – ალბათ, იღებენ საერთაშორისო მასშტაბის დარიგებებსა და დახმარებებს, რაც სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ იბრძოლონ. ბათაშვილის რა მოგახსენოთ, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია, გითხრათ, რომ საქართველოში ბევრი კარგი მებრძოლია, რომლებიც დიდი სიამოვნებით წავიდოდნენ ნებისმიერ ბრძოლაში საკონტრაქტო პირობებზე.

**– დაქირავებულები გახდებოდნენ?**

– დიახ და ასეთს მხოლოდ ერთსა და ორს არ ვიცნობ. პირადად მე რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მომმართა, რომ, თუკი ვაპირებდი ორგანიზაციაში გასამხედროებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ისინი დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ მონაწილეობას, რა თქმა უნდა, ანაზღაურების სანაცვლოდ. ჩვენ უარი ვუთხარით, რადგან ჩვენი ორგანიზაცია არის საერო ცნობიერების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია და არანაირ სამხედრო მოქმედებებთან არ გვაქვს შეხება.

## პირველ ომში ჩეჩნეთის მხარეს ჩრდილოკავკასიელებთან ერთად სამი ქართველი ომობდა: მეთაურები იყვნენ, მეტიც, ერთ-ერთი სარდალიც კი იყო

**– საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება სირიაში საქართველოს მოქალაქეების ბრძოლის ფაქტით?**

– რამდენიმე ჟურნალისტს რუსეთის ფედერაციაში და რამდენადაც ვიცი, თურქეთშიც, უნდოდათ, საქართველოს ტერიტორია, პანკისის ხეობა, გაეიგივებინათ ალ-ქაიდასთან, ტერორისტების მოსამზადებელ ბაზასთან და, შესაბამისად, ეს რეალობა გაეიგივებინათ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებთან. ეს არ არის კარგი საქმე ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მომავლისთვის და ვინც ამას გააკეთებს, ამით, უპირველესად, წინა ხელსიუფლებას დააყენებს დარტყმის ქვეშ და კიდევ უფრო განამტკიცებს ეჭვებს, რომ წინა ხელისუფლება ფულის გამო ყველაფერს კადრულობდა, იმიტომ რომ, ეს ყველაფერი ხდებოდა 2010-1012 წლებში. უფრო სწორად, დაიწყო 2010 წელს და დამთავრდა 2012 წლის აგვისტოში ლაფანყურის ოპერაციით.

**– მოარული ხმებით, ლაფანყურის ოპერაცია კავშირში იყო სწორედ სირიასთან და არა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ დივერსიულ ქმედებებთან...**

– ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ ჩვენ ყველაფერი ვთქვით, მაგრამ ლაფანყურში განადგურებული მებრძოლები, უპირველესად, კავშირში იყვნენ საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასთან და სპეცსამსახურებთან. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა და სპეცსამსახურის დახმარების გარეშე, ისინი არათუ ვერ გადაადგილდებოდნენ, საერთოდაც ვერ მოხვდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამდენად, სირია არის შედეგი, მიზეზები უნდა ვეძებოთ საქართველოს წინა ხელისუფლებაში. მეორე საკითხია, რა მიზნით ამოძრავებდა ჩვენი წინა ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე მებრძოლებს.

**– რა მიზნით?**

– ვერ გეტყვით, მეც ეს მაინტერესებს. ერთი ვიცით, რომ სირიის ოპოზიცია ამაში დიდ ფულს იხდიდა; მეორე, ვიცით, რომ ეს იყო რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესი და, მესამე – ალბათ, კერძო ინტერესიც იყო. ვიცით, რომ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ იდეის გამო არაფერს გააკეთებდნენ – ყველაფერში სარგებელს ეძებდნენ.

**– დავახასიათოთ, რა დონის მებრძოლები არიან სირიაში მეომარი საქართველოს მოქალაქეები.**

– კარგი ძალიან.

**– მე ერთი წუთით არ ვაკნინებ ჩვენს სამხედროებს, მაგრამ ჩვენ მიერ გადატანილი ომების შედეგები და ჩვენი ქვეყნის რუკა, არცთუ დადებითად მოქმედებს ჩვენი სამხედრო პოტენციალის იმიჯზე. იმის თქმა მინდოდა, სხვის ბრძოლებში მაინც მოვიოხოთ გული.**

– სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი მამაკაცები ასეთ კითხვებს არ სვამენ, ამიტომ ცოტა შორიდან დავიწყებ: სირიის ომამდე, გასული საუკუნის 90-ან წლებში ცნობილი ომი იყო ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის ომი. პირველ ომს უფრო კავკასიური ომის ხასიათი ჰქონდა, ვიდრე მეორეს, იმიტომ რომ, რუსეთის სპეცსამსახურების ძალისხმევით, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომს უფრო რელიგიური მოტივაცია მიეცა. პირველ ომში ჩეჩნეთის მხარეს ჩრდილოკავკასიელებთან ერთად სამი ქართველი ომობდა: მეთაურები იყვნენ, მეტიც, ერთ-ერთი სარდალიც კი იყო. ამ სამმა ქართველმა ისე იომა, რომ დღემდე ჩრდილო კავკასიაში ბავშვებს მათ მაგალითებზე ზრდიან. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ უსახელო გმირებს არ აფასებენ, თორემ იქ ყველას კარგად ახსოვს ისინი. სხვათა შორის, ჩრდილო კავკასიაშიც ძალიან გვიან გაიგეს, რომ ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ, რადგან მალავდნენ თავიანთ წარმომავლობას, მაგრამ არც ვაჟკაცობა იმალება და არც გმირობა. ასე რომ, ეს ჩვენი მოქალაქეებიც, რომლე-

# რამდენი საცხოვრებელი ბინა აქვს კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს ბრიუსელიდან თბილისის გავლით გუდაურამდე

საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი 1963 წელს დაიბადა და, როგორც მისი ოფიციალური ბიოგრაფია გვამცნობს, ორი სრულწლოვანი შვილი ჰყავს. სამწუხაროდ, მინისტრის პირველი მოადგილის სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებული ბიოგრაფიაც ხატოვანია (როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს ზედა მმართველი რგოლის შემთხვევაში) და გვატყობინებს, რომ ქ-ნ მიზანდარს „გააჩნია 24 წლის მრავალმხრივი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობას, საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მართვას, კულტურათაშორისი დიალოგის წარმოებას, ქართული კულტურის პოპულარიზაციას ევროპაში, კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევასა და დაცვას, საჯარო უწყებათა ინსტიტუციური განვითარების, კომუნიკაციის, თვალსაჩინოების ამაღლებისა და საკადრო პოლიტიკის სფეროებს.“

მინისტრის პირველ მოადგილეს სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი დაუმთავრებია და მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ასპირანტურაც მიუყოლებია. 1988-1993 წლებში გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ანტიკური ხელოვნების განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. 1994 წლიდან 1997 წლამდე შპს Grenadier Georgia Communications ხელმძღვანელობდა. 1994 წლიდან 2005 წლამდე ეწეოდა სამეცნიერო, მთარგმნელობით და საგამოფენო საქმიანობას ბელგიას, საფრანგეთსა და გერმანიაში. 2006 წელს ბრიუსელში, ევროკავშირის სათავო ოფისში, გადავიდა გენერალური დირექტორატის EuropeAid Co-operation Office დირექციის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და რუსეთი“ დირექტორის თანაშემწედ კადრების დარგში, ხოლო 2007 წლიდან 2009 წლამდე იმავე დირექციის ინსტიტუციური განვითარების განყოფილების პროგრამის მენეჯერად დაინიშნა. 2010 წლიდან დამოუკიდებელ ექსპერტობას ეწეოდა, 2011 წლის იანვრიდან 2012 წლის მაისამდე კი თბილისში, ევროპის სახლის პროგრამების დირექტორად მუშაობდა. 2012 წლის აპრილიდან ევროკავშირის მონიტორინგის ექსპერტად დაუწყია მუშაობა. 2012 წლის 6 დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 2013 წლის 9 იანვარს მინისტრის პირველ მოადგილედაც დაწინაურდა.



რაკი ჩინოვნიკური საქმიანობა შარშან დაიწყო, მისი პირველი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციაც 2013 წლის თებერვლით თარიღდება. ოჯახის წევრებად არავის მიუთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქ-ნი მიზანდარი მარტო ცხოვრობს. შესაბამისად, მისი საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა ბრიუსელში, 100 კვადრატული მეტრი ფართობის; საცხოვრებელი ბინა თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე, 50 კვადრატული მეტრი ფართობის და სამი საცხოვრებელი ბინა გუდაურში – 56, 54 და 30 კვადრატული მეტრი ფართობების.

ამას გარდა, 10 000 ლარზე მეტი ღირებულების რამდენიმე მოძრავ ნივთსაც ფლობს, კერძოდ, ფერწერულ ტილოებს: ირაკლი ფარჯიანის, ლადო გუდიაშვილის, სუთიძის, აბრამიშვილისა და ვახტანგ ბულაძის.

„პროკრედიტბანკში“ ორი ანაბარი აქვს გახსნილი, რომლებზეც, შესაბამისად, ინახავს: 6 000 ევროსა და 2 000 ლარს. ხოლო, დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდი ფულის სახით, 15 000 ევრო ჰქონდა.

2012 წლის განმავლობაში, როგორც ევროპის სახლის პროგრამების დირექტორმა, 12 500 ევრო აიღო, ხოლო, როგორც „აი ბი ემ“ ევროკავშირის პროექტების მონიტორინგის ექსპერტმა – 40 000 ევრო. დეკლარაციით ვიგებთ, რომ ქ-ნ მიზანდარს, 159 000 ევროს კრედიტი აქვს აღებული, რომლის მომსახურებაც გასულ წელს 13 764 ევრო დასჯდომია. ამას გარდა, სხვა ხარჯიც ჰქონია – ბინის რემონტისთვის 6 000 ევრო დაუხარჯავს.

**ნინო ხაჩიძე**

---

ბიც სირიაში იბრძვიან, სახელოვანი ხალხია და სასახელოდ იბრძვიან, მაღალი ტიტულებიც აქვთ და ავტორიტეტიც. შემთხვევით მოვკარი ყური, სისასტიკით გამოირჩევიანო, რაც ტყუილია. კარგი მეომარია და ჭორებიც იმიტომ დაუყარეს. მე თავს უფლებას ვერ მივცემ, იმ გვარის გარდა, რომელიც თქვენ დაასახელეთ, სხვაც დავასახელო, მაგრამ გეტყვით, რომ კიდევ საქართველოს ორი მოქალაქეა საველე მეთაური სირიაში.

**– მაპატიეთ ჩემი გაუთვითცნობიერებლობა საველე ბრძოლებში, მაგრამ რა სამხედრო ჩინს შეესაბამება საველე მეთაური და სხვა რანგის მეთაურები?**

– ჩვენ გვასწავლეს საბჭოური დაყოფა, თუმცა კავკასიურ ომებში ასე არ ყოფილა: არის ჯგუფის ხელმძღვანელი, ტერიტორიის კოორდინატორი, სექტორის ხელმძღვანელი და შემდეგ – საველე მეთაური. საველე მეთაურს ექვემდებარება რამდენიმე სექტორის ხელმძღვანელი – უფრო ბატალიონის მეთაურს ჰგავს მისი წოდება. შემდეგ მოდის ემირი, რომელიც არის რეგიონის მეთაური და ბოლოს შეიხი, რომელსაც 1 000-დან 3 000 კაცამდე ექვემდებარება. შეიხი არის გენერლის კატეგორია, ემირი – პოლკოვნიკის, საველე მეთაური – მაიორის, სექტორის ხელმძღვანელი – კაპიტნის და ჯგუფის ხელმძღვანელი – ლეიტენანტის. ჩვენი მოქალაქეებიდან თქვენ მიერ დასახელებული არის ემირი, დანარჩენი ორი კი – საველე მეთაურები. ემირს, თუ არ ვცდები, 1 000 კაცამდე ექვემდებარება. მათ ლანძღვაგინება და ჯიჯგნა კი არ უნდა დავუწყოთ, არამედ, უნდა ჩამოვიყვანოთ, მოვეფეროთ და ინსტრუქტორებად გავუშვათ ქართულ ჯარში, რომ ჩვენს ახალბედებს რეალური ბრძოლების წარმოება ასწავლონ. თორემ, ტრენაჟორებზე ნასწავლი ომებით, რაც მოვიგეთ, ვნახეთ. ამიტომ არანაირი დანაშაული არ არის, რომ ისინი უცხო ქვეყანაში იბრძვიან, მათ წინააღმდეგ არანაირი სისხლის სამართლის დევნა არ უნდა გავრცელდეს და ისინი პროფესიით უნდა დავასაქმოთ.

90-ანი წლებიდან ვამბობ, რომ საქართველოში უნდა იყოს სამთო-ქვეითი ნაწილები, რომლებიც პარტიზანულ ომებზე იქნებიან ორიენტირებული და სწორედ ასეთი საველე მეთაურები გვიჭირდება ოფიცრების აღსაზრდელად. კავკასიის პირობებში მაინცდამაინც შორს ვერ წახვალ მძიმე ტექნიკით.

**– ვერც ავიაციით.**

– თუკი ჯავშანსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები გაქვს, არც ავიაცია გჭირდება და არც მძიმე ტექნიკა, ყოველ შემთხვევაში, 2008 წლის ომმა დაგვარწმუნა ამაში. სარდლები რომ არ გაქცეულიყვნენ, იმ პირობებშიც კი, როდესაც ჩვენებს არ ჰქონდათ აირ და ჯავშანსაწინააღმდეგო ტექნიკა, ჩვენს საველე მეთაურებს რომ ათეულებად დაეყოთ ჩვენი მებრძოლები და გაშლილიყვნენ, ღამ-ღამობით ისეთ პარტიზანულ ომს ჩაატარებდნენ, დაბადების დღეს დაიწყევლიდა ნებისმიერი არმია.

**– აქვე უნდა ვთქვა, სულ ახლახან თავიდან გავეცანი 2008 წლის ომის შესახებ რუსულ პრესაში დაბეჭდილ ინფორმაციებს და მინდა, ვთქვა, სანამ ავიაციის ფაქტორი ჩაერთვებოდა და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის სიბეცე იყო ამის გაუთვალისწინებლობა, კარგად დაუცხიათ მოწინააღმდეგისთვის.**

– პირველი იყო მთავარსარდლის სილაჩრე, როდესაც მან უკანდახევის ბრძანება გასცა; მეორე – საშუალო რგოლის სარდლების შეცდომა, როდესაც მათ არ იზრუნეს ორგანიზებულ უკანდახევაზე და მესამე – საველე მეთაურების სილაჩრე, რომლებსაც სრული უფლება ჰქონდათ, ეთქვათ, ჩემს სამშობლოში მტრის წინაშე უკან არ დავიხევ და ჩემი ქვედანაყოფი გადამყავს პატრიზანული ბრძოლის რეჟიმზეო. ათეულებად დაყოფდნენ ქვედანაყოფებს და გაიშლებოდნენ. კავშირი ექნებოდათ ერთმანეთთან, სექტორებს დაიკავებდნენ და თავბედს აწყევლინებდნენ ყოველ ღამე მოწინააღმდეგეს. მე თუ ვინმე მკითხავს, მთავარსარდალს უნდა ჰქონოდა გეგმა „ბ“, პირველი სამი დღის შეტევის შემდეგ პარტიზანული ომის დაწყების შესახებ. რა ჯანდაბად უნდოდათ ფრონტალური ომი და ცხინვალში შევარდნა?! რუსეთის სტეპია, რომ რამდენიმე ასეული ტანკის კოლონამ მარშით გაიროს?! მთელი ხეობა სულ 24 კილომეტრია სიგრძეში და 12 – სიგანეში?!

**– და აი, ეს ვერ დავიცავით, სამწუხაროდ.**

– საქართველოში კარგად იმუშავეს ქვეითებმა და არტილერიამ, დანარჩენებთან ყველასთან პრეტენზია გვაქვს ჩვენც და ისტორიასაც. ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, შემეხსენებინა საქართველოს მოსახლეობისთვის, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის პირველ ომში სამი გმირი მამლუქი ქართველი იბრძოდა, რომლებზეც დღემდე ლეგენდები დადის ჩრდილოეთ კავკასიაში. ასევე, არ უნდა დაიწყოს ცუდი ტენდენცია, რომ ჩვენი მოქალაქეები, რადგან სირიაში იბრძვიან, ცუდები არიან და უნდა განვსაჯოთ. არ უნდა განვსაჯოთ და არც ცუდები არიან: შეექმნა სახელმწიფოს უკეთესი პირობები ასეთი მეომრებისთვის და ჩვენს არმიაში გვეყოლებოდნენ ისინი. ბოლოს და ბოლოს, საკუთარ ჯარისკაცებს მაინც არ მიატოვებდნენ და არ გამოიქცეოდნენ 2008 წლის ომის დროს.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, ჯერჯერობით არ დადგენილა, ზუსტად როდის ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები, მაგრამ, რაკი კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დედაქალაქის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა უკვე დაასახელა, საზოგადოებრივი აზრიც გაიყო: ერთნი დედაქალაქის მერად ძირძველ თბილისელს მოიაზრებენ, მეორენი – ასეთ მიდგომაში სეპარატისტულ აქცენტებს ხედავენ. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისს მერები – ანუ თავები, ზოგჯერ მათ ქალაქის მოურავებსაც უწოდებდნენ, შორეული მეცხრამეტე საუკუნიდან ამშვენებდნენ, საჯარო ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორთან ლევან თაქთაქიშვილთან გადავწყვიტეთ იმის გარკვევა, თუ რა პრინციპით ირჩევდნენ ისტორიულად ამ ჩვენს ქალაქში ხელმძღვანელებს.**

# რატომ გადაწვა დავით აღმაშენებელმა თბილისი გათავისუფლების შემდეგ და რატომ დატოვეს ფულიანმა სომხებმა საქართველოს დედაქალაქი საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე

**– ვინ იყო თბილისის პირველი თავი და როდის აირჩიეს ის?**

– თბილისს თავები ჰყავდა მეცხრამეტე საუკუნიდან, კერძოდ, 1840 წლიდან, ოღონდ, თავდაპირველად, მათ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ნიშნავდა. შესაბამისად, თბილისიის პირველი დანიშნული თავი იყო იზმიროვი, თუმცა თბილისის პირველი არჩეული თავი იყო დიმიტრი ყიფიანი, რომელიც 1876 წელს აირჩიეს.

**– თბილისის თავებს პირდაპირი წესით ირჩევდნენ თუ რა პროცედურას ითვალისწინებდა ქალაქის ხელმძღვანელის არჩევა?**

– ქალაქის თავს ირჩევდა თბილისის საკრებულო, რომელსაც მაშინ გამგეობა ერქვა. ქალაქის გამგეობის დეპუტატობის მსურველები განაცხადებდნენ ამის შესახებ და შემდეგ მათგან ირჩევდა მოსახლეობა ეგრეთ წოდებულ ხმოსნებს. ხმოსნები, თავის მხრივ, სამ კლასად იყოფოდნენ. გადაწყვეტილებას იღებდნენ პირველი კლასის ხმოსნები, რადგან ისინი შეადგენდნენ გამგეობის ნახევარზე მეტს. გამგეობის დანარჩენი წევრები იყვნენ მეორე და მესამე კლასის ხმოსნები.

**– ვის ჰქონდა ხმოსნად გახდომის უფლება?**

– ხმოსანი ხდებოდა ის, ვისაც ჰქონდა რეგისტრირებული ქონება და იხდიდა ქონების გადასახადს. ყველაზე დიდი ქონება ჰქონდათ პირველი კლასის ხმოსნებს. ვისაც ქონება არ ჰქონდა, გამგეობის დეპუტატი ვერ გახდებოდა. დეპუტატი ვერ გახდებოდა ვერც ეროვნებით ებრაელი, რადგან რუსეთის იმპერიის გუბერნიებში ებრაელებს არ ჰქონდათ ხმის უფლება, მათ შორის, თბილისშიც.



დიმიტრი ყიფიანმა გამგეობაში სამუშაოდ მიიყვანა ორი ძალიან საინტერესო ადამიანი: მატინოვი და იზმაილოვი, რომლებმაც იმდენად კარგად იმუშავეს, რომ დიმიტრი ყიფიანის შემდეგ ისინი აირჩიეს ქალაქის თავებად

**– იმის გათვალისწინებით, რომ ქართველები იმხანად ცნობილნი იყვნენ, როგორც ქონების გამფლანგველები, ესე იგი, გამგეობაში ქართველების ნაკლებობა იქნებოდა?**

– თბილისის გამგეობაში ქართველები და რუსები, როგორც წესი, უმცირესობაში იყვნენ, რადგან ქართველებს ან ქონება არ ჰქონდათ, ან არ იყვნენ დაინტერესებულნი ამ ქონების რეგისტრაციით, ხშირად კი არც აინტერესებდათ ქალაქის გამგეობაში მოხვედრა. ამდენად, თბილისის გამგეობაში ხმოსნების უმეტესობა ეროვნებით სომეხი იყო, რომლებიც, როგორც წესი, ირჩევდნენ ეროვნებით სომეხ ქალაქის თავს.

**– მაშინ როგორ გახდა დიმიტრი ყიფიანი თბილისის თავი, ვისი ხმების დამსახურებით?**

– ცნობილია, რომ თბილისის თავად დიმიტრი ყიფიანის არჩევისას, 1976 წელს, თბილისის გამგეობაში იყო 72 დეპუტატი. მათგან სხდომას ესწრებოდა 64 დეპუტატი, ძირითადად, ეროვნებით სომხები. დიმიტრი ყიფიანმა მიიღო 36 ხმა, ანუ „თეთრი“, 28-მ კი წინააღმდეგ მისცა ხმა, ანუ დიმიტრი ყიფიანმა მიიღო 28 „შავი“. მისი კონკურენტი იყო ეროვნებით სომეხი იერემია არწრუნი. რომელმაც, თავის მხრივ, მიიღო 35 „თეთრი“ და 29 „შავი“. ერთმა ხმამ გადაწყვიტა ყველაფერი. იმ სხდომაზე იყო ერთ საინტერესო მომენტი: იერემია არწრუნის შვილი გრიგორიც გამგეობის წევრი იყო, მაგრამ მან ხმა მისცა დიმიტრი ყიფიანს, რომლის გამარჯვებაც გადაწყვიტა მეორე და მესამე კლასის ხმოსნების ხმებმა. მეორე და მესამე კლასის ხმოსნებს შეადგენდა წვრილი სომხობა, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ ქალაქის თავის იმ კანდიდატურას, რომელსაც მხარს უჭერდნენ პირველი კლასის ხმოსნები, ანუ მდიდარი სომხები. პირველი კლასის ხმოსნებს ვიწრო ბურჟუაზიული ინტერესები ჰქონდათ და მათთვის არ იყო მნიშვნელოვანი ნაციონალური გრძნობები. ისინი მხარს უჭერდნენ ევროპულ მიმართულებას და უნდოდათ, რომ თბილისი გამხდარიყო ევროპული ქალაქი. ისინი არ დებდნენ ფულს, მაგალითად, სომხური გაზეთების გამოცემაში, სომხური სკოლების გახსნაში. ისინი თბილისში აგებდნენ ევროპულ სახლებს, აშენებდნენ ხიდებს, ასუფთავებდნენ ქალაქს. გრიგორ არწრუნი კი აფინანსებდა სომხური გაზეთის გამოცემას, სომხურ სკოლებს. სხვათა შორის, მეორე და მესამე კლასის ხმოსნებს მხარს უჭერდა სომხური ეკლესიაც.

**– გაამართლა დიმიტრი ყიფიანმა გრიგორ არწრუნის იმედები? ხომ არ უნანია შემდეგ, რომ მამამისს, იერემია არწრუნს არ დაუჭირა მხარი?**

– დიმიტრი ყიფიანი, რასაკვირველია, ქართულ ნიადაგზე იდგა. თუმცა მისი ყველა მომხრე, გარდა ზუბალოვისა, ეთნიკურად სომეხი იყო. როგორც გითხარით, გრიგორ არწრუნმა მხარი არ დაუჭირა მამისს და დიმიტრი ყიფიანს მისცა ხმა, მაგრამ შემდეგ მას მხარი აღარ დაუჭირეს გამგეობის პირველი კლასის ხმოსნებმა, ამიტომ ჩავარდა მისი ყოველდღიური სომხური გაზეთის გამოცემის საკითხი. მეტიც, გრიგორი არწრუნმა სესხი აიღო სათავადაზნაურო ბანკისგან, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, იმ იმედით, რომ ბანკი გაკოტრდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა: გრიგორი გაღატაკდა და მისი ქარვასლა, ქონება და სასაფლაოები გაიყიდა საჯარო აუქციონზე. გრიგორი არწრუნის კუთვნილი სასაფლაო მოიცავდა ყოფილ უნივერმაღ „თბილისისა“ და კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიას.

რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანს: ის 1876-1879 წლებში იყო ქალაქის თავი და ბევრი ქართული საქმეც გააკეთა. კერძოდ, მან ჩამოაყალიბა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. დიმიტრი ყიფიანმა გამგეობაში სამუშაოდ მიიყვანა ორი ძალიან საინტერესო ადამიანი: მატინოვი და იზმაილოვი, რომლებმაც იმდენად კარგად იმუშავეს, რომ დიმიტრი ყიფიანის შემდეგ ისინი აირჩიეს ქალაქის თავებად.

**– რით დაამჩნიეს კვალი თბილისის თავებმა დედაქალაქს?**

– მაგალითად, მატინოვის დროს დაიწყო მერიის იმ შენობის მშენებლობა, რომელიც დღეს დგას თავისუფლების მოედანზე. ვერის ბაზრის მშენებლობა, მის დროს დაიწყო და ერთ წელიწადში დასრულდა ქალაქის წყლით მომარაგების პროექტი. მან გააორმაგა ქალაქში ფანრების რაოდენობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მატინოვმა 18 000-დან 65 000 მანეთამდე გაზარდა განათლების სფეროს დაფინანსება. მან გვერდით დაიყენა ბიზნესმენი პიტოევი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ ქალაქისთვის, მაგრამ მის შესახებ დღეს არავინ არაფერი იცის. სწორედ პიტოევის სახლი იყო ის შენობა, რომელშიც დღეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრია. ჩვენ გვყავდა ზუბალაშვილი, რომელმაც ააშენა მარჯანიშვილის თეატრი, მისი სახელობის ქუჩაც გვაქვს. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა გაკეთდეს პიტოევის სახელობის დაფა რუსთაველის თეატრზე და მასაც უნდა მივაგოთ პატივი.

თბილისის თავმა მატინოვმა თეატრებიც ააშენა, ოღონდ სომხურ სპექტაკლებს კი არ დგამდა, არამედ, ევროპიდან ჩამოჰყავდა თეატრალური დასები. ასევე, მატინოვის დროს აშენდა ოპერის თეატრის შენობაც. მართალია, მატინოვი ეროვნებით სომეხი იყო, მაგრამ მხარს უჭერდა თბილისის ევროპულ ქალაქად ქცევას. არ გამოვრიცხავ, რომ მალულად სომხურ საქმესაც აკეთებდა, მაგრამ ამის აფიშირება არ იყო კარგი გზავნილი ქალაქის თავისთვის.

**– გარდა დიმიტრი ყიფიანისა, გვყავდა ეროვნებით ქართველი ქალაქის თავები?**

– ვასილ ჩერქეზოვი, ანუ ჩერქეზიშვილი, რომელიც 1905-1910-წლებში იყო თბილისის თავი. ძალიან კარგი ქალაქის თავი იყო და მისი სახელი ისტორიაშიც დარჩა, მისი სახელობის ქუჩაც კი იყო თბილისში. გვარების დაბოლოებამ არ უნდა შეგვაცდინოს, რადგან იმ დროს, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ყველას გვარი „ოვით“ მთავრდებოდა. თბილისის თავი არგუტინსკი-დოლგორუკოვი საქართველოს თავადიც იყო, ქართველების შთამომავალი, მაგრამ მასზეც ამბობენ, ქართველი არ იყოო. მათ, ვინც ფიქრობს, რომ „ოვით“ დამთავრებული გვარები მხოლოდ არაქართველს ეკუთვნის, ისინი ისტორიასთან მწყრალად არიან.

ასევე, ქალაქის თავების სომხური წარმოშობა არ ნიშნავდა, რომ ისინი, მაინცდამაინც, სომხური ორიენტაციის იყვნენ. თუმცა ისტორიამ შემოგვინახა რამდენიმე ქალაქის თავი, რომლებიც ქართველებს ყოველნაირად ამცირებდნენ. ისინი არჩეულნი იყვნენ მეორე და მესამე კლასის ხმოსნების მიერ. სხვათა შორის, ქალაქის გამგეობაში ქართველები და რუსები ერთმანეთთან იყვნენ შეკრულები სომხების წინააღმდეგ, რადგან ქართველებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით სომხებს ვერ გაუმკლავდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველები ერთიანდებოდნენ მეორე და მესამე კლასის ხმოსნების წინააღმდეგ, რადგან პირველი კლასის ხმოსნებს ნაციონალური საკითხი არ აინტერესებდათ: ისინი არც სომხების ინტერესებს ითვალისწინებდნენ და არც ქართველების.

ოღონდ ისეც არ გაიგოთ, რომ ქართველებს მხოლოდ მეორე და მესამე კლასის ხმოსნები ებრძოდნენ. პირველი კლასის ხმოსნებსაც ეშლებოდათ ბევრი რამ. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე ერთი გვირგვინიც კი არ გაუგზავნიათ ქალაქის გამგეობიდან და არც ერთი ხმოსანი არ მისულა მის გასვენებაში. თბილისი

# აზა დავითაშვილი – ნათელმხილველი, ვის შესახებაც თბილისში ლეგენდები წლების წინ შეიქმნა

*აზა დავითაშვილი თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმიც კი გადაიღო. წლების განმავლობაში ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელი აზა" შეარქვეს. მოგვიანებით მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა, თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად" დარჩა. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი იყო. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს; მის მიერ ჩატარებული სეანსები შველის ჩაკეტილი ბედის გახსნას, უბარაქობის დაძლევას, კარიერაში წარმატებას. ვინ მოთვლის, ამ წლების განმავლობაში რამდენი გაქცეული ქმარი დაუბრუნა ცოლს, რამდენ იმედგადაწურულ ახალგაზრდას დაეხმარა ოჯახის შექმნაში, ბედის გახსნასა და ფინანსური კრიზისების მოგვარებაში. მას ბევრი ემადლიერება, რადგან, მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში ბადალი მართლაც რომ არ ჰყავს.*

**აზა დავითაშვილი**: 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. ზოგი უმიზეზოდ გარბის ოჯახიდან და ანგრევს ყველაფერს; ძალიან ბევრს კი გაუსაძლისი ფინანსური პრობლემები აწუხებს. შესაბამისად ყველაზე ხშირად მოდიან ოჯახის აღდგენისა და დაკარგული პიროვნების დაბრუნების სურვილით, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ფინანსურ პრობლემებზე და ასე შემდეგ.

**– ქალბატონო აზა, როგორც ვიცი, თქვენ „ხატავთ" არა მხოლოდ ადამიანის მომავალს, არამედ, მის სახეს, ვინც ჯადოს უკეთებს ადამიანს.**

– ეს პროცესი ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. ჯადოს სასწაული ენერგეტიკა აქვს, ბევრს არ სჯერა ჯადოს ზემოქმედების. ზუსტად ასეთ ადამიანებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება. ზოგიერთი ძალიან იოლად იღებს თვალს. დღეს ესეც დიდი პრობლემაა, თუმცა, მისი მოგვარება სხვადასხვა პროცედურით იოლად შესაძლებელია.



**იზა კ-ძე** *(62 წლის, გორი):* ჩვენი გაცნობა საოცარი იყო. ჩემი შვილიშვილი ექსკურსიაზე მიდიოდა და ბაზრობაზე წავედი მისთვის სპორტული ტანსაცმლის საყიდლად. უცებ გვერდით ქალბატონი ამომიდგა. არ გაუშვა, არ გაუშვა, მითხრა უცნაური ხმით. მე მეუბნებით-მეთქი, ქალბატონო? – ვკითხე. კიო, – დამეთანხმა, – არ იყიდო, რასაც ყიდულობ და არ გაუშვა, – ეს მითხრა და გამერიდა. გაოცებული დავრჩი, ვერც კი გავიაზრე, რა მითხრა, მაგრამ, მერე მოვლენები ისე განვითარდა, ყველაფერს ცხადად მივხვდი: ავტობუსი, რომლითაც ჩემი შვილიშვილის მეგობრები მთაში წავიდნენ ექსკურსიაზე, ხრამში გადავარდა. ჩემი ბიჭი გადარჩა, რადგან, წინა დღეს მაღალი სიცხე ჰქონდა და არ გავუშვით. სწორედ მაშინ გამახსენდა იმ უცნობი ქალბატონის სახე და სიტყვები. ამ ამბიდან რამდენიმე თვე იყო გასული, ერთ-ერთ გადაცემაში ვნახე და მაშინვე ვიცანი. ტელევიზიიდან გავიგე მისი ვინაობა, მივედი და მადლობა გადავუხადე გაფრთხილებისთვის. მაშინ ჩემი მეორე ქალიშვილი გასათხოვარი იყო. 40 წელს მიტანებული ქალის გათხოვება ძნელია. ბედი ჰქონდა ჩაკეტილი. აზამ მთხოვა, შენი გოგო მოიყვანე ჩემთანო. ასეც მოვიქეცი. ორი თვეც არ იყო გასული, რომ, წვეულებაზე, სადღაც შემთხვევით მოხვდა, ძალიან კარგი მამაკაცი გაიცნო და ერთ თვეში დაოჯახდა კიდეც.

**მარინა** *(40 წლის, ქუთაისი):* ერთ დღეს მოულოდნელად შეიცვალა ჩემი ცხოვრება: ჯერ სამსახური დავკარგე; ამას როგორმე გადავიტანდი, მაგრამ, კიდევ ერთი უბედურება დამატყდა თავს – მეუღლემ მე და ჩვენი ორი შვილი მიგვატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. საშინელი დეპრესია დამეწყო, ფიზიკურადაც ძალიან ცუდად ვიყავი. ქალბატონ აზასათან ახლობელმა მომასწავლა. მათ ოჯახს ფინანსური კრიზისის მოგვარებაში დაეხმარა. ქალბატონმა აზამ მომცა სპეციალური თილისმები, რომლებშიც სხვადასხვა საშუალებები იყო ჩადებული. მალე ყველა პრობლემა მოგვარდა. ჩემი გაქცეული მეუღლეც დაბრუნდა სახლში და ახალი სამსახურიც ვიშოვე. ეს არის ქალბატონი აზას ფენომენალური უნარი, რომელიც სიტყვებით არ გადმოიცემა. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვდება!

გსურთ, მოაგვაროთ თქვენი საქმიანი და პირადი პრობლემები? დათარსული ხართ? გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?

***ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 2 74-63-08; 593 56-10-39. მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი", გუთნის ქუჩა №42.***

**თამარ ჩხენკელი**

---

მათთვის სომხური ქალაქი იყო და ეცინებოდათ, როდესაც ქართველები ქართულ ქალაქს უწოდებდნენ.

**– თბილისში გამდიდრდნენ პირველი კლასის ხმოსნები? აქ იშოვებოდა ამდენი ფული მაშინ?**

– პირველი კლასის ხმოსნებისთვის ფულის შოვნის ძირითადი წყარო იყო ბაქოს ნავთობი. თუმცა, თუ, მაგალითად, მეორე და მესამე კლასის ხმოსნები ცდილობდნენ ქართველებთან დაახლოებას, პირველი კლასის ხმოსნები – ნაკლებად. ისინი ქართველ ქალთან არც გაივლიდნენ, რუსის ქალები ჩამოჰყავდათ.

**– თუმცა ცნობილია, რომ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, არის სახლები, რომლებიც თავის დროზე მდიდარმა სომხებმა თავიანთ ქართველ საყვარელ ქალბატონებს აუშენეს.**

– ასეთი შემთხვევებიც იყო: მაგალითად, თამამშევის, პირველი კლასის ხმოსნის, ქალიშვილს, ეკატერინეს, ქართველი თავადი შეუყვარდა. სომხებს გული გაუსკდათ, რომ თამამშევის ფული ქართველს ჩაუვარდებოდა ხელში. ისინი მაინც შეუღლდნენ და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

**– შემდეგ სად გაქრა ასეთი მდიდარი სომეხი მოსახლეობა თავიანთი ფულიანად?**

– შემდეგ მოხდა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ფულიანი სომხებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ისინი თავიანთ ფულს გაჰყვნენ ევროპაში. თბილისი ისევ ქართული ქალაქი გახდა. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს: იმ დროს ქალაქის თავებზე საუბარი არც ღირს, იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ისინი არანაირი მმართველები არ ყოფილან. მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე. ამდენად, საბჭოთა პერიოდში ქალაქის თავები არც უნდა ჩავთვალოთ განხილვის ღირსად. ამბობენ, საბჭოთა პერიოდში კარგად მუშაობდნენო, მაგრამ ისინი არაფერს წყვეტდნენ, უბრალოდ ბიუჯეტის კონტროლიორები იყვნენ.

**– რაზე მეტყველებს, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან, ძირითადად, არაქართველები იყვნენ ჩვენი დედაქალაქის თავები?**

– ყოველ შემთხვევაში, იმ დასკვნას ვერ გავაკეთებთ, რომ ვინმეზე ნაკლებები იყვნენ ქართველები.

**თბილისის გამგეობაში ქართველები და რუსები ერთმანეთთან იყვნენ შეკრულები სომხების წინააღმდეგ, რადგან ქართველებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით სომხებს ვერ გაუმკლავდებოდნენ**

უბრალოდ, ისინი ემორჩილებოდნენ ქალაქის თავის არჩევის მაშინდელ წესს. ვისაც ჰქონდა ქონება, მას ჰქონდა გავლენაც, რაც იმას ნიშნავს, რომ გამგეობაში ირჩევდნენ მას, ვისაც ქონება ჰქონდა. რაც მთავარია, ჩვენ არ გაგვიყრია სომხები თბილისიდან. ისინი, როგორც გითხარით, გაყვნენ თავიანთ ფულს. თავიანთი აქციები უცხოეთში ჰქონდათ. თუმცა იმავე პერიოდში ძალიან ბევრი შერეული ოჯახი შეიქმნა, ბევრმა გვარიც გადაიკეთა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართველებმა გავყარეთ ან ვაიძულეთ. მათ თავად გააკეთეს არჩევანი. თან, მოგეხსენებათ, პირველი რესპუბლიკის დროს სომხეთმა ომი გამოგვიცხადა და ბევრი სომეხი ამ მიზეზითაც წავიდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა. ომები და სახელმწიფო პოლიტიკური გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ხოლმე ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიულ შემადგენლობაზეც. ერთ დროს, როდესაც არაბები შემოვიდნენ, ქართველებმა ტაო-კლარჯეთს მიაშურეს. გავიხსენოთ გრიგოლ ხანძთელის ისტორია: ის ქართლიდან წავიდა ტაო-კლარჯეთში. შესაძლებელია, თბილისიდან აყრილი მოსახლეობა გამესხდა იქ სწორედ, თუმცა შემდგომ მათი ნაწილი, როდესაც თბილისი გათავისუფლდა, ისევ უკან დაბრუნდა. იცით, რომ დავით აღმაშენებელმა გადაწვა თბილისი, იმიტომ კი არა, რომ თბილისი სძულდა, არამედ იმის გამო, რომ არაბებისთვის უკან დასაბრუნებელი გზა მოესპო და ქართველებმა თავიდან ააშენეს ეს ქალაქი. დღეს ბევრი დავაა, ესა თუ ის შენობა თბილისში ქართულია თუ სომხური. მაგრამ ეს ძალიან რთული სათქმელია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პატივი არ მივაგოთ იმ სომხებს, რომლებმაც გაალამაზეს ეს ქალაქი, მაგალითად, პიტოევი ამ ქალაქის ისეთივე ნაწილია, როგორც ზუბალაშვილი. ისევე, როგორც სომხეთში დაცული უნდა იყოს ქართული ეკლესიები, თუმცა ბევრი წიგნი მინახავს, რომლებშიც იმ ქართული ეკლესიების სომხურობაზე წერენ.

**– ჯემალ ქარჩხაძეს აქვს ასეთი პასაჟი „სოლომონიანაში": რევოლუციამდე ქართველი თავადები ქეიფსა და დროსტარებაში ატარებდნენ დროს, რის გამოც მამულებს აგირავებდნენ და შემდეგ ჰკარგავდნენ. მათ მამულებს სომეხი ვაჭრები ყიდულობდნენ და ქონებას აგროვებდნენ, მაგარმ დამყარდა საბჭოთა წყობა, ყველამ დაჰკარგა კერძო საკუთრება და ქართველ თავადებს ქეიფი მაინც შერჩათო.**

**ნინო ხაჩიძე**

# რა წესებს არღვევს ბუბა კიკაბიძე ჰაერში და რა ქალაქი ამოშალა მან რუკიდან

***ეს წელი ბუბა კიკაბიძისთვის საიუბილეოა – 75 წლისთავი ახლო მეგობრულ წრეში უკვე აღნიშნა. ახლა საიუბილეო საღამოს სამზადისშია, რომელსაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შესთავაზებს ერთგულ მსმენელს. ამბობს, რომ დაბადების დღეები აღარ უყვარს. ეგ 30 წლის ასაკშია, კარგიო. ასეთი დაბადების დღე ბევრი ახსოვს, მათ შორის ისიც, როგორ უმასპინძლეს იუბილარს აფრიკაში ეგზოტიკური კალიებით.***

**ბუბა კიკაბიძე:** ჩემი საიუბილეო საღამო დეკემბერში იყო დაგეგმილი, მაგრამ, მგონი ცოტა კიდევ გადაიწევა. ბევრი სტუმარი აპირებს ჩამოსვლას და ამ ყველაფერს ორგანიზება სჭირდება. დაბადების დღე რესტორან „ოდაში" აღვნიშნეთ. ას კაცამდე ვიყავით შეკრებილი. საელჩოების წარმომადგენლებიც იყვნენ. ჩვენები ხომ იყვნენ და იყვნენ. მეც მამღერეს და თვითონაც ბევრი იმღერეს. ამ ბოლო დროს აღარ მიყვარს დაბადების დღე. ეს კარგია, როცა 30 წლის ხდები, მერე რაღაცეები ისე აღარ გინდა, როგორც ადრე იყო. მე თვითონ მხიარული კაცი ვარ და ყოველთვის ვცდილობ, კარგი დაბადების დღე გამოვიდეს. მეგობრებიც „ზრუნავდნენ" ამაზე და ხშირად მიწყობდნენ სიურპრიზებს. ერთხელ კენიაში აღვნიშნეთ ჩემი დაბადების დღე. არ ვიცოდი, მერე გავიგე, რომ თურმე სულ კალიებით ვიქეიფეთ. მასპინძლები სიამოვნებით ჭამდნენ, მე ლამის ცუდად გავხდი. მოცეკვავეები მოიყვანეს, აფრიკელები. კარგი დრო გავატარეთ. კენია ზღაპრული ქვეყანაა, აფრიკულ პარიზს ეძახიან, ისეთი სასტუმროებია, უკეთესს რას ინატრებ. კარგი, ეგზოტიკური დაბადების დღე გამოვიდა, თან ახალგაზრდა ვიყავი. ახლა საიუბილეო საღამომდე დიდი ტურნე გვაქვს დაგეგმილი – 28 ნოემბერს კიევში მივდივარ ***(ინტერვიუ ჩაწერილია 22 ნოემბერს – ავტორი),*** სადაც უკრაინის სახალხო არტისტის წოდება უნდა მომანიჭონ. ასეთი წოდება ბევრი მაქვს. რამდენჯერმე ვიყავი წარდგენილი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებაზე, მაგრამ ყოველთვის ამომშალეს, თან ეს ხდებოდა აქ, თბილისში. რუსები მაინც ასე მაცხადებდნენ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტიო. არ ვარ მე ეგ კაცი-მეთქი, – ვამბობდი. ყველაზე მაგარი ჯილდო, რაც კი მიმილია, ამდენ ჯილდოებს შორის, არის შოთა რუსთაველის პრემია. ეს ქართველისთვის მაინც სხვა ჯილდოა, შოთა რუსთაველია, ჩოყლოყაშვილის პრემია ხომ არ არის. კიდევ მაქვს ერთი უნიკალური მედალი – შამილის ოქროს მედალი. ძალიან იშვიათად რომ, ჩეჩნებმა ის ვინმეს მისცენ. შუა კონცერტზე დარბაზში შემოვიდა ვიღაც, ფაფახიანი, მწვანე ლენტებით. ყველა იქით იყურებოდა. მაშინ ომი იყო და ვიფიქრე, „ზახვატი" იწყება-მეთქი. იმ კაცმა გადმომცა მედალი, რომელსაც აწერია: კავკასიის კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვისო. როცა ეს მედალი გადმომცეს, იმდენად უხერხულად ვიგრძენი თავი, რომ სიტუაციის განსამუხტად, მედალი კბილით გავსინჯე. „ზოლოტო, ზოლოტო," – მომაძახა იმ ფაფახიანმა ***(იცინის).*** უკრაინაში მე და დედა ტერეზა დაგვაჯილდოეს წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ორდენით. დედამიწაზე სიკეთის დამკვიდრებისთვისო, – აწერია ამ ორდენს. მაქვს კიდევ ერთი მაგარი ორდენი, ავსტრიაშია დაფუძნებული 322 წელს. წმიდა კონსტანტინე დიდის რაინდის ჯვარია. პირველად ეს ჯილდო პეტრე პირველს მისცეს. მე ეს ჯილდო მოსკოვში მომცეს. ვინახავ ამ ორდენებს. ოქროს დიდი მოყვარული კაცი არ ვყოფილვარ. ხანდახან კონცერტებზე მომვარდებოდნენ ხოლმე, წაიძრობდნენ ბეჭდებს, რომ ეჩუქებინათ. მე არ მიყვარდა სამკაულები, რა კაცის საქმეა ზიზილ-პიპილოები ***(იცინის).***



**არ იყო საჭე და მანქანა ჩემი საქმე**

ამ ტურნეს ფარგლებში ბევრი კონცერტი გვაქვს დაგეგმილი. კიევიდან მივდივარ მინსკში, იქიდან გერმანისა და ისრაელში. ამერიკაშიც უნდა წავსულიყავი, მაგრამ უარი ვთქვი. ჩემი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, დიალიზზე ვარ დამოკიდებული და ასე შორს წასვლა შეიძლება, გამიჭირდეს. ალბათ, ყაზახეთი და ყირგიზეთიც დაემატება ტურნეს. საიუბილეო საღამოზე ბევრი სტუმარი ჩამოვა. მსურველები არიან და უარს ხომ ვერ ვიტყვით. ორგანყოფილებიანი კონცერტი გამოვა. ქართული და რუსული საუკეთესო სიმღერები შევა ორივე განყოფილებაში. მე მომივიდა აზრად, რომ კონცერტი ნანუკა ჟორჟოლიანმა წაიყვანოს და ისეთი სცენა გააკეთდეს, თითქოს გადაღება მიდის. ერთი მუსიკათმცოდნე გვეყოლება და ერთი კინომცოდნეც, აქეთ პატარა სცენა გაკეთდება ჩვენთვის. რაღაც-რაღაცეების მოფიქრება კიდევ შეიძლება.

**– 75 წლის ასაკში გასტროლებზე აქტიურად სიარული არ გიჭირთ?**

– ძნელია, აბა რა, მაგრამ, რომ გაჩერდე, ავად გახდები. გაჩერება არ შეიძლება. კონცერტებს კი არ გადავაბამთ, „პერერივებით" მივდივართ. რაც მე გასტროლებზე მივლია, ალბათ, ამ მხრივ რეკორდი მაქვს დამყარებული. ანსამბლთან ერთად ხომ ვიარე და მერე მარტოც ბევრი გასტროლი მქონდა, ახლაც სულ მაქვს დაგეგმილი კონცერტები სხვადასხვა ქვეყანაში. ადრე კარგი იყო გასტროლები, მით უფრო იმ ქალაქებში, სადაც მეგობრები მყავდა. კონცერტებს მოჰყვებოდა ხოლმე კიდევ ერთი, მეგობრული სერია. ჯიბის ატლასები გამოდიოდა, ცოტა ხნის წინ ერთი ასეთი ატლასი ვიპოვე სახლში. შუა აზიაში არის ქალაქი იოშკაროლა. ეს ქალაქი წაშლილი მქონდა იმ ატლასიდან. მერე გამახსენდა, რომ იმ ქალაქში უცნაური მაყურებელი იყო – კონცერტები მოსწონდათ, მაგრამ ტაშს არ უკრავდნენ. თავიდან ვერ მივხვდით, რა ხდებოდა, მერე აგვიხსნეს. მას მერე იმ ქალაქისკენ არ გამიხედავს. კონცერტზე რომ ტაშს არ დაგიკრავენ, იქ რა მინდა. იაპონიას აქვს ასეთი თავისებურება – მაყურებელი სიმღერას უსმენს, მაგრამ ცეკვაზე რეაქცია არ აქვს. შეიძლება, თვითონ რომ არ არიან მოცეკვავე ხალხი, ერთი-ორი ხელის გათამაშება იციან მარტო, სხვის ცეკვასაც ვერ აფასებენ. ძალიან კარგი მსმენელი იყო რუსეთში. იქ იცოდნენ კარგად მოსმენა.

**– წლებია, უკვე იქით აღარ მიდიხართ.**

– ექვსი წელია, იქით არ ვყოფილვარ. სულ არის შემოთავაზებები, ყოველდღე რეკავენ. მაინც არ მინდა წასვლა, იმ წუთში რაღაცეებზე ფიქრი მეწყება, თავისით. როცა რუსულად სიმღერა მომინდება ხოლმე, მივდივარ უკრაინაში, პრიბალტიკაში. მიყვარს რუსეთი, ამ ქვეყანასთან ბევრი რამ მაკავშირებს, მაგრამ მე რა შუაში ვარ, მაგათი ბრალია, რაც მოხდა. ახლახანს ჟურნალისტების ორი ჯგუფი იყო ჩამოსული, ჩემზე რეპორტაჟი გააკეთეს. სასიხარულოა, როცა ახსოვხარ, უყვარხარ. ცუდია, რომ პოლიტიკამ ეს ურთიერთობები გააფუჭა. მე ისე დავიღალე ამ პოლიტიკით, ტელევიზორსაც აღარ ვუყურებ. ამოვიდა ყელში ყველაფერი, სადაც კი გადართავ, ყველგან ბლავიან და ჩხავიან. ერთმანეთს აგინებენ, ამიტომაც სულ ეს არხი მაქვს ჩართული – ცხოველები და „ნა რიბალკე", ერთიც მიყვარს და მეორეც. ჩემთვის მშვიდად ვცხოვრობ, სახლში პატარა გოგო გვყავს, შვილიშვილის შვილი, ალექსანდრა ჰქვია. ის გვახარებს და გვახალისებს. ახლა დეკემბერში ჩემი შვილიც ჩამოვა კანადიდან. როცა ახერხებს, ჩამოდის ხოლმე საახალწლოდ. ახლა რამდენიმე თვე დარჩება აქეთ. კარგი ბიჭია, 15 წელია, კანადაში ცხოვრობს, 46 წლისაა უკვე, კარგიც ქნა რომ წავიდა. თავის საქმეს აკეთებს.

**– თქვენ არ დადიხართ მასთან?**

– ერთხელ წავედი, კანადა ძალიან შორ-

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# „ნატახტარმა" მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის თანხის შეგროვების მესამე ტალღა დაიწყო

*„ფონდი ნატახტარის" პროექტი – „იზრუნე მომავალზე" გრძელდება და მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის თანხის შეგროვების მომდევნო ეტაპი დაიწყო. კომპანია „ნატახტარმა" 2011 წლის ნოემბერში, დააფუძნა, „ფონდი ნატახტარი" და საქველმოქმედო პროექტის – „იზრუნე*

**მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე მიმართული პროექტი – „იზრუნე მომავალზე" გრძელდება**

*მომავალზე" განხორციელება დაიწყო. ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 თებერვლამდე, „ნატახტარის" ლიმონათის გაყიდული თითოეული ბოთლიდან საქველმოქმედო ფონდში 1-3 და 5 თეთრი გადაირიცხება. უკვე ორი პროექტის ფარგლებში 216-მა მზრუნველობამოკლებულმა მოზარდმა სხვადასხვა სახის დახმარება მიიღო. პროექტი ხორციელდება ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს" მხარდაჭერით და საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით.*

*წინა წლისგან განსხვავებით, 2013 წლის აპრილიდან პროექტში ჩაერთვნენ 15 წლის მოზარდებიც. მანამდე პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი 16-18 წლის და ზევით მოზარდები. ბავშვების რაოდენობასთან ერთად, წელს ასევე, გაფართოვდა ფსიქოლოგების გუნდის შემადგენლობაც, რათა ბენეფიციარებს ხარისხიანი მომსახურება მიეღოთ. ამჟამად 150 მოზარდს საქართველოს მასშტაბით ემსახურება 10 ფსიქოლოგი.*

**ლელა მერაბიშვილი** *(ასოციაცია „ჩვენი სახლი-საქართველოს" დირექტორი):* 152 მოზარდს ვთავაზობთ სხვადასხვა მომსახურებას. მომსახურებაში შედის, როგორც დასაქმება, ასევე კოლეჯში სწავლაში ხელშეწყობა, სხვადასხვა საგანში მომზადება და ასე შემდეგ, გააჩნია მოზარდს რა ესაჭიროებოდა.



**თორნიკე ნიკოლაიშვილი**
კომპანია „ნატახტარის"
მარკეტინგის დირექტორი

**თორნიკე ნიკოლაიშვილი** *(კომპანია „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი):* დაიწყო თანხის შეგროვების მესამე ტალღა. „ნატახტარის" თითოეული გაყიდული ლიმონათიდან, შეფუთვის შესაბამისად, ფონდში გადაირიცხება 1-3 და 5 თეთრი. ფონდის მთავარი პრინციპია გამჭვირვალობა. ამიტომ, საზოგადოებას წარვუდგინეთ ანგარიში იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ბენეფიციალი ჰყავდა ფონდს და ასე შემდეგ. ერთი რაც წინასწარ შემიძლია გითხრათ, ჩვენ ველოდებით უპრეცედენტოდ დიდი თანხის შეგროვებას, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, უფრო გავაფართოოთ ჩვენი მომსახურების სპექტრი.

**მარიკა ხიდურელი**




საა და მიჭირს წასვლა. თვითმფრინავში სიგარეტს ვერ მოწევ, თუ რუსული ავიაკომპანიით მივდივარ სადმე, „ლიოჩიკები" მეძახიან და იმათთან ვეწევი. თვითონ მარღვევინებენ წესებს **(იცინის)** როცა კანადაში ვიყავი, მაშინაც ერთი სული მქონდა, მალე ჩამოვსულიყავი. სად არ ვყოფილვარ, ყველა კონტინენტზე ვარ ნამყოფი, მგონი, ყველა დიდ ქვეყანაში, ბრაზილიის გარდა, მაგრამ, სადაც არ უნდა ვიყო, თბილისს არაფერი მირჩევნია. ძნელია, სამშობლოდან შორს ყოფნა. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი – ათ დღეზე მეტხანს თუ მომიწია სადმე ყოფნა, ველარ ვძლებ, ლამის გადავირიო. მე ჩემი ქალაქი მიყვარს, ჩემი საქმე. ამ საქმეს ხალხის დიდი სიყვარული ახლავს. არ დაიჯეროთ, ახალგაზრდები რომ გამოდიან და პოზიორობას იწყებენ: აღარ შემიძლია, დამღალა ამ სიყვარულმა და ყურადღებამო, ამაზე მაგარი არაფერია.

**– იმ ნაძვის ხის ამბავი მოგვიყევით, უცნობი ადამიანი რომ გიგზავნიდათ ყოველ ახალ წელს.**

– ეს ძველი ამბავია. ერთ წელიწადს, 30 დეკემბერი იყო, სახლში ხელოვნურ ნაძვის ხეს დგამდნენ ჩვენები და უცებ ვიღაცამ ზარი დარეკა კარზე. ხილიანზე ვცხოვრობდი მაშინ. კარი გავაღე და ვიღაც ბიჭი დგას, ხელში დიდი ნაძვის ხე უჭირავს. პატარა ბიჭი იყო, ვერც კი მიცნო. ეს ნაძვის ხე გამომატანეს თქვენთანო, – მითხრა. ვინ გამოგატანა-მეთქი ვკითხე და არ ვიციო. გამიხარდა ძალიან, ყველას მოვუყევი. ვფიქრობ, დარეკავს ვიღაცა და მეტყვის, მე გამოგიგზავნეო, კაციშვილი არ რეკავს. მეორე ახალ წელს, ისევ მოიტანეს. ხუთი წელი მოჰქონდათ. შევეჩვიე, თითქოს ველოდი ხოლმე უცნობს ნაძვის ხით. ერთხელაც მოვიდა ახალი წელი და ნაძვის ხე არ მოიტანეს, მერე შემთხვევით საავადმყოფოში ვნახე ის კაცი... ველარ გიგზავნი ნაძვის ხეებსო, დაიჩივლა... აი, ეს არის ყველაზე მთავარი ცხოვრებაში, ეს არის ბედნიერება. კაცს უნდა უხაროდეს სიყვარული. ახლა მეზარება, თორემ ადრე სულ დავდიოდი ბაზარში. ცოტა მეტს კი ვიხდიდი ხოლმე, ვიდრე ღირდა, რადგან ვაჭრობა არ ვიცოდი. როცა ვინმე ცდილობდა, ისე გამოეტანებინა რამე,ოო, არ ვილებდი. არ მიყვარს ეგეთი რაღაცეები. ტაქსის მძღოლები რომ მომიყვანენ სახლთან და ფულს არ მართმევენ, ძალით ვუდებ. მუშაობს კაცი, როგორ შეიძლება.

**– ტაქსით დადიხართ?**

– ხანდახან. მე არასდროს ვყოფილვარ კარგი მძღოლი. ერთხელ ამოვყირავდი „პრიბალტიკაში" და იმის მერე მანქანის საჭეს აღარ გავკარებივარ. მაგარი ავარია მომივიდა, თან ზუსტად იმ ჯიხურთან, სადაც „გაის" კაპიტანი იჯდა. გადაირია ის კაცი, ეგონა, ვუმიზნებდი. გაჩერებული იყო მანქანები და ბოლოს ვგლიჯე პირდაპირ კუდში. იოლად გადავრჩი. „მვდ-ს" დაკვეთით ვიღებდით ფილმს რიგაში, პირდაპირ ნომერი მივეცი იმ კაპიტანს, აქ დარეკეთ-მეთქი. მანქანა არ იყო საჩემო საქმე, ჩქარი კაცი ვარ, ფიცხი, საჭესთან სიჩქარე არ ვარგა. ამიტომაც დავყავვარ მძღოლს. მანქანა ძალიან დიდხანს არ მყავდა. მერე ვიყიდე „ვოლგა", მერე კარგი მანქანებიც გამოჩნდა. მანქანა კი არა, 32 წლის ვიყავი, როცა პირველი მაგნიტოფონი ვიყიდე, რომ მუსიკა მომესმინა. უკვე მომღერალი ვიყავი, კაცო და გასტროლებზე თან დავათრევდი იმ მაგნიტოფონს. ეგრე იყო ეს ცხოვრება. ტექნიკაში ისეთი უნიჭო ვარ, უთოს ჩართვაც კი არ მეხერხება – ახლა დაბადების დღეზე ნინო ჩხეიძემ კომპიუტერი მაჩუქა, მაგრამ დამხმარე მჭირდება, რომ გამოვიყენო.

**თამუნა ნიჟარაძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ერთი წლის წინ, როდესაც **დავით ნარმანია** ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრად დაინიშნა, ის დროებითი სამინისტროს დროებითი მინისტრი იყო. მაშინ, ალბათ, თავადაც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ, არათუ მინისტრის პორტფელს დაუტოვებდნენ დაგეგმილზე მეტხანს, თბილისის მერობის კანდიდატიც გახდებოდა. ასეა თუ ისე, ბოლო ორი კვირაა, დავით ნარმანია ძალიან აქტუალური გახდა: ჯერ იყო და, სრულიად საქართველო რეგიონული თვითმმართველობის კანონით „აალელვა," ამას მისი მომავალი მერობის ამბავიც მოჰყვა. ოპონენტებმა რბილ ლ-ს და იმას გადააყოლეს, რომ ხოხბის შთამომავალი არ არის, თუმცა, თავად ამ ხმებზე არ ჯავრობს; უფრო მეტიც, არც მეტყველების პედაგოგის აყვანას გეგმავს ლ-ს გასამაგრებლად და არც ვინმეზე თავდასხმას. ქართულ პოლიტიკაში არასამთავრობო სექტორიდან მოსულ დავით ნარმანიას, რომელიც ძალიან კომუნიკაბელური და გახსნილი ადამიანია, სჯერა, რომ, იმ საქმეებით, რის გაკეთებასაც აპირებს, ბევრ ოპონენტს გადაიბირებს თავის ბანაკში. მეურნის იმიჯი წელს კარგად მოირგო, როცა საკუთარი რეკორდიც კი მოხსნა, თუმცა, იმას, თუ სად გაიარა 60 ათასი კილომეტრი და როგორ მიიღო თბილისმა 17 წლის წინ სამეგრელოდან ჩამოსული აბიტურიენტი, ის თავად გიამბობთ.

# რა რეკორდი დაამყარა დავით ნარმანიამ და რატომ მუშაობს მისი გული სხვა რიტმში



შემეძლო, დავმდგარიყავი სარკის წინ და ლ-ს გამოთქმაში მევარჯიშა

**– ბატონო დავით, სრულიად საქართველო ვილნიუსის სამიტსა და თქვენი „მერობის" ამბავზე საუბრობს. ამ ბოლო დროს პოლიტიკურად განსაკუთრებით აქტუალური გახდით.**

– ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო ან ძალიან განსაკუთრებული ემოცია მაქვს, ან ძალიან დავიბოლმე – ეს ნამდვილად არაა ასეა. ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება და, არ ვაპირებ, თავს დავესხა იმ ადამიანებს, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მე ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ასეც ვიცოდი, რომ გარკვეული კატეგორიის ადამიანებს ასეთი რეაქცია ექნებოდათ და, სიმართლე გითხრათ, ამ ხმაურისთვის მზადაც კი ვიყავი. მე კარგად ვიცნობ თბილისსა და თბილისელებს. არ ვაპირებ, რომ ანტიპატიით გავნეწყო ადამიანთა იმ კატეგორიის მიმართ, რომლებისთვისაც, როგორც ჩანს, თბილისელობა უფრო დიდი ფასეულობაა, ვიდრე დედაქალაქში არსებული უამრავი პრობლემის გამკლავება და მოგვარება. ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში ეს მუხტი ჩაცხრება, მე საქმით დავამტკიცებ იმას, რის გაკეთებასაც მომავალში ვაპირებ და, ეს ადამიანებიც, ვინც დღეს მაკრიტიკებენ, შესაძლოა, იქცნენ არა უბრალოდ ჩემს ამომრჩევლებად, რომლებმაც, შესაძლოა, ხმა მომცენ, არამედ, ადამიანებად, რომლებიც ჩემში დაინახავენ საქმის კეთების რეალურ მსურველს და მიემხრობიან საზოგადოების უმეტესობის მოსაზრებას, რომ თბილისი არის არა მხოლოდ თბილისელების, არამედ, საქართველოს დედაქალაქი. თბილისი არასდროს ყოფილა ის ქალაქი, რომელიც ზურგს აქცევდა საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსულ ადამიანებს.

**– როგორ მიგიღოთ სამეგრელოდან ჩამოსული დავით ნარმანია თბილისმა?**

– მიმიღო ისე, როგორც თბილისს სჩვევია. აქ არავინ იდევნებოდა თავისი მრწამსისა და ტერიტორიული წარმომავლობის გამო, თუმცა, ყოველთვის არსებობდა გამონაკლისები. ჩემი სტუდენტობის დროსაც იყო აქტუალური ცნებები – სოფლელი, „პროვინციალი" და, უფრო ღრმადაც იყო ეს, ვიდრე ახლაა, როცა საზოგადოება უფრო გახსნილი და გაზრდილია ამ მხრივ. როცა პირველად ჩამოვედი თბილისში, სკოლის მოსწავლე ვიყავი. აქ მყავდა ნათესავები, ვისთანაც პერიოდულად ჩამოვდიოდით ხოლმე სტუმრად. ეს ქალაქი ჩემთვის მუდმივი საცხოვრებელი გახდა, როდესაც ვამთავრებდი სკოლას და აბიტურიენტი გავხდი. თუ არ ჩავთვლით სამ-ოთხთვიან პერიოდს, როცა გერმანიაში ვიყავი სტაჟირების პროგრამით, ცხოვრების ნახევარი თბილისში მაქვს გატარებული. აქ მომიწია სტუდენტობამ, მუშაობამ, ჩემი 34-წლიანი ასაკი შუაზე არის გაყოფილი – 17 წელი ვიცხოვრე თბილისში, 17 წელი კი – ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში, რომელიც ძალიან მიყვარს და რომლითაც ძალიან ვამაყობ. ვამაყობ ოჯახით, მშობლებითა და ბებიაბაბუით; ვამაყობ სკოლით, რომელიც დავამთავრე და იმ ადამიანებით, რომელთა შორისაც გავიზარდე და რომელთაგანაც დიდი სითბო მივიღე.

**– როცა აქ დაინიშნეთ, მაშინდელმა პრემიერმა დროებითი სამინისტროს დროებით მინისტრად წარგვიდგნა თქვენი თავი. არც ისე დროებითი აღმოჩნდით. როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა არჩევანი თქვენზე? მან არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე დაგასახელათ მერობის კანდიდატად და მანამდე გაახმაურა თქვენი კანდიდატურა, სანამ ჯერ კიდევ კოალიციის ოფიციალური ლიდერი იყო.**

– ვერ გეტყვით. ეს არის შეკითხვა, რომელიც მე ყველაზე მეტად მეუხერხულა მაშინაც, როცა შემომთავაზა მინისტრის პოსტი და, ახლაც, როცა ბატონმა ბიძინამ გუნდთან ერთად შემომთავაზა, ვყოფილიყავი კოალიციის კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე. ეს არის დიდი პატივი და ნდობა. ვფიქრობ, გადამწყვეტი, ალბათ, ის იყო, რომ, ამ ერთი წლის განმავლობაში არ დამიზოგავს თავი, არ ამიღია შვებულება, შაბათი და კვირაც კი ჩვეულებრივი სამუშაო დღეები იყო ჩემთვის, რათა დაგველაგებინა და მოგვეწესრიგებინა ყველა ის თემა, რაც გასაკეთებელი იყო. როცა ეს სამინისტრო დროებით სამართავად ჩამბარდა, როგორც ჩანს, არ იყო საბოლოო გადაწყვეტილება. როცა ჩავატარეთ ჩვენი სამინისტროს პროექტების ინვენტარიზაცია და დავიწყეთ ეკონომიკის სამინისტროსთან გადაბარების პროცესი, არსებული რეალობის გაანალიზების შემდეგ, დავრწმუნდით, რომ მისი შეერთებით ეკონომიკის სამინისტროსთან, ძალიან დიდ და მონსტრ უწყებას მივიღებდით ეკონომიკის სამინისტროს სახით, რომელიც მაინც უფრო პოლიტიკის გამტარებელი უწყებაა, ჩვენი სამინისტრო კი – აღმასრულებელი. ამ თემაზე რამდენჯერმე გვქონდა დისკუსია ბატონ ბიძინასთან და, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს სამინისტრო დარჩენილიყო დამოუკიდებელ სამინისტროდ, რამაც ძალიან ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელების საშუალება მოგვცა. მე არ მქონია ამბიცია და პრეტენზია, რომ აუცილებლად უნდა დავრჩენილიყავი მინისტრად. გეგმის მიხედვით, მე უნდა გადავსულიყავი ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ. მე მაშინაც ვფიქრობდი, რომ მინისტრის მოადგილის პოსტი ჩემთვის უფრო მიმზიდველი და საინტერესო იქნებოდა, ვიდრე მინისტრობა, რადგან, უწყების პირველი პირობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. რამდენიმე კოლეგას ვუთხარი კიდეც, რომ, მას შემდეგ, რაც მინისტრი გავხდი, ჩემი გული სხვა რიტმით მუშაობს – ძალიან აჩქარდა.

**– ახლა ნახეთ თქვენი გულის აჩქარება, როცა მერობასთან დაკავშირებულ პერიპეტიებში მოყვებით. უკვე დაიწყო საუბრები: თუ მერობა უნდა, მალე გადადგესო; „ლ" გაამაგროსო; თბილისური წესები ისწავლოსო.**

– მას შემდეგ, რაც გიგი უგულავამ ჩემ წინააღმდეგ ტალახის სროლა დაიწყო, ეს „აქტუალური" თემა გახდა. მე არ მჩვევია გადაწყვეტილებების მიღება სწრაფად, დაუყოვნებლივ, დაუფიქრებლად. ადვილად არ გამოვდივარ მდგომარეობიდან – ამაში ცდება გიგი უგულავა, მან ვერ ამოიცნო ჩემი ხასიათი და ჩემი სუსტი წერტილი. თუ ვინმეა გადასადგომი, ეს, პირველ ყოვლისა, არის გიგი უგულავა, რადგან, მას აქვს ყველაზე დიდი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საშუალება წინასაარჩევნოდ, თბილისში. მე არ მჩვევია კანონის გვერდის ავლა და კანონის დარღვევა. როცა გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ვიყავი ჩართული და მას რეგიონებში მივყვებოდი, ვწერდი განცხადებას შვებულებასთან დაკავშირებით, თუნდაც ეს გასვლა ერთდღიანი ყოფილიყო. რაც კი წელს შვებულება ამიღია, ყველა ეს შვებულება გიორგი მარგველაშვილის მხარდასაჭერად გამოვიყენე. თბილისთან დაკავშირებით მე არ მაქვს ინტერესთა კონფლიქტი, ჩემი საქმიანობა არ მოდის წინააღმდეგობაში საარჩევნო კანონმდებლობასთან. როგორც კი გამოცხადდება არჩევნების თარიღი და ოფიციალურად დავრეგისტრირდები, იმ დღესვე გადავდგები – კანონს არც ამ შემთხვევაში დავარღვევ.

არ დაგიმალავთ, რომ საფიქრალი მომემატა მას შემდეგ, რაც ეს შემოთავაზება მივიღე. კრიტიკის არ მეშინია, კრიტიკოსები ყველაზე კარგი გზის გამკვალავები არიან ჩემთვის. რაც შეეხება თბილისურ წესებს, თუ ეს წესები იქნება წესიერი წესები, რატომაც არა. მთავარი წესი ისაა, რომ ყველა ადამიანს ესაუბრო იმ ენაზე, რომელზეც ის საუბრობს. მე არ ვფიქრობ, რომ დედაქალაქის მერი, მაპატიეთ და, „ბირჟავიკულად" უნდა საუბრობდეს. მერი ყველას უნდა ხვდებოდეს: კორკოტასაც, მის მეგობრებსაც, არქიტექტორებსაც, სოციალურად დაუცველებსაც. მე მოვუსმენ ყველას. ჩემი მერობის პერიოდში თბილისის მერია იქნება ყველაზე გამჭვირვალე უწყება, ისე როგორც გახდა გამჭვირვალე ეს „ბნელი" სამინისტრო, სადაც ჟურნალისტებს არც კი უშვებდნენ. რაც შეეხება ჩემს რბილ ლ-ს, რაც არის ეს არის. მე არასდროს მიმუშავია ჩემს ლ-ზე. დღეს ვფიქრობდი, რომ, შემეძლო, დავმდგარიყავი სარკის წინ და ლ-ს გამოთქმაში მევარჯიშა, ან, მევლო შესაბამის სპეციალისტთან, მაგრამ, არასდროს აზრად არ მომსვლია ეს. ადამიანი უნდა იყო ბუნებრივი – ის, რაც ხარ და ეს არაა მინუსი, პირიქით, იმ ადამიანების სირცხვილი მგონია, ვინც ფიქრობს, რომ ჩემი რბილი „ლ" ვერ გამაკეთებინებს საქმეს იმაზე კარგად, ვინც უფრო მაგრად წარმოთქვამს ამ ასოს. რაც შეეხება შეკითხვას, მიმიღებს თუ არა თბილისი მერის როლში, მე ვფიქრობ, რომ მიმიღებს. თითოეული ჩვენი თანამოქალაქე დაინახავს იმ საქმეებს, რითაც მე ვაპირებ მოსვლას დედაქალაქის მერად და არა პოლიტიკური დივიდენდებისთვის. ისიც დაანონსდა, რომ მე ვიქნებოდი მეურნე მერი, რაშიც დიდი გამოცდილება ამ სამინისტრომაც მომცა.

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# როგორ ცხოვრობენ საპატრიარქოს სკოლა-პანსიონში ერთად ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები და როგორ გახდა ფოფოდია 126 ბავშვის დედა

*თბილისის გარეუბანში, ლოტკინის გორაზე, იქ, სადაც ადრე ცნობილი მუსიკალური სასწავლებელი იყო, დღეს საპატრიარქოს სკოლა-პანსიონია, რომლის შესახებ, ალბათ, ბევრმა არაფერი იცის. აქ, ამ კედლებში საქართველოს ღირსეული მომავალი ეზრდება – სკოლა-პანსიონში სწავლისთვის, პროფესიული განათლების, სხვადასხვა ხელობის დასაუფლებლად ყველა პირობაა შექმნილი. თუმცა, ეს სკოლა ყველა სხვა სკოლისგან განსხვავებულია – ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები, ერთად იწყებენ ცხოვრების დიდ გზას.*

*როცა პირველად აქ მოვედი, ისე მენატრებოდა ჩემი სოფელი, ღამეებს ტირილში ვათენებდი, – ასე იწყებს საკუთარ ისტორიას 14 წლის მუსლიმი გოგონა, რომელიც სკოლა-პანსიონში ქრისტიან თანატოლებთან ერთად ცხოვრობს. დღეს ეს სამყარო მისთვის ისე პატარა აღარაა, როგორც ორი წლის წინ იყო, როცა აქ პირველად მოვიდა. ახლა დამოუკიდებლობასაც შეეჩვია და უკვე, ღამით, როცა მისი ქრისტიანი თანატოლი ავადაა, სიცხესაც უზომავს მას, ექიმის ან ფოფოდიას მოსვლამდე და წამალსაც ასმევს... დღეს უკვე იცის, რომ მთავარი ის ღირებულებებია, რასაც ცხოვრება უწესებს და რაც ყველა რელიგიისთვის ერთია. არც უცხო სიტყვათა ლექსიკონი სჭირდება, არც განსაკუთრებული სწავლებები, რომ გაიგოს, რას ნიშნავს იყო ტოლერანტი და პატივი სცე სხვა რელიგიას, რადგან პატარაობიდან ხედავს, როგორ ლოცულობს ღამით მისი თანატოლი...*

**მამა მირიანი** *(წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის ხელმძღვანელი):* ჩვენი სკოლა-პანსიონი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა 2009 წლის ივლისში. ეს არის პირველი სახელობო და სახელოვნებო სასწავლებელი საქართველოში. ამ სკოლას ანალოგი არ აქვს, რამეთუ აქ, ერთი ადმინისტრაციის ქვეშ, გაერთიანებულია ოთხი სეგმენტი: სრული ზოგადსაგანმანათლებლო განათლება, პროფესიული სწავლების ცენტრი (ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე სწავლების დარგში კახაბერ ვარდუკაძე). სკოლაში ფუნქციონირებს სახელოვნებო სწავლების ცენტრი, სადაც გაერთიანებულია, როგორც სახვითი ხელოვნების მიმართულება (ფერწერა, ხატწერა), ასევე მუსიკალური მიმართულება, რომელიც აქცენტირებულია ფოლკლორსა და ხალხურ ინ-



სტრუმენტებზე და ასევე, კლასიკურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. მეოთხე სეგმენტია სადღეღამისო პანსიონი. ჩვენთან სწავლობენ მოსწავლეები საქართველოს სხვადსახვა რეგიონებიდან, შესაბამისად, ისინი აქვე, პანსიონში ცხოვრობენ. სკოლა-პანსიონის დაფუძნება არ იყო იოლი საქმე. ბევრი ბიუროკრატიული ბარიერი გადავლახეთ, ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ. ჩვენ აქ რომ მოვედით, აქაურობა გაპარტახებული და განადგურებული იყო. ჩვენ საკუთარი ხელით დავიწყეთ ყველაფრის გაკეთება, ჩავატარეთ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები.

**– დღეს თქვენს სკოლაში ხუთასზე მეტი მოსწავლე სწავლობს, მათ შორის 126 ბავშვი რეგიონებიდანაა. როგორ ხვდებიან ისინი თქვენს სკოლა-პანსიონში?**

– ბავშვს, რომელიც ჩვენთან მოდის, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელოვნების ნიჭი. ჩვენთან სწავლობენ ბავშვები სხვადასხვა რეგიონიდან – საინგილოდან, მაღალმთიანი აჭარიდან.



სამომავლოდ, გადავწყვიტეთ, მოსწავლეების ჩამოყვანა ფერეიდნიდან, ლაზეთიდან, ტაო-კლარჯეთიდან.

**ფოფოდია ნანა:** ჩვენ წლების განმავლობაში აჭარაში ვცხოვრობდით. მამა მირიანი ხულოს რაიონში მსახურობდა 12 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა ამავე ტიპის სკოლას.

**აქ ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები ერთად ლოცულობენ**

მას ძალიან ბევრი ახლობელი ჰყავს მუსლიმანური სარწმუნოების წარმომადგენლებსა და მოძღვრებს შორის. ამიტომაც აქვს დიდი ნდობა იმ მოსახლეობაში – მას ანდობენ მრავალშვილიანი ოჯახები საკუთარ შვილებს. მე თავადაც ხოჯას შვილი გახლავართ, ყოფილი მუსლიმი.

**– მამა მირიან, აქ სხვადასხვა რელიგიის ბავშვები ცხოვრობენ ერთად. როგორია მათი თანაცხოვრება ერთ ჭერქვეშ?**

**მამა მირიანი** როდესაც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია საპატრიარქოსკენ იშვერს ხელს, რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირების დროს, მობრძანდნენ ჩვენს სკოლაში და დარწმუნდებიან, როგორ ცხოვრობენ ერთად ეს ბავშვები. როგორ პატრონობს მისი უწმიდესობა მუსლიმან ქართველებს. აქ არ ვაკეთებთ აქცენტს რელიგიაზე. ისინი ერთმანეთის რელიგიებს პატივისცემით ეპყრობიან. მათ აერთიანებთ ერთმანეთის და სამშობლოს სიყვარული. რელიგია მათ სიყვარულს ხელს არ უშლის.

**ფოფოდია ნანა**: მამა მირიანს იმდენი საორგანიზაციო საქმე აქვს მოსაგვარებელი, თითოეული ბავშვისთვის დრო აღარ რჩება. ეს მე ჩემს თავზე მაქვს აღებული – ვიცი ყველა ბავშვის ისტორია, მათი ფსიქოლოგია, ჯანმრთელობის მდგომარეობა. ვიცი, რა უხარიათ, რა სტკივათ, რა სწყონთ. როგორც ყველა ბავშვი, ესენიც ცელქობენ – როცა რამეს აშავებენ, ყველაზე დიდი „სასჯელი" ისაა, რომ ეს მამა მირიანმა გაიგოს, რადგან მის მიმართ დიდი რიდი და პატივისცემა აქვთ. ამ ბავშვებს შორის გამორიცხულია, კამათი მოხდეს რელიგიურ ნიადაგზე. აქ შეიძლება, იკამათონ იმის გამო, რომ ერთმანეთის ჩუსტი ჩაიცვეს *(იცინის).* ერთხელ მამაომ მეთორმეტეკლასელები მცხეთაში წაიყვანა წირვაზე. ერთი ბიჭი არ გაჰყვათ მათ, ამაზე ძალიან ვინერვიულე, თვითონ კი არც მითხრა მცხეთაში არწასვლის მიზეზი. მერე გავიგე, რომ მეგობარს მისი ფეხსაცმელი ჩაუცვამს, რადგან თავისი სველი ყოფილა, ამის გამო ვერ წასულა მცხეთაში.

**– აქ მკაცრი წესებიაო, ბავშვებმა გვითხრეს.**

– მოზარდები არიან, წესრიგი ყველგან საჭიროა, მით უფრო ასეთ სკოლა-პანსიონში. ვერ გავუშვებ გარეთ, თუ არ ვიცი, სად მიდიან. კინოშიც დადიან, თეატრშიც, დაბადების დღეებზეც, მაგრამ მე უნდა ვიცოდე, ვისთან ერთად არიან, როდის მოვლენ. ცელქობენ, აბა რას იზამენ, მაგრამ მამაოსთან ამას ვმალავ. მარტო იმას ვამბობ, რომ კომპიუტერი გვინდა, კარგი საჭმელი გვინდა, საწოლები გვაქვს დასამატებელი. სკოლაში მუშაობენ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი პედაგოგები, პანსიონის დირექტორის მოადგილე, კახაბერ ვარდუკაძე, როგორც საკუთარ შვილებზე, ისე ზრუნავს ამ ბავშვებზე. მას ძალიან ბევრი საქმე ევალება და ის ართმევს თავს ყველა იმ ყოფით საკითხს, რაც გვაწუხებს. ახლახან ნისიად წამოიღო საწოლები, გვექნება ფული და გადავიხდით. ამ ბავშვებს ბევრი რამ სჭირდებათ. სასწავლო კორპუსი გაკეთებულია, მაგრამ საცხოვრებელ კორპუსში უკეთესი პირობების შექმნა გვინდა. უფლის და კეთილი ადამიანების იმედი გვაქვს. ურიის ვალს ავიღებთ, რომ ბავშვებს საჭმელი არ მოვაკლოთ. რომ არა უწმიდესის უდიდესი დახმარება, ეს სკოლა არც იარსებებდა. ყველაფერზე მასთან მივდივარ. უწმინდესო, ბავშვებს სუპი აღარ უნდათ, შევჩივლებ ხოლმე. ჰო, კარგად უნდა ვაჭამოთ, მიპასუხებს და პრობლემის მოგვარებაც ხერხდება. ესენი თავის ნებაზე რომ მიუშვა, ისე უყვართ შემწვარი კარტოფილი, ყოველდღე კარტოფილს შეჭამენ. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არ შეიძლება, მათი რაციონი ასაკისთვის საჭირო კალორიებით უნდა იყოს გაჯერებული, მეორეც, ერთ სადილზე ორი ტომარა კარტოფილის დათლა, როგორია? *(იცინის).*

**გიორგი მახარაძე**: მე სოფელ სხალთიდან ვარ. უკვე მესამე წელია, ამ სკოლაში ვსწავლობ, თავიდან ჩემი დეიდაშვილები ჩამოვიდნენ აქ. მერე მითხრეს, კარგი სკოლაა, კარგი სწავლააო და მეც გადმოვედი და ჩემი ძმაც წამოვიყვანე. სხალთაში დიდი ოჯახი გვაქვს, სამი შვილი ვყავართ მშობლებს. სოფელში, მაინც ყველას უჭირს, არაა დალხენილი ცხოვრება. მე მშობლებს სულ ვეხმარებოდი ყანაში. ახლაც, როცა ჩავდივარ, სოფლის საქმეში მაშინვე ჩავებმები ხოლმე. აქაურობა სულ უცხო იყო ჩემთვის, მაგრამ ფოფოდიამ გამიადვილა შეჩვევა. მამაო მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. თუ ცოტა ვიცელქეთ, ვცდილობთ, მამაომ არ გაიგოს, რომ გული არ ვატკინოთ.

**– ვიცი, რომ შენ მეჩეთში დადიხარ სალოცავად.**

– კი, სკოლიდან წაგვიყვანენ ხოლმე. ხანდახან ყურანს აქაც ვკითხულობ. ზოგჯერ ქრისტიანულ ლოცვებსაც ვესწრები. როცა ჩემი მეგობრები ოთახში ლოცვას კითხულობენ, ჩვენ

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს სისხლის სამართლის პროცესზე მხარის განცხადება, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია პირის ბრალეულობა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. სწორედ ამგვარი მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლეს გამოაქვს ბრალდებული პირისათვის გამამატყუნებელი განაჩენი.

**კითხვა: ჩემი ახლო ნათესავის მიმართ გამოტანილ განაჩენს წინა წლებში საფუძვლად დაედო ისეთი მოწმის ჩვენება, რომელიც აშკარად ჭკუასუსტი იყო და პროცესზე ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ რეალობის აღქმის უნარი დაქვეითებული ჰქონდა. შეიძლება თუ არა ამგვარი მოწმის ჩვენების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გაუქმება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, ზოგადად, არ შეიძლება, მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო, არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება. შესაბამისად, აბსოლუტურად შესაძლებელია ასეთი მოწმის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის გაუქმება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის პროცესში რა სახის ხარჯები ითვლება საპროცესო ხარჯად?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო ხარჯებია: ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი; ექსპერტის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; თარჯიმნის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; მოწმის გამოცხადების ხარჯი; ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი; ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი; დაცვის მხარისთვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი; ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი; მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სარჩელის უზრუნველყოფის რა სახის ღონისძიებები არსებობს და, შეუძლია თუ არა სასამართლოს, ერთდროულად გამოიყენოს სარჩელის უზრუნველსაყოფი ღონისძიების რამდენიმე სახე?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს: ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან; მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით; სხვა პირებისთვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება; ყადაღისგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება; სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ან, რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისთვის. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება, დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა, სასამართლომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემდეგ, არ გააუქმოს სარჩელის აღძვრამდე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში, სასამართლო ასევე აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორ უნდა მოიქცეს პირობით მსჯავრდებული პირი, რომელსაც აქვს ვალდებულება პრობაციის ბიუროში დადგენილ დღეს გამოცხადებისა, მაგრამ, ეს დღე დაემთხვა დასვენების დღეს?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, თუ მსჯავრდებულის გამოცხადების დრო ემთხვევა საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეს, ის თავისუფლდება ამ დღეს გამოცხადების ვალდებულებისგან.



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

# რა რეკორდი დაამყარა დავით ნარმანიამ და რატომ მუშაობს მისი გული სხვა რიტმში

(მე-14 გვერდიდან)

**– აქ მეურნე კაცი დადექით?**

– მეურნე ადრეც ვიყავი, მაშინაც, როცა სოფელში ვცხოვრობდი. სასოფლო-სამეურნეო საქმეებით ხშირად ვიყავი დაკავებული, დაწყებული ფიზიკური მუშაობით, თხილის შეგროვებით და სხვა ნებისმიერი სასოფლო საქმით დამთავრებული. სტუდენტობის დროსაც, ექსკურსიისა თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზება ჩემზე გადადიოდა – ვიცოდი, ვისთვის რა უნდა მიმენდო – არ მეშლება ადამიანების გამოცნობა, ვინ რისი გამკეთებელია.

**– ახლა სოფელ კოკში „დიდი კაცი” იქნებით; გზებიც, ალბათ, განსაკუთრებული ასფალტითაა დაგებული.**

– გზები კოკში ჩემამდე იყო გაკეთებული, ჩემმა წინამორბედმა იზრუნა ამაზე და, სხვათა შორის, ძალიან კარგი გზაა. იქ ვიღაცისთვის დიდი კაცი ვარ, ვიღაცისთვის – არა; ვიღაც „მცემს“ პატივს, ვიღაც – არა... განსხვავებული მოსაზრების ხალხი ყველგანაა.

**– როგორი ქონებრივი დეკლარაციით დატოვებთ მინისტრის პოსტს?**

– ჩემი ქონებრივი დეკლარაცია ისევ ისე „გამოიყურება”, როგორც გამოიყურებოდა ერთი წლის წინ. თუ არ ჩავთვლით მცირედ გადაადგილებებს, ჯამური ანაზღაურება არ შეცვლილა. თუ ადრე მეტი წყაროდან შემეძლო შემოსავლის მიღება, ახლა მხოლოდ მინისტრის ხელფასი და უნივერსიტეტის ნახევარი შტატიდან შემოსული თანხა შეადგენს ჩემს შემოსავალს. სოფლის დიდი სახლი და მეურნეობა ჩვენი დიდი ოჯახის საკუთრებაა და არა ჩემი; ჩემს საკუთრებაში არის თხილის პლანტაცია ნახევარ ჰექტარზე. არ მაქვს აგარაკი, ჩემს საკუთრებაშია თბილისში, სპორტის სასახლესთან მდებარე 137 კვადრატული მეტრი ფართის ბინა, რომელიც შევიძინე მაშინ, როცა დაოჯახება გადავწყვიტე. ეს არაა ჩემი პირველი ბინა – როცა სტუდენტი ვიყავი, ძმასთან ერთად ვცხოვრობდი წერეთლის გამზირზე, ერთოთახიან ბინაში, მერე კი დავიწყე კაპიტალის შეგროვება ახალი სახლის საყიდლად, სადაც დღეს ვცხოვრობ მეუღლესთან და შვილებთან ერთად. წელს მატება გვქონდა – მეორე ბიჭი შეგვეძინა.

**– მოახერხეთ, შვილის დაბადებას რომ დასწრებოდით?**

– კი, ვიცოდი, როდის უნდა დაბადებულიყო ბავშვი, ყველა გასვლითი ვიზიტი გადავდე და მეუღლე მე თვითონ წავიყვანე სამშობიაროში *(იცინის).*

**– ახალი სამსახური, ალბათ, არსებითად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.**

– უფრო მეტად გავმაგრდები თბილისში, რაც ძალიან გაუხარდება ოჯახს – მათ სულ ვენატრები. წელს იშვიათად ვიყავი სახლში – 60 ათასი კილომეტრი გავიარე მანქანით. რეგიონებში ადრეც ბევრი მივლია, მაგრამ, საკუთარი რეკორდი მოვხსენი ***(იცინის).*** ვიცი, რომ ძალიან მომენატრება რეგიონები. ძალიან მიყვარს საქართველოს კუთხეები, ბუნება, ხალხი, სტუმართმასპინძლობა, ადგილობრივი ანეკდოტები, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩემს ცხოვრებაში ძალიან უხვად იყო.

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## კაზინოში სიარულმა ზომბად მაქცია და ცხოვრება დამინგრია

ამ წერილს იმიტომ გწერთ, მინდა, ჩემნაირ ადამიანებს ვუთხრა, რომ ოჯახზე უკეთესი არაფერია ამქვეყნად, მაგრამ, ამას ძალიან გვიან მივხვდი. მე ერთი დალუპული ადამიანი ვარ. ღმერთმა სასწაული უნდა მოახდინოს, რომ ჩემი მდგომარეობა გამოსწორდეს, რადგან, აზარტული თამაშების გამო ყველა და ყველაფერი დავკარგე. შევეცდები, მაქსიმალურად მოკლედ მოგიყვეთ ჩემი ამბავი.

18 წლის ვიყავი, პირველად რომ შევედი სლოტკლუბში. არც კი ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა და სხვებს ვუყურებდი. ერთ-ერთ აპარატთან იდგა ოთხი მამაკაცი და დავაკვირდი, რას აკეთებდნენ. ცოტა რაღაცეებში რომ გავერკვიე, მეც ამოვიღე ფული ჯიბიდან და თამაში დავიწყე. პირველ და მეორე ჯერზე მოვიგე, ამან სტიმული მომცა და თამაში განვაგრძე, მაგრამ, მესამე ჯერზე მთელი თანხა წავაგე და ისე გამოვედი იქიდან. თუმცა, მაინც მქონდა მოგების იმედი, ამიტომ, ახლობლისგან საკმაოდ სერიოზული თანხა ვისესხე და ისევ იქ დავბრუნდი, მაგრამ ის ფულიც ბოლო თეთრამდე წავაგე. იმის ნაცვლად, გონზე მოვსულიყავი და მივმხვდარიყავი, რომ ნებისმიერი კაზინო და მსგავსი დაწესებულება ჩემნაირი იდიოტების „გასაფცქვნელად“ და გასაუბედურებლად არის გამოგონილი და თავი დამენებებინა ამ საშინელებისთვის, კიდევ უფრო მეტ მულამში ჩავვარდი და დავიწყე ნაცნობებისგან სხვადასხვა რაოდენობის თანხების სესხება, რასაც, ცხადია, ველარ ვუბრუნებდი, მაგრამ, საკმარისი იყო, თუნდაც 10 ლარი ჩამვარდნოდა ხელში, მაშინვე სლოტ-კლუბში გავრბოდი. იქიდან კი ისევ წაგებული გამოვდიოდი, მაგრამ ეს აღარ მადარდებდა, ისევ ფულის შოვნასა და უკან დაბრუნებაზე ვფიქრობდი. მოკლედ, ზომბირებული ვიყავი და მეტზე აღარაფერზე ვფიქრობდი.

19 წლისამ ცოლად შევირთე გოგონა, რომელიც ძალიან მიყვარდა. უბედნიერესები ვიყავით ერთად. ერთი წლის შემდეგ ბიჭი შეგვეძინა და სიხარულისგან დავფრინავდი, მაგრამ, ვერც ამ ბედნიერებამ დამანებებინა თავი თამაშზე. ჩემმა ცოლმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ხანდახან დავდიოდი ტოტალიზატორში და ამაზეც მიბრაზდებოდა. მე კი ათასი ტყუილით ვარწმუნებდი, რომ ეს საშიში არ იყო. მაგრამ, ერთხელაც, ძალიან დიდი თანხა წავაგე და იძულებული გავხდი, ბანკიდან ამელო სესხი. იმ ფულის ნაწილით კაზინოს ვალი გადავიხადე, დანარჩენი კი ისევ მთლიანად წავაგე და მოკლედ, მაგრად გავები. მერე ოჯახმაც გაიგო ყველაფერი, რასაც საშინელი სკანდალები მოჰყვა, მაგრამ მე უკვე აღარ ვიყავი ნორმალური ადამიანი და ყველა და ყველაფერი ფეხებზე მეკიდა, ოღონდ კი ფული მეშოვა (ნებისმიერი საშუალებით) და კაზინოში გავქცეულიყავი. მაგრამ, როცა ჩემი ოჯახის დანგრევის საკითხი რეალურად დაადგა, დავიფიცე, რომ იმ საშინელ დაწესებულებას აღარ გავეკარებოდი. რამდენიმე თვე გავძელი, მაგრამ, შემიძლია, ვთქვა, ისეთივე „ლომკები“ დამეწყო, როგორც ნარკომანს, რომელსაც „წამალი“ უნდა და არ აქვს. ამას კი დიდხანს ვერ გავუძელი და ისევ იქ მივედი, სადაც ჩემი გაუბედურება დაიწყო. ისევ უზარმაზარ ვალებში გადავვარდი, რის გამოც ბინა გავყიდეთ და, პრაქტიკულად, ქუჩაში დავრჩით, რადგან, ვალების გადახდის შემდეგ რა თანხაც დაგვრჩა, იმით პატარა ბინა უნდა გვეყიდა, რომ ჭერი გვქონოდა თავზე, მე კი, იმის იმედით, რომ დიდ ფულს მოვიგდებდი, ისიც მთლიანად წავაგე. ეს კი აღარ მაპატია ცოლმა და გამეყარა, თან, ბავშვსაც აღარ მაჩვენებს. მამაჩემმა ამდენ დარდს ველარ გაუძლო და ინფარქტით გარდაიცვალა, დედაჩემს კი ინსულტი დაემართა და ლოგინადაა ჩავარდნილი. ჯერჯერობით თავის დასთან წევს და ის უვლის, მაგრამ, იმასაც თავისი ოჯახი აქვს და როდემდე მიხედავს, არ ვიცი. ცხადია, მე ვერაფრით ვეხმარები. რაც მთავარია, ღამის გასათევიც აღარ მაქვს – სახლში აღარავინ მიშვებს, ყველამ ამომშალა თავისი ცხოვრებიდან და დავრჩი ასე გაუბედურებული. ხან მცივა, ხან მშია, ხან ავად ვარ და პატრონი აღარავინ მყავს, რომ მომხედოს. ბევრია ჩემს დღეში ჩავარდნილი და მათი უმრავლესობა ქურდობასა და ბანდიტობაზეა გადასული, რომ თავი ირჩინონ. მე კი ესეც არ შემიძლია და სად ამომხდება სული, ღმერთმა იცის. ალბათ, რომ მოვკვდები, ჩემი გვამის ამომცნობსაც ვერ იპოვიან და, როგორც უპატრონო მკვდარს, ისე დამმარხავენ. რომც ამომიცნონ, არავის დავენანები, არავის შევეცოდები, ცრემლსაც კი არავინ გადმოაგდებს და ახიც იქნება ჩემზე – ეს ყველაფერი ხომ მე თვითონ „გამოვუწერე“ საკუთარ თავს. მაგრამ, ან ცოლ-შვილს რას ვერჩოდი და ან ჩემს უბედურ მშობლებს, რომ ადამიანური სიკვდილიც არ ელირსათ?!

მივმართავ ყველას, ვისაც თამაში უყვარს: სათოფეზეც კი არ გაეკაროთ იმ ეშმაკეულ დაწესებულებას, თორემ, ჩემი მდგომარეობაც კი სანატრელი გაგიხდებათ. კიდევ, იმას გეტყვით, რაც შეიძლება, ყველამ არ იცოდეს: კაზინოს „რულეტკაზე“ დაწერილი ციფრების ჯამი 666-ია; იმ კაცმა კი, ვინც ეს გამოიგონა, გაურკვეველი მიზეზების გამო თავი მოიკლა... დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ.

**ირაკლი, 27 წლის.**







**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## როგორ ცხოვრობენ საპატრიარქოს სკოლა-პანსიონში ერთად ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები და როგორ გახდა ფოფოდია 126 ბავშვის დედა

(მე-15 გვერდიდან)

ვჩერდებით – ერთმანეთს ხელს არ ვუშლით, პირიქით, ძალიან კარგი მეგობრები ვართ.

*პანსიონის ბინადართა შორის ყველაზე პატარები 8-9 წლის ბიჭები არიან... აქ ყველას თავისი ისტორია აქვს, ზოგს სევდიანიც. თვალებიც სევდით აქვთ სავსე – თვალები, რომლითაც მშობლებისგან შორს დარჩენილნი, შეჰყურებენ მათთვის ახალ, უცხო და დიდ სამყაროს... პატარა დათუნა ზუკას ბავშვურად „უტევს“ – აქ რომ მოვიდა, სულ ტიროდა... ზუკა არ „ნებდება“ და უმტკიცებს, რომ სულ რაღაც ორჯერ იტირა... აქ მათი მფარველი ფოფოდიაა, თბილი, ხალისიანი. 126 ბავშვის დედობილია და სხვაგვარად ვერც იქნება... ჩვენ იქ ყოფნაში იმ ბავშვებზე ჯავრობს, პლეხანოვზე რომ გაუშვა მეგობრებთან შესახვედრად... დიდები კი არიან, მაგრამ მაინც... თვალი კარისკენ უჭირავს. ვხვდები, ერთი სული აქვს, მარტო დარჩეს და მათი გზა-კვალი გამოიკვლიოს.*

*უკვე შებინდებული იყო, როცა სკოლა დავტოვეთ... პანსიონიდან საოცარი სითბო და სიმშვიდე გამოგვყვა. აქ მომავალი თაობის კარგი სამჭედლოა – ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს, ზოგი ფანდურზე უკრავს, ზოგიც ჭიანურზე... ვიღაც თექაზე მუშაობს, ვიღაც ტანსაცმლის მოდელირებას სწავლობს, ვიღაც მინანქარსა თუ ხეზე კვეთას... მათგან ბევრი კარგი და წარმატებული ადამიანი დადგება – ეს პატარა ადამიანები იმდენ სიყვარულს და სიკეთეს უნაწილებენ ერთმანეთს, სხვაგვარად ვერც იქნება...*

**თამუნა ნიჟარაძე**

**დეკემბერში ლაშა ონიანის დახმარებით, სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი კონცერტებს გამართავენ გერმანიასა და საფრანგეთში და ევროპას კიდევ ერთხელ გააცნობენ ქართულ კულტურას. გარდა ამისა, სოფო ერთი კვირა დარჩება ბერლინში და იქ ერთ ლამაზ სალონურ საღამოს გამართავს.**

# რა გრძნობა ანადგურებს სოფო გელოვანს და როგორ აფხიზლებს მას პატარ-პატარა განსაცდელები

**სოფო გელოვანი**: „ევროვიზიის" შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დავისვენე, თან, ზაფხული მოდიოდა და, მოკლედ, კარგად, მშვიდად ჩაიარა ყველაფერმა. ახლა იგეგმება ძალიან კარგი ტურნე ევროპაში, სახელწოდებით – „საქართველო არის ევროპის ნაწილი". ამ ყველაფრის რეჟისორი და ორგანიზატორია ლაშა ონიანი, რომელიც ქართულ საქმეს აკეთებს. 3 დეკემბერს ლუქსემბურგში გვაქვს კონცერტი, რომელშიც ვმონაწილეობ ნოდიკო ტატიშვილთან და ქართულ ხალხურ ანსამბლთან ერთად. ეს იქნება ძალიან ლამაზი, სანახაობრივი შოუ და, რაც მთავარია, მოხდება ქართული კულტურის წარდგენა ევროპის სხვადასხვა ქალაქში. იქნება ღვინის დაგემოვნება, დაესწრებიან დიპლომატები სხვადასხვა ქვეყნიდან. 5 დეკემბერს პარიზში გვაქვს გრანდიოზული კონცერტი, სადაც მე და ნოდიკო შევასრულებთ სოლო სიმღერებს, თუმცა, მოითხოვეს, რომ „ევროვიზიის" სიმღერაც ვიმღეროთ. 7 დეკემბერს კი დიუსელდორფში კიდევ ერთი კონცერტი იგეგმება ძალიან დიდ, ცნობილ დარბაზში. ჩვენი აფიშები უკვე გამოკრულია. რაც მთავარია, სამივე კონცერტზე იყიდება ბილეთები. გერმანიაში არ არის ქართული ეკლესია, ამიტომაც, ამ კონცერტიდან შემოსული თანხები მოხმარდება ქართული ეკლესიის მშენებლობას და, ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეში ვიღებ მონაწილეობას. 8 დეკემბერს მთავრდება ყველაფერი, შემდეგ კი მარტოს მიწევს ბერლინში გადასვლა – მიწვევა მაქვს და უნდა ჩავატარო პატარა საღამო, სადაც შევასრულებ ქართულ და რუსულ რომანსებს – ეს იქნება სალონური საღამო. ერთ ბერძენ პიროვნებას აქვს სალონი, სადაც ატარებს თბილ და ლამაზ საღამოებს. ცოტა ხნის წინ დამიკავშირდა და შემომთავაზა, დიუსელდორფიდან ჩავფრინდე ბერლინში. როგორც აღმოჩნდა, ამ ხნის განმავლობაში თვალს მადევნებდა და უნდა, რომ ბერლინში პატარა, თბილი საღამო ჩავატარო. ძალიან მიხარია, რომ ლაშასთან გვიწევს მუშაობა, რადგან, ის და თავისი მეუღლე ქართულ საქმეს აკეთებენ; ცდილობენ, ევროპას აჩვენონ, რომ ჩვენ ვართ ევროპის ნაწილი. დღეს მთლიანად ამ საქმეზე ვართ გადართულები, ვფიქრობთ კოსტიუმებზე.

**– შენს საკონცერტო ჩაცმულობას ყოველთვის დადებითი შეფასებები მოჰყვება ხოლმე.**

– თუ ტანსაცმელში კომფორტულად, კარგად ვერ ვგრძნობ თავს, ეს მერე დისკომფორტს შეგიქმნის. ევროტურნისთვის ახალ კოსტიუმს მიკერავს ტატიანა მეფარიძე, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია და მასთან მუშაობას ისევ ვაგრძელებ. მან დაიჭირა ჩემი სტილი.

**– შენი მეუღლე, ალბათ, შეეჩვია შენს ევროპულ გასტროლებს.**

– ნოდის ძალიან უხარია, აქტიურად რომ ვმუშაობ. პირიქით, როდესაც ხედავს, რომ რაღაც პერიოდი გაჩერებული ვარ, ამას უფრო მეტად განიცდის. ხშირად ვსაუბრობ ნოდიზე, ის კი სულ მეუბნება, ჩემზე ნაკლებად ილაპარაკე. მაგრამ, რა ვქნა, მიყვარს ეს თემა და ვერ გავურბივარ. ნოდის რომ არ უყვარდეს ჩემი პროფესია, ფაქტია, ვერაფერს ვიზამდი. რა თქმა უნდა, ნოდისაც უნდა, რომ სულ მის გვერდით ვიყო, მაგრამ, როცა იცის, რომ კარგი საქმე კეთდება, ერთმანეთს გვერდში ვუდგებით.



**ხშირად ვსაუბრობ ნოდიზე, ის კი სულ მეუბნება, ჩემზე ნაკლებად ილაპარაკე. მაგრამ, რა ვქნა, მიყვარს ეს თემა და ვერ გავურბივარ**

**– შენთვისაც არ იქნება ადვილი ორი კვირით ოჯახის, განსაკუთრებით კი ბავშვის დატოვება.**

– რა თქმა უნდა, რთულია, როცა ბავშვს, ოჯახს ტოვებ, მაგრამ, ამ ყველაფერს მათთვის ვაკეთებ და ასეა საჭირო. მახსოვს „ევროვიზიის" პერიოდი დათამ საკმაოდ რთულად გადაიტანა, ძალიან დავაკელი ყურადღება. მაგრამ, იმის მერე ეს ყველაფერი ავანაზღაურე – ვეცადე, შემევსო დანაკლისი და, ვფიქრობ, შევძელი.

**– დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდი და წარმატებულად მუშაობდი როგორც მომღერალი. ახლა, ამ გადასახედიდან, როგორ შეაფასებ ამ პერიოდს?**

– ნოსტალგიური მომენტი დღემდე მაქვს და, როგორც ვიცი, რუსეთში წასვლა დღეს უფრო ადვილია. სხვადასხვა კონცერტიდან მქონდა შემოთავაზებები, ხშირად მირეკავენ ორგანიზატორები და მეუბნებიან, ჩამოდით. როგორც ვიცი, სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა ქართული კონცერტი, ბევრი მაყურებელი იმის გამო მივიდა, რომ, ეგონათ, მეც ვმონაწილეობდი. ბევრმა დამირეკა – რატომ არ იყავი, გელოდებოდითო. მაგრამ, ვერ ჩავედი. რა თქმა უნდა, ნოსტალგია არის და აუცილებლად განვაგრძობ რომანსების შესრულებას.

**– დღეს საქართველოში ამ მხრივ თითქმის არაფერი ხდება.**

– გეთანხმები, არაფერი აღარ ხდება და, ჯერჯერობით, არაფერზე აღარ არის მოთხოვნა. წელს, 4 დეკემბერს, „ოქროს ტალღის" დაჯილდოებაა, წლის სიმღერა უნდა აირჩიონ. ჩვენი, „ევროვიზიის" სიმღერაც დასახელებულია და, მიხარია, რომ რაღაც ხდება, თუნდაც ის, რომ მომღერლები ერთმანეთს შევხვდებით – ეს ჩვენთვის ერთგვარი სტიმულია. ძალიან მწყდება გული, რომ ბევრი ადამიანი მიდის ამქვეყნიდან. ძალიან კარგად მესმის, როცა ამბობენ, რა დროს სიმღერაა, ამდენი პრობლემაა, გაჭირვებაა, ამდენი რამ ხდება ქვეყანაშიო... მაგრამ, ეს ის სფეროა, გაჭირვებასაც რომ ეხმარება. იმედი მაქვს, მომღერლებს მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ხშირად ჩავატაროთ კონცერტები. რაც მთავარია, მე არ ვჩერდები, ახალ სიმღერებზე ვმუშაობ. არ ვამბობ: რისთვის ჩავწერო, ვინ მოუსმენს-მეთქი, როგორც ამას ბევრი მომღერალი ამბობს. ასე რომ ვუყურო, ისე გავა წლები, რომ ვერაფერს გავაკეთებ. ძალიან მიყვარს სიმღერა, მის გარეშე არ შემიძლია და, ამიტომ, სულ ძიებაში ვარ – ახალ სიმღერებს ვეძებ. ეს მე მჭირდება, ჩემთვის ერთგვარი სულიერი საზრდოა. არასდროს მიფიქრია: რატომ ავირჩიე ეს საქმე, პირიქით, კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევნით.

**– ვინ ხარ პროფესიით?**

– დამთავრებული მაქვს საერთაშორისო ურთიერთობები, ესპანური ენის განხრით. მაგრამ, რაც დავამთავრე, იმის მერე ამ სფეროსთან საერთოდ არ მქონია შეხება. რომ ვსწავლობდი, მაშინაც სიმღერით ვიყავი დაკავებული. არ მინდა, ჩემს სპეციალობას გავყვე, რადგან, მერე ველარ ვიმღერებ. მირჩევნია, ბევრი დრო მქონდეს და ვმღეროდე, ვიდრე, არ მქონდეს დრო და სიმღერას მოვაკლო რაღაც. ეს არის ის, რისი კეთებაც შემიძლია.

**– რა იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც გარდატეხა მოახდინა შენს კარიერაზე, მომავალზე?**

– ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი გარდატეხა მოახდინა ოჯახის შექმნამ. ხშირად ამბობენ: როცა ოჯახს შექმნი, მერე რთულია კარიერის აწყობა, რადგან, სხვა რაღაცეებზე გიწევს ყურადღების მიქცევაო. ჩემს შემთხვევაში კი, პირიქით, ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდა თუნდაც კარიერის მხრივ. გარშემო ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ისეთი ხალხია ჩემ გვერდით, ყველანი ზრუნავენ იმაზე, რომ ვიდგე სცენაზე, ვიმღერო; მაგრძნობინებენ იმას, რომ მათ ეს სჭირდებათ. ასე რომ, ოჯახმა ძალიან დადებითი კვალი დატოვა როგორც ჩემს პირად ცხოვრებაზე, ასევე კარიერაზე. ასეთი რამ იშვიათია და ამას ძალიან ვაფასებ. რთულია ამ ყველაფრის გაკეთება, მაგრამ, მაინც აკეთებენ და ამისთვის მუდმივად მადლობელი ვარ.

**– შენს ცხოვრებაშიც იქნებოდა რთული ეტაპები.**

– რა თქმა უნდა, არის რთული ეტაპები, იმედგაცრუებები... გგონია, რომ რაღაც ასე უნდა იყოს, მაგრამ, ასე არ არის. თუმცა, ღმერთს მადლობა, რომ ისეთი მძაფრი რამ არ ყოფილა, რომ ფარ-ხმალი დამეყარა და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდნილიყავი. ვცდილობ, არც ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში, რადგან, ეს გრძნობა მანადგურებს. რაც ხდება ცხოვრებაში, თუნდაც ცუდი, იმიტომ ხდება, რომ შემდეგ მას კარგი მოჰყვეს, ან, დაფიქრდე იმაზე, ეს რატომ მოხდა. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ჩემს ცხოვრებაში არის პატარა განსაცდელები, რაც მერე მაფხიზლებს. არ შეიძლება, რომ ყველაფერი კარგად იყოს, ასეთ დროს ბევრი რამ გავიწყდება, ჩარჩოში იკეტები, კარგს იჯერებ და რაღაცეების შეგრძნების უნარს კარგავ. როცა რაღაც ხდება, ზუსტად ვიცი, ეს რატომ მოხდა; თვალწინ მიდგება, გუშინ ასე ვთქვი, ასე გავაკეთე, ასე ვიფიქრე და მერე ვცდილობ, ეს აღარ გავაკეთო, გამოვასწორო. ჩემი ცხოვრება, რა თქმა უნდა, სულ ია-ვარდით არ არის მოფენილი, მაგრამ, ყველაფერი შედარებითია და, მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ კარგად ვხედავ იმას, რაც ჩემ გარშემო ხდება.

**ნათია უტიაშვილი**

**დიდი საახალწლო ფასდაკლება სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი – 2010-ში"**

ერთ საატესტატო საგანში მომზადება – 23 ლარიდან; ერთი საგანი ეროვნული გამოცდებისთვის – 60 ლარიდან!

მოემზადე სასწავლო ცენტრ **„პროფესიონალი – 2010-ში"** და გახდი სტუდენტი – ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების საწინდარია!

**მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №5, (რუსთაველის მეტროსთან); დიღმის მასივი, როგაქიძის ქუჩა №7.**
**ტელეფონის ნომრები:**
**555-63-48-01; 2-30-71-13.**

**მომღერალი ნუცა შანშიაშვილი თავის პატარა ოჯახთან ერთად ამერიკაში ცხოვრობს. რაც მის ცხოვრებაში პატარა ნიკოლა გამოჩნდა და დედობის სიხარული იგრძნო, მისი ბედნიერება გაორმაგდა. ბოლო დროს, თბილისში ჭორი გავრცელდა, ნუცას დედა, ქალბატონი მზია მაღლაკელიძე თავისზე ბევრად უმცროს მამაკაცზე გათხოვდაო. მართალია, ნუცას ყოველთვის უნდოდა დედის გათხოვება, მაგრამ, თუ რა რეაქცია ჰქონდა მას ამ ამბის გაგებისას, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ სთხოვდა ნუცა შანშიაშვილი დედას გათხოვებას და ვის გამო გადაწყვიტა მან საკუთარი თითების დაზღვევა

**ნუცა შანშიაშვილი**: ადამიანი ამ სამყაროში იმისთვის მოდის, რომ შეიგრძნოს ბედნიერება, ღვთის ძალა და არსებობა. ადამიანი, ბუნების დამამშვენებელი ელემენტია და თუ ამას ყველა გავითავისებთ, სამყაროში ბედნიერება დაისადგურებს. ჩვენ, იმისთვის დავიბადეთ, რომ შევქმნათ სილამაზე და ვაკეთოთ სიკეთე. ხომ იცით, სამყაროში არაფერი იკარგება და ყველაფერი ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება. არ არის აუცილებელი, გრანდიოზული საქმეები აკეთო, უბრალოდ, გაიღიმე და ამით გააბედნიერე გარშემო მყოფები, ესეც საკმარისია. სიყვარული, ყველა ადამიანის მიზანი უნდა გახდეს. რასაკვირველია, ყველას არც მე ვუყვარვარ, მაგრამ ვცდილობ, სულ გავიღიმო და ამით ვაგრძნობინო მათ, რომ მე უფრო ძლიერი ვარ. რთულია, ადამიანი გამოიცნო, მაგრამ მის ღიმილში ყველაფერს ამოიკითხავ. ჩვენ ვიბადებით დედამიწაზე, რომ ვიყოთ ბედნიერები. მე ბედნიერი ვარ და ამისთვის, მადლობა ღმერთს.



**ადრე, ხალხს სხვა ფსიქოლოგია ჰქონდა, ანუ აუცილებლად უნდა დაბერებულიყო ადამიანი. აბა, ამერიკაში ნახეთ რა ხდება**

**– ანუ, ის სიკეთე, რასაც შენ თესავ, ბუმერანგივით უკან გიბრუნდება?**

– რასაკვირველია! ამიტომაც ვარ ბედნიერი. თუმცა, არასდროს დამბრუნებია ეს სიკეთე იმ ადამიანებისგან, ვისთვისაც ეს გამიკეთებია ***(იცინის).*** პარადოქსია არა? მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა. საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები ჩემს გვერდით, ვინც ჩემს ბედნიერებას ახალისებენ. ჩემმა ნანატრმა შვილმა ნიკოლამ კი ისეთი ღიმილი და სისუფთავე შემოიტანა სახლში, ვერ გეტყვით. ამის ღიმილი, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ღვთაებრივი სამყარო არსებობს და ის ყოველთვის დაგიფასებს სიკეთეს. დილით რომ იღვიძებს ბავშვი და მიღიმის, მიღიმის მთელი სამყარო. რაც არ უნდა მტკიოდეს, მავიწყდება. სხვათა შორის, ამას წინათ ვხუმრობდი, ჩემი თითები უნდა დავაზღვიო-მეთქი და ეგონათ, გავგიჟდი ***(იცინის).***

**– თითების დაზღვევა ბავშვთან რა კავშირშია?**

– პირდაპირში! საჭმელს ვუკეთებდი და თითი ჩამყვა ბლენდერში. ეტყობა, ცოტათი ნერვი დამიზიანდა. არადა, მე ინსტრუმენტზე ვუკრავ. სულ მალე გასტროლები მაქვს, კონცერტებია დაგეგმილი და ხომ წარმოგიდგენიათ, ეს ჩემთვის რისი ტოლფასია. მაგრამ, დამიჯერეთ, რომ გავხედე ნიკოლას, ისე ღიღინებდა თავისთვის, სულ დამავიწყდა თითის ტკივილი, კონცერტიც და ყველაფერიც. ახლავე ვცდილობ, ავუხსნა, რომ იცხოვროს სიყვარულით; რომ ოჯახის წევრების და გარშემო მყოფების გარდა, მას სულ თან დაჰყვება თავისი მფარველი ანგელოზი, რომელიც ბოროტებისგან იცავს.

**– ნუცა, გავრცელდა ხმა, თითქოს დედაშენი, ქალბატონი მზია მაღლაკელიძე გათხოვდა და ბედი დაუკავშირა თავისზე ასაკით ბევრად უმცროს მამაკაცს. ამაზე რას გვეტყვი?**

– ეს ამბავი რომ გავიგე, ჯერ გავოგნდი, შოკში ჩავვარდი და მერე, ისეთი სიცილი ამიტყდა, ძლივს მომასულიერეს. მოკლედ, ერთ დღესაც მეზობელმა მომწერა, ჩვენი მზიალო გათხოვდა და თავის სომეხ მძღოლს გაჰყვა, თანაც ასაკით ძალიან ახალგაზრდასო. იმდენი ვიცინე, ვერ გეტყვით. ეგრევე დავურეკე დედას და ვუთხარი, ხომ ხედავ, მარტო ალა პუგაჩოვა კი არ თხოვდება უმცროს კაცზე და ხდება ტყუპების დედა, თურმე საქართველოშიც ასეა-მეთქი ***(იცინის).*** დედა 75 წლისაა, საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ გათხოვებას ნამდვილად არ აპირებს. თან, საოცრება ისაა, რომ სომეხი მძღოლი საერთოდ არ ჰყავს.

**– აბა, საიდან გავრცელდა ეს ჭორი?**

– ვერ გეტყვით. ერთხელ ისიც ხომ მოიგონეს, თითქოს კაცი ვიყავი და ქალად გადავკეთდი პლასტიკური ქირურგის დახმარებით. ეს საიდან მოიგონეს? აბა, მიპასუხეთ. არ დაგიმალავთ, ძალიან გამიხარდებოდა, თუ დედა გათხოვდებოდა და ბედნიერი იქნებოდა – იპოვიდა ისეთივე სიყვარულს, რომელიც მამაჩემთან აკავშირებდა. თუმცა, როგორი სიყვარულიც მამას და დედას ჰქონდათ, იშვიათად იბადება და ის ველარ განმეორდება. წარმოიდგინეთ, მამა დედას სხეულს აქანდაკებდა, ხედავდა მასში სილამაზეს, ქალურობას და იმ სიყვარულს, რასაც მის მიმართ გრძნობდა. ამ ქანდაკებებს ხშირად ვაკვირდები და არ მჯერა, რომ ამხელა სიყვარული, სითბო და ვნება იყო ამ ორ ადამიანს შორის. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ წარმოუდგენელია, ასეთ სიყვარულს მეორედ „წამოკრა" ფეხი. თუ ვინმე მეგობარი გამოუჩნდებოდა დედას, ბედნიერი ვიქნებოდი.

**– ანუ, 75 წლის ასაკშიც რომ გათხოვდეს, წინააღმდეგი არ ხარ?**

– მთავარია, როგორ გამოიყურები და როგორ გრძნობ თავს, თორემ წლებს რა მნიშვნელობა აქვს. ადრე, ხალხს სხვა ფსიქოლოგია ჰქონდა. ანუ, აუცილებლად უნდა დაბერებულიყო ადამიანი. აბა, ამერიკაში ნახეთ, რა ხდება. ამას წინათ, ფლორიდაში ვიყავი სტუმრად. მითხრეს, ახლა ბებია მოვა, 94 წლისააო. ვიფიქრე, გაიღება კარი და „ნასილკით" შემოიტანენ-მეთქი. ვხედავ, იღება კარი, შემოდის გამხდარი, ასაკოვანი ქალი, საკმაოდ კარგად ჩაცმული, მაგარ ფორმაში და ხელში მანქანის გასაღებს ატრიალებს. თვალებს არ დავუჯერე. მერე მითხრეს, ორი წელია, რაც მანქანის მართვა ისწავლაო. ასეთი ადამიანი, არასდროს დაბერდება. ასე რომ, დედას ხშირად ვესაუბრებოდი: შექმენი ოჯახი, იპოვე ადამიანი, რომ მარტო არ იყო-მეთქი, მაგრამ



ჯერ არ მიჯერებს ***(იცინის).*** ამბობს, რაღა დროს ამ თემაზე ლაპარაკია, სისულელეებს ნუ მეუბნებიო. სხვათა შორის, ახლა გასტროლები მეწყება, ძიძას ვერ ვანდობ ბავშვს და დედა ჩამოვა ჩემთან, ნიკოლას დაიტოვებს. ასე რომ, ლექციები, გადაღებები, შვილი, შვილიშვილი – სად სცალია პირადი ცხოვრებისთვის, ჩვენი გადამკიდე ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როდის არ იკეთებს მამაკაცი საქორწინო ბეჭედს და ცდილობს თუ არა ის ამ გზით, თავი მარტოხელად გაასაღოს

**არსებობენ მამაკაცები, რომლებიც სიამოვნებას იღებენ იმით, რომ ერთდროულად რამდენიმე ქალთან აქვთ ურთიერთობა, რომ მათზე „მოთხოვნა" დიდია და, უხარიათ, როცა ქალები მათ გამო ჩხუბობენ. ფსიქოლოგების აზრით, ეს ამ მამაკაცების არასრულფასოვნების გამოხატულებაა და, ბუნებრივია, ფსიქოლოგების ეს დასკვნა ვერაფერი შეღავათია იმ ქალბატონისთვის, ვისაც ამ ტიპის მამაკაცი ერგება პარტნიორად. მით უფრო – ქმრად. ცხადია, არც ერთ ცოლს არ უნდა სხვა ქალთან ზიარი ქმარი, თუმცა, ურთიერთობის ერთი ხელის მოსმით დასრულება ყველას არ შეუძლია სრულიად გასაგები მიზეზების გამო. გამოსავალი ძნელი საპოვნელია. თუმცა, ისიცაა, რომ, რაც უფრო დიდხანს ეცდები, შეინარჩუნო მოღალატე, მით დიდ სტრესს მიიღებ და საკუთარ თავსაც დააზარალებ.**



ნატალია *(32 წლის)*: ყველაფერი დაიწყო იმით, რომ, ერთ დღეს, ჩემი ქმარი სახლში საქორწინო ბეჭდის გარეშე დაბრუნდა. ოთხწლიანი თანაცხოვრების მერე ძლივს დავფეხმძიმდი და ყველა წვრილმანს ემოციურად აღვიქვამდი. ძალიან ვინერვიულე, მაგრამ, იმიტომ არა, რომ ბეჭდის თვითღირებულება იყო მეტისმეტად დამაზარალებელი. ცრუმორწმუნე არასდროს ვყოფილვარ, თუმცა, ამჯერად ძალიან ავღელდი – ჯვარდაწერილი საქორწინო ბეჭდის დაკარგვა ცუდის ნიშნად ჩავთვალე.

**– იფიქრეთ, რომ ოჯახი დაგენგრეოდათ?**

– ჩვენი ურთიერთობა თითქოს არ იძლეოდა ამის საფუძველს, მაგრამ, მაინც გულზე მომხვდა. ქმარმა მითხრა, ვწუხვარ, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, სად მომძვრა. უამრავ ადგილას ვიყავიო. რატომღაც, ვერ მოვისვენე, ავფორიაქდი და, ნერვიულობისთვის წერტილი რომ დამესვა, წავედი და ახალი ბეჭედი ვიყიდე.

**– რა იყო ამ საქციელის მიზეზი – შეგეშინდათ, რომ საქორწინო ბეჭდის გარეშე თუ ივლიდა, თქვენს ქმარზე კაცებზე მონადირე ქალების თავდასხმები განხორციელდებოდა?**

– ქვეცნობიერში, ეტყობა, ესეც ვიფიქრე. ქალების ამბავი ხომ იცით?! კაცის მიმართ სრული ნდობა არ გვაქვს – ეს უკვე კანონზომიერებად იქცა.

**– რატომ, ამჩნევდით ქმარს რამეს?**

– შემჩნევა სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ ქმარს ბოლომდე არ ენდო. იმდენი გამაოგნებელი ამბავი გესმის ყველა მხრიდან, ისეთ საზიზღრობებს სჩადიან ქალები და ისე გაუქრათ პასუხისმგებლობა მამაკაცებს, ძალიანაც რომ არ გინდოდეს, ეჭვი მაინც გაგიჩნდება. თუმცა, ისეთი ცოლი მაინც არ ვყოფილვარ, ქმარს ფეხდაფეხ რომ დასდევს და გასაქანს არ აძლევს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისი პირადი სივრცე ჰქონდეს.

**– თუმცა, კაცებს ეს „პირადი სივრცე" თავისებურად აქვთ „გადათარგმნილი", ანუ: „გავიგულავებ" და ეს არ არის პრობლემა.**

– გეთანხმებით. ახლა ვხვდები, რომ ვცდებოდი. ქმრების უმრავლესობა ბოროტად იყენებს იმ „თავისუფალ სივრცეს", რომელსაც ცოლი უტოვებს. ეტყობა, ჩვენი კაცები ვერ ჩამოყალიბდნენ „მაღალ მატერიებად", პრიმიტივებად დარჩნენ. მიაჩნიათ, რომ მათთვის უნდა იბრძოლო, ვილაც დაბალი ზნეობის ქალს თავ-პირი დაალეწო და ასე დაუმტკიცო, რომ გიყვარს. ჩემი ცივილიზებული ქცევა ბუმერანგივით დამიბრუნდა, თუმცა, არ ვნანობ. ვერ დავეშვები იმაზე დაბლა, რა დონეზეც ახლა ვარ, არ მინდა. მოკლედ, მეორე ბეჭდის დანახვა ჩემს ქმარს დიდად არ ესიამოვნა – რა უცნაური ხარ. ახლა ისედაც ბევრი ხარჯი გვქონდა. ჯანდაბას, გავიკეთებ, თუმცა, ვერც უბეჭდოდ სიარულში ვხედავდი ტრაგედიასო.

**– ამით დაასკვენით, რომ გღალატობდათ?**

– არა, რას ბრძანებთ. პარანოიკი კი არ ვარ. უბრალოდ, არ მესიამოვნა და ეს იყო. ერთი თვის შემდეგ მისი თითიდან ბეჭედი ისევ გაქრა. ბავშვი ორი-სამი დღის გაჩენილი მყავდა. ველარც ვინერვიულე და ვერც ჯეროვანი ყურადღება მივაქციე ამ ამბავს. კიდევ ერთი, ახალი ბეჭდის ყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ვზრდიდი ბავშვს, ჩემი ქმარი სამსახურში დადიოდა... ერთ დღეს კი ჩემმა დაქალმა დამირეკა: უნდა მოვიდე და დაგელაპარაკო. როდემდე უნდა იჯდე ჭურში და ითმენდე შეურაცხყოფასო. ეგრევე მივხვდი. ქალებს ინტუიცია არასდროს გვღალატობს. პრინციპში, ფსიქოლოგიურად მომზადებული დავხვდი ინფორმაციას. ჩემი დაქალი უზომოდ იყო შეწუხებული: შენმა იდიოტმა ქმარმა ბეჭდები კი არ დაკარგა, გაყიდა და ფული იმ ქუჩის ქალს დაახარჯა – გუშინ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ვახშმობდნენ ძვირად ღირებულ რესტორანშიო... ამ ამბის ასე დატოვება არ შეიძლებაო. შენ არ გცალია, ბავშვს უზიხარ. თუ გინდა, მე მოვიპოვებ საჭირო ინფორმაციას და, ისეთ დღეს დავაყრი მაგ უსირცხვილო დედაკაცს, შენი ქმარი კი არა, კაცი რომ არსებობს საერთოდ,

> **შენმა იდიოტმა ქმარმა საქორწინო ბეჭდები გაყიდა და ფული იმ ქუჩის ქალს დაახარჯა – გუშინ თვითონ ვნახე, ძვირად ღირებულ რესტორანში რომ ვახშმობდნენო**

ისიც კი დაავიწყდებაო. ზოგადად, ემოციური ადამიანი ვარ, მაგრამ, საკუთარი თავის გაკონტროლება შემიძლია. დაქალს ვთხოვე, არ ჩარეულიყო ჩემი ოჯახის საქმეში და დაევიწყებინა, რაც ნახა. გაოგნდა, მაგრამ, წინააღმდეგობა ვერ გამიწია, თუმცა, საკმაოდ ნაწყენი წავიდა. დავჯექი, ჯერ მაგრად ვიტირე, მერე კი დავიწყე იმაზე ფიქრი, რა უნდა გამეკეთებინა. ორი თვის ჩვილით ხელში მარტო დარჩენა არ შემეძლო. სად უნდა წავსულიყავი? ვერც იმას ვიზამდი, რომ სკანდალი მომეწყო ქმრისთვის, ერთი ამბავი ამეტეხა და ისევ მასთან დავრჩენილიყავი, ვითომ არაფერი მომხდარა. ამიტომაც, გადავწყვიტე, ჯერჯერობით ისე დამეჭირა თავი, ვითომ არაფერი ვიცოდი – იქნებ, დროებითია და თავისით გაუაროს-მეთქი. მინდა, კარგად გამიგოთ, რთულია, უცებ, ჩვილი ბავშვით ხელში, უსახსროდ დარჩენა. მშობლებს ვერ მივადგებოდი. ვერც ბავშვს დავტოვებდი დედის ყურადღების გარეშე. გადაწყვეტილება მძიმე იყო და, მარტო მე ვიცი, რის ფასად დამიჯდა ამ ყველაფრის გადატანა. საშინელი, უმძიმესი სტრესი მივიღე. საკუთარი თავი მეცოდებოდა. ერთი წლის განმავლობაში ვინ აღარ დამირეკა და მომახსენა ჩემი ქმრის ღალატის ამბავი. მისი საყვარელი ისე ამიწერეს თავიდან ფეხებამდე, ქუჩაში რომ შემხვედროდა, ვიცნობდი. დედაჩემის ყურამდეც კი მივიდა ეს ამბავი. სახლში მომადგა და დამიწყო „ბურღვა": უთავმოყვარეო და სულელი ხარ. რაში გჭირდება ასეთი ქმარი, გააგდე, მე დაგიდგები მხარშიო. ვუხსნიდი, რომ, არ მინდოდა, ჩემი შვილი უმამოდ გაზრდილიყო. იქნებ, პერიოდი აქვს ასეთი, გაუვლის და ყველაფერი ძველებურად იქნება, ერთი შანსი უნდა მივცემეთქი. ეტყობა, მეტისმეტად გულუბრყვილო ვიყავი, თორემ, კაცი რომ ამაზე წავა, იმასთან კეთილგონიერება აღარ ჭრის – მთელი ჩემი გმირული თავშეკავება ჩალის ფასი აღმოჩნდა. ჩემი ქმარი მუდმივად კარგ გუნებაზე იყო, გაბადრული და გალიმებული დადიოდა. სამსახურში ყველაფერი კარგად ჰქონდა, ფულიც გაუჩნდა. ვგრძნობდი, რომ მატყუებდა, რომ თანხის რაღაც ნაწილი გაურკვეველი მიზნებისთვის იხარჯებოდა, მაგრამ ვდუმდი. ველოდი, როდის გაირკვეოდა და დასრულდებოდა ყველაფერი. თუმცა, დასასრული ისეთი არ აღმოჩნდა, როგორის მოლოდინიც მქონდა. ერთ საღამოს ქმარმა გამომიცხადა, რაღაც მოხდა და, მინდა, დაგელაპარაკოო. ვიფიქრე, ეტყობა, აზრზე მოვიდა, გულს გადამიშლის და პატიებას მთხოვს-მეთქი. თურმე, სადა ხარ... უტიფრად მომახსენა: გაორებული ვარ. სხვა ქალი შემიყვარდა და აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მის გარეშე ველარ ვძლებ, თუმცა, შენ და ბავშვიც ძვირფასები ხართ ჩემთვის და ვერ მიგატოვებთ. რამე გამოსავალი უნდა მოვიფიქროთო. ვიგრძენი, ტკივილმა და ელდამ როგორ გამიყინა შიგნით ყველაფერი. მუხლები მომეკვეთა და ისეთი სისუსტე ვიგრძენი, რომ არ წავქცეულიყავი, დავჯექი. შენ რა გინდა, მე თვითონ გაგაგდო სახლიდან-მეთქი? – ვკითხე. არაო. ხომ გითხარი, ოჯახიც მჭირდება. მე უკეთესი რაღაც მოვიფიქრე: მოდი, არავინ რომ არ დაზარალდეს, ასე მოვიქცეთ: კვირაში სამი დღე იმასთან ვიქნები, ოთხი დღე – თქვენთან. არაფერს მოგაკლებთ. მთავარია, სკანდალები არ მომიწყო და მშვიდად ვიცხოვროთო. ეს ბოლო წვეთი იყო ჩემი მოთმინების ფიალაში. ცრემლიც კი აღარ მქონდა და ვერ ვიტირე.

# როგორ დაკარგეს დედმამიშვილებმა ერთმანეთი და ვინ ეძებს საქართველოში მამასა და ნახევარდებს

*ეკატერინე ნიკოლოზის ასული ხარაშინა (მეუღლის გვარზეა), ეძებს ანდრეი ნიკოლოზის ძე ონიშაკს. ასევე, 69 წლის ვლადიმირ ალონცევი (მამინაცვლის გვარზეა) ეძებს მამას – ალექსი მაზანაშვილსა და ნახევარდებს, გვარად მაზანაშვილებს (სახელები უცნობია).*

**ჟურნალისტის შენიშვნა**: დღევანდელ ჩვენს რუბრიკაში წარმოდგენილია ორი სხვადასხვა ისტორია. ერთში და, ეკატერინე ნიკოლოზის ასული ხარაშინა (რომელმაც უკრაინიდან მომწერა), ეძებს ძმას – ანდრეი ნიკოლოზის ძე ონიშაკს; ხოლო მეორეში – რუსეთში მცხოვრები 69 წლის შვილი ეძებს ქართველ მამას – ალექსი მაზანაშვილსა და ნახევარდებს. ვთხოვ მკითხველს, ყურადღებით წაიკითხოს თითოეული ისტორია და, თუკი ვინმეს აქვს რაიმე ინფორმაცია დაკარგულების შესახებ, დაუყოვნებლივ გამოგვეხმაუროს.

**ისტორია I**: ჩემი ძმა, ანდრეი ნიკოლოზის ძე ონიშაკი, მსახურობდა საქართველოში, ქალაქ თბილისში, სადაც შემდგომ მან ბინაც კი მიიღო და საბოლოოდ საქართველოში გადავიდა საცხოვრებლად. პირადად მე, ჩემს შვილთან ერთად, რუსეთიდან ძმასთან სტუმრად მხოლოდ ერთხელ ვიყავი ჩასული, მეტჯერ მატერიალურად ვერ მოვახერხე. სამწუხაროდ, ძმის მისამართი დაგვეკარგა. ბოლოს ჩემი ძმა მაშინ ვნახე, როდესაც ის დედის სანახავად სოფელ სუხაია ბალკაში ჩამოვიდა, ეს იყო 1988 წელს. მას შემდეგ ჩვენ შორის კავშირი აღარ შემდგარა. ძალიან მენატრება ჩემი ძმა და მინდა მისი ნახვა. ამდენი წლის განმავლობაში მე სხვადასხვა ხერხით უშედეგოდ ვეძებდი და ამჟამად მხოლოდ თქვენი იმედი-ღა მაქვს. ძალიან გთხოვთ, გვაპოვნინეთ დედმამიშვილებს ერთმანეთი.

**ისტორია II**: შორეულ 1943 წელს გერმანიის მიერ ტულის მხარის ოკუპაციის დროს, ახალგაზრდა გოგონამ, სახელად ანამ, გაიცნო ქართველი ჯარისკაცი – ალექსი მაზანაშვილი, რომელიც იმ დროს ჰოსპიტალში იმყოფებოდა. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება და, ამ დიდი სიყვარულის შედეგად, 1944 წლის 6 მარტს დაიბადა ბიჭი, სახელად ვლადიმირი. ჰოსპიტლიდან გაწერის შემდეგ ალექსიმ განაგრძო სამხედრო სამსახური, თუმცა, შეყვარებულთან კავშირს არ წყვეტდა. დასრულდა დიდი სამამულო ომი, ალექსი მაზანაშვილი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ, ანასთან მიმოწერა არც მაშინ შეუწყვეტია. გავიდა დრო და ალექსიმ სამშობლოში ცოლი მოიყვანა, ანაც გათხოვდა და მისმა მეუღლემ მის შვილს – ვლადიმირს, თავისი გვარი მისცა. ამიტომ, ამჟამად ვლადიმირი ალონცევია. 1976 წლის გაზაფხულზე ალექსი მაზანაშვილი ჩასული იყო შვილის სანახავად (ამის დასამტკიცებლად გიგზავნით ფოტოს, რომელზეც არიან ალექსი, ვლადიმირი და პატარა გოგონა – ირინა). ალექსიმ შვილს დაუტოვა საჩუქარი, თავისი მისამართი საქართველოში და უთხრა, რომ მას ჰყავს ორი ქალიშვილი და, ძალიან უნდა, რომ ვლადიმირმა და მისმა გოგონებმა ერთმანეთი გაიცნონ (აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ალექსის ოჯახმა იცოდა ვლადიმირის არსებობის შესახებ). მამის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვლადიმირმა მას მისწერა წერილი, მაგრამ პასუხი არ მოსვლია. სავარაუდოდ, წერილი ადრესატამდე არც მისულა. ასე დაიკარგა კავშირი მამა-შვილს შორის. ამჟამად ვლადიმირი 69 წლისაა მარტში უკვე 70-ის გახდება. მისმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ მას მამის ნათესაობისა და მისი ნახევარდების პოვნაში. იმედი გვაქვს, რომ საქართველოში ვინმე წაიკითხავს ჩვენს წერილს და გამოგვეხმაურება. თქვენი დახმარების დიდი იმედი გვაქვს.



***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიებთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

მშვიდად ვუთხარი, მე ასე არ შემიძლია. წადი მასთან და როცა მიხვდები, ვინ უფრო ძვირფასია შენთვის, საბოლოოდ იმასთან დარჩი-მეთქი. არც სკანდალი ამიტეხავს და არც არაფერი. თავისი ნივთები ჩავულაგე და გავუშვი. წასვლისას მითხრა, ეგოისტი ხარო. შენგან განსხვავებით, იმას პრობლემა არა აქვს, მაგრამ, ცოლები მესაკუთრეებად ყალიბდებით და ქმრებს სულს გვიხუთავთო. მარტო ამ სიტყვებისთვის იყო გასალანძღი და ამოსაშლელი ჩემი ცხოვრებიდან. მისი წასვლის მერე ძალიან ცუდად ვიყავი, დეპრესიიდან ძლივს გამოვედი და ძლივს დავიბრუნე სიცოცხლის სურვილი. ამ ხნის განმავლობაში ჩემი ქმარი ერთხელაც არ გამოჩენილა. მხოლოდ რაღაც თანხას გვიგზავნიდა ყოველთვიურად და ამით იხდიდა თავის ვალს ჩვენ წინაშე. მეგობრების, ოჯახის წევრების დახმარებით ფეხზე დავდექი. მალე სამსახურში გავედი, ბავშვს ძიძა ავუყვანე და ცოტა თავსაც მივხედე... ერთი თვის წინ კი, სრულიად მოულოდნელად, ჩემი ქმარი გამომეცხადა. აბსოლუტურად ჩვეულებრივად შევხვდი. სახლშიც შემოვუშვი. ბავშვს გაეთამაშა. რამხელა გაზრდილაო, – გაუკვირდა. წარმოიდგინეთ, რვა თვის განმავლობაში საერთოდ არ ჰყავდა ნანახი. მითხრა, იმასთან ყველაფერი დავასრულე და თქვენთან მინდა დაბრუნებაო. შეგიძლია, მიმიღოო? ანუ, რას მთხოვ, გინდა, გაპატიო-მეთქი? იმის მაგივრად, რომ რაიმე სინანული მაინც გამოეხატა, სრულიად არაადეკვატური პასუხი მივიღე: საპატიებელი რა მჭირს, ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე – ერთი წლის განმავლობაში იცოდი, რომ საყვარელი მყავდა და არაფერი გააკეთე, არ იბრძოლე ჩემთვის. ელოდებოდი, საბოლოოდ როდის ჩამიგდებდა ის ხელში. ეტყობა, დაიღალე ჩემგან, შენც სხვა გყავდა და მარტივად მიშორებდი თავიდანო. გეკითხებით, რისი ღირსი იყო ამ სიტყვების შემდეგ? ისეთი აგრესია და სიძულვილი ვიგრძენი მის მიმართ, მომინდა, ამელო მძიმე ნივთი და თავში ჩამერტყა მისთვის. უცებ წამოვხტი, მოვკიდე მის ქურთუკს ხელი და ფანჯრიდან მოვისროლე, მერე კი მთელი ხმით ვუყვირე, გაეთრიე აქედან-მეთქი. ეტყობა, ამას არ ელოდა. გაოცებულმა შემომხედა. გიჟი ხარ და ისტერიჩკაო – ცოლები ხომ „ისტერიჩკები" ვართ, როცა ისე არ ვიქცევით, როგორც ქმრებს ნებავთ. მოკლედ, მხოლოდ საკუთარ თავს ვავნე. მამაკაცზე უმადური არსება არ არსებობს. ახლა უკვე ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო მხოლოდ ჩემი და ჩემი შვილის სურვილებით. მირეკავს და მეხვეწება – შემირიგდიო, მაგრამ, ვიცი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. ჯერ ერთი, მის მიმართ გრძნობა საერთოდ აღარ მაქვს; მეორეც – უკვე ზუსტად ვიცი: თუ ვაპატიებ და მივიღებ, კიდევ გაიმეორებს თავის უზნეო საქციელს. ის, ვინც ერთხელ ასე უსინდისოდ გიღალატებს, სანდო აღარ არის.

> **ისეთ დღეს დამაყრი მაგ უსირცხვილო დედაკაცს, შენი ქმარი კი არა, კაცი რომ არსებობს საერთოდ, ისიც კი დაავიწყდებაო**

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქმარი მიყვარს, მაგრამ მისი ხასიათი და ჩვევები საშინლად მაღიზიანებს და ამიტომ სულ ვეჩხუბები. როცა ერთად არ ვართ, ვნანობ და გულწრფელად ვწუხვარ, რომ მოთმინება მღალატობს, მაგრამ, საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებ. როგორ მოვიქცე, რომ ოჯახი არ დამენგრეს?!**

**გამოხმაურება**: ალბათ, არასაკმარისად გიყვართ თქვენი მეორე ნახევარი, ან, ისე გაჰყევით ცოლად, რომ კარგად არ გაგიცნიათ. შეეცადეთ, ქმარში დადებითი მეტი დაინახოთ და არ გაღიზიანდეთ ქმრის მავნე ჩვევების გამო. თუ მართლა გიყვართ, თავი უნდა შეიკავოთ. უმიზეზო და ხშირი სკანდალები მართლაც ანგრევს ოჯახს.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაძიძე**

# რა პერიოდი გაატარა გია ცინაძემ ძილსა და სიყვარულში

**გია ცინაძეს ქართულ სატელევიზიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სახე აქვს შექმნილი – პერსონაჟი, რომლის გავლენიდან თავად მსახიობი დიდი ხანია, გამოვიდა, მაგრამ მყუდროს სახელი, ალბათ, კიდევ დიდხანს მასთან ერთად დარჩება. სერიალ „ნათია და ნათიაში“ გიამ მყუდროსგან სრულიად განსხვავებული ტიპაჟი გამოძერწა, როგორც ვიზუალურად, ისე ხასიათით. გიას ახალ სერიალსა და ახალ საქართველოზე (მისი სოციალური აქტიურობიდან გამომდინარე) ვესაუბრეთ.**

**– დიდი ხანია, ეკრანზე აღარ გამოჩენილხარ, რა იყო ამის მიზეზი?**

– ამ დროის განმავლობაში ყოველთვის ვიყავი ჩემს სახლში, ჩემს მეგობრებთან ერთად „ფორმულა კრეატივში“. „ჩვენი ოფისის“ შემდეგ, ჩვენმა გუნდმა დაიწყო „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღება, სადაც მე არ ვიყავი დაკავებული. ლიფონავა რომ ჩემი ძმაკაცია, არ ნიშნავს იმას, რომ, რასაც გადაიღებს, ყველაფერში მონაწილეობა მივიღო. ვერ დაინახეს ამ სერიალში ჩემი თავი და არ დამაკავეს. ჩვენი სამეგობრო პირიქით, ქართული მენტალიტეტის ასეთ ცუდ გამოვლინებებს, ზოგადად, ქვეყანაში ვებრძვით და მით უმეტეს – სამეგობროში. რა თქმა უნდა, თუ რომელიმეს გაგვიჭირდა, ერთმანეთს შიმშილით არ დავხოცავთ, მაგრამ ის, რომ მეგობრები ვართ, ყველგან ვთამაშობდე – სასაცილოა. მათ ამ სერიალში სხვა ადამიანები დაინახეს და ახლა რაღაც ეტაპის შემდეგ, ჩათვალეს, რომ ამ კონკრეტულ როლზე მე ვარ საჭირო.

**– ესე იგი, მთელი ამ დროის განმავლობაში მათთან მუშაობდი.**

– კი და ბევრ პროექტზე ვიმუშავეთ ერთად, მათ შორის საქართველოს სარეკლამო კლიპებზე, რომელიც სხვადასხვა არხზე ტრიალებდა. ამის შემდეგ პატარა პაუზა ავიღე – მეძინა, მთაში ვიყავი, მიყვარდა. სიყვარულით ვიყავი დაკავებული. მიყვარდა სამშობლო, ადამიანები, მეგობრები... ახლა კი, ისევ მოვიდა დაბრუნების დრო. ზოგადად, ამხელა პაუზა არ გამომივიდოდა, ყველაფერზე რომ ვთანხმდებოდე. შეიძლება, ეს ჩემი მინუსია და მსახიობი რომ ხარ, ყველაფერი უნდა ითამაშო. მაგრამ, მგონი, უფრო საბედნიეროდ, ვიდრე სამწუხაროდ, ვერ ვქენი ისე, რომ თვალი დამეხუჭა რაღაცეებზე და მხოლოდ იქ ვარ, სადაც მომწონს.



დიდი ბიჭი ვარ უკვე, მეზარება სიყვარული

**– საინტერესოა, რომ გაჩნდა მოთხოვნილება, იგივე ჯგუფს, იგივე არხზე კიდევ ახალი სერიალის კეთება დაეწყო.**

– კარგია, რომ ეს მოხდა. ათი იდეა რომ გაჩნდეს, ათივეს განხორციელებას შევძლებთ. „ფორმულა კრეატივს“ გამოცდილება აქვს. ძალიან ნიჭიერები არიან და მათ სურვილზე, რომ ახალი იდეა განეხორციელებინათ, არხმა უარი არ უთხრა. „რუსთავი 2“ ენდობა მათ. „ნათია და ნათია“ სიტუაციური კომედიაა, სხვა ტიპის სერიალია, სადაც ცხოვრებისეული ამბები უფრო კომიკურად და სასაცილოდ არის გადმოცემული. „ჩემი ცოლის დაქალები“ რევოლუციურ სერიალად იქცა, რომელიც აუცილებლად დარჩება ლეგენდად, რადგან პირველია, რომელმაც ასეთი საყოველთაო აღიარება მოიპოვა – უყურებს ყველანაირი ასაკისა და გემოვნების ადამიანი. ეს არის სერიალი, რომელიც რეალურად გვანახვებს, რა ხდება ქვეყანაში – ქეთი დევდარიანი გენიალური სცენარით და ყველა იმ ნიჭიერი ადამიანით, რომელიც მასზე მუშაობს.

**– შენს გმირზე მოგვიყევი, თუ გრძნობ, რომ ხალხი ისევ მყუდროს, ისევ იმ მოსულელო ტიპს ელოდებოდა შენგან, რომელიც „სიმართლეებს“ ლაპარაკობს?**

– მყუდრო ძალიან უყვართ. დღემდე მომდის წერილები: აუ, კიდევ გააკეთეთო. მაგრამ, რაღაც მთავრდება და ახალი იწყება. ეს ჩემთვისაც საინტერესოა. აქაც მაინც სიტკომია და შეიძლება, რაღაც საერთო დეტალები ნახოთ. მაგრამ, მთლიანად სხვანაირი ტიპია, მათ შორის, ვიზუალურადაც.

**– მოგწონს შენი თავი ქოჩრიანი ბიჭის როლში?**

– *(იცინის)* კი, ქოჩორი „გამისწორდა“, მაგრამ აი, გაპარსული, ძალიან მეუცნაურება ჩემი თავი. ბავშვობის მერე გაპარსული არ ვყოფილვარ და ცოტა მეუცხოება. რაც შეეხება თვითონ ტიპაჟს, ასეთი კაცები ბევრია ზოგადად და არა მხოლოდ საქართველოში. მას ახალი მოყვანილი ჰყავს ცოლი და საერთოდ, არაფრის აზრზე არ არის. შეიძლება, ძალიან არც უნდოდა ცოლის მოყვანა, მაგრამ აი, „დრო მოვიდა“ და „შვილიშვილი მინდა“ – ამ ფაქტორებმაც იმუშავა. ეს ხაზგასმით არსად ჩანს, მაგრამ მაინც იგრძნობა. გამოუცდელია ამ ურთიერთობებში და თავისი ძმა, თან ვითომ ასწავლის, თან ატყუებს, თანაც თავის სასარგებლოდ იყენებს. სამსახურშიც ისეთი, ამბიციური ბიჭია, ზოგჯერ ყვირის რაღაცეებს, ხან უჯერებენ, ხან – არა.

**– გოგოების შემთხვევაში საზოგადოების წნეხი ძალიან დიდია – როდის გათხოვდები? ვაიმე ვერ თხოვდები?! ორსულად არ ხარ? მეორეს როდის აჩენ? მოკლედ, ეს წრე არ მთავრდება და ქალისგან სულ რაღაცას ითხოვენ. კაცების შემთხვევაში თუ არის ეს ასე?**

– ჩემთვის ძალიან უცხოა, რასაც ახლა მეუბნები. ეგ თუ ეგრე ხდებოდა, მართლა არ მეგონა, გულწრფელად გამიკვირდა. ბავშვობიდან ისეთ გარემოში მიწევს ყოფნა და ალბათ, შენ რაც მოგწონს, მეგობრებიც ისეთივე გყავს. საქართველოში თუ ისევ იყო ასეთი რეალობა, ნამდვილად არ მეგონა. მსგავს ამბებს რომ ვიგებ, ვიშოკები, მით უმეტეს, ბიჭებზე, ყოვლად დაუჯერებელია. ბაბუაჩების ასაკის ადამიანებიც კი არ მეკითხებიან მსგავს რაღაცეებს. თუ ვინმეს წამოსცდება და იტყვის, შაყირის ობიექტი ხდება.

**– არ მოგივიდა ესე იგი ცოლის მოყვანის დრო?**

– ჯერ, ალბათ, არა, რადგან არ მომიყვანია. საერთოდ, სულ მიყვარს. შენ ძალიან კარგად იცი, რომ სიყვარულის გარეშე არ შემიძლია...

**– მაგრამ, მეჩვენება, რომ მეორე ადამიანისგან ძალიან ბევრს ითხოვ.**

– არა, საერთოდ არაფერს. უბრალოდ, მინდა, ისეთივე პასუხისმგებლობით იყოს სავსე, როგორც მე ვარ და იყოს ჩვეულებრივი, წესიერი ადამიანი. მიყვარს ჩვეულებრივი ადამიანები. ქართველებს ეს უცნაურობაც გვახასიათებს, ვიღაც რომ კარგია, არაჩვეულებრივს ვეძახით. არადა, ყველა უნდა ვიყოთ კარგი და ჩვეულებრივი და ვინც ცუდია, ის უნდა იყოს არაჩვეულებრივი. ტვინი ცოტა უცნაურად გვაქვს მოწყობილი და ეს ტრაგედიაა ჩემთვის.

**– ძალიან აქტიური ხარ სოციალურ ქსელებში და სუფთა ქართულ მომენტებს დაუზარლად ებრძვი. ხარ ასევე პოლიტიკურად ძალიან აქტიურიც.**

– კი და მიუხედავად იმისა, ამის გამო უამრავი ადამიანი მაკრიტიკებს, ვამბობ ყოველთვის იმას, რაც მგონია, რომ სწორია და არ ვხდები მედროვე. ერთი მიზეზი, რის გამოც ძველი მთავრობა მომწონდა, ის იყო, რომ ქართულ სიმახინჯეებს ებრძოდნენ – არა ტრადიციებს ზოგადად, არამედ იმას, რაც ჩვენს განვითარებას, დასავლურ მსოფლმხედველობას და ღირებულებებთან იდენტობას ხელს უშლიდა. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთიც კი დასავლეთისკენ იყურება, ჩვენ რატომ უნდა ვიყურებოდეთ იქით, საიდანაც არაფერი ჩანს, ანუ რუსეთისკენ. მაინც მეჩვენება, რომ ხალხი რუსეთისკენ იყურება და ეს ძალიან არ მომწონს. ქართველებს უნდათ, რომ სახლში იყვნენ კარგად – სახლებიც დალაგებულები გვაქვს, მაგრამ სადარბაზოებში საშინელებები ხდება, ნაგავი ყრია და ფსლის სუნია. ქვეყანა უნდა ვაქციოთ სახლად და არა სახლის ინტერესები განვაზოგადოთ ქვეყანაზე. ძალიან მარტივი მაგალითი მომყავს, მაგრამ ეს ბევრ რამეს ეხება. ეს არ ნიშნავს ტრადიციებზე უარის თქმას, უბრალოდ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენს შვილებს თანამედროვე აზროვნება ჰქონდეთ.

**– შენი სიყვარულის ამბები როგორ არის?**

– დიდი ბიჭი ვარ უკვე, მეზარება სიყვარული ჯერ. არა, რა თქმა უნდა, ყოველდღიურად მიყვარს, ადამიანები, ბავშვები, გოგოები, მეგობრები. სიყვარულის ნაკლებობას არ განვიცდი, მაგრამ აი ერთის გარშემო რომ ხარ და მორჩა - ასე არ ვარ, არ მინდა, რომ ვიყო. საკმაოდ დიდი პერიოდი გავიდა და ეს არც მაწუხებს. თან, ისეთი სიყვარული ვიცი, იქ გადავარდნა ჯერ არ მინდა. ახლა სხვა რაღაცეებზე ვარ მოტივირებული.

**ახალი მოყვანილი ჰყავს ცოლი და საერთოდ, არაფრის აზრზე არ არის**

**– ახლა როგორ რეჟიმში ხართ?**

– ძალიან დატვირთული არ ვარ. კულტურულად არის აწყობილი ყველაფერი, ღამის თენებების დრო დამთავრდა. კარგი ჯგუფი შეიკრა, ვარსკვლავური ქასთია ამ სერიალში. მგონი, კარგი გამოდის, პირველ სერიას მეორე ჯობდა, მეორეს მესამე და ეს კარგია. ძალიან განვითარდება ეს სერიალი და ყველა ისიამოვნებს, ვინც უყურებს.

**სალომე გველესიანი**

**გიორგი ჯაჯანიძე არაერთი უცნაური ისტორიის მომსწრეა, მაგრამ, ისტორია, რომელიც მას თავს გადახდა და რის შესახებაც ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში საუბრობდა, მართლაც რომ უცნაური და არაორდინარულია. უკვე წლებია, რაც ცნობილი ტელესახე მეგობრობს უცხოპლანეტელ ქალთან, რომელიც მის ცხოვრებაში ერთ-ერთი პაციენტის წყალობით მოხვდა.**

# როგორ გახდა გიორგი ჯაჯანიძე თბილისელი ქალისა და უცხოპლანეტელი მამაკაცის პაემნების მოწმე და სად არ ტოვებს მას არაამქვეყნიური მეგობარი

**გიორგი ჯაჯანიძე**: არ მიყვარს იმის შესახებ საუბარი, რაზეც ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ვისაუბრე და ახლა თქვენთანაც მოვყვები. არ ვიცი, რატომ, ალბათ, ეს თემა ჩემთვის ძალიან პირადულია და განსაკუთრებული. ჩემი ურთიერთობა უცხოპლანეტელებთან წლების წინ დაიწყო. მაშინ პაციენტებს ვიღებდი და დამიკავშირდა ქალბატონი, რომელმაც მითხრა: ძალიან ვნერვიულობ, მნიშვნელოვან თემაზე მაქვს თქვენთან სასაუბრო და, არ ვიცი რა ვქნაო. იმ ქალბატონს შორიდან ვიცნობდი, ვიცოდი, რომ წარმატებული ადამიანი იყო და კარგი კარიერა ჰქონდა. მოკლედ, ქალბატონი მოვიდა ჩემთან და მიამბო იმის შესახებ, რაც თავს გადახდა. როგორც მან მომიყვა, ერთ დღეს, როცა სახლში მარტო იყო, ლოჯიაში წამოწვა დასაძინებლად. ტანზე თბილი პლედი ჰქონდა მიფარებული. ჩაეძინა. არ ახსოვს, რამდენ ხანს ეძინა, უცბად გამოაღვიძა შეგრძნებამ, რომ ვიღაც პლედს ართმევდა. ქალბატონმა მიიხედ-მოიხედა, ოთახში არავინ იდგა, თუმცა, პლედს ვიღაც აცლიდა ტანიდან. ქალბატონი წამოდგა და ინსტინქტურად გაჰყვა პლედს. შეშინებულმა დაათვალიერა მთელი სახლი, მაგრამ, არავინ იყო. ის ისევ წამოწვა დივანზე, რა დროსაც მოხდა საოცარი მოვლენა: თითქოს კედელს გამოეყო ვიღაც და მის წინ აღიმართა მამაკაცის სილუეტი. როგორც მან ამიხსნა, მამაკაცს ჰქონდა არაამქვეყნიური გარეგნობა. „კედლიდან გადმოსული" მამაკაცი ნელ-ნელა დაიძრა ქალისკენ და, როგორც კი მას შეეხო ფეხებზე, ქალი მთელი სხეულით განათდა საოცარი სინათლით, ტანში კი ისეთი ჟრჟოლა იგრძნო, თითქმის გონება დაკარგა. ქალის მეხსიერებას შემორჩა საოცარი შეგრძნება – სექსუალური აღგზნება, მაგრამ, არ ახსოვდა განცდა სექსუალური აქტის, რომელიც მასთან უცხოპლანეტელ მამაკაცს ჰქონდა. როგორც ქალბატონმა აღმიწერა, აქტის დამთავრების შემდეგ ქალს თვალები არ გაუხელია, მაგრამ, როგორც კი კაცი ოთახიდან გაქრა, სხეულით იგრძნო, რომ ის იქ აღარ იყო. ქალმა მითხრა, რომ მისი წასვლის შემდეგ შეხედა საათს და დაინახა, რომ იყო საღამოს ცხრა საათი. ახლა რატომ ვაკეთებ აქცენტს საათზე, იმიტომ, რომ მომდევნო დღეებშიც მამაკაცი ზუსტად იმავე დროს ესტუმრებოდა ხოლმე. ქალი დივანზე ელოდა „დაუპატიჟებელ" სტუმარს, რომელიც მიდიოდა მასთან სახლში და ინტიმურ კავშირს ამყარებდა. მეოთხე დღეს მამაკაცი აღარ გამოჩნდა, სწორედ ამის შემდეგ მომძებნა იმ ქალბატონმა, რომელიც შეშინებულიც იყო და გაოგნებულიც და, რაც ყველაზე მთავარია, უკვე სხეული სთხოვდა კავშირს ამ მამაკაცთან. ჩემს სტუმარს ბევრი ნიუანსი გამოვკითხე – ვიფიქრე, ხომ არ აწუხებდა სექსუალური დაუკმაყოფილებლობა, მაგრამ, მითხრა, რომ ჰყავდა მეგობარი მამაკაცი, რომელთანაც ჰქონდა ძალიან კარგი ინტიმური ურთიერთობა, მაგრამ, მის ცხოვრებაში მომხდარი ამ უცნაური ისტორიის შემდეგ, იმ მეგობრის დანახვაც კი აღარ სურდა. ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. პირველად ჩემს ცხოვრებაში, ვერ მივხვდი, რა უნდა მერჩია ქალბატონისთვის, რომელიც ისეთი დაბნეული იყო სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს. ერთადერთი, ის გავიფიქრე, რომ ქალბატონს იმ უცხოპლანეტელის დაბრუნებაში უნდა დავხმარებოდი. საკმაოდ ბევრი რამ მქონდა წაკითხული უცხოპლანეტელებზე, მაგრამ, უშუალო კონტაქტორს არ ვიცნობდი. პირველად ის გავიხსენე, რომ ქალბატონს ვასწავლე, თუ როგორ უნდა გაეხსნა სივრცე უცხოპლანეტელისთვის და როგორ უნდა მოეზიდა ის.

– **და, რა არის ეს მეთოდი?**

– ბინიდან უნდა გაიტანოთ ყველა საათი, თუნდაც გაჩერებული ან გაფუჭებული; გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დადგათ წყლით სავსე რკინის ვედრო. მამაკაცი დაბრუნდა ბინაში და მოხდა სასწაული – სექსის შემდეგ მათ შორის შედგა საუბარი. ქალი საუბრობდა უხმოდ, პასუხობდა მამაკაცის მიერ დასმულ შეკითხვებს და შეკითხვებს სვამდა თავადაც. ამის შემდეგ მამაკაცი ძალიან მიეჩვია ამ ქალს, რომელიც ჩემთან საუბარში ამბობდა, რომ უცხოპლანეტელზე გათხოვდა. მან ამ მამაკაცს სახელად შალვა დაარქვა და თავი მის ცოლად ჰყავდა წარმოდგენილი. როცა მირეკავდა ხოლმე, შალვას ამბავსაც ვეკითხებოდი. ერთ დღეს, ქალბატონმა მითხრა, რომ შალვას ჩემი გაცნობა უნდოდა, რადგან, მისთვის უთქვამს, რომ არა გიორგი, მე შენ დაგკარგავდიო. ამის შემდეგ შალვამ უთხრა, რომ მოვიდოდა სტუმრად დასთან ერთად და სადილზე მეც უნდა ვყოფილიყავი.



15 წელია, უცხოპლანეტელი ლარა ჩემს ცხოვრებაში არსებობს, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ

– **უცნაურ ამბავს ყვები.**

– მაშინ ჩემთვისაც უცნაური იყო ეს ამბავი, თავიდან მეც ცოტათი სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, რადგან, ჩემთვის ეს ყველაფერი ძნელად დასაჯერებელი იყო. მახსოვს, სწორედ ამ განწყობით მივედი სადილზე. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მასპინძელს სუფრა ოთხ ადამიანზე ჰქონდა გაწყობილი. მე ვერ ვხედავდი ორ სტუმარს, თუმცა, მასპინძლის მიმიკითა და ღიმილიანი სახით, რომელსაც ხან აქეთ აბრუნებდა და ხან – იქით, მივხვდი, რომ ჩვენ ორნი მარტონი არ ვიყავით. იქიდან ისე წამოვედი, თავი ფილმის პერსონაჟი მეგონა. მოგვიანებით მასპინძელმა მითხრა, რომ მის უცხოპლანეტელ სტუმრებს ძალიან მოვეწონე. ამის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და ჩემთან კავშირის დამყარება სცადა შალვას დამ, რომელსაც მე ლარა ვუწოდე. მქონდა შეგრძნება, რომ მას იქ, თავის სამყაროში, ლარა უნდა რქმეოდა.

**ქალს ჰქონდა სექსი უცხოპლანეტელთან, რის შემდეგაც მამაკაცი ქრება და იმავე დროს მიდიოდა მის სახლში**

– **ლარასთან კავშირი დღესაც გაქვს?**

– ეს წლებია გრძელდება, ეს არ არის სექსუალური კონტაქტი, ესაა ღრმა კავშირი, რომელიც შეიძლება დამყარდეს ყველგან – სახლში, სამსახურში, ქუჩაში, შეხვედრაზე. ვირტუალური კონტაქტი სხვაგვარად მყარდება, ჩვენ ვხედავთ ერთმანეთს და ვსაუბრობთ უხმოდ, რაც უფრო ხშირად გამთენიისას ხდება. ლარა ბევრ რამეს მასწავლიდა. ის ძალიან კეთილია და, როცა ვჩხუბობ ან ვინმეზე გაბრაზებული ვარ, ცდილობს, დამაწყნაროს, დამამშვიდოს. ამ კავშირს მარტო მე ვგრძნობ, ვგრძნობ შიგნით, სხეულში, სულში. ლარა ბევრ ამქვეყნიურ მეგობარზე უფრო ერთგული და სანდოა. მან მასწავლა, როგორ უნდა დავეხმაროთ ადამიანები ერთმანეთს, მოსწონს ჩემი კეთილი გული – იცის, რომ კეთილი გული მაქვს. თუმცა, ზოგჯერ არ მოსწონს ჩემი მოქმედებები. როცა წარბები გავიპარსე, მითხრა: უი, როგორ ჩვენებურს დაემსგავსეო და ბევრი იცინა. მახსოვს, ერთხელ, ნოდარ მელაძის გადაცემაში ვიყავი სტუმრად. გადაცემის თემა იყო უცხოპლანეტელები და, უცებ, ვიგრძენი, რომ ლარა იყო სტუდიაში, ჩემ გვერდით. გადაცემას ესწრებოდა ია ფარულავაც, ლარამ ისე, რომ მხოლოდ მე მესმოდა, მითხრა: უთხარი იმ ლამაზ ქალბატონს, რომ მალე გათხოვდებაო, როგორც იცით, ახდა ეს სიტყვები. როგორც მოგვიანებით გავიგე, უცხოპლანეტელები კავშირს ამყარებენ მათთან, ვისაც ხილვის უნარი აქვს, როგორც ჩანს, ეს ლარას დამსახურებაც არის – სწორედ მისგან მოდის ხილვის უნარი, რის გამოც ჯადოქრობაც კი დამაბრალეს. სიყვარულის წამალი იცისო, ხომ ამბობდნენ ჩემზე, ჰოდა, ჩათვალეთ, რომ ეს წამალი ლარამ მასწავლა. ბოლო პერიოდში კვლავ ხშირად ვგრძნობ საკუთარ თავში ხილვის უნარს, მაგრამ, ამაზე აღარც კი ვსაუბრობ. ცოტა ხნის წინ იძულებული გავხდი, ჩემი მეგობრისთვის დამერეკა და მეთქვა, რაც მასზე „ვნახე" – რომში მიფრინავდა. დავურეკე და ვუთხარი: რომში არ წახვიდე, მგონი, შენ თბილისში უნდა იყო-მეთქი. გაგიჟდა – რომში წასვლაზე უარი შენი ხილვის გამო ვთქვაო?! მაგრამ, რაღაც მოხდა და მართლა ვერ გაფრინდა. სწორედ იმის გამო, რომ თბილისში დარჩა, მან გადაარჩინა დედა, რომელსაც ინსულტი დაემართა. იმ დროს, როცა ეს მოხდა, ჩემი მეგობარი სახლში რომ არ ყოფილიყო, შეიძლება, ველარ გადაერჩინათ. აი, ასეთი უცნაურები არიან ადამიანები – სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდიან, არ სჯერათ, მაგრამ, ამ თემებზე აქცენტირება აღარ მინდა – ეკლესიაში დავდივარ, მოძღვარი მყავს და არ მსურს, ამაზე ახალ-ახალი სკანდალები აგორდეს. მე არ მჯერა ცრუმორწმუნეების, არ ვარ ზოგიერთივით მოდური მორწმუნე და სამარხვო ტორტი. ამდენი სკანდალური ეპითეტით, იძულებულს მხდიან, ჩემს რელიგიურ მრწამსზე ვისაუბრო, თორემ, ამ თემებზე ხმამაღლა საუბარი როგორ შეიძლება?

– **ამ თემაზე სპეციალისტებთან თუ გისაუბრია, ვინც უცხოპლანეტელებთან ადამიანების კავშირებს იკვლევს?**

– რად მინდა კვლევა, მე საკუთარ თავზე გამოვცადე ის, რაზეც წლებია, მეცნიერები მუშაობენ. არ მჭირდება გარკვევა და სპეციალისტები. რა უნდა მითხრას ამ სფეროს სპეციალისტმა? ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება. ლარა არის საოცარი ადამიანი – კეთილი, მშვიდი, სანდომიანი. უკვე 15 წელია, ლარა ჩემს ცხოვრებაში არსებობს, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ და მასთან კომფორტულად ვგრძნობ თავს.

**თამუნა ნიჟარაძე**

**ქრისტიანების დიდმა ნაწილმა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად დადის ეკლესიაში, ლოცულობს, ეზიარება, მაინც არ იცის იმ რამდენიმე არასწორი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ისინი ხშირად ვარდებიან. შესაბამისად, არც ის იციან, როგორ გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან. რა არის ეს რამდენიმე მდგომარეობა, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ არ უნდა ფიქრობდეს ქრისტიანი მუდმივად მომავალზე და რა ცოდვებს იწვევს ადამიანის მიერ წარსულზე ჩაციკვლა

– ერთ-ერთი არასწორი მდგომარეობა, რომელშიც ადამიანი ხშირად ვარდება, არის წარსულზე ჩაციკვლა, რაც განსაკუთრებულად გვეხება ქართველებს: „რა მაგარი მეფე იყო დავითი, თამარი, რა კარგად ვცხოვრობდით ადრე, ყველგან რა მაგრები ვიყავით ქართველები...“ ისეთი მაგრები რომ ვყოფილიყავით, როგორც ქართველების უმეტესობას ჰგონია, დღეს ასეთ საწყალ მდგომარეობაში აღარ აღმოვჩნდებოდით. შეიძლება, რამდენიმე საუკუნე გამოვარჩიოთ ისტორიიდან, როდესაც ჩვენთან მართლაც იყო ოქროს ხანა, თუმცა, ხშირად ვიჩენდით უგუნურებას, ბევრი შეცდომა დაუშვა ჩვენმა წინაპარმა. გვყავდა ბევრი წმიდანი, მაგრამ, რამდენი სირცხვილია აღწერილი ჩვენს ისტორიაში, ეს, ალბათ, კარგად იცით. მსოფლიოს ჩემპიონი თუ მუდმივად იკვეხნის იმას, რომ მსოფლიოს ჩემპიონია და არ ემზადება ოლიმპიური ჩემპიონობისთვის, იმასაც დაკარგავს, რაც მანამდე ჰქონდა. ამიტომ, თუ ვიძახებთ იმას, რომ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში მაგრები ვიყავით და, ახლა, როდესაც უკვე თითქმის ათი საუკუნე გავიდა, სულს ვლაფავთ, მგონი, სატრაბახო არაფერი გვაქვს. ამიტომ, უნდა მივხვდეთ, რით იყო თამარის სამეფო ძლიერი – მაშინ მოზარდებიც კი აღმსარებლები, მაზიარებლები, ეკლესიურები იყვნენ. თუმცა, მისი ძე ლაშა-გიორგი, რომელიც კარგი მხედართმთავარი იყო, მრუშობის ცოდვაში ჩავარდა, მას მიჰბაძა მისმა ამალამ, მთელმა ერმა და, რა შედეგიც მივიღეთ, ეს ყველამ ვიცით. როცა ხელისუფლების სათავეში მდგარი მრუშობის ან სხვა რომელიმე მძიმე ცოდვაშია, მერე ამას იმეორებენ მის ქვემოთ მდგომი ადამიანები, ეს კი ხდებოდა როგორც ადრე, ასევე დღესაც – ერშიც და ეკლესიაშიც. მაგალითად, როდესაც გაიგებენ, რომ ეპისკოპოსი ან მღვდელი მრუშობს, მერე მისი მრევლიც მრუშობს. ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ ვართ დღეს ამ მდგომარეობაში. ასე რომ, ჩაციკლულები კი არ უნდა ვიყოთ წარსულზე, არამედ, რა ხინჯიც გვქონდა, ის უნდა გამოვასწოროთ. რაც მთავარია, ზნეობა უნდა ამაღლდეს ჩვენში – ჩვენი ქვეყნის მომავალი და ბედნიერება პირდაპირპროპორციულია ჩვენს ზნეობასთან. წარსულით კი არ უნდა ვიამაყოთ, კარგად უნდა გადავხედოთ აწმყოს და, მერე მივხვდებით, როგორი იქნება მომავალი.



**რისი გეშინიათ, ადამიანებო! ღმერთი თუ გწამს, არ იქნები მშიერი; ჭერიც გექნება, საჭმელიც. უბრალოდ, ჩვენ იოლი ცხოვრება გვინდა, ეს კი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებს**

**– რა არის შემდეგი არასწორი მდგომარეობა, რომელშიც ხშირად ვვარდებით თანამედროვე ადამიანები?**

– კიდევ ერთი მდგომარეობაა, ვთქვათ „არ შემიძლია“ და, ამგვარად, საკუთარი თავი განვაწყოთ წარუმატებლობისთვის. მაგალითად, შემოგთავაზეს თანამდებობა, ან, რაღაც საქმე, ან მოძღვარმა დაგვავალა რაღაცის გაკეთება, მაგრამ, ჩვენ ვამბობთ: „არ შემიძლია, აქ ვერ წავალ, ვერ ვილოცებ...“ თუმცა, ამის თქმა ქართველებს იშვიათად გვახასიათებს, რადგან, უმეტესობა პირიქით ამბობს: „მე მინდა პრეზიდენტი ვიყო, სტიქაროსანი, თანამდებობის პირი,“ მაგრამ, ბევრი აცხადებს: „მე ეს არ შემიძლია“ – ანუ, წინასწარ იჭრიან გზას და ეს უფრო ურწმუნო ადამიანის მდგომარეობაა, რომელმაც არ იცის, რომ ღმერთი დაეხმარება, შეეწევა. ზოგჯერ მიკითხავს მამაკაცისთვის: „შვილო, რატომ არ მოგყავს ცოლი?“ ის კი მპასუხობს: „არ შემიძლია. მეც მშიერი ვარ და მას რა ვაჭამო?“ ახალგაზრდა ადამიანო, თუ მშიერი ხარ და ამიტომ არ მოგყავს ცოლი, მაშინ, ცოტა მიდექ-მოდექი, გააქტიურდი, სხვა შემთხვევაში, შენც ხომ მშიერი მოკვდები და, რა შუაშია აქ ცოლის მოყვანა?! ასეთ მდგომარეობაში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა: წლები მოემატათ და, რას აპირებენ, რას ფიქრობენ – არავინ იცის. ასე ხომ საბოლოოდ გადავგვარდებით, ქართველი გოგონები კი უცხოელ მამაკაცებზე გათხოვდებიან და მათ ჯიშს გაამრავლებენ. რისი გეშინიათ, ადამიანებო? თუ ღმერთი გწამთ, არ იქნებით მშიერი, ჭერიც გექნებათ, საჭმელიც. უბრალოდ, ჩვენ იოლი ცხოვრება გვინდა, ეს კი ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებს.

**– როგორია მომდევნო მდგომარეობა?**

– ეს არის საკუთარი აზრისა და გრძნობების გამოხატვისგან თავის შეკავება. თუმცა, ეს ქართველებს დიდად არ გვჩვევია – მაშინვე გვიყვარს საკუთარი აზრის სხვისთვის თავს მოხვევა, გრძნობების გამოხატვა, განსაკუთრებით – სუფრაზე, ერთმანეთის ჩახუტება, სიყვარულის ახსნა. არადა, ვინ გიყვარს, რა გიყვარს... საბოლოოდ ხომ ყველაფერი ჩხუბითა და აყალმაყალით მთავრდება, ჭორაობით და ზურგს უკან განკითხვით?! რაც შეეხება ამ მდგომარეობას, ეს ნიშნავს იმას, რომ, უნდა გამოთქვათ საკუთარი აზრი, თავი არ უნდა შეიკავოთ ამისგან, მაგრამ, რა აზრსაც გამოთქვამთ, ის უნდა გააკეთოთ და არა სხვა რამ. ანუ, ის თქვი, რასაც გულში ფიქრობ და რის გაკეთებასაც აპირებ. თუმცა, დღეს, სხვებივით, ბევრი მოძღვარიც ხშირად ეუბნება მრევლს: „თქვენი ჭირიმე, რა ლამაზები, რა კარგები ხართ, თქვენნაირი მრევლი არავის ჰყავს“... და ასე შემდეგ, ეს კი მხოლოდ და მხოლოდ პირმოთნეობაა. შემდეგ ეს მრევლი მოძღვარს უბრუნებს: „რა კარგი ხართ, მამაო, თქვენზე განათ-

**როდესაც გაიგებენ, რომ ეპისკოპოსი ან მღვდელი მრუშობს, მერე მისი მრევლიც მრუშობს. ამიტომაც, არ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ ვართ დღეს ამ მდგომარეობაში**

ლებული მოძღვარი არ არსებობს...“ – ეს ფარისევლობაა. ამიტომ, ჯობია, ვთქვათ ის, რაც სწორი და მართებულია, ამბიონიდან იქნება ეს თუ სხვაგან. როცა ერთმანეთს შეხვდებით, მაშინაც პირდაპირ უთხარით: „როგორი ზარმაცი ხარ, წინა კვირას რატომ არ იყავი ეკლესიაში; ან – რატომ არ მუშაობ კარგად, რატომ იქცევი არასწორად,“ და არა ის, რომ: „ვიცი შე, საბრალოვ, რატომ ვერ მოხვედი, რატომ არ აკეთებ ამას,“ – მერე შემობრუნდები და ზურგსუკან სულ სხვა რამეს ამბობ მასზე. როცა ადამიანს სიმართლეს ეუბნები, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მისთვის ცუდი გინდა, არამედ, უნდა აუხსნა, რომ, თუ ასე გააგრძელებ, შეიძლება, ჯერ ეკლესიის მრევლი აღარ იყო, ხვალ სამსახური დაკარგო, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდე; ასე თუ განაგრძობ, ასე თუ იცხოვრებ, შეიძლება, ოჯახიც ვერ შექმნა. შეიძლება, ეს უთხრა იმ გოგონას ან ბიჭს, რომელიც არასწორად ცხოვრობს, ოღონდ, ეს პირში უნდა უთხრა და არა ზურგს უკან – ეს იქნება თქვენი მხრიდან ჭეშმარტი ქრისტიანული დამოკიდებულება. შემდეგი მდგომარეობაა მომავალზე ფიქრი. ადამიანს ამ დროს არც წარსული ახსოვს და არც აწმყო, წამოგორებულია და მხოლოდ მომავალზე ფიქრობს. სახარება გვასწავლის: „იფიქრე დღევანდელ დღეზე, რამეთუ, არ იცი, ხვალინდელი დღე რას მოგიტანს.“ შენ თუ მხოლოდ მომავალზე ფიქრობ, რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა, რადგან, თუ დღეს არ დათესე, ხვალ ვერაფერს მოიმკი. დღეს თუ არ თოხნი, არ ბარავ, ხვალ რა მოსავალი უნდა მიიღო?! რა იცი, რომ დღევანდელი დღე დაგიღამდება, ან, გაგითენდება დღევანდელი ღამე?! ამიტომაც გითხრათ სახარებამ: „ხვალინდელმა დღემ იფიქროს თავის თავზე, დღევანდელს საფიქრალი საკმარისად აქვს.“ ჯერ ხომ არ დაღამებულა, ხომ არ იცით, რა მოხდება? ამიტომ, ცუდზეც უნდა იფიქროთ და კარგზეც და არა მხოლოდ იმაზე, რომ, „ხვალ ცოლს მოვიყვან, ხვალ წავალ ეკლესიაში, ხვალ ვიშრომებ, ხვალ ამას გავაკეთებ...“ ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ, ბევრს დილა არც კი უთენდება. ამიტომ, იცხოვრეთ დღევანდელი დღით, თუმცა, ხვლინდელის იმედი არასდროს დაკარგოთ.

**– არსებობს კიდევ სხვა მდგომარეობა?**

– არის კიდევ ერთი მდგომარეობა – ისეთი დაპირებების გაცემა, რომელთა გაკეთებასაც ვერ შეძლებ. არ შეიძლება, ვინმეს პირობა მისცე, რამეს დაჰპირდე და მერე ველარ ან აღარ შეასრულო. დილის ლოცვებში ხომ კითხულობთ: „ყოველივე სიტყვის მიცემისგან ულონო ვარ,“ რადგან, დღეს ფიქრობ ერთს, ხვალ კიდევ – მეორეს და ასე შემდეგ. ამიტომ, ნუ შეჰპირდებით ნურც ღმერთს, ნურც მოძღვარს, ნურც შვილებს ნურაფერს; ნუ მოატყუებთ მათ, რომ რაღაცას უყიდით, რაღაცას გაუკეთებთ. დაჰპირდებით, არ შეუსრულებთ და – შემდეგში ეს ბავშვები სიცრუეში იზრდებიან და სიცრუის მქადაგებლები ხდებიან. „მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“ – აი, რას ითხოვს ღმერთი თქვენგან. როცა რაღაც გაქვთ, უნდა თქვათ: „ღმერთმა მომცა და ღმერთი მომცემს იმის საშუალებას, რომ გავცე“. ზოგჯერ, როდესაც მრევლი ხედავს, როგორ ყელმოღერებით დგანან ეკლესიაში ის ადამიანები – ბიზნესმენები, ბანკირები, რომლებმაც სხვას სახლი წაართვეს, ქონება დაუყადაღეს და ეს ფაქტი ბევრ ადამიანს აბრკოლებს, უჩნდებათ კითხვა: „რატომ?“ იმიტომ, რომ მათ რაღაც ააშენეს, შესწირეს ეკლესიას, მამაოს და, ამიტომაც, მოძღვარს ის დიდი შემომწირველი, მეცენატი ჰგონია. არადა, ასე არა არის. იცოდეთ, რომ, თუ რამე თანხა გაქვთ, რამე წყალობა, ეს ღმერთის დამსახურებაა, მან მოგცათ. ამიტომ, კეთილი ინებეთ, ეკლესიასაც შესწირეთ, ახლობლებსაც, გაჭირვებულსაც და გექნებათ საუნჯე ცათა შინა.

**ნათია უტიაშვილი**

# მონანული ცოდვილის აღსასრული

1907 წელს ნოვგოროდის გუბერნიის ერთ-ერთ პატარა სოფელში ადგილობრივმა მღვდელმა ასეთი რამ გაიხსენა:

– იმ სოფელში, სადაც ვმსახურობდი, ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად დიმიტრი. მართალია, ქრისტიანი იყო, მაგრამ, უხამს ცხოვრებას ეწეოდა, ბილწსიტყვაობდა, ლოთობდა, მრუშობდა, ერთი სიტყვით, უკანასკნელი ადამიანი იყო. დიდხანს ცხოვრობდა ასე და მისი გამოსწორების იმედიც კი აღარ გვქონდა, მაგრამ, მოხდა ისე, რომ ერთხელ სახნავში წასვლა გადაწყვიტა. როგორც კი საბძელში შევიდა, უეცრად ვიღაცამ კეფაში ძლიერად დაარტყა, თანაც, ისე, რომ პირქვე დაეცა და ცხვირ-პირი დაუსისხლიანდა. საბძელი ცარიელი იყო, დიმიტრიც სრულიად ფხიზელი გახლდათ. ამ ამბავმა იგი ძლიერ შეაძრწუნა. შემდეგ თავად მიყვებოდა: „მინდორში წავედი, სახე სულ სისხლში მქონდა მოსვრილი. წყაროსთან პირი მოვიბანე, მაგრამ საქმის დაწყება ვერ შევძელი, სულ ვფიქრობდი: ნეტავ, რა დამემართა-მეთქი? დავჯექი და, დიდხანს ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, უწინდელი, ცოდვილი ცხოვრებისთვის თავი დამენებებინა და ღვთივსათნო ცხოვრება დამეწყო. შუაგულ მინდორში მუხლებზე დავეცი, ავტრიდი, ჯვარი გადავისახე და ხმამაღლა მივმართე უფალს: „შენს სახელს ვფიცავ, აღარ შევცოდავ“. მას შემდეგ სულ სხვა ადამიანად ვიქეცი – უწინდელ ცხოვრებას შევეშვი: აღარ ვქურდობდი, სმას თავი დავანებე, აღარც ვიგინებოდი, აღარც ვმრუშობდი...

– რა? ვკითხე დიმიტრის, – ნუთუ ფიცის შემდეგ ცდუნება არ გქონია?

– როგორ არა, მამაო, ცდუნებებიც იყო, გული ისევ ძველი ცხოვრებისკენ მიმიწევდა. ერთხელ კი, ლამის თავი ვეღარ შევიკავე. მეზობელ სოფელში დღესასწაულობდნენ და ბაზრობა იყო გამართული, მეც იქითკენ გავეშურე. გზაში ვხედავ, ვიღაცის საფულე გდია, თანაც, ფულით გატენილი. მეც მაშინვე ჯიბისკენ გავიქანე, ფულიც კი არ დამითვლია, ისე ვჩქარობდი, რომ ვინმეს არ დავენახე. ერთი კი დანამდვილებით ვიცოდი, რომ საფულეში ქაღალდის ფულიც და ვერცხლიც უამრავი იყო. გზა განვაგრძე და თან ვფიქრობ: ამ საფულეს არავის მივცემ, პატრონიც რომ შემომხვდეს, არ დავუბრუნებ, ძლივს ამხელა ქონება მეღირსა... და, უეცრად, გზაზე ისევ პირქვე დავეცი, მაშინდელივით სახე ისევ დავისისხლიანე, თუმცა, ნასვამი არც ახლა ვიყავი. უშვერი სიტყვებით შევიგინე და იმავე წამს ჩემს თავზე რაღაც ახმაურდა, თითქოს უზარმაზარი ფრინველი დამტრიალებდა. ავიხედე და ადგილზე გავიყინე: ჩემ პირდაპირ, ჰაერში, ფრთოსანი ანგელოზი იდგა. „დიმიტრი! – მრისხანედ მომმართა მან, – სადაა შენი ფიცი? მე ხომ გავიგონე, მინდორში რომ შეჰფიცე უფალს, ახლა კი ისევ უწინდელს უბრუნდები?“

მთელი სხეულით ავცახცახდი, როცა გონს მოვეგე, ჯიბიდან საფულე ამოვიღე და შორს მოვისროლე. დღესასწაულზე აღარ წავსულვარ, სახლში დავბრუნდი და განცდილ ამბებზე დიდხანს ვფიქრობდი“.

– ეს ამბავი დიმიტრიმ თავად მომითხრო, – განაგრძობდა თხრობას მოძღვარი, – ამის შემდეგ მის შესახებ მხოლოდ კარგს თუ გაიგონებდით, ძირფესვიანად შეიცვალა.

ანგელოზის გამოცხადებიდან ათი წელი იყო გასული, მაგრამ, დიმიტრი თავისი ფიცის ერთგული რჩებოდა. მე უკვე სხვაგან ვმსახურობდი, როდესაც ჩემთან მისი სოფლიდან ჩამოვიდნენ და შემატყობინეს, რომ დიმიტრი ავად გამხდარიყო და თავისთან მიხმობდა. მაშინვე მისკენ გავეშურე. ქოხში შევედი და დავინახე, რომ იგი თვალდახუჭული იწვა. როგორც კი დავუძახე, მაშინვე წამოხტა.

– მამაო! – შესძახა მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულმა დიმიტრიმ, – ახლა, თქვენ წინაშე, კიდევ ვიხილე ანგელოზი. მან მითხრა, რომ უნდა მოვემზადო, რადგან, ამაღამ გარდავიცვლები.

დიმიტრიმ აღსარება მითხრა და ვაზიარე. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ძლიერი იყო. ამიტომ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მალე აუცილებლად გამოჯანმრთელდებოდა, არც გარეგნულად ეტყობოდა მძიმე ავადმყოფობის ნიშნები, მაგრამ, ანგელოზის გამოცხადების შესახებ რა მეფიქრა, არ ვიცოდი.

დიმიტრი იმავე ღამეს გარდაიცვალა.

**სერგი ნილუსის წიგნიდან – „ღვთის მდინარის ნაპირას“**

# მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: **ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გავიგე, რომ, თურმე, მღალატობდა. ძალიან მიმძიმს ამ ყველაფრის შემდეგ მის საფლავზე მისვლა, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: თქვენი გარდაცვლილი მეუღლის მიწიერი ცხოვრებისეული ცოდვები ღმერთისა და იმ ადამიანის საიდუმლოა. თქვენ ხომ არ იცით, მოინანია თუ არა მან ეს ცოდვები სიკვდილის წინ უფლის წინაშე. თქვენი ვალია, იზრუნოთ ამ ადამიანის სულზე – იქნება ეს საფლავზე ზრუნვა თუ პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად.

კითხვა: **სად წავიღო ისეთი ლოცვის წიგნი, რომლის ფურცლები ხანგრძლივი ხმარებისგან გაიცრიცა და ტექსტი აღარ იკითხება?**



**პასუხი**: ისევე, როგორც ხატები, ლოცვებიც, რომელთა ტექსტი აღარ იკითხება, უნდა დაიწვას სადმე სუფთა ადგილას. ეს ცოდვაში არ ჩაგეთვლებათ.

კითხვა: **სამწუხაროდ, არ ვარ მონათლული. მაინტერესებს, რომელ საეკლესიო საიდუმლოებებში მეკრძალება მონაწილეობის მიღება?**

**პასუხი**: თქვენ ყოველნაირ ქრისტიანულ საიდუმლოებებში გეკრძალებათ მონაწილეობის მიღება. რა გიშლით ხელს, რომ მოინათლოთ? თქვენ, რადგან მოუნათლავი ხართ, მფარველი წმიდანიც არ გყავთ, მისი მფარველობა მხოლოდ მონათვლის შემდეგ მოგენიჭებათ. ეცადეთ, სწრაფად მოინათლოთ. ეს თქვენი მეორედ სულიერად დაბადება იქნება. მანამდე კი, შეგიძლიათ, წირვა-ლოცვაზე დაესწროთ იმ მომენტამდე, როცა მოძღვარი კათაკმევლებს არ სთხოვს, დატოვონ ტაძარი.

კითხვა: **დასაშვებია თუ არა ეკლესიაში ჯვარდაწერილთათვის საქორწინო სარეცელზე ყოველგვარი ქცევა?**

**პასუხი**: ქორწინება ეკლესიისგან არის კურთხეული, მაგრამ დაუშვებელია ჯვარდაწერილებისთვის სარეცელზე უკუღმართი სექსუალური ურთიერთობის დამყარება. ეს უმძიმესი ცოდვაა.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## „მრისხანება ხანმოკლე სიცოფეა“

ერთ-ერთმა ძმამ, რომელსაც მონასტერში ცხოვრებისას ხშირად სძლევდა მრისხანება, საკუთარ თავს უთხრა: უდაბნოში წავალ, აღარავის წავეჩხუბები და ვნებისგანაც დავცხრებიო. მონასტრიდან გავიდა და უდაბნოში ცხოვრებას შეუდგა. ერთხელ ჭურჭელი წყლით აავსო და მიწაზე დადგა. უეცრად, დოქი გადაყირავდა. მეორედაც და მესამედაც იგივე განმეორდა. ბერი განრისხდა, დოქს ხელი სტაცა, მიწაზე დაანარცხა და ნამსხვრევებად აქცია. გონს რომ მოეგო, მიხვდა – მტერი დასცინოდა და გაიფიქრა: „მარტოდ ვარ, მაგრამ, მრისხანების ვნებამ აქაც მომაგნო. ჯობს, მონასტერში დავბრუნდე, როგორც ჩანს, ყველგან საკუთარ თავთან ბრძოლა და მოთმინებაა საჭირო, განსაკუთრებით კი – ღვთის შეწევნა,“ – და ბერი მონასტერს დაუბრუნდა.

## მართალი სარწმუნოების გარეშე ხსნა შეუძლებელია

ბერი კირიაკოსი მდინარე იორდანის სიახლოვეს, ვიწრო სენაკში ცხოვრობდა. ერთხელ მასთან ერთი ძმა, სახელად თეოფანე მივიდა ბერობის უმკაცრესი წესების სასწავლად. როდესაც კირიაკოსმა მას მორჩილებისა და სიწმინდის შესახებ დაუწყო საუბარი, ღმრთივკურთხეული საუბრით აღფრთოვანებულმა მოსულმა დანანებით უთხრა: „არაფრით არ დაგტოვებდი და სიკვდილამდე შენთან დავრჩებოდი, მაგრამ, როგორც ნესტორიანელთა (ნესტორიანელობა – ერეტიკული მიმდინარეობა მეხუთე საუკუნეში) თანამზრახველი, ჩემს ძმობას უნდა დავუბრუნდე!“ კირიაკოსმა ნესტორის სახელი რომ გაიგო, შეწუხდა სტუმრის სულის გამო, შეევედრა, შეერთებოდა წმიდა სამოციქულო ეკლესიას: „ხსნისკენ გზა ერთადერთია, ისევე უნდა იფიქრო და გწამდეს, როგორც ფიქრობდნენ და სწამდათ წმიდა მამებს“. მაგრამ, ბერმა უპასუხა: „ყველა ერესი ამტკიცებს, რომ ადამიანს მხოლოდ მათი აღმსარებლობით შეუძლია გადარჩენა. რა ვქნა ამის შემდეგ მე საწყალმა? ყველა ღვთივსულიერს ეძახის საკუთარ სწავლებას, როგორ გავარჩიო მე ჭეშმარიტება ცთომილებისგან? ღმერთის კაცო! შესთხოვე უფალს, როგორმე გამინათოს სულიერი თვალი“. კირიაკოსმა უთხრა: „დარჩი ჩემს სენაკში და გწამდეს, რომ ღმერთი გამოგიცხადებს ჭეშმარიტებას“, – თვითონ კი განცალკევდა და ლოცვა დაიწყო ღმრთის წინაშე თავისი სტუმრისთვის.

მეორე დღის მეცხრე საათი იქნებოდა, როდესაც ნესტორიანელს წარმოუდგა კარგი გარეგნობის, მაგრამ, მრისხანე ჭაბუკი და უბრძანა, გაჰყოლოდა. უცებ ნესტორიანელი ბნელი და მყრალი ადგილის ზღურბლთან აღმოჩნდა, სადაც მან ცეცხლის ალით ოდნავ განათებულ ადგილას დაინახა ნესტორი, დიოსკორი, არიოზი და სხვა ერეტიკოსები, რომლებიც კვნესოდნენ აუტანელი ტანჯვისაგან. ჭაბუკმა თქვა: „ესაა ამათი ადგილსამყოფელი, რომლებიც უწმინდურად ბრძნობდნენ; აქვე იქნებიან მათი მიმდევრებიც. თუ შენ ეს ადგილი მოგწონს, მიეხმარე ნესტორის ან რომელიმე სხვა უწმინდურის წვალებას. თუ ამ სასჯელის გეშინია, შეუერთდი წმიდა სამოციქულო ეკლესიას, რომლის წევრია იორდანის მეუდაბნოე. ჭეშმარიტებას გეუბნები და ნუ დაივიწყებ ამას: ადამიანს ყველა სათნოება რომ ჰქონდეს, მაგრამ, უკეთურად აზროვნებდეს, ამ ადგილას მოხვდება“. ამის შემდეგ ჭაბუკი უხილავი გახდა. ნესტორიანელი გონს რომ მოეგო, ყველაფერი კირიაკოსს უამბო და სასწრაფოდ შეუერთდა მართლმადიდებელ ეკლესიას. მან თავის მოძღვართან რამდენიმე წელი იცხოვრა და აღესრულა სიმშვიდეში.

**მოამზადა რევაზ ტომარაძემ**

# მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე დარჩენილი ვარსკვლავები

*2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასრულდა და ცნობილია ის 32 ეროვნული ნაკრები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიაში დაგეგმილ მუნდიალზე. სამწუხაროდ, ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატი არაერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავის გარეშე ჩაივლის, რადგან, მათმა ნაკრებმა გუნდმა ვერ მოახერხა შესარჩევი ეტაპის გადალახვა.*

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი)

ზედიზედ მეორე მუნდიალი ჩაივლის ზლატანის გარეშე. თანამედროვე ფეხბურთის უკაშკაშესმა ვარსკვლავმა ორ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა (2002 და 2006 წლებში), მაგრამ, მისი ვარსკვლავური კარიერის საუკეთესო წლებმა მუნდიალის გარეშე ჩაიარა. ზლატანი შვედეთის ნაკრების ლიდერია, თუმცა, მისი მონდომება არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ პორტუგალიის ნაკრების ბარიერი დაძლეულიყო. „პსჟ"-ს ვარსკვლავმა უკვე განაცხადა, რომ ეს მის მუნდიალზე მოხვედრის ბოლო შანსი იყო.

### გარეთ ბეილი (უელსი)

გარეთ ბეილი, მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი და ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბი, შესაძლოა, რაიან გიგზის ბედის გამგრძელებელი გახდეს. გიგზმა, უელსის ნაკრების უნიათობის გამო, ვერც ერთხელ ვერ ითამაშა მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატებზე. უელსის ნაკრები არ განეკუთვნება ძლიერთა რიგებს, თუმცა, ახალი თაობის გათვალისწინებით, რომლის წარმომადგენელი, გარეთ ბეილთან ერთად, არსენალელი აარონ რემზი უნდა ჩავთვალოთ, მომავალში დაარღვევენ არასასიამოვნო ტრადიციას.

### არდა თურანი (თურქეთი)

თურქული ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა, თუმცა, 2002 წლის შემდეგ გუნდი ვერ ახერხებს მუნდიალზე მოხვედრას და, შესაბამისად, თურქი ვარსკვლავები მოკლებულნი არიან მსოფლიო ჩემპიონატებს. ბოლო პერიოდის თურქი ვარსკვლავებიდან აღნიშვნის ღირსია მადრიდის „ატლეტიკოს" შემტევი არდა თურანი, რომელიც ნამდვილად დააკლდება ბრაზილიის სტადიონებს.

### მარეკ ჰამშიკი (სლოვაკეთი)

2010 წლის მუნდიალზე მარეკ ჰამშიკმა სლოვაკეთის ნაკრებთან ერთად სენსაცია „გამოაცხო" და იტალია ქვეჯგუფში ჩატოვა, ამჯერად კი სლოვაკეთის ნაკრები დარჩა წაგებული – გუნდმა ვერ მოახერხა შესარჩევი ეტაპის გადალახვა და მარეკ ჰამშიკი მსოფლიოს მთავარი საფეხბურთო ფორუმის გარეშე დარჩა.

### რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი)




ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, „დორტმუნდის" ლიდერი და სუპერკლუბების სამიზნეზე მყოფი ვარსკვლავი, რობერტ ლევანდოვსკი, 2014 წლის ზაფხულში მუნდიალის გარეშე დარჩება. პოლონეთის ნაკრებმა ვერ მოახერხა შესარჩევი ეტაპის გადალახვა, მიუხედავად იმისა, რომ მის რიგებში არაერთი მსოფლიო დონის ფეხბურთელია. ლევანდოვსკისთან ერთად, ფეხბურთის ქომაგებისთვის ბრაზილიაში არწასულთა სიაში იაკუბ ბლაშიკოვსკიც შეიძლება შევიყვანოთ.

### ჰენრიხ მხითარიანი (სომხეთი)

ბოლო დროს სომხეთის ნაკრებს სულ ცოტა აკლდება, რომ მოხვდეს „პლეი-ოფში". მხითარიანი არა მარტო სომხეთის, არამედ, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცევლად ითვლება, რომელშიც „დორტმუნდმა" 25 მილიონი დოლარი გადაუხადა დონეცკის „შახტარს". მხითარიანთან ერთად, ბრაზილიაში ასევე საინტერესო იქნებოდა მოსკოვის „სპარტაკის" ლიდერის, იური მოვსისიანის ნახვაც.

### პეტრ ჩეხი (ჩეხეთი)

ჩეხეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" კარის ქარიზმატული დარაჯისთვის, სავარაუდოდ, ეს ბოლო შანსი იყო, რომ ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე. ჩეხმა მხოლოდ ერთ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, 2006 წელს და მაშინ თავი ვერაფრით დაამახსოვრა მაყურებელს. სამწუხაროა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერის კარიერა ბრაზილიის მუნდიალის გარეშე დასრულდება.

### სტეფან იოვეტიჩი (ჩერნოგორია)

ჩერნოგორიის ნაკრების ლიდერი სტეფან იოვეტიჩი ნელ-ნელა ყალიბდება მსოფლიო დონის ნახევარმცველად და მისი ტრანსფერი „მანჩესტერ სიტიში" უკვე შეფასდა წინ გადადგმულ ნაბიჯად. ერთადერთი, რაც იოვეტიჩს აკლია, არის წარმატებული სანაკრებო კარიერა. სამწუხაროდ, მცდელობების მიუხედავად, ჩერნოგორია ჯერაც ვერ ახერხებს მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპების გადალახვას.

## მიახლოვდება „საუკუნის კომეტა"

„დედამიწელები მალე იშვიათი სანახაობის მომწსრენი გახდებიან: 3 დეკემბრიდან ჩრდილო ნახევარსფეროში ადამიანები გარკვევით დაინახავენ კომეტა „ისონის" უზარმაზარ მანათობელ კუდს," – განაცხადეს ასტრონომებმა.

მეცნიერებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ კომეტის მზის გვირგვინში გავლა, რაც უიშვიათესი მოვლენაა. გარკვეულ მომენტში კომეტა „ისონი" მხოლოდ მილიონი კილომეტრით იქნება დაშორებული დედამიწის ზედაპირიდან, ანუ, 150-ჯერ უფრო ახლოს აღმოჩნდება, ვიდრე დედამიწაა.

ასტრონომების გამოთვლებით, მნათობის გრავიტაცია კომეტის სიჩქარეს წამში 380 კილომეტრამდე გაზრდის, მზის სხივები კი გააცხელებს მის ბირთვს.

კომეტა „ისონი" 2012 წლის სექტემბერში აღმოაჩინეს კისლოვოდსკის ახლოს მდებარე ობსერვატორიის ტელესკოპ-რეფლექტორის საშუალებით. იმ დროს კომეტა იუპიტერის ორბიტაში მდებარეობდა და მაშინვე გააოცა მეცნიერები არნახული სიკაშკაშით.

არიზონის ლოუელის ობსერვატორიის თანამშრომელი, დოქტორი მეთიუ ნაითი, რომელიც, უკვე ერთი წელია „ისონს", აკვირდება, ამბობს, რომ კოსმოსური „სტუმრის" ბედი სამგვარად შეიძლება წარიმართოს: პირველ შემთხვევაში – როგორც კომეტა „ლავჯოის" დაემართა 2011 წლის შემოდგომაზე – მზის მიზიდულობა ნაწილებად გახლეჩს მას; მეორე ვარიანტია კომეტა „ენკეს" შემთხვევა – ის უცბად აორთქლდება; თუმცა, ექსპერტთა უმეტესობა მესამე ვარიანტს ემხრობა – ანუ, იმედოვნებენ, რომ ის გაიზიარებს კომეტა „იკეიასეკის" ბედს, რომელმაც 1965 წელს გაიარა მზის გვირგვინში. „ისონიც" გაუძლებს საშიშ მეზობლობას, მაგრამ, მზის სხივებს შორის მილიონი კილომეტრი სიგრძის გაზის კუდს დატოვებს.

## ტაისონმა მოკბეჩილი ყური დაუბრუნა

ლეგენდარულმა მოკრივემ, მაიკ ტაისონმა, არანაკლებ ლეგენდარულ მოკრივეს, ევანდერ ჰოლიფილდს, მოკბეჩილი ყური დაუბრუნა. ისტორიული მომენტი სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ამერიკული კომპანიის რეკლამის ფარგლებში დაფიქსირდა.



სარეკლამო რგოლის სიუჟეტის მიხედვით, ტაისონი ევანდერთან მივიდა სტუმრად და სასაჩუქრე ყუთში ჩადებული ყური აჩუქა, სიტყვებით: „ძალიან ვწუხვარ, ევანდერ, ეს თქვენი ყურია, მე მას ფორმალდეგიდში ვინახავდი". შეგახსენებთ, რომ ყურის მოკბეჩის ინციდენტი 1997 წლის 28 ივნისს მოხდა, როცა ტაისონი და ჰოლიფილდი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს. მესამე რაუნდში ტაისონმა ჰოლიფილდს ყური მოაკბიჩა, რის გამოც მატჩში შეჩერდა, ხოლო სკანდალური მოკრივე გარკვეული ხნით მოიკვეთა კრივიდან. რამდენიმე თვის წინ ლარი კინგის შოუში ევანდერმა აპატია ტაისონს ჩადენილი საქციელი და ეს ფაქტი სარეკლამო ინდუსტრიას არ გამოეპარა.

## რაფაელ ნადალი – „ესტუდიანტესის" ქომაგი

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი მამაკაცებს შორის, ესპანელი რაფაელ ნადალი, წარმოშობით კუნძულ მალიორკიდან არის და ცნობილია, რომ იგი მშობლიური კლუბის „მალიორკას" ქომაგია. თუმცა რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა ცნობა, რომ ნადალი არგენტინულ საფეხბურთო კლუბ „ესტუდიანტესის" ქომაგთა წევრი გახდა. ინტერნეტში უკვე გავრცელდა ნადალის წევრობის დამადასტურებელი მოწმობა და, ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი „ესტუდიანტესის" ქომაგი თავისი მეგობრის, ასევე ჩოგბურთელი ხუან მონაკოს „დახმარებით" გახდა, რომელიც ბავშვობიდან ქომაგობს კლუბს ლა-პლატიდან.

## უსაინ ბოლტის სიყვარულის ისტორია

იამაიკელი სპრინტერი, მსოფლიოს რვაგზის და ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი უსაინ ბოლტი პოპვარსკვლავ რიჰანას სიყვარულში გამოუტყდა. „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე ბოლტმა ასეთი



შინაარსის განცხადება განათავსა: „მას შემდეგ, რაც რიჰანას ცეკვისა და სიმღერის ვიდეორგოლი ვნახე, დავრწმუნდი, რომ მიყვარს მთელი არსებით". რეკორდსმენის შემდგომი „ტვიტი" უფრო გულახდილი გამოვიდა: „რიჰანა მიყვარს. გთხოვ, დამირეკე" – სთხოვს ვარსკვლავს უსაინ ბოლტი, ჟურნალისტები კი იმის გარკვევას ცდილობენ, გულწრფელია თუ არა ექსტრავაგანტური ქცევებით განთქმული სპორტსმენი.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# „როკ-ენ-როლის მეფე" – ელვის პრესლი: ფაქტები ვარსკვლავის ცხოვრებიდან

***ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მომღერალი იყო, „როკ-ენ-როლის მეფე" – როგორც მას უწოდებენ თაყვანისმცემლები. ელვის პრესლი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა.***



* ელვის აარონ პრესლი დაიბადა მისისიპიში, ტიუპელოში. ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობდა. ალკოჰოლიკი მამა ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილებს, სანამ ჩეკების გაყალბებისთვის ციხეში არ აღმოჩნდა. დედა ხისტი ხასიათის ქალი იყო, რომელიც ელვისის სულიერ აღზრდაზე ზრუნავდა და რეგულარულად დაჰყავდა ის ეკლესიაში. ცნობილია, რომ სკოლაში ელვისს გოგონები სიღარიბის გამო იწუნებდნენ.

* 11 წლის ასაკში ელვისს პირველი გიტარა აჩუქეს, თუმცა, მას ველოსიპედი უფრო უნდოდა და გიტარას ხელს არ ჰკიდებდა, სანამ სიმღერის მასწავლებელმა არ უთხრა, უნიჭო ხარო. ელვისმა გიტარაზე დაკვრის შესწავლით გადაწყვიტა, დაემტკიცებინა, რომ მასწავლებელი ცდება. მუსიკალური განათლება ელვისს არ მიუღია, ის თვითნასწავლი მუსიკოსი იყო. 21 წლის ასაკში ელვისი მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავი გახდა.

* ელვის პრესლის კონცერტი 1973 წელს, ჰავაის კუნძულებზე, ჰონოლულუში მსოფლიოში პირველი კონცერტი იყო, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდა თანამგზავრის საშუალებით მსოფლიოს 40 ქვეყანაში.

* სკოლის დამთავრების შემდეგ ელვის პრესლი ცოტა ხანს სატვირთო ავტომობილის მძღოლად მუშაობდა.

* ელვის პრესლი ნატურალური ქერაა; შავად თმის შეღებვა მან თავისი კერპის, დინ მარტინის მიბაძვის გამო დაიწყო.

* ელვის პრესლი ამერიკის ფედერალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობდა, იგი ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოს საპატიო ოფიცერი გახლდათ.

* ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, ელვის პრესლი ყველაზე მდიდარი მომღერალია გარდაცვლილ ვარსკვლავთა შორის.

* როდესაც ელვის პრესლის გარდაცვალება გაცხადდა, მისმა თაყვანისმცემლებმა არ დაიჯერეს და რამდენიმე მათგანმა ვარსკვლავის საფლავიც კი გათხარა, რომ დარწმუნებულიყო მომხდარში.

* ელვის პრესლი გატაცებული იყო აღმოსავლური ორთაბრძოლებით, მათ შორის – კარატეთი. პრესლი შავი ქამრის მფლობელი გახლდათ.

* პრესლის უყვარდა მეგობრებისთვის საჩუქრების გაკეთება: იგი მათთვის იძენდა სახლებს და უფინანსებდა საქორწილო ხარჯებს. მან აუსრულა დედას ოცნება და ვარდისფერი „კადილაკი" აჩუქა.

* ელვის პრესლი 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, მიზეზი იყო გულის უკმარისობა, არაოფიციალურად კი – ნარკოტიკული საშუალებებისა და ანტიდეპრესანტების ზედმეტი დოზის მიღება.

# „ფორბსის" მილიარდერები, რომლებიც უკვდავებაზე ოცნებობენ

***„ფორბსის" მილიარდერთა რეიტინგში უამრავი ადამიანი გამოირჩევა ექსცენტრიკულობით, თუმცა, მათ შორისაც არიან განსაკუთრებულები – ისინი, რომლებიც მილიონობით დოლარს ხარჯავენ იმაში, რომ უკვდავები გახდნენ.***

## დონ ლოჰლინი

81 წლის მილიარდერი და ლას-ვეგასში კაზინოს მფლობელი დონ ლოჰლინი დიდ ფულს ხარჯავს კრიონიკის განვითარებაზე – ადგილზე, სადაც გარდაცვალების შემდეგ გაყინული ადამიანების გაცოცხლება უნდა დაიწყოს. გარდა ამისა, ლოჰლინი კომპანია „ალკორ ლაიფ იქსთენშენის" კლიენტია. ეს კომპანია ადამიანებს მათი გარდაცვალების შემდეგ აზოტში ინახავს, რათა მომავალში მათი გაცოცხლება მოხერხდეს. საინტერესოა, რომ ლოჰლინი თავისი ფულის გაყინვასაც გეგმავს – მას სიკვდილის შემდეგ გაცოცხლების იმედი აქვს და, ფიქრობს, რომ ფული აუცილებლად გამოადგება.

## დევიდ მერდოკი

89 წლის მილიარდერი დევიდ მერდოკი არ ცხოვრობს იმის ილუზიით, რომ უკვდავი გახდება, მაგრამ, ფიქრობს, რომ სავსებით რეალურია, ადამიანმა 125 წლამდე იცოცხლოს. ამ მიზნით, ის სპეციალურ ვარჯიშებს ასრულებს და დიეტას იცავს – მხოლოდ ბოსტნეულსა და თევზეულს მიირთმევს. მერდოკი დიდ ფულს ხარჯავს სიცოცხლის გახანგრძლივებაზე მომუშავე სამეცნიერო პროგრამებზე. მან დააარსა ორი სამეცნიერო ინსტიტუტი, სადაც სწავლობენ ჯანსაღი ცხოვრების წესს, იკვლევენ გენეტიკურ გადაცდომებსა და დაავადებების მკურნალობის ალტერნატიულ საშუალებებს.

## ჯონ სპერლინგი

91 წლის მილიარდერი ჯონ სპერლინგი, რომლის კაპიტალი 1,2 მილიარდი დოლარია, მილიონობით დოლარს ხარჯავს სამეცნიერო კვლევებზე, რომელთა მიზანი სიკვდილის მოახლოების შიშის მოხსნის პროგრამების შექმნაა. სპერლინგი უამრავ მეთოდს იკვლევს, მათ შორის – ჰიპნოზსა და გენეტიკურ ინჟინერიას. მილიარდერს დაფუძნებული აქვს „კრონოს ლონგევითი რიზერჩ ინსტიტუტი," რომელიც ასაკოვან ადამიანებში გავრცელებულ დაავადებებს იკვლევს.

## რობერტ მილერი

კანადელი მილიარდერი რობერტ მილერი იშვიათად ჩნდება საზოგადოებაში და მის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა, ფაქტია, რომ ის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე ფიქრობს და, ამ მიზნით, მან თავისი ბედი დაუკავშირა უკვე ნახსენებ „ალკორ ლაიფ იქსთენშენს" – მილერი სიკვდილის შემდეგ კრიოგენურ კაფსულაში მოხვდება და თუკი გამოიგონებენ სიკვდილის წამალს, ის დაუბრუნდება ამქვეყნიურ ცხოვრებას.

# საინტერესო ფაქტები ჰოლანდიის მეფე ვილემ-ალექსანდერზე

***2013 წლის გაზაფხულიდან ჰოლანდიის სამეფოს ახალი მეფე ჰყავს – დედოფალმა ბეატრიქსმა ტახტიდან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო და სამეფო გვირგვინი თავის უფროს ვაჟს, პრინც ვილემ-ალექსანდერს უბოძა, რომელიც მეფედ აკურთხეს.***

* ჰოლანდიის ახალი მეფის სრული სახელი და გვარია: ვილემ-ალექსანდერ კლაუს გეორგ ფერდინანდი. იგი ორან-ნასაუს სამეფო დინასტიის შთამომავალია, რომელიც ჰოლანდიაში 1815 წლიდან მეფობს.

* ვილემ მეოთხე გახდა პირველი მამაკაცი მონარქი ჰოლანდიაში 1890 წლიდან. საუკუნეზე მეტ ხანს ჰოლანდიაში დედოფლები იკავებდნენ სამეფო ტახტს: დედოფალი ვილჰელმინა, დედოფალი იულიანა და დედოფალი ბეატრიქსი. დიდი ბრიტანეთის მსგავსად, სამეფო ტიტული ჰოლანდიაში სიმბოლურია, ქვეყანას, ფაქტობრივად, მინისტრთა კაბინეტი მართავს.

* ვილემ-ალექსანდერი დაიბადა 1967 წლის 27 აპრილს, უტრეხტში, მომავალი დედოფლის – ბეატრიქსისა და პრინც კლაუს ფონ ამსბერგის – არისტოკრატის და დიპლომატის ოჯახში. ჰოლანდიის მეფეს ორი უმცროსი ძმა ჰყავს: პრინცები – იოჰან ფრიზო და კონსტანტინი.

* ვილემ-ალექსანდერს დამთავრებული აქვს ლეიდენის უნივერსიტეტი ისტორიკოსის სპეციალობით, ასევე, ის მსახურობდა ნიდერლანდების სამეფოს საზღვაო ძალებში. ვილემ-ალექსანდერს რამდენიმე სამხედრო წოდება აქვს.

* 18 წლის ასაკში ჰოლანდიის მეფე გახდა ნიდერლანდების სამეფოს სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1998 წლიდან ვილემ-ალექსანდერი სათავეში უდგას ჰოლანდიის ოლიმპიურ კომიტეტს და სამეფოს წარმოადგენს ოფიციალურ ღონისძიებებზე, როგორც შინაურ, ისე საგარეო ასპარეზზე.

* 1998-2010 წლებში ვილემ-ალექსანდერი ნიდერლანდების სამეფო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო, 1999-2010 წლებში კი კრელერ-მიულერის მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს წევრი.

* ჰოლანდიის მეფის ინტერესთა სფეროშია ჰიდროტექნიკა, ავიაცია და სპორტი. 1986-1992 წლებში ის ყოველწლიურად იღებდა მონაწილეობას ნიუ-იორკის ცნობილ მარათონში. 1987 წლიდან ვილემ-ალექსანდერი სამხედრო მფრინავის მოწმობის მფლობელია. მეფეს რამდენჯერმე აქვს მიღებული მონაწილეობა აფრიკაში ჩატარებულ ჰუმანიტარულ ოპერაციებში.

* ვილემ-ალექსანდერის მეუღლეა არგენტინელი მაქსიმე სორეგიეტა. მაქსიმეს მამა არგენტინელი დიქტატორის, ვიდალის მმართველობის პერიოდში, სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. წყვილს სამი ქალიშვილი ჰყავს: კატარინა-ამალია ბეატრიქს კარმენ ვიქტორია, ალექსია ჯულიანა მარსელა ლაურენტინა და არიანა ვილჰელმინა მაქსიმა ინიესი.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



## მაღალი წნევის, გაციებისა და სურდოს დროს ჭამეთ კივი

კივი დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. ასევე, E ვიტამინსა და მაგნიუმს. მასში ბევრია კალციუმი, რომელიც მაღალი წნევის დროს შეუცვლელია.

გაციებისა და გრიპის დროს სამი ცალი კივისგან მომზადეთ ფაფა და მიირთვით. ეს სრულიად საკმარისია, რომ დაავადება შეგიმსუბუქდეთ.

ნოყიერი საკვების შემდეგ, რამდენიმე ცალი კივის ჭამა მოგიხსნით კუჭის სიმძიმის შეგრძნებას, ასევე, გულძმარვას.

კივი ამცირებს კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების წარმოქმნის რისკს. არ იწვევს ალერგიას, დიდი რაოდენობით შეიცავს სეროტონინს, რაც ადამიანის ორგანიზმს სტრესისგან იცავს.

სტენოკარდიის დროს, კარგია კივის ჭამა, რადგან სწრაფად ხსნის შეტევას.

კივი დიდი რაოდენობით შეიცავს ენზიმს, რომელიც აჩქარებს ცხიმების წვას ორგანიზმში. დილა-საღამოს მიირთვით ის და წონაში დაკლება არ გაგიჭირდებათ.

## მარილების დაგროვების დროს სვით ბრინჯის ნახარში

მარილების დაგროვების დროს, ერთი ჩაის კოვზი დაფქული სტაფილოს თესლი გახსენით ერთ ჩაის ჭიქა წყალში. დალიეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში სამჯერ, ორი კვირის განმავლობაში.

ოთხი ცალი ლიმონის კანი და ასი გრამი ნიორი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაასხით ორი ლიტრი გადადუღებული წყალი. დადგით ორი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ 50 გრამი, ყოველ დილით, უზმოზე.

მარილების დაგროვების დროს, აგრეთვე, კარგია, თუ სამ სუფრის კოვზ ბრინჯს დილამდე წყალში დაალბობთ. დილით კი მოხარშავთ და უზმოზე ცივს შეჭამთ. სამი კვირის განმავლობაში ასე მოიქეცით და სახსრებში ტკივილი მალევე გაგივლით.

შვრიის ნაყენი ხელს უწყობს ღვიძლის, კუჭისა და თირკმლის მკურნალობას, სხეულიდან ქვებისა და ნალექის გამოდევნას. ერთი ჩაის ჭიქა გარეცხილ შვრიას დაასხით ორი ჩაის ჭიქა ცივი წყალი და გააჩერეთ ერთი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ დაამატეთ სამი ლიტრი წყალი და ადუღეთ, სანამ სითხე ერთ ლიტრამდე არ დავა. გაწურეთ და მიღებული სითხე სვით ჭამის წინ, დღეში სამჯერ, ერთი ჩაის ჭიქა.

## რომელი დაავადების დროს უნდა სვათ პიტნის წვეთები

პიტნის ფოთლები შეიცავს ეთერზეთს. მედიცინაში პიტნისგან მიღებული მენთოლი გამოიყენება ნევრალგიურ ტკივილგამაყუჩებლად, ასევე, გარეგანი მოხმარების მიზნით, შაკიკისა და კბილის ტკივილის დროს. ანტისეპტიკურ საშუალებად კი იყენებენ სურდოს, ხახის კატარის, ბრონქიტისა და ბრონქოესტაზის დროს.

პიტნის ფოთლების ნაყენი და მიქსტურა გამოიყენება როგორც გულისრევისა და პირღებინების საწინააღმდეგო საშუალება, ასევე, საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად.

პიტნა კარგია გულისა და ფილტვების დაავადებების, ფილტვებიდან სისხლდენების სამკურნალოდ.

20 გრამ პიტნის ფოთოლს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი. დადგით თავდახურული ორი-სამი საათის განმავლობაში და შემდეგ დალიეთ.

პიტნის წვეთები ეფექტურია კუჭის აშლილობის, კუჭ-ნაწლავის სპაზმების, კუჭში უსიამოვნო შეგრძნებისა და გულისრევის დროს.

კუჭის არეში ტკივილის დროს შაქრის ნატეხზე დააწვეთეთ სამი წვეთი პიტნის ნაყენი და ენის ქვეშ დაიდეთ.

ნაყენი კი ასე მოამზადეთ: 2 ჩაის კოვზ პიტნის დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 1 საათი, შემდეგ გაწურეთ, დაატკბეთ და ნაყენი სვით მთელი დღის განმავლობაში, ცოტ-ცოტა.

## რა დაავადებაა სექსუალური ნევროზი და განკურნებადია თუ არა ის

ნევროზის დაავადებას საფუძვლად უდევს ნერვული სისტემის ფუნქციური აშლილობა. არსებობს სამი ტიპის ნევროზი: ნევრასთენიული, ისტერიული და აკვიატებული მდგომარეობის. ნევრასთენიის გამომწვევად ითვლება ფსიქიკური და ფიზიკური გადაღლა, უსიამოვნო განცდები, შინაგანი ორგანოების ინფექციური და სხვა სომატური დაავადებები. მისი ნიშნებია: მომატებული აღგზნებადობა, ემოციურობა, სწრაფი დაღლა, გაფანტული ყურადღება, შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, მოთენთვა, უმადობა, სექსუალური ლტოლვის დაქვეითება, გულისრევის გახშირება, არტერიული წნევის მერყეობა, ოფლიანობა.

ისტერიული ნევროზი ვითარდება თავისებური ხასიათის მქონე ადამიანებში. ის, შესაძლოა, გამოვლინდეს თითქმის ყველა დაავადების მსგავსი ნიშნებით. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის დროს კი, ზოგად ნევროზის ნიშნებთან ერთად, აღინიშნება სხვადასხვა სახის აკვიატებები, მაგალითად, აკვიატებული აზრები, მოქმედებები, შიშები. ზოგს ეშინია ღია ან დახურული სივრცის.

დეპრესიულ, იპოქონდრიულ და სექსუალურ ნევროზებს კი სპეციალისტები ნევრასთენიის ფარგლებში განიხილავენ.

ნევროზი მოსარჩენი დაავადებაა. მისი მკურნალობა უნდა მოხდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და მისი დანიშნული მკურნალობის კურსის ჩატარებით. ამ დროს კარგია ფსიქოთერაპია, რაციონალური ფსიქოთერაპია, ავტოტრენინგი და შთაგონების მობილიზებაზე ზრუნვა.

ნევროზი ხშირია ბავშვებშიც. ნევროზული აშლილობა ბავშვებში მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ამ დროს ხშირია ენის დაბმა, შიშები, შარდის შეუკავებლობა, კრუნჩხვები, უმადობა, ჭირვეულობა, უაზრო მოქმედებები, ყვირილი და ასე შემდეგ. ბავშვთა ნევროზის სამკურნალოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოტრავმული მიზეზების აღმოფხვრას. მშობელმა მას უნდა შეუქმნას ფსიქოთერაპიული გარემო, მისი თანდასწრებით მოერიდოს ყვირილს, შფოთვას, დარდს, შიშების გამოვლენას.

## რა უნდა სვათ თუ სუსტი ყელი გაქვთ და ხშირად ავადდებით ანგინით

ანგინა გლანდების ანუ ნუშურა ჯირკვლების ანთებაა. ის მწვავედ იწყება და ამ დროს ადამიანს აწუხებს ყელის ტკივილი, განსაკუთრებით ყლაპვის დროს. სხეულის ტემპერატურა იმატებს. ადამიანს ახასიათებს საერთო სისუსტე, მადის დაქვეითება, სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი, კისრის მიდამოებსა და ყბის ქვეშ არსებული ლიმფური კვანძების გადიდება.

ანგინა თითქოს მარტივი დაავადებაა, მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგან ანთება შესაძლოა, შუა ყურზეც გადავიდეს და ჯირკვლის ირგვლივ რბილი ქსოვილის დაზიანება გამოიწვიოს, რასაც გართულებები მოსდევს. ნუშურა ჯირკვლების ანთების გადატანიდან ერთ თვეში შეიძლება, განვითარდეს რევმატიზმი, თირკმლების ანთება, გართულებები გულზე. ასევე, ანგინა უარყოფით კვალს ტოვებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, იწვევს ქოლეცისტიტსა და გასტრიტს.

ანგინის დროს ინიშნება ანტიბიოტიკებით მკურნალობა. თუ ანთების გამომწვევი სოკოა, ინიშნება სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები. ასევე, ეფექტურია ადგილობრივი ზემოქმედების პრეპარატები, მაგალითად, აეროზოლები, სავლები საშუალებები, რომლებიც სალბის, ევკალიპტის, გვირილის ან სოდიანი წყლის შემადგენლობით მზადდება. მარილიანი სავლები შეგიძლიათ, ყოველ ორ საათში ერთხელ გამოივლოთ ყელში. ის ასე მზადდება: ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში გახსენით ერთი სადილის კოვზი სუფრის მარილი.

თუ ანგინას თან ახლავს მაღალი სიცხე, აუცილებლად უნდა დაწვეთ და მიიღოთ სიცხის დამწევი საშუალებები. მიირთვით ბულიონი, პიურე, სვით კომპოტი და ჩაი.

თუ სუსტი ყელი გაქვთ, მოერიდეთ ცივი სითხეების დალევას, რადგან ყელის გაციება ანგინის განვითარებას უწყობს ხელს. უნდა სვათ ვიტამინების კომპლექსი ან იმუნიტეტის ასამაღლებელი პრეპარატები, რომ ორგანიზმი გააძლიეროთ. უნდა მოერიდოთ ინფექციის კერებს, განსაკუთრებით ვირუსული ეპიდემიის დროს, რადგან ინფექციის გადადება ხდება ჰაერწვეთოვანი გზით – დაცემინებით ან დახველებით. ასე რომ, თუ სუსტი ყელი გაქვთ, საკუთარ ჯანმრთელობას თავად უნდა მიხედოთ და დროულად ჩაიტაროთ პროფილაქტიკური საშუალებები, რათა გართულებები თავიდან აიცილოთ.

# ექიმის რჩევები

## როგორ დავამარცხოთ რადიკულიტი

რადიკულიტი ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთებაა. ანთება დაზიანებული ფესვების საინერვაციო ზონაში ვითარდება, ყველაზე ხშირად კი კისრის ქვემოთ და გავა-წელის არეში. დაავადებას ქრონიკული და განმეორებითი ხასიათი აქვს. ის ხშირად ემართება მას, ვინც თავს მძიმე ფიზიკური შრომით იტვირთავს, უწევს არასასურველ ტემპერატურულ და მეტეოროლოგიურ პირობებში ყოფნა.

კისრისა და გავა-წელის რადიკულიტი ნერვული სისტემის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ოსტეოქონდროზი. რადიკულიტის კლინიკური სურათის ჩამოყალიბება-გამომჟღავნების თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების არსებობას. კერძოდ, ხერხემლის თანდაყოლილ ანომალიას, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, დიაბეტს, პოდაგრას, ავიტამინოზს, C ვიტამინის ცვლის მოშლას, ტრავმას, გაციებას, ინფექციას, ინტოქსიკაციას და ასე შემდეგ.

გავა-წელის რადიკულიტი იწყება წელის არეში ყრუ ან მწვავე ტკივილით, რომელიც შემდეგ წვივზეც გადადის. ამ დროს სიარული, ფეხზე დგომა და მოძრაობა ტკივილს აძლიერებს. გავა-წელის რადიკულტს ხშირად თან სდევს ხერხემლის გამრუდება და წელის კუნთების დაჭიმვა. გავა-წელის რადიკულიტის მიმდინარეობას შესაძლოა, მოჰყვეს სისხლის წნევის მომატება, ტკივილები პერიფერიული სისხლის მორფოლოგიურ სურათში და ასე შემდეგ. გავა-წელის რადიკულიტის მსგავსი სურათი ზოგჯერ ზურგის ტვინის სიმსივნეების, თირკმლისა და შარდსასქესო კენჭოვანი დაავადებების, გინეკოლოგიური პათოლოგიების დროსაც ვითარდება. ამიტომ, სწორი დიაგნოზის დასმა აუცილებელია.

დაავადების მწვავე პერიოდში მკურნალობის პირველი და აუცილებელი პირობაა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. გარკვეულ შედეგს იძლევა სხვადასხვა ფიზიოპროცედურა. ქრონიკულად მიმდინარე რადიკულიტის დროს კარგია ტალახის, გოგირდის წყალბადიანი აბაზანები, პროფილაქტიკისთვის კი – კომპრესი. ის რეფლექტორულად მოქმედებს მტკივნეულ ადგილას, არეგულირებს ნერვ-კუნთოვანი ელემენტების მუშაობას და ამით ორგანიზმში ენერგეტიკულ ბალანსს ქმნის.



ქრონიკული რადიკულიტის დროს კარგია სპეციალური ვარჯიშები. დისკოგენური რადიკულიტის დროს კი, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ქირურგიული ჩარევა.

ამ დაავადების თავიდან აცილებისთვის მთავარია სამუშაო პირობების მოწესრიგება, უხეში მოქმედებებისა და დიდი ტვირთისგან თავის დაცვა, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის დროს ყურადღების გამოჩენა და ასე შემდეგ. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაავადების პირველივე გამწვავებისას, სრული სამკურნალო კურსის ჩატარება და ორგანიზმის გაკაჟება სამკურნალო, ექიმის მიერ დანიშნული მასაჟითა და ვარჯიშებით.

**კითხვა**: **საჭიროა თუ არა ყურების ხშირი გაწმენდა?**

**პასუხი**: ამბობენ, ყურების ხშირი და საფუძვლიანი წმენდა სასარგებლოაო, მაგრამ ეს არ არის მართალი. ჯანმრთელი ყურები ჩვენს დაუხმარებლადაც მშვენივრად იწმინდება. სასმენი მილების თვითგაწმენდის პროცესი ხორციელდება გარეთა სასმენი მილის წინა კედელთან მდებარე საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის მოძრაობით, მაგალითად, ღეჭვის, ლაპარაკის ან ხველის დროს. ყურის ნიჟარა უნდა გაიწმინდოს შიგნითა მხრიდან, მაგრამ სასმენ მილში შეძრომა სულაც არაა საჭირო.

**კითხვა**: **ამ ბოლო დროს ყურებში შუილმა შემაწუხა და თითქოს უარესად მესმის კიდეც. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ყურების შუილს და ზარის ხმას იწვევს ყურის ანთება, გოგირდოვანი საცობები, უცხო სხეული სასმენ მილში, სასმენი ნერვის დაზიანება, ასაკობრივი ცვლილებები. მაგრამ ხმაური ყურებში – არა მარტო ყელ-ყურ-ცხვირის ორგანოების დაავადებათა სიმპტომია, არამედ ბევრი სხვა რამეც იწვევს, მაგალითად, თავის ტრავმა, თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზი, კისრის მალების ოსტეოქონდროზი, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა და სხვა.

**კითხვა**: **რამდენიმე წელია, ჩემს მეუღლეს ცხვირი უწითლდება, ამას წინათ კი გაულურჯდა კიდეც. ძალიან შემეშინდა. დერმატოლოგმა დაუსვა დიაგნოზი - როზაცეა. რა დაავადებაა, რა იწვევს მას?**

**პასუხი**: როზაცეა ანუ ვარდისფერი ფერიმჭამელები - კანის ერთ-ერთი გავრცელებული დაავადებაა. უპირატესად ემართებათ 30-დან 50 წლამდე ასაკის (უფრო ხშირად ქერა, ცისფერთვალება) ქალებს და ახასიათებს სახის კანის, განსაკუთრებით ცხვირისა და ლოყების, გაწითლება. ამ დროს კანზე ჩნდება მოვარდისფრო-მოწითალო ლაქები და კვანძები. გამომწვევი მიზეზები და განვითარების მექანიზმი ჯერჯერობით გაურკვეველია. რისკ-ფაქტორებს განეკუთვნება: კოფეინიანი და ალკოჰოლური სასმელები, სტრესები, ხშირი ულტრაიისფერი დასხივება, ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონული საშუალებები.

**კითხვა**: **ენდოკრინოლოგმა დამინიშნა L-თიროქსინი 50 მკგ. ხომ არ მოვიმატებ წონაში? შეიძლება თუ არა მასთან ერთად იოდომარინის მიღება?**

**პასუხი**: L-თიროქსინი არ იწვევს წონის მატებას, რადგან ინიშნება ჰიპოთირეოზის სამკურნალოდ, რომელსაც თავის მხრივ ახასიათებს წონის მატება. შესაბამისად, პრეპარატის კორექტული დოზით დანიშვნა აწესრიგებს ჰორმონებსაც და წონასაც. L-თიროქსინთან ერთად, იოდომარინის მიღება არ არის საჭირო.

**კითხვა**: **ვარ 60 წლის, მაქვს მე-2 ტიპის დიაბეტი, პრეპარატებით კომპენსირებული (შაქარი მაქვს ნორმაში). მხედველობა მაინც მიუარესდება. რა არის მიზეზი?**

**პასუხი**: მიმართეთ ოკულისტს, იქნებ მხედველობის გაუარესება დამოუკიდებელ თვალის დაავადებას უკავშირდება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვისთან ერთად აგროვებდა ხელმოწერებს რობერტ სტურუა თეატრიდან დოდო ალექსიძის გაშვებაზე და რატომ არ ესალმებოდნენ მსახიობები რეჟისორს

„პატარაობისას სტუმრად წასვლა არ მიყვარდა – უფროსები საუბრობდნენ, მე კი ვიჯექი მარტო და არ ვიცოდი, რა მექნა. ამიტომ, საოჯახო ალბომს მომაჩეჩებდნენ ხოლმე ხელში – ეტყობა, მაშინ ეს მოდაში იყო. ეს ალბომიც, თქვენ რომ ათვალიერებთ, იმ მოსაწყენ ალბომებს მაგონებს, მაგრამ, სიმართლეს ვერ გაექცევი, თუმცა, რაღა არ ხდება ამქვეყნად – იქნებ, ვიღაცამ, თეატრის მოყვარულმა, თვალი გადაავლოს ერთი კაცის ცხოვრებას და მიუტევოს შეცოდებანი მისნი"...


რობიკო

რა შეიძლება, განსაკუთრებული თქვა რობერტ სტურუაზე – კაცზე რომლის შემოქმედება დიდი ხანია, საქართველოს ფარგლებს გასცდა, ოღონდ... „ძალიან გთხოვთ, არც ოფიციალურად და არც კერძო საუბრებში, სიტყვა არ დაძრათ ჩემთან „კავკასიურ ცარცის წრეზე," – ამბობს კოტე ნინიკაშვილის წიგნში რეჟისორი, მაგრამ, რობერტ სტურუა ცალკე – „კავკასიური ცარცის წრისა" და „რიჩარდ მესამის" გარეშე?! უბრალოდ, ნახეთ და დატკბით ყველაფერ იმით, რასაც ხელოვანი ადამიანები ქმნიან, რაც მაგარია, რაც ემოციებს დიდხანს არ ჩაგიქრობს. ეს დღიურებიც ხომ მათი ცხოვრების ნაწილია, წარმოსახვაში რომ გიდგამს თეატრს.



„... ერთხელ, ბავშვობაში, მამაჩემს ჩავაცივდი, მითხარი ან შენ რატომ დაგარქვეს ეს სახელი, ან მე რას მერჩოდი-მეთქი. აი, რა მიამბო: მოგეხსენებათ, რომ ბაბუაჩემი, ვანო სტურუა და მისი ძმა – გიორგი, ცნობილი ბოლშევიკები იყვნენ. სხვათა შორის, სტალინი კომუნისტური პარტიის რიგებში ვანო სტურუას რეკომენდაციით მიიღეს (უნდა გამოგიტყდეთ, ბავშობაში ეს საკმაოდ მეამაყებოდა). ვანო სტურუას, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა კომუნისტური იდეების გამარჯვებისა, არ სწამდა ღმერთი და, რა თქმა უნდა, ბავშვების მონათვლის წინააღმდეგი იყო. მამაჩემი 1916 წელს მოევლინა ამქვეყანას. სოფელ ნაბაკევში, როცა ვანო სტურუა რევოლუციონერობისთვის იხდიდა სასჯელს, ბებიამ ვერ გაბედა შვილის მონათვლა და უსახელო ბიჭს ახლობლებმა „კუწია" შეარქვეს. 4 წლის იყო მამაჩემი, როცა ღამით ციხიდან გამოპარული გიორგი სტურუა ორი დღით ეწვია ოჯახს. კუწიამ შესჩივლა ბიძამისს: გეხვეწები მომნათლე, რამე კარგი სახელი შემირჩიე, ბავშვები დამცინიანო. ბიძამ დილაადრიან პატარა ბიჭი მინდორში გაიყვანა, ფეხზე გახადა, ჰაერში აისროლა და როცა ბავშვი მიწაზე გაიშხლართა, ხელები მისკენ გაიშვირა და ხმამაღლა განაცხადა: „დაიმახსოვრე! დღეიდან შენ რობერტი გქვია!" როგორც მამაჩემმა მითხრა, იმ პერიოდში გიორგი გატაცებული ყოფილა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის – ოუენის იდეებით, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, რობერტი რქმევია. მაგრამ, მე რა შუაში ვარ, მე რაღა დავაშავე-მეთქი. მინდა, ჩვენს გვარში ყველა თაობის უფროს ვაჟიშვილს რობერტი ერქვას, ვიდრე რომელიმე მათგანი ისტორიაში არ ამოყოფს თავს. არვიცი მერე, რომელ რობერტ სტურუაზეა ლაპარაკიო, – ალბათ, იხუმრა მამაჩემმა. გულში გავიფიქრე, მამაჩემს ამ სურვილს ავუსრულებ-მეთქი და, როცა სამშობიაროში დუდანამ ფანჯრიდან ჩემი ბიჭი დამანახვა, თბილად შევაპარე: რა ფერის თვალები აქვს პატარა რობიკოს? რა ბრძანეთ, რობიკოსო?! – აღშფოთდა დუდანა. კმარა! ბურბონები ხომ არ ხართ, ერთ სახელს რომ ჩააცივდით, ბავშვს გიორგი ჰქვია და ამაზე სტურუებმა ხმა აღარ ამოიღოთო!..


მშობლები

***

ერთხელ ნასვამი დავბრუნდი შინ. ვცდილობდი, ჩუმად გამეღო კარი, დედა რომ არ გამეღვიძებინა. შევედი სახლში და დედაჩემის პირისპირ აღმოვჩნდი. ვიფიქრე, დავიღუპე, საყვედურებით ამავსებს-მეთქი, მაგრამ, არა, ყურში ჩამჩურჩულა: „ფრთხილად იყავი, მამაშენი ძალიან გაბრაზებულია, სამზარეულოში ზის და გელოდება. რა ჩაიდინე, ბიჭო, ასეთი..." შევედი სამზარეულოში. დაჯექიო, დავჯექი. დიდი პაუზის შემდეგ დაიწყო: „დღეს რესტორან „თბილისში" რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად ვიქეიფე, დიდებული პურმარილი იყო. ვუსმენდი ჩემს საყვარელ ადამიანებს და მივხვდი – შენ თეატრში პატივს არ გცემენ, ერთი კეთილი სიტყვა არავინ შეგაწია. საშინლად მეწყინა. მითხარი, რა მოხდა, ასეთი რა დააშავე?"



უცებ დავმშვიდდი და ვეუბნები: რობერტ, შენ მხატვარი ხარ, მე კი – რეჟისორი, მთელი ცხოვრება სილამაზეს ეტრფი: დგახარ მარტოკა სახელოსნოში და შენს ტილოებზე მახინჯები ლამაზები ხდებიან. ლამაზები კი – მზეთუნახავები. ყველას ეყვარები, აბა რა! მე რა ვქნა? გუშინ როლები გავანაწილე და სია გამოაკრეს: 12 გმირი – 12 მსახიობი, თეატრში კი ასამდე მსახიობია. დილით გამარჯობა არავინ მითხრა. ისინი, ვინც


და-ძმა სტურუები

გავანაწილე, საერთოდ არ გამოჩენილან, „დაჩაგრულები" რომ არ გაეღიზიანებინათ – ასეთია რეჟისორის ხვედრი. მამაჩემი კარგა ხანს მიყურებდა. მერე, ამოიოხრა, შუბლზე მაკოცა და – აბა, შენ იცი, – მითხრა.

***

... სტალინის სიკვდილის შემდეგ, როგორც ყველგან, ჩეხოსლოვაკიაშიც თავისუფლების ნიავმა დაბერა. ეს ცხოვრების ყველა სფეროს დაეტყო და, რაღა თქმა უნდა, თეატრსაც. სწორედ ამ პერიოდში, რუსთაველის სცენაზე მიხეილ თუმანიშვილმა დადგა ჩეხი დრამატურგის, კოჰოუტის პიესა – „როცა ასეთი სიყვარულია," რომელსაც გრანდიოზული წარმატება ჰქონდა. აქ გაიბრწყინა ცნობილმა „შვიდკაცამ" და მარჯანიშვილის თეატრიდან ახლად გადმოსულმა სერგო ზაქარიაძემ. იქნებ,


გოგი ქავთარაძესთან ერთად


მეუღლესთან, დუდანასთან ერთად

ამანაც განაპირობა ჩემი არჩევანი – დამედგა „მესამე სურვილი". ამ სპექტაკლში შესანიშნავი მსახიობები მონაწილეობდნენ... მიუხედავად ამისა, სპექტაკლი საკმაოდ უფერული გამოგვივიდა. სხვათა შორის, აქვე უნდა ვაღიარო, რომ ბატონი მიშა საერთოდ არ დამხმარებია, რამაც ძალიან მატკინა გული. რა მექნა. ეს ჩემი პედაგოგის პრინციპული მოსაზრება გახლავთ – თეატრში, ამ ბობოქარ ოკეანეში, მოწაფემ თავად უნდა უშველოს თავს და ნაპირზე გამოცურდეს. სამაგიეროდ, ბატონმა მიშამ დიდი ნდობა გამომიცხადა, როცა შინ დამიბარა და მითხრა, ახალი თეატრის გახსნას ვაპირებ და უნდა დამეხმაროო. ძალიან გამიხარდა და, თანაც, შემეშინდა. როგორია, „შვიდკაცას" წევრებთან, საქვეყნოდ ცნობილ მსახიობებთან უნდა მემუშავა. პირველი დავალება ასეთი იყო: რეზო თაბუკაშვილს ახალი თეატრის გახსნისთვის მოფი-

ქრებული ჰქონია ორიგინალური პიესა, ოღონდ, ის ქაღალდზე უნდა გადაეტანა და სექტემბერში ბატონი მიშასთვის ჩაებარებინა. მე და ბატონი რეზო ბიჭვინთაში წავედით. სხვათა შორის, მშვენიერი დრო გავატარეთ და პიესა საერთოდ არ გაგვხსენებია. ცოტა წონაშიც მოვიმატეთ – ჩვენს კვებაზე ულამაზესი ქალბატონი მედეა ჯაფარიძე ზრუნავდა. თეატრში რომ დავბრუნდით, საშინელი ალიაქოთი ატყდა – ახალი თეატრის შექმნის იდეა სამუდამოდ დასამარდა. მართლაც, ვინ გაუშვებდა თეატრიდან სახელოვან „შვიდკაცას", ასეთ საუკეთესო მსახიობებს და, როგორც თეატრში ხდება ხოლმე, გაუშვეს სამხატვრო ხელმძღვანელი, უსაყვარლესი ადამიანი – დოდო ალექსიძე. უნდა გამოვტყდე, ამ საქმეში მეც ვიყავი ჩართული (სხვებთან ერთად ხელმოწერებს ვაგროვებდი), დოდო ალექსიძე კი კიევში წავიდა სამუდამოდ. ასე დასრულდა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების კიდევ ერთი ეტაპი.


რუსთაველის თეატრის მსახიობებთან და მიშა თუმანიშვილთან ერთად

***

... გავიდა წლები. დავქორწინდი. ზუსტად იმ დღეს ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, გია ყანჩელმაც მოიყვანა ცოლი. საბჭოთა პერიოდში უცხო ქალაქებში სასტუმროს შოვნა ძალიან ჭირდა და ახალდაქორწინებულნი იმ ქალაქს ეწვეოდნენ, სადაც გავლენიანი ნათესავები ჰყავდათ. ჩვენც მივაშურეთ კიევს, სადაც მამიდაჩემი – ელენე სტურუა ცხოვრობდა. მისი მეუღლე, ბორის პონომარენკო, ოპერის დირექტორი გახლდათ. მოკლედ, მშვენიერი სასტუმრო დაგვახვედრეს. მესამე დღეს მამიდაჩემმა დაგვირეკა, ხვალ თეატრში უნდა წავიდეთ დოდო ალექსიძის სპექტაკლის გასინჯვაზეო. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე – არავითარ შემთხვევაში, მე ვერ წამოვალ-მეთქი. რატომო? – გაუკვირდა მამიდაჩემს. მერიდება, ათი წელია, არ მინახავს და, თანაც, სამშობლო რომ დატოვა, ამაში ბრალი მეც მიმიძღვის-მეთქი. დამამშვიდა: არ იცი დოდოს ამბავი? ეგ არც ემახსოვრებაო. მოკლედ, შეშინებული კურდღელივით გავყევი ჩემიანებს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დროს


რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად


კადრი ფილმიდან „იყო შაშვი მგალობელი"

დოდო ალექსიძე ივან ფრანკოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. შევედით დარბაზში. ჩვენები მეხუთე რიგში დასხდნენ, მე კი სადღაც კუთხეში მივიყუჟე. დამთავრდა სპექტაკლი და, ახლა, მისალოცად წამობრძანდითო – გვთხოვეს. შემცბარი და გაფითრებული, ბატონი დოდოს კაბინეტში კედელს ავეკარი. დაგვინახა თუ არა, ჩვენკენ გამოქანდა, გადაეხვია ჩემიანებს და, მე რომ დამინახა, შეკრთა, ხელები ჩამოუშვა, თვალებში ჩამხედა და მითხრა: არა უშავს, დადგება დრო და, შენც გამოგაპანღურებენ თეატრიდანო. მერე გაიცინა და გულში ჩამიკრა.

***

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თეატრის სიყვარულით გაწამებულნო, ხანდაზმული კოლეგა მუხლმოდრეკილი გევედრებით, თუ გვინდა, ახალგაზრდებად დავრჩეთ, დავივიწყოთ ჩვენი საუკეთესო სპექტაკლები და, უფრო მეტიც – კი არ დავივიწყოთ, შევიძულოთ ჩვენი შედევრები. ნუ დავტკბებით ჩვენი მიღწევებით! რაც არ გამოგვივიდა, რაშიც კრახი განვიცადეთ, სამუდამოდ ჩავიბეჭდოთ ტვინში... ღმერთო ჩემო, რაებს ვბოდავ, მაგრამ, რა ვქნა, ასაკი მაინც თავისას შვრება – სიბერეში ერთობ რომანტიკული გავხდი..."

**ეკა პატარაია**






**არსებობს მოსაზრება, რომ მრავალწლიან ხეებს განსაკუთრებული ენერგეტიკა აქვთ და მათი მოჭრა ადამიანისთვის განსაკუთრებულად საშიში და ზიანის მომტანია. ასევე, როგორც ეზოთერიკოსი და პარაფსიქოლოგი, ქალბატონი მანანა ამბობს, თითოეულ ადამიანს თავისი მფარველი და მკურნალი ხე ჰყავს და, მასთან ჩახუტებით, ხშირი კონტაქტითა და სიახლოვით, თქვენს ორგანიზმს სიცოცხლითა და ჯანმრთელობით აზღვევთ.**

# რატომ ეწყება გათვალულ ადამიანს შიშები და თავის ტკივილები და როდის იწყებს ამოქმედებას მემკვიდრეობითი წყევლა

**მანანა**: ჩვენ, ადამიანები დედამიწაზე იმ მისიით ვართ მოვლენილნი, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ, გავუზიაროთ ცოდნა და გამოცდილება, ამით ხელი შევუწყოთ ჩვენსავე მომავალს და გარშემო მყოფების ცხოვრებაც სასიკეთოდ შევცვალოთ. ამიტომ, როდესაც ჩემს გამოცდილებასა და ეზოთერიკულ თუ პარაფსიქოლოგიურ ცოდნას სხვებსაც ვუზიარებ, ვხვდები, რომ ამით მათთვის სიკეთე მომაქვს. რაც, დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მინდა გითხრათ, რომ ხეებს უდიდესი ენერგეტიკა აქვთ და მათთან კონტაქტი სასიცოცხლო ენერგიით გვავსებს, ორგანიზმს გვიჯანსაღებს, გვარიდებს უარყოფით ენერგიებს და ასე შემდეგ. ეს განსაკუთრებით ეხება მრავალწლიან ნარგავებს. ამიტომ, აუცილებელია, ის ენერგეტიკა, რომელიც დედამიწის სიღრმიდან ხეებს ფესვებით გადაეცემა, ჩვენც გავიზიაროთ. ამისთვის კი, გირჩევთ, ხშირად გახვიდეთ ბუნებაში, დაჯდეთ ხის ძირში, მოეხვიოთ მრავალწლიან ნარგავებს და ასე შეივსოთ ზამთარში დაქვეითებული სასიცოცხლო ენერგიები. დამერწმუნეთ, ამით თქვენს ორგანიზმს ძალიან დაეხმარებით და დიდ სარგებელსაც მოუტანთ. ვინც წინაპრების გამოცდილებას იზიარებს, კარგად იცის, რომ, უკიდურესი აუცილებლობის გარდა, ხის მოჭრა ძალიან საშიშია და ამით საკუთარ ბედს უქმნით საფრთხეს. უძველესი დროიდანაა ცნობილი, რომ ხეებს შეუძლიათ ჯანმრთელობის, ბარაქის, კეთილდღეობისა და დღეგრძელობის საკითხში წარმატების მოტანა; ავადმყოფობისგან დაცვა და განკურნება; გათვალვისა და ჯადოს აცილება და ასე შემდეგ.

**– ამბობენ, ადამიანმა სიცოცხლეში ერთი ხე მაინც უნდა დარგოს, რომ ამით დედამიწაზე თავისი მისია შეასრულოს, ეს ყველა ჩვენგანის ვალიაო.**

– სწორედაც რომ ასეა. თქვენ წარმოიდგინეთ, წინათ, ბავშვი რომ დაიბადებოდა, მის სახელზე ოჯახის მამაკაცი აუცილებლად რგავდა ხეს და, მიაჩნდათ, რომ სწორედ ის ხე იყო მისი მფარველი, დამცველი და ბოროტი ძალების ამცილებელი. ბავშვი რომ იზრდებოდა, ამ ხესთან უნდა ჰქონოდა ხშირი შეხება და ისიც დაიცავდა მას, ენერგიით აავსებდა. ხოლო, თუ მას ვინმე მოჭრიდა, უბედურება გარდაუვალი იყო. ეს ძველი ტრადიცია გახლავთ, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღემდეა შემორჩენილი.

**– ესე იგი, ადამიანის სახელზე დარგული ხე ამ კონკრეტული ადამიანის დამცველია?**

– დიახ, ადამიანის სახელზე დარგული ხის მიზანი და ამოცანაა, დაიცვას კონკრეტული პიროვნება ბოროტი ძალებისგან, გადასცეს მას თავისი ძალის ნაწილი და იხსნას შესაძლო უბედურებისგან. ასევე, ამ ხის ტოტისგან თლიდნენ პატარა ღილს და აკერებდნენ ბავშვის ტანსაცმელს. ითვლებოდა, რომ ეს ღილი მისი ბედნიერების მომტანი თილისმა იყო, ბოროტი ადამიანი მას ვერაფერს დააკლებდა, ბედიც გაუღიმებდა და ცხოვრებაშიც იღბლიანი იქნებოდა. ზოგადად კი, ადამიანები და მათი დაბადების მომენტში მათ სახელზე დარგული ასეთი მფარველი ხეები, ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ბედის უხილავი ძაფებით. ამიტომ, თუ ხე კარგად ხარობს, ადამიანიც ბედნიერია, ხოლო, თუ ნელ-ნელა იწყებს ხმობას, მაშინ, რაღაც საფრთხე უახლოვდება მის სულიერ „ორეულს“. ასევე, ცნობილია ის, რომ მცენარეებს ასტრალური ძალა აქვთ და ეს ადამიანმა უნდა იცოდეს, რათა თავის სასიკეთოდ გამოიყენოს.

**– კიდევ რა წესები უნდა დავიცვათ, რომ დაცულები ვიყოთ?**

– მზის ჩასვლის შემდეგ არ უნდა დააკეროთ ტანსაცმელს ღილი, არ ვარგა მაკრატლის ხმარებაც. ასე რომ, ღამის საათებში ფრჩხილების მოჭრას, რაიმეს გაჭრას, შეკერვასა და დაკერებას მოერიდეთ – ამით ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან, რადგან, ესეც უძველესი ეზოთერიკული კანონია და ამასაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოთ. მაგრამ, თუ ბედს ხართ მინდობილი და ამბობთ, რაც მიწერია, არ ამცდებაო, მაშინ, ნუღარც დაიწუწუნებთ, რომ წარუმატებელი და უიღბლო ხართ.

**ადამიანის სახელზე დარგული ხის მიზანი და ამოცანაა, დაიცვას კონკრეტული პიროვნება ბოროტი ძალებისგან, გადასცეს მას თავისი ძალის ნაწილი და იხსნას შესაძლო უბედურებისგან**

**– გამიგია, რომ წინათ ბავშვებს აუცილებლად ხის კოვზით აჭმევდნენ, ქალები კი ოჯახის მამაკაცის ხელით გამოთლილ სამკაულებს ატარებდნენ. ესეც ხის მაგიურ თვისებებს უკავშირდება?**

– ეს ცნობილი ფაქტია, რომ ძველად პატარა ბავშვს აუცილებლად ხის კოვზით აჭმევდნენ საჭმელს, რადგან, მიაჩნდათ, რომ ამით მას ჯანმრთელობას უბევებდნენ სამომავლოდ, საკვები პროდუქტიც ადვილად შეითვისებოდა ორგანიზმის მიერ და ალერგიის ან მოწამვლის ალბათობაც გამორიცხული იყო. ასეთ ხის კოვზებს ახალდაბადებულ ბავშვებს ბაბუა უთლიდა და ის მასში მამაკაცურ სიძლიერესა და ხის ენერგეტიკას დებდა. ხის სამკაულების ტარებასაც მსგავსი დატვირთვა აქვს: თუ ხისგან დამზადებულ სამკაულებს ატარებთ, ის თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს და გათვალვისა და ავი მზერის შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან დაგიცავთ. ხის სამკაული ერთ-ერთი უძლიერესი დამცველია გათვალვის საწინააღმდეგოდ. ტყუილად როდი ვახსენე „გათვალვა“ და „ავი მზერა.“ ადამიანის მზერაში ბევრი რამის ამოცნობა შეიძლება, მაგალითად, ბევრი ამბობს, რომ კონკრეტულ ადამიანთან შეხვედრა ცუდად აქვს დაცდილი, რადგან, ის იმ დონეზე ახდენს მასზე ზემოქმედებასა და მზერით გათვალვას, რომ იმ დღეს უსიამოვნება გარდაუვალია.

**– ანუ, შეიძლება, რომ გათვალვამ ადამიანს უბედურება მოუტანოს?**

– რა თქმა უნდა. არსებობს, ასევე, გათვალვებით გამოწვეული სხვა უსიამოვნებებიც, მაგალითად: უბედური შემთხვევა, ნერვული შეტევა, წარუმატებლობა, უიღბლობა და ასე შემდეგ. გარდა ამისა, სიკვდილის კოდი, რომელიც ყველა ჩვენგანშია ჩადებული, წყევლისა და მზერის მეშვეობით ადვილად და სწრაფად იწყებს მოქმედებას. თვალიდან წამოსულ ძლიერ გამოსხივებას ადამიანის ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა, ანუ, როგორც უბედურების, ისე ბედნიერების მოტანა შეუძლია. ასე რომ, ვინც რა უნდა თქვას, დამიჯერეთ, ავი თვალიც არსებობს და წყევლა და გათვალვაც რეალურად შესაძლებელია. სიკვდილის კოდი ადამიანში დაბადების მომენტში იდება და, შესაძლოა, მისი უდროო და უცაბედი სიკვდილი მისი წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვით, წყევლით, ძლიერმოქმედი ჯადოთი ან გათვალვით იყოს გამოწვეული. ამას ზოგი ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგი „მემკვიდრეობით გადაცემულ წყევლასაც“ უწოდებს და ძალიან საშიშია. წყევლა და გათვალვა კი, ძლიერი პროგრამის წყალობით, მეცხრე თაობამდე გადადის და მუშაობს უარყოფითად. ხოლო, სიკვდილის კოდი, რომელიც ავი მზერისგან კიდევ უფრო აქტიურდება, ადამიანზე მომაკვდინებლად მოქმედებს და ანადგურებს მას როგორც ფიზიკურად, ასევე, მორალურადაც. იცით, როგორ უნდა მიხვდეთ, რომ გაგთვალეს? გათვალულ ადამიანს ეწყება შიშები, თავის ტკივილები, ხშირი მთქნარება, თავს სუსტად გრძნობს, ბედში კი ძალიან წარუმატებელია. დაკვირვებული ვარ, ხშირად გათვალვის მსხვერპლი, ლამაზი და წარმატებული ადამიანი ხდება. ამიტომ, გირჩევთ, იმ ადამიანთან, ვინც უიღბლო და წარუმატებელია, მოერიდეთ გულის გადაშლას და ხშირ შეხვედრებს, რომ მისგან არ წამოვიდეს შური და არ გახდეთ მისი ავი მზერის უნებლიე მსხვერპლი.

**ნონა დათეშიძე**

## ხასიათი... მთავარია?!.

ყველა ქალი ანგელოზი არ არის... ხასიათი სუსტი სქესის წარმომადგენლებსაც ისეთივე განსხვავებული აქვთ, როგორც ჩვეულებრივ, ადამიანებს. ეს სრულიად ბუნებრივია. თუმცა, ზოგიერთი მართლაც რომ გამორჩეულია. მაგალითად, თუ ქალს მეტისმეტად დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, მაშინ მის ხასიათში გააქტიურებას იწყებს ისეთი თვისებები, როგორიც არის: პატივმოყვარეობა, ეგოიზმი, უმადურება, დაუკმაყოფილებლობის განცდა და სიავეც. სხვათა შორის, ხასიათიც იცვლება – თუკი იცვლება ცხოვრება. მით უფრო, როცა ერთ დღეს აღმოაჩენ, რომ იმაზე მეტისთვის მიგიღწევია, ვიდრე ელოდი ან იმსახურებდი.

რა არის პრობლემა? უპირველესად ის, რომ ასეთი ქალები გარშემო მყოფებისგან ითხოვენ მათი შესაძლებლობების მაქსიმუმს. არც თავად ისვენებენ და არც სხვას ასვენებენ. თუ რამის მიღწევა უნდათ, არავის და არაფერს ზოგავენ. შეუპოვრად მიიწევენ წინ, უკან მოუხედავად. არ ეპუებიან სიძნელეებს. მათი ნელ-ნელა შეცვლილი ხასიათი თავისას შვება. ისინი იცვლებიან. თავად მიაჩნიათ, რომ უკეთესობისკენ, თუმცა – რეალურად ასე არ არის... ბევრი იფიქრეთ იმ ნაბიჯზე, რომელსაც ყველას დასანახად, თვალსაჩინოდ დგამთ და გახსოვდეთ, რომ მარტო არ ხართ. ნებისმიერ ადამიანს ხასიათში ასევე აქვს სიკეთე, გულმოწყალება, სიმშვიდე და სენტიმენტალიზმი. გაააქტიურეთ ისინი და ყველაფერი კარგად იქნება.

## შეათვალიერე თამამად...

კარგად დააკვირდით იმას, ვინც მოგწონთ და ვისაც ცხოვრების თანამგზავრად მოიაზრებთ. პრინციპში, რატომაც არა?! ბოლოს და ბოლოს, ისინიც ხომ გვაკვირდებიან? თანაც, ექსპერტის თვალით და, ლამის „ნაწილებად გვშლიან“. სხვათა შორის, მამაკაცებს ძალიანაც მოსწონთ ქალის მხრიდან დაუფარავი ინტერესი, უფრო ადვილად იხსნებიან და ურთიერთობაზეც ადვილად თანხმდებიან. შეიძლება, თქვენი წარმოდგენა რაინდზე აბსოლუტურად განსხვავებულია იმისგან, ვინც რეალურად გყავთ, მაგრამ, ეს ნუ დაგაკომპლექსებთ და შეგაცბუნებთ. პაემანზე წასვლა ძალიან სასარგებლო და საჭიროა. სხვა თუ არაფერი, წაივარჯიშებთ მაინც – ისწავლით, როგორ წარმოაჩინოთ მამაკაცთან თქვენი დადებითი მხარეები; ასევე, როგორ გაერთოთ ფლირტით და სიამოვნება მიიღოთ ურთიერთობისგან.

ყოველთვის შეეცადეთ, არ აჰყვეთ სტერეოტიპებს და მოიქცეთ ბუნებრივად, საკუთარი გულისა და გონების კარნახით. ერთი სიტყვით, შეათვალიერეთ თამამად, გაუღიმეთ თამამად და შეხვდით იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ მიიჩნევთ... რათა ჭეშმარიტად სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ.

## ყველაფერი უკეთესობისკენ

მამაკაცებს მოსწონთ განსაკუთრებული და ინდივიდუალურობაგამოხატული ქალები. თუ ფიქრობთ, რომ არაფრით ხართ ამ მხრივ გამორჩეული და ძლიერ სქესს მსგავსს ვერაფერს „შესთავაზებთ“, ძალიან ცდებით. უბრალოდ, უნდა იცოდეთ, რას მიაქციოთ ყურადღება და რა წამოსწიოთ წინა პლანზე.

უპირველესად, ნურასოდეს შეგეშინდებათ შინაგანი წინააღმდეგობის, პირიქით, მოეშვით და გაიცინეთ – ამ გზით გამოიწრთობთ ხასიათს და დაძლევთ უამრავ შინაგან კომპლექსს, რომლებსაც, შეიძლება, ვერც კი ამჩნევთ.

თქვენ ხართ ქალი, ამიტომ, თქვენი ყოფნა სამზარეულოში ან უთოთი ხელში – ბუნებრივი მდგომარეობაა, ამიტომ, შეეცადეთ, ეს საქმე ხალისით, ბრაზის, აგრესიის გარეშე აკეთოთ.

ნუ ჩამოყალიბდებით „პარანოიკად“ – ეს ჭეშმარიტად ნეგატიური მდგომარეობაა და წამგებიან პოზიციაზე გაყენებთ.



იყავით გულახდილები, დაინახეთ და აღიარეთ შეცდომები საკუთარ თავთან – ეს აუცილებელია. არ მოგიხდათ ახალი ვარცხნილობა? ნუ შექმნით ამისგან ტრაგედიას, მოიხდინეთ ახალი იმიჯი – თქვენ ეს გამოგივათ. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ არსებობს მამაკაცი, რომელსაც ზუსტად ამ ვარცხნილობაში მოეწონებით.

არასოდეს იფიქროთ: „მე უკვე იმ ასაკში ვარ, რომ...“ ნებისმიერ ასაკში უნდა იყოთ წარმატებული და საკუთარ თავში დაჯერებული.

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ განუცდია მარცხის, ტკივილის მწარე გემო. მაგრამ, თუ მუდმივად წინ გაიხედავთ და არ იწუწუნებთ საკუთარ უიღბლობაზე, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

გახსოვდეთ: ყველა სხვა მამაკაცზე უკეთესია ის, რომელიც გულწრფელად გიყვართ. თუ ამას ვერ აცნობიერებთ, ესე იგი, სიყვარულამდე ჯერ ბევრი გაკლიათ.

## მამაკაცების შესახებ

ქალს გაცილებით უკეთ ესმის მამაკაცის, ვიდრე პირიქით. მაგრამ, მაინც არ გვაწყენდა რამდენიმე ძალიან საინტერესო და სასარგებლო ფაქტის ცოდნა მათ შესახებ.

* მამაკაცების 18 პროცენტს კოცნის დროს ძალიან აინტერესებს, როგორ გამოსდის მას ეს საქმე. თან, წარმოიდგენენ ხოლმე, როგორი სექსი იქნება ამ კონკრეტულ ქალთან. თუმცა, წინ ვეღარ მიდიან და ქალის მხრიდან ელიან ინიციატივას. როგორც წესი, ქალი კოცნის დროს საერთოდ არაფერზე ფიქრობს, იმდენად სიამოვნებს კოცნის პროცესი.

* მამაკაცების უმრავლესობას საშინლად აკომპლექსებს ქალის მხრიდან შენიშვნა საკუთარ გარეგნობაზე. რადგან, ისინი „ნარცისები“ არიან.

* უცნაური ფაქტია: ქალი თავის შეყვარებულთან ხმადაბლა და ალერსიანი ხმით საუბრობს, კაცი კი პირიქით – თუ მან ხმას აუწია და ინტონაციაში მჟღერი ბგერები გაჩნდა, ესე იგი შეყვარებულია.

* თუ მამაკაცი 8 წამის განმავლობაში თვალს არ გაშორებთ, უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მოეწონეთ, თანაც – სერიოზულად. სხვათა შორის, მამაკაცს ქალის შესაფასებლად ზუსტად 4 წამი სჭირდება.

* მამაკაცებს სწორედ რომ მიუხარიათ პაემანზე, განსაკუთრებით გულმოდგინედ კი პირველი ოფიციალური შეხვედრისთვის ემზადებიან. 60 პროცენტი მამაკაცებისა ცდილობს, ასეთ დროს, საცვლებიც კი ახალი და გარეცხილი ეცვას. თუმცა, სითამამე მხოლოდ მათ მცირე ნაწილს არ ღალატობს.

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მხოლოდ პატარა ცვლილებები

პირდაპირ დავიწყებთ, შესავლის გარეშე:

1) შეიძინეთ მხოლოდ სასარგებლო პროდუქტები და გამოავსეთ მაცივარი ხილითა და ბოსტნეულით ისე, რომ არანაირი გემრიელი კერძისთვის არ დარჩეს მასში ადგილი, რათა მოშიების შემთხვევაში, იძულებული გახდეთ, ვაშლი ან უმი კომბოსტოს ფურცელი ჩაახრამუნოთ.

2) დაივიწყეთ ფასტფუდები და ნახევარფაბრიკატები.

3) შეამცირეთ ულუფები.

4) ყველაფერს პოზიტიურად შეხედეთ, მაგალითად, თვალი დახუჭეთ თქვენი ქმრის (პარტნიორის ან შეყვარებულის) მავნე ჩვევებზე.

5) უკუაგდეთ ნებისმიერი აგრესია – ის აუცილებლად ჩაგიგდებთ დიეტას.



6) ყოველი დღის ბოლოს შეაქეთ საკუთარი თავი გამძლეობისა და ნებისყოფისთვის.

7) მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და შეეცადეთ, მეტხანს ისეირნოთ ველოსიპედით ან გორგოლაჭებით.

8) იარეთ ფიტნეს-კლუბში მეგობართან ან შეყვარებულთან ერთად.

9) მნიშვნელოვანია წყლის პროცედურები, განსაკუთრებით კი – ცურვა. ისე, არც საუნა გაწყენდათ.

10) დაივიწყეთ გამოთქმა: ყველაფერი გემრიელი – მავნებელია. მთავარია, „სწორი" პროდუქტები შეიძინოთ, მათი მომზადების დროს კი, ისე, რომ მინიმალური რაოდენობით გამოიყენოთ ცხიმი და მარილი (მწარე გამორიცხეთ), შეგიძლიათ, საკმაოდ გემრიელი, მაგრამ, მსუბუქი კერძები მოამზადოთ.

თუ ამ რჩევებს ზუსტად შეასრულებთ, არ არის გამორიცხული, რომ ორ კვირაში 5-6 კილოგრამი დაიკლოთ.

# რამდენიმე რჩევა სახის, თმისა და სხეულის მოსავლელად

## სახე

* წვრილი ნაოჭების გასაქრობად, კანის დასაჭიმავად, ტონუსში მოსაყვანად და კანისთვის ჯანმრთელი ფერის მისანიჭებლად საუკეთესო საშუალებაა მასაჟი გარგარის კურკების ზეთით.

* ყოველთვის იქონიეთ საყინულეში მცენარეული ნახარშებისგან დამზადებული ყინულის კუბიკები, რომლითაც სახე მსუბუქად უნდა დაიმასაჟოთ საღამოს, მაკიაჟის მოშორების შემდეგ და დილით – მაკიაჟის გაკეთებამდე 1 საათით ადრე.

* ავტორუჯის ნაცვლად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ კრაზანას ნახარში. თუ ამ სითხით ყოველდღე გაიწმენდთ სახეს, უკვე ერთი კვირის შემდეგ მიიღებთ მსუბუქი ნამზეურის ეფექტს. დამატებითი ბონუსი: არჩენს გამონაყარს და არბილებს კანს.



* შავი წერტილებისა და ჩირქოვანი გამონაყარის საწინააღმდეგო ძვირფასი ტონიკის ნაცვლად, გამოიყენეთ კალენდულას სპირტიანი ნაყენი, მაგრამ, არ შეიძლება მისი გამოყენება მგრძნობიარე, მშრალ ან აქერცლილ კანზე.

## თმა

* თმის ზრდის დასაჩქარებლად გამოიყენეთ თმისთვის განკუთვნილი ზეთი „რეპევიტი", რომელიც, ამასთანავე, ამაგრებს თმის ძირებს. ამ ზეთს შეურიეთ 2-2 ჩაის კოვზი A და E ვიტამინები, ლიმონის წვენი და პრეპარატი „დიმექსიდი", კარგად შეიზილეთ თმაზე და თმის ძირებში, თავზე შემოიხვიეთ ცელოფანი და გაიჩერეთ ნახევარი საათიდან 1-2 საათამდე, შემდეგ კი ჩამოიბანეთ ათქვეფილი კვერცხის გულით და გადაივლეთ წყალში გაზავებული ძმარი.

* თმის ცვენის საწინააღმდეგოდ, 1 ჩაის კოვზი „დიმექსინი" და 1 ჩაის კოვზი ქაცვის ზეთი კარგად აურიეთ ერთმანეთში, შეიზილეთ თმის ძირებში და გაიჩერეთ 1-2 საათი. შემდეგ კი ჩამოიბანეთ ისევე, როგორც წინა შემთხვევაში. პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში ერთხელ ან ორჯერ.

* თმიდან ცხიმიანი ნიღბის მოსაშორებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ წყალში გაზავებული ვაშლის ძმარი, ათქვეფილი კვერცხის გული ან ჭინჭრის ნახარში.

* ქერტლის საწინააღმდეგოდ გამოიყენეთ სალბის ნახარში; თმის ძირების გასამაგრებლად – აბუსალათინის ზეთი; ბზინვარებისთვის – გვირილების ნახარში.

## სხეული

* სხეულზე პილინგის გასაკეთებლად აუცილებელია ორი შემადგენელი კომპონენტი – ფუძე და გამაპრიალებელი ნივთიერება. ფუძედ შეიძლება გამოიყენოთ: არაჟანი ან ზეთი – მშრალი კანისთვის; რძე ან ლოსიონი – ნორმალური და ცხიმიანი კანისთვის; ხოლო, გამაპრიალებელ ნაწილაკებად – დაფქული ყავა (მოხარშულიც შეიძლება) – ნებისმიერი ტიპის კანისთვის, რომელიც, პარალელურად, კანს აძლევს მსუბუქი ნამზეურის ელფერს; შაქარი – მგრძნობიარე კანისთვის; მარილი – უხეში ან ნორმალური კანისთვის. შეურიეთ თქვენ მიერ შერჩეულ ფუძეს შესაბამისი გამაპრიალებელი მასალა და მასში ჩაწობილი დოლბანდით მსუბუქად დაიმასაჟეთ სხეული (შეიძლება, ეს სხვას გააკეთებინოთ, რათა ყველა მონაკვეთზე მოახერხოთ მასაჟის გაკეთება). თუ ფუძედ გამოიყენეთ ზეთი ან არაჟანი, პროცედურების დასრულების შემდეგ კრემის წასმა აღარ დაგჭირდებათ.

* ცელულიტების საწინააღმდეგოდ გაიკეთეთ ძმრიანი შეფუთვა: ერთმანეთს თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ვაშლის ძმარი და წყალი; დაუმატეთ ძმრის რაოდენობის ნახევარი პიტნის, როზმარინის ან ლიმონის ზეთი. მიღებული მასა სქლად დაიდეთ პრობლემურ ადგილებზე, შემოიხვიეთ ცელოფანი, თბილად დაიფარეთ და წამოწექით 1 საათი, შემდეგ კი ჩამოიბანეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ დავიბანო სახე, თუკი ცხიმიანი კანი მაქვს?**

**პასუხი**: ცხიმიანი კანის დაბანისას, შეგიძლიათ, შემოიფარგლოთ კოსმეტიკური საპნითა და გრილი წყლით, რის შემდეგაც აუცილებელია, შეიშხაპუნოთ სახეზე ცივი წყალი, რომელშიც წინასწარ რამდენიმე წვეთ ლიმონის წვენს შეურევთ. ძალიან ეფექტურია, ასევე, შემდეგი მეთოდი: ხელებში აიქაფეთ კოსმეტიკური საპონი, ქაფს დაუმატეთ ცოტა შაქარი ან მარილი და ისე დაიბანეთ სახე. აგრეთვე, შეგიძლიათ, სახე გაიწმინდოთ გახეხილი ვაშლით, გახეხილი უმი კარტოფილით ან ნუშის ზეთით.

**კითხვა: განსაკუთრებით რა პროცედურებია აუცილებელი სახის კანის მოსავლელად ასაკოვანი ქალისთვის?**

**პასუხი**: პირველ ყოვლისა, უნდა მოარიდოთ სახე მწველი მზის სხივების, ქარის, ყინვისა და ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის მავნე ზეგავლენას; რაც შეეხება უშუალოდ მოვლას, ასაკოვანი კანი განსაკუთრებით საჭიროებს დატენიანებასა და კვებას, ამიტომ, ძირითადი მოვლის პარალელურად, აუცილებელია, კვირაში ერთხელ ან ორჯერ მიაშველოთ ვიტამინები, ასევე, დამატენიანებელი და მკვებავი ნიღბები. ამ მიზნით გამოიყენეთ სამკურნალო მცენარეების (როზმარინის, სალბის, პიტნის, მელისის, გვირილის, უკვდავას, ოხრახუშის, ცაცხვის ყვავილის და ასე შემდეგ) ნაყენის კომპრესები.

**კითხვა: თუ შეიძლება, მასწავლეთ ნიღბის შინაური რეცეპტი მოდუნებული (მოშვებული) კანისთვის.**

**პასუხი**: ერთმანეთში აურიეთ თითო ჩაის კოვზი თაფლი, პურის ფქვილი და რძე. წაისვით სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე თხელ ფენად და გაიჩერეთ 30 წუთი. ჩამოიბანეთ გვირილის ნახარშში დასველებული ბამბის ტამპონით და წაისვით თქვენი მკვებავი კრემი.

**კითხვა: ვიცი, რომ რამდენიმე ტიპის კანი არსებობს. თუ შეიძლება, დამიხასიათეთ, როგორია ნორმალური კანი?**



**პასუხი**: ნორმალური ტიპის კანი გაცილებით იშვიათია, ვიდრე ყველა დანარჩენი. ის არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. გამოიყურება ცოცხლად, ფეროვნად; არის მკვრივი და სრიალა; მასზე არ შეინიშნება მსხვილი ფორები; არ პრიალებს და არ იქერცლება. მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, ნორმალური ტიპის კანი თანდათან შრება და, შესაბამისად, საჭირო ხდება მისი „გამამხნევებელი" მოვლა იმავე მეთოდებით, როგორიც მშრალ კანს სჭირდება.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# სტალინის რომელი რეფორმის გატარება დაავალა ჰიტლერმა გებელსს გერმანიაში



## სახელმწიფო შეკვეთა (1928 წელი)

სტალინი ძლიერი, მონოლითური, დიადი სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთ უმთავრეს ქვაკუთხედად იდეოლოგიას მიიჩნევდა. „კომუნისტური იდეოლოგია, – ამბობდა ბელადი, – მხოლოდ მაშინ მოიტანს სასურველ ეფექტს, როდესაც ის ჯერ თითოეული საბჭოელის, ხოლო შემდგომ თითოეული „დედამიწელის“ გონებაში ღრმად ჩაჯდება... პრესა იდეოლოგიის გავრცელების ყველაზე ეფექტური საშუალებაა (რადიოქსელი იმ პერიოდში იწყებდა განვითარებას, ხოლო ტელევიზია ჯერ არ იყო) და მის ფურცლებზე სიბინძურის მარცვალიც კი არ უნდა მოხვდეს“, – იმეორებდა ბელადი და იქვე დასძენდა: „ჩვენ უნდა გავამკაცროთ კომუნისტური ცენზურა საბჭოთა პრესაზე და ყოველი წინადადება, თითოეული სიტყვა აწონილ-დაწონილად, ათასჯერ გაანალიზებულად, მხოლოდ ღრმად გააზრების შემდეგ უნდა მოხვდეს საბჭოთა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. დიადი რევოლუციის პირველი თერთმეტი წლის განმავლობაში (1917-1927) საბჭოთა პრესა იმდენად თავაშვებული იყო, რომ მის ფურცლებზე ლამის ყოველ ნაძირალას, კალმოსანსა თუ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს შეეძლო მოხვედრა. ზემოაღნიშნულ პერიოდში გამოდიოდა ათეულ ათასობით ბეჭდვითი ორგანო და მათ ფურცლებზე მილიარდობით საეჭვო ღირებულების, მავნე, ანტისაბჭოთა, ოპოზიციური პუბლიკაციები იბეჭდებოდა. ამ თერთმეტწლიან ბაქანალიას სტალინმა ერთი ხელის მოსმით დაუსვა წერტილი, როდესაც 1928 წლის 4 თებერვლის დადგენილებით, პოლიტბიუროს სპეციალური კანონი მიაღებინა კომუნისტური ცენზურის შესახებ, რის შედეგადაც, სპეციალური კომისიები განიხილავდნენ თითოეული გამოცემის მიზანშეწონილობას და მხოლოდ მათი გადაწყვეტილების საფუძველზე იყო დამოკიდებული ამა თუ იმ გამოცემის ბედი. ამ კომისიების გადაწყვეტილების გასაჩივრება დაუშვებელი გახლდათ და პოლიტბიუროს მიერ მათ აბსოლუტური დამოუკიდებლობა ჰქონდათ მინიჭებული. ამ კომისიებმა (ძველი სახელწოდებით „ბსსკ“ – ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომისია) სულ რაღაც 8 თვე იმუშავეს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ათეულათასობით საეჭვო, მავნე ჟურნალ-გაზეთების ლიკვიდაცია მოახდინეს.

მოგვიანებით, „ბსსკ“ „მთავლიტად“ გადაკეთდა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ცენზორის ფუნქციები და წარმატებით ართმევდა თავს ამ საქმეს. ამგვარად, „ბსსკ-ს“ რვათვიანი მუშაობის შედეგად დარჩა მხოლოდ რამდენიმე ცენტრალური ჟურნალ-გაზეთი და მსგავსი ტიპის რეგიონული გამოცემები. ამ ბეჭდვით ორგანოებში, რა თქმა უნდა, წამყვანი როლი ეკავა გაზეთ „პრავდას“, რომელიც დაარსების დღიდან კომუნისტების მთავარ ტრიბუნად ითვლებოდა. „პრავდა“ ილიჩის პირმშოა და ჩვენ ის მრავალ ქარიშხალსა და დავიდარაბაში გამოვატარეთ. დევნა, ჩხრეკები, უფულობა – ჩვენი მოძრაობის მუდმივი თანამგზავრი იყო, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, „პრავდა“ ყოველთვის ჩვენი ბრძოლის ავანგარდში იდგა“, – მოუთხრობდა სტალინი „პრავდის“ კოლექტივს ამ გაზეთის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე და განაგრძობდა: „თქვენ, ჩვენი უპირველესი გაზეთის თითოეული თანამშრომელი, დაწყებული მთავარი რედაქტორიდან, უბრალო სტამბის მუშით დამთავრებული, ჩვენი პარტიის იდეოლოგიური სანიტრები ხართ და ეს ფუნქცია დიადი ოქტომბრის უდიდესმა მონაპოვარმა, სოციალისტურმა რევოლუციამ დაგაკისრათ. თქვენ სახელმწიფოს შეკვეთას ასრულებთ, რომელსაც ხალხი გაძლევთ და აქედან გამომდინარე, თქვენ ხართ ჭეშმარიტად სახალხო გაზეთის შემქმნელები, შემოქმედები. „პრავდის“ ფურცლებზე დაწერილი თითოეული სიტყვა ჭეშმარიტ სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს და ამ სიმართლემ ჩვენს დიად აღმშენებლობას უნდა შეუწყოს ხელი“. სტალინს მშვენივრად ესმოდა იდეოლოგიის წარმმართველი როლი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ისიც კარგად იცოდა, რომ პრესა იყო ის უპირველესი იარაღი, რომელსაც ეს იდეოლოგია ყოველდღიურად უნდა გაეტანა ფართო მასებში. სხვადასხვა დროს „პრავდას“ სხვადასხვა რედაქტორი ჰყავდა და თვით ლენინიდან დაწყებული, მას მრავალი გამოჩენილი ბოლშევიკი, მათ შორის სტალინიც, ედგა სათავეში. ლენინი ამბობდა: „პრავდის“ სკოლა ყველა მარქსისტს, სოციალ-დემოკრატსა და, რა თქმა უნდა, ბოლშევიკს აქვს გამოვლილი. მის ფურცლებზე იბადებოდა ის ჭეშმარიტი, რევოლუციურ-დემოკრატიული აზრი, იდეა, რომელმაც რუსეთი უდიდეს ქარცეცხლში გამოატარა. ამ გაზეთის ფურცლები, დაარსების დღიდან 1927 წლის ბოლომდე, თითქმის ყველა ოპოზიციონერისთვის იყო ხელმისაწვდომი და, ფაქტობრივად, არანაირი შეზღუდვები არ ვრცელდებოდა. 1928 წლიდან კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და „პრავდა“ მხოლოდ და მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოდ გადაიქცა. უპირველესად, სტალინმა გაზეთის მმართველი სტრუქტურა შეცვალა და „პრავდის“ ერთპიროვნული მთავარი რედაქტორის თანამდებობა რედკოლეგიის თავმჯდომარის პოსტით ჩაანაცვლა, ხოლო რედკოლეგიას, ფაქტობრივად, თავად ჩაუდგა სათავეში. თუმცა, ეს ფორმალურად არსად არ იყო დაფიქსირებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით ტროცკი ზინოვიევს ეუბნებოდა: „მან (სტალინმა) უკანასკნელი სასიცოცხლო არტერია გადაგვიჭრა პრესასთან დაკავშირებული დადგენილების შედეგად და ფართო მასებში ჩვენი სიტყვის გატანის საშუალება მოგვისპო“. ფაქტობრივად, სტალინის ამ აქციამ დააჩქარა ტროცკისტული ოპოზიციის ლიკვიდაცია და მშრომელ საბჭოთა ადამიანს სწორი იდეოლოგიური ჰორიზონტი დაანახვა. მოგვიანებით, როდესაც საბჭოთა დაზვერვამ დამარცხებული ფაშისტების საიდუმლო არქივები ჩაიგდო ხელში, მათი დამუშავების შედეგად გაირკვა, რომ ჯერ კიდევ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე სწავლობდა გერმანიის დაზვერვა სტალინის პროპაგანდისტულ მეთოდებს და სწორედ ჰიტლერმა გამოიყენა მრავალი რამ ამ გამოცდილებიდან. 1935 წლის მაისში გამართულ ერთ-ერთ საიდუმლო სხდომაზე ჰიტლერი პირდაპირ მიუთითებდა პროპაგანდის მინისტრს, იოზეფ გებელსს: „წითლებმა ჯერ კიდევ ოციანი წლების მიწურულს განახორციელეს იდეოლოგიური რეფორმა და ამის პირველი საფეხური პრესის ცენტრალიზებული, ერთიანი მმართველობისა და ცენზურის დაწესება იყო“. შემდეგ, ჰიტლერმა პირდაპირ მიუთითა გებელსს „პრავდის“ რეფორმის მსგავსი აქციის განხორციელებაზე და ფაშისტურ გაზეთ „ფოლკიშერ ბეობახტერშიც“ იგივე რეორგანიზაცია განახორციელა, როგორიც „პრავდაში“ სტალინმა. პოლიტბიუროს ერთ-ერთ საგანგებო, იდეოლოგიურ სხდომაზე სტალინი აღნიშნავდა: „ორასმილიონიან სახელმწიფოში, სადაც მხოლოდ ოცდახუთმა პროცენტმა იცის წერა-კითხვა, „პრავდამ“ საგანმანათლებლო ფუნქციებიც უნდა შეითავსოს და ერთგვარ ანბანადაც კი უნდა გადაიქცეს მუშებისა და გლეხებისთვის“. სწორედ სტალინის უშუალო ინიციატივით შეიქმნა გაზეთ „პრავდაში“ რუბრიკა „დავძლიოთ უწიგნურობა“, რომლის საშუალებითაც მილიონობით მშრომელი სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტლად ეუფლებოდა წერა-კითხვას. მთელი კავშირის მასშტაბით შეიქმნა, ეგრეთ წოდებული, პრავდის კურსები, რომლის პრინციპიც ძალზე მარტივი იყო, ანუ მწიგნობარი ადამიანები გაზეთის მეშვეობით წერა-კითხვას ასწავლიდნენ თავიანთ უწიგნურ თანამშრომლებს. ამ აქციით ორმაგი ეფექტი მიიღებოდა, ანუ ანა-ბანასთან ერთად ადამიანი იდეოლოგიის ძირითად თეზისებსაც ეუფლებოდა, რაც მის სოციალურ-პოლიტიკურ ადაპტაციას დიდად უწყობდა ხელს. 30-იანი წლების შუაში, გაზეთ „პრავდას“ სახალხო განათლების კომისარიატის დიდი ოქროს მედალი გადაეცა მასობრივი განათლების სფეროში გაწეული დიდი ღვაწლისთვის. ჯილდო პირადად სტალინმა საზეიმო ვითარებაში გადასცა „პრავდის“ კოლექტივს და თავის სიტყვაში აღნიშნა: „თქვენი გაზეთის, – მან პაუზა გააკეთა, დარბაზს თვალი გადაავლო და განაგრძო, – ჩვენი, საყოველთაო – სახალხო გაზეთის სახელწოდება სრულად ამართლებს მის შინაარს და მისი ყოველდღიური ფურცლებიდან გადმოდენილი მართალი სიტყვა, ერთი მხრივ, გულში ლახვარს სცემს ჩვენს საერთო მტრებს და მათ ბოროტ ზრახვებს ამხელს, ხოლო მეორე მხრივ, უდიდეს ხალისსა და ენერგიას ანიჭებს თითოეულ პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს. მადლობა თქვენ, ამ უდიდესი დამსახურებისთვის. თქვენ ბრწყინვალედ ასრულებთ სახელმწიფო შეკვეთას, რომელიც საბჭოთა ხალხისგან მომდინარეობს. საინტერესო ფაქტია, რომ ჯერ კიდევ 1928 წელს ამ იდეოლოგიური რეფორმის პირველ ეტაპზე „პრავდის“ ტირაჟი 20-ჯერ გაიზარდა და 2 მილიონი გახდა, ანუ ყოველდღიურად, ყოველ მეასე საბჭოთა მოქალაქეს საშუალება ჰქონდა, „პრავდა“ ეყიდა, ხოლო წაკითხვით კი მას სამჯერ მეტი ადამიანი კითხულობდა. გარდა ამისა, „პრავდის“ მეშვეობით იმ პირველ წელს მილიონ-ნახევარმა ადამიანმა ისწავლა წერა-კითხვა. ამგვარად, 1928 წელი „პრავდის“ ისტორიაში გარდამტეხი აღმოჩნდა, ხოლო ამ გამოცემის როლმა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში ერთი-ორად იმატა.

**ნიკა ლაშაური**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა პერიოდში იმატებს ადამიანებში პესიმისტური განწყობა, თავის ტკივილი, უძილობა და გაღიზიანება



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ასტროლოგიურად, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ ჩვენსავე ფიქრებსა და აზრებზეა დამოკიდებული, ანუ, რა მუხტსაც ვუშვებთ სამყაროში, როგორი აზრები და განწყობაც გვაქვს, ისეთივე მომავალი გვექნება. ამიტომ, აუცილებელია, როგორი წარუმატებლობის წინაშეც არ უნდა ვიდგეთ, შევინარჩუნოთ სწორი აზროვნება და შევძლოთ ფიქრებისა და აზრების კონტროლი. რაც მეტი რწმენა და კარგის მოლოდინი აქვს ადამიანს, მით მეტი წარმატებით აჯილდოებს მას კოსმოსი. ხოლო, ის, თუ რამდენად მალე შევძლებთ აზროვნების შეცვლას და გავითავისებთ, რომ ჩვენ თავად ვართ საკუთარი ბედის მმართველნი, რაშიც ვარსკვლავებიც გვეხმარებიან, ჩვენსავე აზროვნებაზეა დამოკიდებული. ასტროლოგიური ლოგიკით, წარუმატებელი, პესიმისტი, მუდამ უიმედობის განცდის მქონე ადამიანი საკუთარ ბედსა და ცხოვრებაზე აგებს პასუხს და თავად უქმნის კოსმიურ ძალებს ბარიერს, ცხოვრებას პესიმისტურ ელფერს სძენს და საკუთარი ქმედებითა და აზრებით ბლოკავს ასტრალური ძალების მოდინებას თავის ბედში.

ჩვენი ნებისმიერი ფიქრი, აზრი და ემოცია ჩვენს ენერგეტიკულ ველზე – აურაზე აისახება, ანუ, თუ ჩვენ გამუდმებით ვემდურით ბედს, აგრესიულები და დეპრესიულები ვართ, ცხოვრებას უიმედოდ ვუყურებთ, ეს გარკვეულ დამანგრეველ და ნეგატიურ კვალს ტოვებს ჩვენს ენერგეტიკულ ველზეც და, ვინაიდან სამყაროში მოქმედებს ასტრალური კანონები, ჩვენს ცხოვრებაში ვიზიდავთ სწორედ ამ ნეგატიური ვიბრაციის შესაბამის მოვლენებს. ჩვენ თავადვე ვაპროგრამებთ საკუთარ თავს წარუმატებლობაზე: გამუდმებით ვფიქრობთ და ენერგეტიკულად ვკვებავთ ორგანიზმს სწორედ ისე, როგორც ჩვენ გვინდა, შედეგად კი ცხოვრებაში გაუთვლელი მოვლენები, გაუთავებელი პრობლემები, ბარიერები და წინაღობები გვხვდება, რაც ჩვენს ბედზეც, შესაბამისად, ნეგატიურად აისახება.

ვისაც სურს და, არ მეგულება ადამიანი, რომ ეს არ სურდეს, იყოს საკუთარი ბედის განმკარგველი, მიიღოს ცხოვრებისგან რაც შეიძლება მეტი დადებითი ემოცია, სიხარული და წარმატება, დაუყოვნებილივ უნდა დაიწყოს იმ მისიის შესრულება, რაც მას კარმულად ევალება დედამიწაზე. ამისთვის კი, პირველ ყოვლისა, უნდა დაიწყოს საკუთარი აზროვნების შეცვლა, გადავიდეს ნეგატიურიდან პოზიტიურ ფიქრსა და აზროვნებაზე და მთელი აქცენტი უნდა გადაიტანოს იმაზე, რაც მას სიამოვნებასა და წარმატებას მოუტანს.

თუ თქვენ შეძლებთ საკუთარი ფიქრებისა და აზრების კონტროლს, არ აჰყვებით ემოციებს და მშვიდად მიუდგებით მოვლენებს, ამით კოსმიურ სივრცეში გაგზავნით დადებით იმპულსებს და საკუთარ თავს წარმატების საშუალებას მისცემთ. არც ისე ძნელია ცხოვრებაში სასიკეთო ძვრების შეტანა, თუ მიზანდასახული და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იქნებით, ეს კი ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია.

როდესაც ადამიანი ზის და ფიქრობს არა დადებითზე, არამედ, უარყოფითზე და ამბობს, რომ ირგვლივ ყველაფერი ცუდადაა, არ უნდა ელოდოს კარგს და მომავალშიც არაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ. მას უნდა ახსოვდეს, რომ მისი ეს ფიქრი კოსმოსში იგზავნება და იქიდან სასიკეთოს აღარ უნდა ელოდოს.

ყველა ადამიანი თავის ასტროლოგიურ პერიოდს გადის და, იქ გარდაუვალია როგორც წარმატება, ისე წარუმატებლობა, თუმცა, ეს ორივე დროებითია. ასევე, უნდა მიაქციოთ ყურადღება, რა დღეებში გეძალებათ ნეგატიური ფიქრები. ბევრი უჩივის თვის გარკვეულ დღეებში განსაკუთრებულ სისუსტეს, გაღიზიანებას, წარუმატებლობას, მგრძნობელობის მომატებას და ვერ ხსნის ამის გამომწვევ მიზეზებს. საიდუმლო არ არის, რომ ამაში მთვარის ფაზებია „დამნაშავე.“ აქვე მოგცემთ რამდენიმე ასტროლოგიურ რჩევას, რომლებიც აუცილებლად დაგეხმარებათ. მაგალითად, თუ სავსე მთვარის დროს საძინებელ ოთახს კარგად დააბნელებთ ფარდებით: ისე, რომ მთვარის ნათებიდან წამოსული ენერგია არ შემოიჭრას ოთახში, ამით მთელი თვის განმავლობაში დააღწევთ თავს (მომავალ სავსე მთვარემდე) უძილობას, გაღიზიანებას, ნეგატიურ ფიქრებს და ასე შემდეგ. ასევე, მთვარის შევსებამდე ერთი დღით ადრე და შევსების მეორე დღეს, ორგანიზმში აქტიურად მიმდინარეობს ცხიმების დაგროვება, რაც თქვენი უგუნებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიცაა. ამას თავიდან აიცილებთ, თუ მთვარის შევსების წინა დღეს ხილისა და წვენების დიეტას დაიცავთ, ეცდებით, შემოიფარგლოთ ყოველდღიური საქმიანობით და არ დაიწყებთ ახალ საქმეს.

ზოგადად, სავსე მთვარის დროს იმატებს პესიმისტური განწყობა, თავის ტკივილი, უძილობა, დისკომფორტი და გაღიზიანება. ამიტომ, ამ დღეებში მაქსიმალურად უნდა შეამციროთ საქმიანი კონტაქტები.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2001 წლის 7 თებერვალს. მაინტერესებს, რა არის მისი კარმული მისია და რომელ პროფესიებში მიაღწევს ის წარმატებებს?**

**პასუხი**: მის კარმულ-კოსმიურ მისიას წარმოადგენს ის, რომ წარმოაჩინოს სულიერი თვისებები; იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, სადაც საჭიროა, იყოს უშიშარი და გამოავლინოს მებრძოლის თვისებები. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: სპორტი, მანქანათმშენებლობა, მანქანების ბიზნესი ან დიზაინი, პოლიტიკა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო, საგამომგონებლო საქმიანობა, სახანძრო, სამაშველო სამსახური, სამართალდამცავი და სადაზღვევო ორგანოები, იურისპრუდენცია, დიზაინი, სამოდელო საქმე, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა; სადალაქო, საკონდიტრო ინდუსტრია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება.

**კითხვა: დავიბადე 1990 წლის 18 მაისს. რა არის ჩემი კარმული მისია და რომელ ზოდიაქოს ნიშანთან მელის სასურველი ქორწინება?**

**პასუხი**: კარგია ქორწინება კუროსთან, თევზებთან, ტყუპებთან, კირჩხიბთან; ცოტა ფრთხილად იყავით თხის რქასთან, ლომთან და მერწყულთან. დანარჩენ ნიშნებთან ურთიერთობა საშუალოა. თქვენი კარმული მისიაა, იყოთ დისციპლინირებული, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, ფულის ყაირათიანად მხარჯველი. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მაქსიმალურად სტაბილური გახადეთ თქვენი ცხოვრება. ურთიერთობებში დაეყრდენით ინტუიციას, დიპლომატიურობას – ეს არის თქვენი კოსმიური მისია და წარმატებების ფაქტორი.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 18 სექტემბერს. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია და რა გავაკეთო წარმატების მისაღწევად?**

**პასუხი**: უპირველესად, უნდა ემსახუროთ სამშობლოს, იყოთ პატრიოტი; აუცილებელია, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შექმნათ სტაბილური საოჯახო და პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდენით ინტუიციას და ისწავლეთ საკუთარი საიდუმლოს დაცვა. უნდა იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ასევე, ორგანიზებული და ერთგული. ირგვლივ ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდით ნებისყოფიანი, მომთმენი, მშრომელი, ბრძოლისუნარიანი. ხარჯეთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს არის გამარჯვებების მომტანი ფაქტორები და, ასევე, თქვენი კოსმიური მისია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

4 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

5 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

6 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მაგრიტის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 15 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

7 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

4 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ევროჯორჯია"/„ფრანგულის გაკვეთილები"** - პრემიერა - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული. მონაწილეობენ: ქეთი გეგეშიძე, ვალერი კორშია, როლანდ ოქროპირიძე, ჯაბა კილაძე, ნათელა ნიკოლაიშვილი, თეონა ქოქრაშვილი, კონსტანტინე როინიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

4 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***სპექტაკლის ხანგრძლივობა: 2სთ;***

5 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„რეპეტიციის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: ზურა ბეგალიშვილი, ქეთა შათირიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

5, 8 დეკემბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„ექსტრავაგანსა"** - თითების თეატრი - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, თინათინ წულაძე. ***ხანგრძლივობა: 55 წუთი;***

6 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 6 - 16 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

6 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„სიზმარი** (შვიდი სიზმარი)" - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ნინო მაღლაკელიძე - შმიიტს. მონაწილეობენ: ეკა ნიჟარაძე, ონისე ონიანი, ვალერი კორშია, ქეთი ცხაკაია, ნინო წულაძე. ***ხანგრძლივობა: 45 წუთი;***

7 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

7 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„მუუ..."** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ზურაბ ქიქოძე. მონაწილეობენ: მედეა ჯაფარიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, ქეთი ცხაკაია, ნატო გულისაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

8 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ,;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)

**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

– ავიჩი 24 წლის ბიჭია, რომელიც ნიჭიერი და წარმატებული არტისტია. მან ძალიან გაითქვა სახელი მსოფლიოში და მისი სიმღერები ყველგან პირველ-მეორე ადგილებზეა. ფილმი, რომელიც ავიჩიზე გადავიღე, ძალიან დაფასებულია ამერიკასა და ევროპაში, რადგან, იქ პირველად არის მოთხრობილი ავიჩის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ, როგორ გახდა ასეთი ცნობილი და ასე შემდეგ – ავიჩიმ ერთი მილიონი ევრო საქველმოქმედო პროექტს გადასცა. იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი ფული შეგვეგროვებინა აფრიკელებისთვის, სატელევიზიო შოუ გავაკეთეთ, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, მსურველები კი გვირეკავდნენ და თანხას გვირიცხავდნენ. საბოლოო ჯამში, შედეგად, მილიონ-ნახევარი ევრო მივიღეთ, ანუ, 14 მილიონი კრონი. ზამბიაშიც ვიყავი ჩასული, სადაც ფული ჩაირიცხა და მისმა მცხოვრებლებმა ეს თანხა დახმარების სახით მიიღეს – ეს ყველაფერი გადაღებულია. ფილმის ეს ნაწილი ჩემს მეგობართან, ანდერს ბოსტრომთან ერთად გავაკეთე. თითქმის ერთი წელია, ამ პროექტზე ვმუშაობთ, რომელმაც უკვე არაერთ ქვეყანაში დაიმსახურა ყურადღება და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. კარგია, როცა შრომა გიფასდება და შენს ნაშრომს მთელი მსოფლიო დადებითად აფასებს.

**– მადონა როგორ აღმოჩნდა შენს ფილმში?**

– მოგეხსენებათ, მადონა რამხელა პოპულარობით სარგებლობს, თითქოს ღმერთივით ჰყავთ მსმენელებს. ის „ულტრა მიუზიკ ფესტივალზე" გადავიღე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ძალიან ცნობილი ფესტივალია. მონაწილეობას ავიჩიც იღებდა. მადონა „ულტრა მიუზიკ ფესტივალზე" მოვიდა და ავიჩის პრეზენტაცია გაუკეთა, სანამ სცენაზე ავიდოდა. სიმღერა რომ დაიწყო, მადონა სცენაზე ავიდა და ავიჩის უკან იდგა და ცეკვავდა. მომღერლებს ხომ უნდათ მადონას გვერდით დგომა, მაგრამ, ამ ვიდეოს რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ ამ შემთხვევაში, პირიქითაა – მადონას თვითონ უნდოდა ავიჩის გვერდით ყოფნა. ეს ყველაფერი კი ავიჩის მენეჯერის – აშ პორნორის დამსახურებაა, რომელმაც აღმოაჩინა ეს ნიჭიერი ადამიანი. ავიჩის რაც შეეხება, ის მართლა ვარსკვლავია და, მიუხედავად თავისი პოპულარობისა, ძალიან თავმდაბალი ადამიანია. საერთოდ არ შეცვლილა და, უნდა, რომ იყოს ის, როგორიც რეალურად არის. ამიტომაც უყვარს ყველას როგორც ადამიანი და როგორც არტისტი.

**– უკვე მეორე წელია, საკმაოდ ცნობილი საცეკვაო ფესტივალის მთავარი რეჟისორი ხარ.**

– ეს ფესტივალი ჩემმა მეგობარმა ანდერსმა ჩამოაყალიბა, რომელიც, ამავე დროს, ჩემი კოლეგაა. ამ ფესტივალმა შვედეთს ელექტრონული მუსიკა გააცნო. ძალიან ბევრი არტისტი იყო ჩამოსული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც ჩვენები ***(შვედები, – ავტორი)*** არ იცნობდნენ. ავიჩიც იყო მათ შორის, ასევე, დევიდ გუეტა, ტიესტო, „შვედიშ ჰაუსე მაფია" და კიდევ დაახლოებით 40 დიჯეი. დღეს უკვე, პოპის მაგივრად, რადიოში თითქმის სულ ელექტრონული მუსიკა უკრავს, თითქოს ხალხური მუსიკასავით გახდა.



**– ამ ფესტივალის არა მხოლოდ რეჟისორი ხარ, არამედ, როგორც დიჯეის, თავადაც გაქვს მონაწილეობა მიღებული.**

– პირველ წელს დავუკარი. ოთხი პროფესია მაქვს და, ამიტომ, მირჩევნია ერთ რაღაცაზე მქონდეს კონცენტრაცია და ის გავაკეთო კარგად, ვიდრე, ყველაფერი ერთდროულად ვაკეთო. სიმართლე გითხრა, ოთხივე საქმეს კარგად ვაკეთებდი, მაგრამ, დრო რომ გადის და ბევრი საქმე გროვდება, ტვინი ველარ ასწრებს ყველაფრის ერთად კეთებას. თან, 40 წლის რომ გავხდები, არ მინდა, დიჯეი ვიყო, მირჩევნია, რეჟისორის სკამზე ვიჯდე დაღლილი.

**– რამდენი წელია, რაც საქართველოდან წახვედი და ამ დროის განმავლობაში თუ გიმუშავია დათო ხუჯაძის გარდა რომელიმე ქართველ მომღერალთან?**

– 13 წლის წინ წამოვედი საქართველოდან. დათოს გარდა სხვა ქართველთან არ მიმუშავია. დათო და მისი მენეჯერი, გელა გოგოხია, ჩემი ძალიან ახლობლები არიან და ამიტომაც გადავიღე მისი რამდენიმე ვიდეო.

**– ალბათ, 13 წლის წინ ძალიან უცხო იყო შენთვის შვედეთი.**

– მართალია, შვედეთი ჩემთვის უცხო ქვეყანა იყო, მაგრამ, როგორც კი ჩამოვედი, ჩემი ქართული აგრესია სწავლაში გადავიტანე და, ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში.

**– დღეში საშუალოდ რამდენ საათს მუშაობ?**

– დღე და ღამე ვმუშაობ, ამისთვის კი 24 საათი ნამდვილად არ მყოფნის. ვერც ვგრძნობ, ისე გადის დრო, რადგან, იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩემი ცხოვრება ჩემი სამუშაოა.

**– ამ ეტაპზე რაზე მუშაობ?**

– სამ ფილმზე ერთდროულად ვმუშაობ. პრო-




ექტები თავზესაყრელად მაქვს, მთავარია, ყველაფერი ხარისხიანად გავაკეთო.

***ინტერვიუს მზადების პროცესში, ლევანის მეგობარს, ანდერს ბოსტრომს, რომელთან ერთადაც ფილმზე მუშაობს, რამდენიმე კითხვით მივმართეთ:***

**– როგორ და სად შეხვდით ლევანს?**

– ლევანს პირველად მეგობრის მეშვეობით, სასტუმროს რესტორანში შევხვდი.

**– რამდენი ხანია, ერთად მუშაობთ და არის თუ არა ის ლოიალური კოლეგა?**

– ჩვენ ერთად კარგად ვმუშაობთ. ვფიქრობ, ის ყველაზე ლოალური მეგობარი და კოლეგაა, ვინც კი მყოლია. მასთან ნამდვილად მარტივია მუშაობა, რადგან ლევანს აქვს უამრავი იდეა იმისთვის, რომ საქმე კარგად გააკეთოს. მან უკეთ იცის ის საქმე, რომელსაც მე ვაკეთებ. ასე რომ, მისგან ბევრს ვსწავლობ.

**– თქვენი ფილმის წარმატებით თუ ხართ კმაყოფილი?**

– მხოლოდ მცირედ გასაოცარია, რომ, გააკეთო ეს მსოფლიოს უდიდეს ვარსკვლავთან ერთად და, ნახო, რომ საბოლოო შედეგი აბსოლუტურია.

**– საქმიანი ურთიერთობის მიღმა, ალბათ, მეგობრები ერთად გართობასაც ახერხებთ.**

– ლევანი მოვიდა თავისი სათვალით და მოდელივით ჩაცმული. თქვენ უნდა განიცადოთ კლუბში ღამით გასვლა შვებულებაში ლევანთან ერთად. ეს არის ის, რასაც სიტყვებით ვერ ახსნი, მსოფლიოში ყველამ უნდა გამოსცადოს ამგვარი გართობა. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, მეტს ვერ გამოგიტყდებით.

**მარიკა ხიდურელი**

# ვის პიროვნებას შეეწირა კინაღამ ედუარდ შევარდნაძის კარიერა

*კოტე აფხაზავას სახელი გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე მთელ საბჭოთა კავშირში ქუხდა. ის არა მარტო მის მოსაკლავად მომზადებულ მილიციელებს სცემდა შიშის ზარს, არამედ, კრიმინალური სამყაროს ზოგიერთ ცნობილ წარმომადგენელსაც. მასთან შეხვედრას ბევრი გაურბოდა, მის პიროვნებას ლამის თვით ედუარდ შევარდნაძის კარიერა შეეწირა, რომელიც მაშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვდა კოტე აფხაზავას შეპყრობას, უარეს შემთხვევაში კი – ლიკვიდაციას და მის წინააღმდეგ მთელი საბჭოთა მილიცია იყო მობილიზებული...*

**ვუნდერკინდი**

კოტე სიმონის ძე აფხაზავა, ძველი თბილისელი, ტრადიციული ქართული ოჯახის შვილი იყო და ბავშვობიდანვე მოექცა ყურადღების ცენტრში. ის სამი წლისაც არ იყო, რომ წერა-კითხვა იცოდა და „ვეფხისტყაოსნის" მრავალ სტროფს ზეპირად კითხულობდა. კოტემ ადრეულ ბავშვობაშივე შეისწავლა ჭადრაკის თამაში და მრავალი ძლიერი მოჭადრაკე ჰყავდა დამარცხებული. მას, ასევე, განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა როგორც მათემატიკაში, ისე სხვა დარგებში და, ამიტომ, 5 წლის ასაკში ვუნდერკინდად აღიარეს. მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალ სფეროში შეეძლო დიდი წარმატების მიღწევა, კოტემ ტანვარჯიში აირჩია და 11 წლის ასაკში უკვე სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, რაც მაშინ წარმოუდგენელი იყო. ჯერ კიდევ სრულიად პატარა ბიჭი საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ნევრობის კანდიდატი იყო და მის კარიერას ვერაფერი დაუდგებოდა წინ, რომ არა ბედის ირონია...

1965 წლის ივლისში საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა ეროვნული ნაკრები სოჭში გადიოდა სატესტო შეკრებას, რომელზეც კოტეც იყო მიწვეულდი და, არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მას ნაკრებში დატოვებდნენ. თუმცა, 11 ივლისს, როდესაც მთელი ნაკრები პლაჟზე იმყოფებოდა და მზეზე ირუჯებოდა, კოტემ შენიშნა, რომ ზღვაში ვილაც იხრჩობოდა. 15 წლის ყმაწვილი დაუფიქრებლად გადაეშვა ტალღებში და ნაპირზე ორმოციოდე წლის მამაკაცი გამოიყვანა. მაგრამ, აღელვებულმა ტალღამ მას მარცხენა წვივში ლოდი მორარტყა, მოსტეხა და უპერსპექტიულესი ქართველი ტანმოვარჯიშის სპორტულ კარიერას სამუდამოდ დაუსვა წერტილი...

კოტე აფხაზავა ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში დააწვინეს, მაგრამ, მის მიერ გადარჩენილ მამაკაცს თავისი მხსნელი ერთხელაც არ მოუკითხავს. გადარჩენილი მამაკაცი 40 წლის, მილიციის პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, იური გრიგორიანი იყო. ის საბჭოეთის ერთ-ერთი მმართველის, მიხაილ სუსლოვის ცოლის დის სიძე იყო და სუსლოვი მას კარიერულ წინსვლაში ეხმარებოდა. რომ არა კეთილშობილი ქართველი ყმაწვილის თავგანწირვა, გრიგორიანი დაიხრჩობოდა, კოტე კი ტანვარჯიშის მწვერვალებს დაიპყრობდა და მათი გზები არ გადაიკვეთებოდა. თუმცა, მათი გზები მეორედ გადაიკვეთა და ტრაგედიაც დაიწყო...

**ფანტასტიკური გაქცევა**

კოტე აფხაზავას თავისზე ხუთი წლით უფროსი და ჰყავდა – ულამაზესი მედეა. ის მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა და წითელი დიპლომი აიღო. 1966 წელს, ანუ, კოტეს ტრავმიდან ზუსტად ერთ წელიწადში, მედეა აფხაზავამ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა სტაჟიორად და, ბედის ირონიით,

**განკის ფურგონიდან ბანდიტებმა მხოლოდ ძვირფასი თვლები წაიღეს, 50 მილიონი მანეთი კი ხელუხლებელი დატოვეს**

იური გრიგორიანის ხელქვეითი გახდა, რომელსაც მზეთუნახავი ქართველი გოგონა გულში ჩაუვარდა. ერთ მშვენიერ დღეს, პოლკოვნიკმა გრიგორიანმა წვეულება მოაწყო თავის აგარაკზე, რომელსაც მედეაც ესწრებოდა. გრიგორიანმა დრო იხელთა, მედეა რაღაც სპეციფიური ქიმიური პრეპარატით გააბრუა და მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. ამ პრეპარატს საბჭოთა მილიციელები პატიმრების ასალაპარაკებლად იყენებდნენ და მისი დანიშნულება პიროვნების ნებისყოფის მოდუნება იყო. გრიგორიანი ორი თვის განმავლობაში სისტემატურად იყენებდა მედეას წინააღმდეგ ამ პრეპარატს და ახალგაზრდა გოგონა დააფეხმძიმა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ მედეამ თავის მოკვლა სცადა, მაგრამ, გადაარჩინეს. თუმცა, მას ნაყოფი მოსწყდა და ეს ამბავი გავრცელდა, რასაც იური გრიგორიანის ცოლმა, ოულიამ შეუწყო ხელი: მან საავადმყოფოში სცენები მოუწყო მედეას და, რადგან იმ მომენტში იქ კოტეც იმყოფებოდა,



მისთვის ყველაფერი ცნობილი გახდა.

– ამ საქმეს მე მივხედავ, შენ კი არაფერზე იდარდო, დაიკო. ექიმებს დაუჯერე და გამოჯანმრთელდი, – უთხრა 17 წლის კოტემ მედეას, მეორე დღეს კი იური გრიგორიანს სამსახურთან დახვდა და საბჭოთა მილიციის მთავარი შენობის წინ მას მკერდში დანა ჩასცა...

გრიგორიანი უმძიმესად დაიჭრა, თუმცა, სიკვდილს გადაურჩა, კოტე აფხაზავა კი შემთხვევის ადგილზე დააკავეს, რადგან, მას არც კი უცდია გაქცევა.

– სამწუხაროა, რომ ეგ ნაძირალა გადარჩა, – უთხრა გამომძიებელს კოტემ, როდესაც გრიგორიანის გადარჩენის ამბავი შეიტყო.

– შენ კი სიკვდილი გერჩივნა, შენთვისვე ჯობდა, რომ მომკვდარიყავი, – მიუგო კოტე აფხაზავას გამომძიებელმა და დაამატა, – მე იურას ძმა ვარ, სერგო და შენთვის ახლა იწყება წამება.

მართლაც, იური გრიგორიანის უმცროსმა ძმამ, სერგომ, 17 წლის კოტე აფხაზავა სასტიკად აწამა, გულწასული ბიჭი ნესტიან საკანში დააგდო და საკუთარ კაბინეტში დაბრუნდა.

კოტეს ძალიან ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა და სულ რაღაც სამ კვირაში ფეხზე დადგა. ის გაასამართლეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თავდაპირველად ბუტირკის ციხეში ჩასვეს, სადაც ორი წელი დაყო, შემდეგ ციმბირში, ირკუტსკის მახლობლად, №32 შრომა-გასწორების კოლონიაში გადაიყვანეს, ორი წლის მერე კი, ნათესავების უდიდესი ძალისხმევის შედეგად, კავკასიაში გადმოიყვანეს და ქალაქ ერევნის ციხეში გამოამწყვდიეს. იმ დროისთვის კოტე აფხაზავა უკვე 21 წლის იყო, მაგრამ იმდენი ჭირ-ვარამი ჰქონდა გადატანილი, რომ ბევრად დიდი ასაკისას ჰგავდა. სწორედ ერევნის ციხეში შეიტყო კოტემ, რომ მისმა დამ თავი მოიკლა – მედეა საკუთარ თავს ადანაშაულებდა ძმის უბედურებაში და თავი ჩამოიხრჩო...

სიგიჟის ზღვარზე მყოფი კოტე აფხაზავა საშინელი შურისძიების სურვილით იყო შეპყრობილი და უკიდურეს ზომებს მიმართა. 1971 წლის 23 მაისს კოტემ ცუდად ყოფნა გაითამაშა და, როდესაც ბადრაგმა მისი საკანი გააღო, აფხაზავამ ის გათიშა და გასაღებების წყება აართვა. შემდეგ ერევნის ციხის სახურავზე ავიდა, გამოქანდა და თხუთმეტმეტრიანი სიმაღლიდან ჰაერში ოცდაერთი მეტრი იფრინა, ხრეშის გროვაზე დაეშვა და ღამის წყვდიადში გაუჩინარდა... ეს იყო ფანტასტიკური გაქცევა – არც მანამდე და არც მერე, ასეთი რამ არავის გაუკეთებია.

**კაცი-მოჩვენება**

ერევნის ციხიდან კოტე აფხაზავას ფანტასტიკური გაქცევის ამბავი რამდენიმე საათში გახდა ცნობილი ძმები გრიგორიანებისთვის და, როგორც შემდგომ თვითმხილველები ყვებოდნენ, ისინი საშინელმა შიშმა შეიპყრო. იური და სერგო მიხვდნენ, რომ თავზეხელაღებული ქართველის უპირველესი სამიზნეები იყვნენ და იმთავითვე თადარიგი დაიჭირეს. ძმებმა საკუთარი უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს და იმდენად შეზღუდეს საკუთარი გადაადგილების არეალი, რომ თითქმის აღარ გამოდიოდნენ სახლიდან და მხოლოდ სამსახურში დადიოდნენ, ისიც, კბილებამდე შეიარაღებული დაცვით. მიუხედავად ამისა, კოტე აფხაზავამ მაინც მოახერხა მათი მოხელთება. 1972 წლის 1 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროში საახალწლო ზეიმი გაიმართა, რომელსაც

ორივე ძმა დაესწრო. დილის 7 საათზე ძმებმა სამინისტროს შენობა შეზარხოშებულებმა დატოვეს და სამსახურებრივი „ვოლგით“ სახლისკენ გაემართნენ. თუმცა, მძღოლმა ისინი იქვე გათიშა, ხელბორკილებით ერთმანეთზე გადააბა და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა... მძღოლი კოტე აფხაზავა იყო, რომელმაც, წინასწარ შემუშავებული გეგმის მეშვეობით, მაინც მოძებნა ძმები გრიგორიანები, მოიხელთა და საშინლად იძია მათზე შური. მეორე დღეს, 2 იანვარს, იური და სერგო გრიგორიანების მოკვეთილი თავები წითელ მოედანზე იპოვეს. იქვე იდო წერილი, რომელშიც ეწერა: „ამ ნაბიჭვრების ბილწი თავები თქვენთვის, ძაღლებისთვის მომირთმევია, მათი დამპალი სხეულების ნარჩენებით კი მოსკოველი ვირთხები ვახშმობენ“.

## კოტე სამსახურთან დახვდა გრიგორიანს, ხანჯალი ტარამდე ჩასცა მკერდში და გაქცევა არც კი უცდია

რა თქმა უნდა, ეჭვს არ იწვევდა, რომ გრიგორიანები კოტე აფხაზავას დახოცილები იყვნენ. ასეთი საქციელი სისტემის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იყო და სწორედ ამის გამო მოახდინეს კოტე აფხაზავას წინააღმდეგ საბჭოთა მილიციის საუკეთესო ძალების მობილიზაცია. გარდა ამისა, ცოფებს ყრიდა თვით მიხაილ სუსლოვი, რომელმაც გრიგორიანების დახოცვა პირად შეურაცხყოფად მიიღო. ამიტომ, მან საქართველოს „ცეკას“ პირველ მდივანს, ვასილ მჟავანაძეს დაურეკა და კატეგორიულად მოსთხოვა აფხაზავას კვალზე გასვლა მისი ნათესავების მეშვეობით. მჟავანაძემ კი, თავის მხრივ, მინისტრი შევარდნაძე შეახურა და აფხაზავაზე უპრეცედენტო ნადირობა დაიწყო. მიუხედავად ამისა, კოტე აფხაზავა მოჩვენებად გადაიქცა და, მიუხედავად იმისა, რომ დროგამოშვებით სხვადასხვა ადგილას ჩნდებოდა, მას ვერ იხელთებდნენ.

1972 წლის 16 მარტს, მილიციის აგენტმა, ვინმე გულივერ კუპატაძემ, ორგანოებს აცნობა, რომ ძებნილი აფხაზავა ქალაქ ზესტაფონში, ფეროშენადნობთა ქარხნის მუშის, იასონ ხვედელიძის სახლში იმალებოდა. კუპატაძე ხვედელიძის მეზობელი იყო, კოტე მის ოჯახში ნახა და ძებნილი აფხაზავა დააბეზღა. მილიციის რამდენიმე ოპერჯგუფი ძალიან სწრაფად მივიდა ხვედელიძის სახლთან და ალყა შემოარტყა. თუმცა, კოტე მათ იქ არ დახვდათ. გამწარებულმა მილიციელებმა იასონი განყოფილებაში წაიყვანეს და წამებით მოკლეს. ერთი კვირის მერე, გულივერ კუპატაძის მოკვეთილი თავი ზესტაფონის ცენტრში, სარზე ჩამოცმული იპოვეს, რომელსაც გვერდით ბარათი ედო. მასში ეწერა: „ასე დაემართება ყველა ნაბოზარსა და მოღალატეს“.

ამ შემთხვევის შემდეგ, კოტე აფხაზავას ავტორიტეტი ხალხში გაასმაგდა. მილიციელები და მათი აგენტები კი შიშმა შეიპყრო და ყველა ცდილობდა, რომ მას არსად შეხვედროდნენ. კაცი-მოჩვენება თითქმის ერთი წლის განმავლობაში სისხლს უშრობდა მილიციას, ძარცვა-ყაჩაღობითა და ბანდიტობით იყო დაკავებული და ყოველი საქმის მერე შემთხვევის ადგილზე პატარა ბარათს ტოვებდა, რომელშიც მილიციას დასცინოდა...

### საუკუნის ძარცვა

მოუხელთებელი კოტე აფხაზავა, რომელმაც თავისი 25 წლის ასაკში დიდი თავსატკივარი გაუჩინა საბჭოთა მილიციას, 1975 წელს მოულოდნელად გაუჩინარდა და აღარსად ჩნდებოდა. ერთნი თვლიდნენ, რომ ის „ფსკერზე დაწვა;“ მეორენი ამბობდნენ, რომ ის მოკლეს, ზოგიერთის აზრით კი მან გაქცევით უშველა თავს, ანუ, უცხოეთში მოახერხა წასვლა. სინამდვილეში კი ყოფილი ვუნდერკინდი თბილისში, ზემო ვერაზე, ვინმე ანა კეცხოველის კერძო სახლში ცხოვრობდა და გრანდიოზული დანაშაულისთვის ემზადებოდა. ანა კეცხოველი 40 წლის ქვრივი ქალი იყო. მას 19 წლის ქალიშვილი, ქეთევანი ჰყავდა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო და დასავლეთ-ევროპული ენების ფაკულტეტზე სწავლობდა. ანას მეუღლე ძველი ქურდი იყო და 1969 წელს მაგადანის ერთ-ერთ კოლონიაში ჭლექით გარდაიცვალა. კოტე კი მის ოჯახში მოსკოველმა ქურდმა, ვიქტორ მინინმა მიიყვანა, რომელსაც აფხაზავა ციმბირის ზონაში დაუახლოვდა.

კრიმინალური მოღვაწეობის მიუხედავად, კოტე აფხაზავა ნამდვილი ინტელექტუალი იყო, თვითგანათლებას ეწეოდა, უამრავ წიგნს კითხულობდა, თან, ანა კეცხოველის დახმარებით, მომავალი საქმისთვის ბანდას აგროვებდა და გადამწყვეტი დარტყმისთვის ემზადებოდა. 1976 წლის 20 თებერვალს მოსკოვიდან თბილისში ჩვეულებრივი მატარებელი ჩამოვიდა, რომელსაც, ერთი შეხედვით, ასევე, ჩვეულებრივი საფოსტო ვაგონი ჰქონდა შებმული. სინამდვილეში კი ვაგონი დაჯავშნილი იყო, რადგან, მასში 50 მილიონი მანეთი ეწყო, რომელიც საქართველოსთვის იყო განკუთვნილი და სახელმწიფო ბანკში უნდა წაეღოთ. მსგავსი ტრანსპორტირება ყოველ სამ თვეში ერთხელ ხდებოდა. კოტემ ეს საიდუმლო ბანკის ერთ-ერთი თანამშრომლისგან შეიტყო, რომელიც ერევნის ციხეში გაიცნო და ჯერ კიდევ მაშინ განიზრახა ამ საქმეზე წასვლა. მატარებელში ერთი პატარა დაჯავშნილი სეიფიც იდო, რომელშიც 1 000-1 000 ცალი ბრილიანტისა და ლალის თვლები ელაგა და სწორედ ეს სეიფი იყო კოტე აფხაზავასა და მისი ცხრა მეგობრის მიზანი.

დილის 10 საათსა და 37 წუთზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მიმავალ ბანკის ფურგონს ჯერ სამხედრო „ურალი“ დაეჯახა და გადააბრუნა, შემდეგ საქმეში ჩაერთნენ შეიარაღებული ბანდიტები, რომლებმაც ისედაც გაბრუებული ექვსი მცველი უმალვე განაიარაღეს, 17 მილიონი მანეთის ღირებულების ძვირფასი თვლები გაიტაცეს და სამუდამოდ მიიმალნენ... შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციას, 50 მილიონი მანეთი ხელუხლებელი დახვდათ, რადგან, ახალდაბეჭდილი კუპიურების წაღებას არანაირი აზრი არ ჰქონდა – მათი ნომრები დაფიქსირებული იყო და ვერსად და ვერასდროს ვერ გამოიყენებდნენ.

ერთი წლის შემდეგ, ანუ, 1977 წელს, დედაშვილი კეცხოველები ბულგარეთში ტურისტული საგზურით გაემგზავრნენ და გაუჩინარდნენ – სავარაუდოდ, რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში გადავიდნენ და კოტე აფხაზავას შეხვდნენ, რომელიც, დიდი ალბათობით, ოკეანის გაღმა გაემგზავრა და იქ დამკვიდრდა...

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

### 2 დეკემბერი

1804 – ნაპოლეონ ბონაპარტე ეკურთხა საფრანგეთის იმპერატორად.

1823 – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ გამოაცხადა ეგრეთ წოდებული „მონროს დოქტრინა“ (ევროპა – ევროპელებს, ამერიკა – ამერიკელებს).

1870 – რომი გახდა იტალიის სამეფოს დედაქალაქი (მანამდე იყო ტურინი).

1956 – კუბაში დაიწყო კომუნისტური ამბოხი ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით.

### 3 დეკემბერი

1610 – გალილეო გალილეიმ გამოიგონა ტელესკოპი.

1926 – მწერალი აგათა კრისტი მოულოდნელად გაუჩინარდა (იგი შემთხვევით იპოვეს 11 დღის მერე, მას არაფერი არ ახსოვდა ამ დღეების შესახებ).

1959 – ზღვაში ჩაუშვეს მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“.

1984 – ამერიკის შეერთებული შტატების ვისკონსის შტატში დაქორწინდნენ 103 წლის ჰარი სტივენსონი და 84 წლის ტელმა ლუკასი.

### 4 დეკემბერი

1735 – ლონდონში, დაუნინგ-სტრიტ №10-ში მდებარე შენობა გახდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენცია.

1980 – დაიშალა როკ-ჯგუფი Led Zeppelin.

### 5 დეკემბერი

1484 – რომის პაპმა ინოკენტი მერვემ გამოსცა ცნობილი ბულა „ალქაჯთა შესახებ“, რომელმაც ევროპაში ინკვიზიციის ახალი ტალღა გამოიწვია.

1766 – ლონდონში ჩატარდა „კრისტის“ პირველი აუქციონი.

1854 – ბოსტონელმა არონ ალენმა დააპატენტა თეატრალური სკამები ასაკეცი დასაჯდომით.

1933 – ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუქმდა „მშრალი კანონი“.

1945 – ბერმუდის სამკუთხედში უკვალოდ გაქრა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის ექვსი თვითმფრინავი.

### 6 დეკემბერი

1240 – მონღოლებმა ბათო ყაენის მეთაურობით აიღეს და გაძარცვეს კიევი.

1768 – გამოვიდა ბრიტანეთის ენციკლოპედიის – „ბრიტანიკის“ პირველი ტომი.

1945 – დააპატენტეს მიკროტალღური ღუმელი.

### 7 დეკემბერი

1678 – ლუი ჰენეპინი გახდა პირველი ევროპელი, ვინც ნახა ნიაგარას ჩანჩქერი.

1732 – ლონდონში გაიხსნა სამეფო თეატრი „ქოვენტ-გარდენი“.

1907 – პირველად კრივის რინგზე გამოჩნდა რეფერი. მას ერქვა იუჯინ კორი.

1941 – მოხდა იაპონური ავიაციის თავდასხმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზა „პერლჰარბორზე“, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ჩაბმის მიზეზი გახდა.

1968 – რიჩარდ დოდმა (ინგლისი) ბიბლიოთეკას დაუბრუნა წიგნი, რომელიც მისი ბაბუის ბაბუის მამამ გამოიტანა... 1823 წელს.

### 8 დეკემბერი

1982 – ვინმე ნორმან მეიერმა მძევლად აიყვანა... ჯორჯ ვაშინგტონის ძეგლი (დანაღმა) და ითხოვდა ბირთვული იარაღის გაუქმებას. დამნაშავე სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს.

1990 – სამხრეთ აფრიკის ქალაქ ნორვუდში დაამზადეს მსოფლიოში უდიდესი პიცა – 37,4 მეტრი დიამეტრის.

1991 – ამ დღეს, ბელავეჟის ხელშეკრულების გაფორმებით, ბოლო მოეღო საბჭოთა კავშირს.

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, თუ ძაღლი სწორად იკვებება, მაშინ მას აუცილებლად უნდა უბზინავდეს ბეწვი?**

**პასუხი:** ჯანმრთელ და სწორად ნაკვებ ცხოველს ყოველთვის უბზინავს ბეწვი. ცხოველის ბეწვზე ასეთი დაკვირვება და შეფასება შეიძლება მისი ჯანმრთელობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მივიჩნიოთ. ძაღლის ბეწვის მდგომარეობის შეფასების ნიშნებია: ბზინვა, სიფაფუკე, მოქნილობა და ცხიმოვანი ნადების რაოდენობა. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორი კვება ძაღლის ჯანმრთელობის გარანტია, რაც თავისთავად აისახება ბეწვის საფარველზე. საკვებში ცხიმის შემცველობის მინიმიზაცია ერთ-ერთი საშუალებაა გაცხიმოვნების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის. მაგრამ, ამგვარი მიდგომა არ იქნება სწორი, რადგან ორგანიზმისათვის აუცილებელია იმ შეუცვლადი ცხიმოვანი მჟავეების მიღება, რისი სინთეზიც ვერ ხდება ძუძუმწოვრების ორგანიზმში. შეუცვლადი ნახევრად ნატურალური ცხიმოვანი მჟავების მიღებისთვის ოპტიმალური ვარიანტია საკვებში ისეთი ცხოველური ცხიმების ჩართვა, როგორიცაა: ფრინველის და თევზის ქონი, ასევე მცენარეული ზეთები.

**კითხვა: ცხოველს სტერილიზაციის შემდეგ ხასიათი თუ ეცვლება? ასევე, მაინტერესებს, მოქმედებს თუ არა სტერილიზაცია ძაღლის წონის მატებაზე?**

**პასუხი:** ხვადს სქესობრივი აგზნების დროს, შეიძლება, ჩამოუყალიბდეს განსაკუთრებით ძლიერი აგრესია მისთვის ძალიან ახლობელი ადამიანისა და პატრონის მიმართაც კი. სტერილიზაცია აქვეითებს ხვადის აგრესიას და ცხოველი მართვადი ხდება. კითხვაზე, თუ როგორ იცვლება ცხოველის ხასიათი სტერილიზაციის შემდეგ, შეიძლება, ვუპასუხოთ: თითქმის ყოველთვის აგრესიული ცხოველები უფრო წყნარები და მშვიდები ხდებიან. ცხოველის ხასიათი ძალიან არის დამოკიდებული მის ტემპერამენტზე, იმაზე თუ როგორი იყო ის სტერილიზაციამდე. თუ ცხოველი იყო ძალიან აქტიური და მოძრავი, ის როგორც წესი ისეთივე დარჩება. რაც შეეხება წონას, ზოგიერთი ცხოველი სტერილიზაციის შემდეგ იმატებს სხეულის მასას. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი უნდა ჩაითვალოს სტერილიზაციის ნეგატიურ შედეგად, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აქტიური რაციონით, დაბალანსებული კვებითა და საკვებში ნაკლები კალორიებით, შეიძლება ვაკონტროლოთ ცხოველის სხეულის მასა და შევუნარჩუნოთ ის ნორმაში.

**კითხვა: რა შეიძლება, გამოიწვიოს ძაღლის ნაკბენმა?**

**პასუხი:** ძაღლებს შორის კონფლიქტის დროს, ხშირია დაკბენა, რადგან თავდაცვის იარაღი სწორედ კბილებია. დაკბენით ხდება მეტად საშიში და სახიფაო ტრავმების მიყენება, ესაა ნაკბენი ჭრილობები. ძაღლებში ნაკბენი ჭრილობები ძირითადად უფრო ხშირად სახის, ყურების, ყელისა და ფეხების მიდამოში გვხვდება, კატებში კი – თავის, კიდურებისა და განსაკუთრებით, კუდის ძირში. ნაკბენმა ჭრილობებმა შეიძლება, დიდი ზიანი მიაყენოს ცხოველის ჯანმრთელობას და გახდეს სიცოცხლისათვის საშიშიც კი. განსაკუთრებით საშიშია ნაკბენი ჭრილობები, რომელიც აზიანებს თავისა და ზურგის ტვინს, მუცლისა და გულმკერდის ღრუს ორგანოებს, ასევე მსხვილ სისხლძარღვებსა და ნერვებს. ცხოველის ძლიერმა ნაკბენმა შეიძლება, გამოიწვიოს მოწინააღმდეგის შემდეგი სახის დაზიანება: მუცლის ღრუს დაზიანება, ძვლებისა და ხერხემლის მოტეხილობები, ასევე თავის ქალის ძვლების დაზიანება. ცხოველის ნაკბენი შეიძლება, ძალზე საშიში იყოს ადამიანისვისაც. შეიძლება, მოხდეს მეტად საშიში დაავადების გადაცემა, ისეთის, როგორიცაა ცოფი.



**რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე ვამყოფო იუსტიცია?**

**პასუხი:** კარგი ყვავილობისთვის მცენარე კაშკაშა სინათლეზე უნდა დადგათ, ოღონდ, აუცილებლად მოარიდეთ მწველ მზეს. სასურველია, ბინაში დასავლეთის ფანჯარაზე ამყოფოთ. მისთვის ნორმალურია ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ხოლო ზამთარში მინიმუმ 15 გრადუსი მაინც უნდა იყოს, რომ მცენარემ კარგად გამოიზამთროს.

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა მონსტერა და როგორ მოვუარო მის ფოთლებს?**

**პასუხი:** ზაფხულში, ზრდის პერიოდში, რეგულარულად მორწყეთ, ხოლო ზამთარში – იშვიათად. გაითვალისწინეთ, რომ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, ამ მცენარეს მით მეტი ტენი სჭირდება. სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია, მის ფოთლებს კიდეები გაუყავისფრდეს. ფოთლები რეგულარულად გაუწმინდეთ ხოლმე სველი ნაჭრით, თბილ ამინდში კი ხშირად დანამეთ, რათა ტენიანობამ მოიმატოს.

**კითხვა: როგორ მოვუაროთ ფიტონიას და რა პირობებში ხარობს უკეთ ეს მცენარე?**

**პასუხი:** ფიტონიას მოსწონს კაშკაშა, გაბნეული შუქი, ოღონდ, არა მწველი მზე. ეცადეთ, მთელი წლის განმავლობაში 18 გრადუსი ტემპერატურა შეუნარჩუნოთ და არც ტენიანობა მოაკლოთ. ფიტონიას ზედმეტად ნუ მორწყავთ, განსაკუთრებით – ზამთარში, თორემ, შეიძლება, ღეროები დაულპეს. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, არა სველი. მისთვის აუცილებელია სითბო და მაღალი ტენიანობა. ზაფხულის თვეებში, აქტიური ზრდის პერიოდში, ფიტონია გაზავებული ბალანსირებული სასუქით მორწყეთ. უმჯობესია, თუ მას სააბაზანოში დადგამთ. საურველია მცენარის ქილაში ან აკვარიუმში ჩადგმა.

**კითხვა: ბინაში მაქვს კტენანტა. რამდენიმე ხანია, ფოთლები ჩამოყარა და, არ ვიცი, რით ვუშველო. იქნებ, ამიხსნათ როგორ მოვუარო, რომ მსგავსი რამ აღარ დაემართოს?**

**პასუხი:** ეს ლამაზი მცენარე ჭირვეული ნამვილად არ არის. თქვენ, ალბათ, ძალიან გამოაშრეთ მისი ნიადაგი და, შესაბამისად, ამ მიზეზით გაუხმა ფოთლები. მას ზაფხულში გაბნეული შუქი სჭირდება, ზამთარში კი – სინათლე. კარგია ცოტა ხნით მისი მზეზე გატანა. კტენანტა თავს კარგად გრძნობს 18-24 გრადუსზე, ზამთრობით კი 10-12 გრადუსსაც უძლებს. ზაფხულში უხვად მორწყეთ, რათა მიწა მუდამ ტენიანი ჰქონდეს, ხოლო ზამთარში მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, კტენანტას მით ნაკლები წყალი სჭირდება. ზრდის პერიოდში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ სასუქით. მას სჭირდება მაღალი ტენიანობა, ამიტომ, ხშირად დანამეთ ან სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, სიცხეში ფოთლები რომ არ დაეწვას. ზამთარში დამატებით კვებას არ ითხოვს. კარგია, თუ მცენარეს მოათავსებთ ნათელ სასტუმრო ოთახში.

**კითხვა: რა პირობებში ხარობს ამარილისი და რთულია თუ არა მისი გაზრდა?**

**პასუხი:** ამარილისს, ანუ, ჰიპეასტრუმს, ფოთლები უსახური და ერთფეროვანი აქვს, ყვავილები კი, პირიქით – კაშკაშა ფერის და თვალშისაცემი. ჰიპეასტრუმის გასახარებლად, საჭიროა, იცოდეთ, სად დადგათ და როგორი მოვლის პირობები შეუქმნათ. მას სჭირდება კაშკაშა სინათლე, ცოტა ხნით მზეზე ყოფნასაც აიტანს. თუ სინათლე მოაკლდება, არ აყვავდება. ამარილისი ყვავის ოთახის ტემპერატურაზე. თუ აყვავებულ მცენარეს სიგრილეში გაიტანთ, ყვავილობა მეტხანს გაგრძელდება. მშრალი ბოლქვები ქოთანში გამოაზამთრეთ. როდესაც ფესვების განვითარება დაიწყება, მცენარის მორწყვას შეუდექით. ზრდის პერიოდში მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზაფხულის მიწურულს მორწყვა შეწყვიტეთ, ბოლქვი გააშრეთ და ფოთლები გაახმეთ, შემოდგომაზე კი მორწყვა განაახლეთ, რომ მცენარემ ზრდა დაიწყოს. ამარილისის მეორედ აყვავება არც ისე იოლია. აყვავების შემდეგ, როცა ფოთლები გამოჩნდება, რეგულარულად მორწყეთ და კაშკაშა სინათლეზე დადგით. ზაფხულის მიწურულს მცირე ხნით დაასვენეთ. აქტიური ზრდის პერიოდში მიწა გამოუცვალეთ და იმავე ქოთანში დატოვეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: შევიძინე ავტომობილი „ოპელ ვექტრა ბე", უნივერსალი, 2.0-ლიტრიანი, ეკოტეკის ძრავით, სრული პაკეტით, ავტომატურ გადაცემათა კოლოფით, 1999 წლის გამოშვება. დღეისთვის გარბენილი აქვს 50 000 კილომეტრი. ერთ-ერთ ფირმას იაპონიიდან ჩამოვაყვანინე. გთხოვთ, დამიხასიათოთ ეს მოდელი, აღნიშნოთ მისი სუსტი მხარეები და მირჩიოთ, რას უნდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება ექსპლუატაციის დროს. და კიდევ ერთი, მაინტერესებს, შუქნიშანზე დგომის დროს ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაში უნდა გადავიყვანო თუ არა?**

**პასუხი**: „ოპელ ვექტრა ბე" საკმაოდ

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

პრაქტიკული ავტომობილია. რაც შეეხება იმას, თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება ეს მხოლოდ და მხოლოდ ავტომობილის ძრავაზეა დამოკიდებული. ეკოტეკის ტიპის ძრავა კარგ საწვავს საჭიროებს, რათა დიდი ხნის განმავლობაში არ გამოვიდეს მწყობრიდან. ასევე, კარგი ხარისხის ზეთი დროულად შეუცვალეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძრავას სექტორში შესაძლოა, ბევრი წვრილმანი გამოვიდეს მწყობრიდან და არასტაბილურად იმუშაოს – საწვავის წვას მოუმატოს ან პერიოდულად, ავტომობილის ჩაქრობაც კი გამოიწვიოს. მიზეზის დადგენა კი, ხელოსნებსაც გაუჭირდებათ. შუქნიშანთან დგომის დროს არ არის აუცილებელი, ნეიტრალური სიჩქარე, პირიქით, ბევრი გადართვა-გადმორთვა უფრო ვნებს კოლოფს. თუ ავტომობილი სიჩქარეშია ჩაგდებული და ძრავას ბრუნვათა რიცხვს არ ვუმატებთ, ანუ გაზის პედალს არ ვაწვებით, ის არ ცვდება, კოლოფი არ ფუჭდება.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ვაზ 2107", 25 წლის. მაინტერესებს, რამდენს უნდა წვავდეს ას კილომეტრზე? ასევე, ზამთრისა და ზაფხულის წვას შორის არის თუ არა რაიმე სხვაობა?**

**პასუხი**: ასე, ერთმნიშვნელოვნად, ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რამდენი ლიტრი საწვავი შეიძლება დაწვას თქვენმა ავტომობილმა ას კილომეტრზე. აქ ბევრი ფაქტორი მოქმედებს – გააჩნია მართვის რეჟიმს, იმ ადგილებს, სადაც მოძრაობა გიწევთ. ამას ემატება ასაკი, შესაბამისად, დეტალების ცვეთა, რომელიც საწვავის მომატებას აუცილებლად გამოიწვევდა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ ავტომობილს ყოველ ას კილომეტრზე შეიძლება, დააწვევინოთ როგორც 9, ასევე 15 ლიტრი საწვავი. რაც შეეხება სეზონურ წვას, ის, რა თქმა უნდა, იცვლება. ზამთარში ავტომობილი უფრო მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე ზაფხულში, ავტომობილი ტემპერატურის იმ კონდიციას, როცა მინიმალურ საწვავს მოიხმარს, გვიან აღწევს, ანუ გვიან თბება.

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი „სუბარუ ფორესტერი", ტურბინიანი. რას მირჩევთ, მექანიკური მართვის კოლოფით ჯობია თუ ავტომატური? რამდენად უსაფრთხო, რესურსიანი და კომფორტული ავტომობილია ოჯახისთვის?**

**პასუხი**: „სუბარუს" ძირითადი სისუსტე სიჩქარეების კოლოფია. მნიშვნელობა არ აქვს ის მექანიკურია თუ ავტომატური. რაც შეეხება სავალ ნაწილს, ის საკმაოდ მტკიცეა. ყველაზე მეტად კი თქვენს შეკითხვაში ტურბირებულ ძრავას მინდა გავუსვა ხაზი, რომელიც საკმაოდ ფაქიზია იმისთვის, რომ დიდი ხნის მუშაობის რესურსი მოთხოვოთ და საკმაოდ გაუმაძღარი იმისთვის, ეკონომია მოთხოვოთ. შესაბამისად, თუ ოჯახზე ზრუნავთ და არა საკუთარ სურვილებზე ავტომობილის სიმძლავრესთან დაკავშირებით უმჯობესია, არატურბირებული ძრავით აღჭურვილი „სუბარუ" შეიძინოთ, რომლის კოლოფიც ნაკლებად დაზიანდება. ან, სულაც, რაიმე სხვა მოდელი შეარჩიეთ.

**კითხვა: მყავს „ტოიოტა" და როგორც მითხრეს, ის დიდი ბრუნვებისთვის არ ვარგა. რატომ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი**: საერთოდ ძრავებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა დეტალების ბალანსს და წონას. მაგალითად, თუ ქაღალდის და ტყვიის რგოლებს გაუყრით ღერძს და დაატრიალებთ, რა თქმა უნდა, ქაღალდის უფრო სწრაფად დატრიალდება. ის შეიძლება მალე დაიხეს, მაგრამ თუ იდეალურად დაატრიალებთ და ფორმაც უზადო ექნება რგოლს, ის ძალიან დიდხანს იტრიალებს და არ დაზიანდება. მაგრამ, არაიდეალური დატრიალების შემთხვევაში, თან თუ ამ ქაღალდის რგოლს ცალ მხარეს სიმძიმეს დაკიდებთ, ძალიან მალე გაფუჭდება. მძიმე ბურთს სწრაფად ვერ დაატრიალებთ, მაგრამ შესაძლებელია, ნელ-ნელა მოუმატო სიჩქარე და თან დიდხანს ატრიალო ისე, რომ არ დაზიანდეს. სწრაფბრუნვადი ძრავების მთელი პრინციპიც ესაა. ნელა მბრუნავი ძრავები, ისევე როგორც „ტოიოტა," მძიმე დეტალებისგან შედგება, საკმაოდ კომფორტული სატარებელია, ანუ ნაკლებად მკვეთრ მანევრებს აკეთებს. შენელებისთვის თავის მასას იყენებს – რბილად ჩერდება და იძვრება. მკვეთრ გადასვლებს არ აკეთებს, გათვლა კომფორტულობაზეა და ასეც არის. მაგრამ, შესაბამისად, მაღალ ბრუნს ვერ აღწევს, რადგან მძიმე ლითონითაა შექმნილი. აბსოლუტურად პირიქით ხდება მაღალბრუნვიან ძრავას შემთხვევაში. მაგალითად, „ჰონდას", რომ მოვიყვანოთ. როდესაც „ჰონდაზე" გაზს ფეხს მივაჭერთ ის მკვეთრად ჩქარდება და ეს, რა თქმა უნდა, დისკომფორტს გვიქმნის თუ სპორტულ რეჟიმში სიარული არ გინდათ და იგივეს გრძნობთ გაზიდან ფეხის აშვებისას, ის ძალიან მკვეთრად ჩერდება. ეს სალონში ნჯღრევასაც კი იწვევს, მაგრამ სამაგიეროდ მაღალბრუნიანია.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



ბევრი ენა იცის
აზერბაიჯანის ბენზინი
(.....)-მას კარადი / შოუს პიესა
(.....)-ბაბლი
ტყვიის გადაგზავნა შორს
დუმბაძის ქურდი
„ბიჭი" იტალიურად
გადაცემა / მეკვლე ძაღლი
სანოტო ნიშანი
მოსწავლის ინვენტარი
აუქციონის ცნება
მარჯნის კუნძული
გრძელი ნინდა / იტალიის ქალაქი
მონონების შეძახილი
„კოკას" მეორე ნახევარი
ასეთი ტექნოლოგიაც არის
პირველი ამერიკელი
რუსი ქალი / ლეკი თავადი
ორერა და... / ნავსადგური
ლითონი ძვ.ქართულად
სასულე ინსტრუმენტი
ქალაქი სამხრეთ საქართველოში / სახლის გადასახური საშუალება
ჭკუა დაარიგა ანუ?
ზუგდიდთან არის
ფრანგ. ფული / ფრანგ. მდინარე
საპატიმრო / იხილე ფოტო
რკინის ჯოხი
საყვირი / რუსეთის ქალაქი / კოსმოს. ხომალდი / წყვდიადი
(.....) სოიერი
სხეულის ნაწილი
რას შეება ყვავი? / ჰიტლერის ევა
თავმდებობა / ინებე! (ფრანგ.)
ეტაკა ანუ?
ჩვენი ძვ.საეკლესიო მოღვაწე
ლიტერატურული ქურდობა
(.......) დავიდოვა
სიარულის შედეგი
ასეთი სხდომაც არის
გრაფიკა
ჯინსი
ჯუჯა კამეჩი / მანანწალა
პუნების ბელადი
ინდოელი მოჭადრაკე
კრომველი
ვაშლი უყვარს
უპირატესობა
ეგვიპტის წმინდა ფრინველი
ტბა აშშ-ში
მაღაზიის გამოფენა
ბახვა ფულავას ცოლი
ბრინჯის საჭმელი
ირანის შაჰი
მდინარე ვენესუელაში
დამცველი, შემწე
მიზეზი
ტაბლეტი
ბრძოლა / ჭკუის დაკარგვა
(.....) კატანი / ჩვენი მდინარე
ფრანგი პოეტი ჟან...
ლაპარაკი / მეწისქვ. წილი
ხორვატიის პორტი
იტალ. მწერალი ....კალვინო
ძვირფასი ქვა / კედლის სანათი
სისხლძარღვი
სანახაობა / გულს სჩვევია
ევროპის კავშირი
იალბუზი
ბავშვის პური / ბიბლია
გურიის მთავარი
თბილისის უბანი
გრამატიკის კავშირი
(......) ჯინორია
ჩვენი ისტ. ძეგლი
იაპონ. ვიდეო აუდიო ფირმა
დიდი ქვა
ფეთქება
აფრიკაშია (.....) დ'ივუარი
ჩვენი კურორტი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 1 | 1 | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | | | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | |
| | 2 | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 2 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | |
| 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 5 | 7 | 5 | 1 | 3 | 5 | 2 | 3 | 10 | 10 | 3 | 2 | 5 | 7 | 7 | 6 | 5 | 1 | 1 | | 1 | | |
| 3 | 1 | 3 | 1 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 2 | |
| 9 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 6 | 6 | 5 | 6 | 6 | 6 | 6 | 5 | 6 | 6 | 6 | 6 | 5 | 6 | 6 | 6 | 5 | 6 | 6 | 6 | 5 | 6 | 1 | 1 | 29 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 33 |
| | | | | | 2 | 2 |
| | | | | | 1 | 1 |
| | | | | | 1 | 1 |
| | | | | | 1 | 1 |
| | | | | 1 | 5 | 1 |
| | | | | 1 | 7 | 1 |
| | | | | 1 | 7 | 1 |
| | | | 1 | 1 | 4 | 1 |
| | | 1 | 1 | 2 | 5 | 1 |
| | | | 1 | 12 | 3 | 1 |
| | | 1 | 3 | 1 | 2 | 1 |
| | | | 1 | 4 | 4 | 1 |
| | | | 1 | 1 | 8 | 1 |
| | | | | | 14 | 1 |
| | | | | 2 | 3 | 1 |
| | | | | 3 | 20 | 1 |
| | | | | 1 | 27 | 1 |
| | | | | 3 | 20 | 1 |
| | | | | | 17 | 1 |
| | | | | 1 | 16 | 1 |
| | | | | 1 | 9 | 1 |
| | | | | 1 | 26 | 1 |
| | | | 1 | 1 | 2 | 1 |
| | | | 1 | 1 | 26 | 1 |
| | | | 1 | 1 | 26 | 1 |
| | | | 1 | 1 | 25 | 1 |
| | | | 1 | 1 | 23 | 1 |
| | | | | 2 | 23 | 1 |
| 5 | 2 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | 6 | | 3 | 4 | | 8 | |
| 1 | 9 | | 6 | 5 | | 7 | 3 | 4 |
| 3 | 4 | | 8 | | 1 | | 2 | 6 |
| 4 | | 7 | | 1 | 9 | 5 | | |
| 5 | | | 2 | | 7 | | 9 | 8 |
| | 3 | 2 | | 6 | 8 | | 7 | 1 |
| | 1 | | | 8 | | 2 | | 9 |
| 8 | | 9 | 4 | 2 | 3 | | 1 | 7 |
| 7 | 2 | | 1 | | 6 | 8 | 5 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 8 | | | | | 9 |
| 6 | | | | 4 | | | | 1 |
| | | 1 | 2 | 9 | | 4 | 6 | |
| | | 5 | | | 4 | 6 | | |
| | | 4 | 3 | | | | 1 | |
| 8 | 3 | | | | 6 | 9 | 4 | |
| 1 | | | | | 5 | | | 8 |
| | 5 | | | | 8 | 1 | | |
| 4 | 2 | | 7 | 1 | | | | 6 |

# ისწავლეთ ხატვა ზაალისთან ერთად



1. სამკუთხედით დაიწყეთ ჩიტის ხატვა



2. სამკუთხედში ჩახატეთ კიდევ ერთი სამკუთხედი და ნახევარმთვარე



3. ჩახატეთ თვალები



4. თვალებს მიახატეთ წარბები



5. დაასრულეთ ნახატი



6 . გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე ჭიანჭველას მიაგნოს ჭიშკარს



## იპოვე ორი ერთნაირი ცხენი



# კაცი და გნოლი

## (იგავ-არაკი)

ერთმა კაცმა გნოლი შეიპყრო და დაკვლა მოუნდომა. გნოლი კაცს შეეხვეწა: ოღონდ მე ნუ დამკლავ და სხვა გნოლს დაგიჭერ და მოგიყვანო.

– სწორედ მაგიტომ უფრო დაგკლავ, შენი ტოლ-მეგობრების გაყიდვა რომ გსურსო, – უთხრა კაცმა.

სხვისი ორმოს მთხრელმა თავისი ორმო მოთხარაო, ნათქვამია.

## რიცხვრებუსი

,,13, ,2, 2,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| მღრღნელი | | ყველაზე სწრაფი ცხოველი | | ეზოში ... ძაღლია |
| | | | | |
| პატარა ადამიანი | | | ერთ-ერთი ფერი | |

# იქნებ, არ უყვარხარ?



*დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ მიმართ პარტნიორის გრძნობა გულწრფელია? გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს და ნახეთ შედეგები.*

**1. როცა თავს ცუდად გრძნობთ...**

ა) მისთვის სულერთია;

ბ) განსაკუთრებულად ზრუნავს ჩემზე;

გ) გააჩნია, რას აკეთებს. თუ ტელევიზორს უყურებს, ვერც კი შემამჩნევს.

**2. სამსახურში წარმატებები გაქვთ. მისი რეაქცია...**

ა) „მაგარია, ახლა მაინც დამანებებ თავს და არ იწუწუნებ“;

ბ) უხარია და საქებარ სიტყვებს არ იშურებს;

გ) ანუ, ახლა ფული გექნება?

**3. ღირსშესანიშნავ დღეებს...**

ა) თუ ახსენდება, მილოცავს;

ბ) მიძღვნის საჩუქრებს;

გ) საერთოდ არ ახსენდება, არასდროს.

**4. ხშირად გაქებთ და გეუბნებათ კომპლიმენტებს?**

ა) ძალიან იშვიათად;

ბ) გამუდმებით. უკვე დამღალა;

გ) ერთხელაც არ უთქვამს.

**5. თუ მარტო ყოფნა გინდათ, ის...**

ა) არ მაქცევს ყურადღებას;

ბ) აფასებს ჩემს სურვილს და არ ბრაზობს;

გ) ნერვიულობს.

**6. თქვენს ახლობლებთან გატარებულ დროს ის ეძახის:**

ა) დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვას;

ბ) სიამოვნებას;

გ) ცდილობს, საერთოდ არ წამოგყვეთ ასეთ საღამოებზე.

**7. თქვენ ორს შორის ვინ იღებს გადაწყვეტილებებს?**

ა) ბოლო სიტყვა ჩემზეა;

ბ) ვეძებ კომპრომისს და საერთო გადაწყვეტილებამდე ერთად მივდივართ;

გ) როგორც ის იტყვის, ყველაფერი ისეა.

**8. თქვენი რჩეული შემთხვევით ყოფილ შეყვარებულს შეხვდა...**

ა) ისე მოიქცევა, თითქოს ვერ შენიშნა;

ბ) მიესალმება და მეც გამაცნობს;

გ) სამარცხვინოდ ამჩატდება და გამამწარებს.

**9. როგორ გიყურებთ?**

ა) ცდილობს, საერთოდ არ შემომხედოს;

ბ) სულ შემომციცინებს;

გ) ხანდახან ცუდად მითვალთვალებს.

**10. როცა მომავალზე იწყებთ ლაპარაკს:**

ა) უცნაურად იცინის;

ბ) ერთმანეთის აზრებს ვკითხულობთ;

გ) მეუბნება – „მაცოცხლე ხვალამდეო“.

**შედეგები:**

***თუ პასუხებში ჭარბობს „ა“ ვარიანტი:*** *თქვენი რჩეული თქვენ მიმართ გულგრილია. მისი გრძნობა ან გაცივდა, ან საერთოდ არ ჰქონია. თუ დაშორება არ გინდათ, უნდა დაელაპარაკოთ.*

***პასუხების უმრავლესობაა „ბ“:*** *თქვენი რჩეული გიჟდება თქვენზე. მუდმივად ზრუნავს, რომ კარგად იყოთ. ვნებების ქარიშხალი დაგტრიალებთ თავს. გაუფრთხილდით მას, როგორც განძს.*

***პასუხების უმრავლესობაა „გ“:*** *ერთი სული აქვს, დაასრულოს ეს ურთიერთობა. გინდათ, გვერდით ასეთი ადამიანი? ერთმანეთი აშკარად არაფერში გჭირდებათ. გაუშვით და სხვა მოძებნეთ.*

### კაპიტანი ფლინტი – ჩინოვნიკი



მოკლედ, მეკობრეები საკმაოდ სახელგანთქმულები და პოპულარულები იყვნენ. მათზე დღესაც იღებენ ფილმებს და წერენ წიგნებს. ყველაზე ცნობილი პერსონაჟის, კაპიტან ფლინტის პროტოტიპი იყო ასევე, სახელგანთქმული მეკობრე „შავწვერა“ – ედუარდ ტიჩი. ტიჩი არანორმალურად პოპულარული იყო და შიშის ზარს სცემდა სავაჭრო ხომალდებს. მთელი თავისი ცხოვრება ედუარდ ტიჩმა ინგლისის ფლოტში იმსახურა. ხომალდის ბორტზე ფეხი პირველად 12 წლის ასაკში დადგა. იუნგა იყო. 35 წლისამ კი „ჭეშმარიტების გზას“ გადაუხვია. სხვათა შორის, ამაში თავიდან თავად ინგლისის სამხედრო ფლოტის ხელმძღვანელობამ შეუწყო ხელი. საქმე ისაა, რომ ესპანეთთან ომის შემდეგ, ინგლისმა გადაწყვიტა, ესპანური ფლოტი მეკობრეების საშუალებით დაესუსტებინა. მან დააფინანსა კიდეც ედუარდ ტიჩი და პატენტიც კი მისცა სათარეშოდ. მაგრამ, „შავწვერა“ მალე კონტროლის ზონიდან გავიდა. ისე გაძლიერდა, რომ მასზე ლეგენდებსაც თხზავდნენ. ინგლისელებმა მისი ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღეს. 1718 წლის ოქტომბერში მეკობრე შეტაკებაში დაიღუპა. ლეგენდები მის შესახებ მოგვითხრობს, რომ ბრძოლის წინ ედუარდ ტიჩი გრძელ წვერზე თოფის წამალს იყრიდა და ისე ახრჩოლებდა, რომ მისი თავის გარშემო სქელი კვამლი დგებოდა. ამით ის მოწინააღმდეგეს აფრთხობდა, როგორც დემონი, ისე წარსდგებოდა ხოლმე მათ წინაშე და მორალურად ანადგურებდა.

### მეკობრე – მუსლიმანი

სახელგანთქმულ მეკობრეს „ჯეკი-ბელურას“, ფილმიდან „კარიბის ზღვის მეკობრეები“, აბსოლუტურად რეალური პროტოტიპი ჰყავს. ეს არის მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისელი მეკობრე, ძალიან ცნობილი და საშიში – ჯონი უორდი, მეტსახელად „ჯეკი ნიბლია“. მართალია, მეკობრეობდა კარიბის ზღვიდან საკმაოდ შორს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მისი სახელი ხმელთაშუა ზღვის აუზში ტუნისის ნაპირებთან ქუხდა. სხვათა შორის, ფილმის ავტორებმა „ჯეკი ბელურა“ სრულიად დაამსგავსეს რეალურ მეკობრეს. ის საკმაოდ წარმატებული მეკობრე იყო, თუმცა, მეკობრულ წრეებში სულელსაც ეძახდნენ. ჯონი უორდი ძარცვავდა ინგლისის სამხედრო, ესპანეთისა და საფრანგეთის სავაჭრო ხომალდებს. მან გააოგნა ყველა, როცა მუსლიმანობა მიიღო. დაუმეგობრდა ტუნისის სულიერ ლიდერს, უტმან ბეის. გადაწყვიტა, რომ სიბერეში მისთვის კომფორტული ტუნისში ცხოვრება იქნებოდა. ინგლისში კანონგარეშედ იყო გამოცხადებული. მუსლიმანობა რომ მიიღო, ორმოცდაათ წელს იყო მიღწეული. ჯონი უორდი – მაჰმადიანური სახელი იუსუფ რეისი, გარდაიცვალა ტიფით, 70 წლის ასაკში, 1622 წელს, როცა უკვე რელიგიურად ცხოვრობდა და ქველმოქმედებასაც კი მისდევდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი აჩრდილი

## სტენლი ელინი

მსხვერპლი იატაკზე ეგდო, სისხლის გუბეში... უხეშტარიანი, ფართოპირიანი დანა ღრმად შეესო სხეულში და მაშინვე გაისტუმრა საიქიოს. ყველაფრიდან ჩანდა, რომ სიკვდილი მყისიერად დადგა... შთამბეჭდავი სურათი იყო სენტიმენტალური ადამიანებისთვის... მხატვრის ცოლი მხატვრისვე სახელოსნოში, მხატვრის შედევრის წინ გულგანგმირული ეგდო. პოლიციის ექიმმა დაათვალიერება დაასრულა... სახელოსნოც და სახლიც მხატვარ პოლ ზახარს ეკუთვნოდა, გვამი – მისი მეორე ცოლი, ელიზაბეთ ენი იყო, ხოლო პორტრეტზე მხატვრის პირველი ცოლი, ნიკოლ არნო იყო გამოსახული.

პოლ ზახარი მარტო არ იყო. მასთან ერთად იყვნენ გალერეა „გოლდსმიტის" მფლობელები – სიდნეი და ელეონორა გოლდსმიტები, ასევე,



მხატვარი პერი სელინო და მისი მეუღლე ჯენიფერი. ყველანი დიდი ხანია, იცნობდნენ პოლ ზახარს და მეგობრობდნენ მასთან. რაც შეეხება მოკლულს, მხატვრის მეორე ცოლს, ელიზაბეთს, მას ვერავინ იტანდა – გასაგები და ფრიად არგუმენტირებული მიზეზების გამო. სანამ ელიზაბეთ ენი გამოჩნდებოდა, ამ ადამიანებს შორის სრული თანხმობა და იდილია სუფევდა. პოლ ზახარი და პერი სელინო პარიზში, „მხატვართა მექაში" დამეგობრდნენ და რამდენიმე თვე ერთად ცხოვრობდნენ. ნიკოლი, პოლ ზახარის პირველი ცოლი, ჭეშმარიტი ფრანგი ქალი გახლდათ. მათ ერთმანეთი „შანელის" მაღაზიაში გაიცნეს, სადაც ნიკოლი გამყიდველად მუშაობდა. იმ დღიდან ახალბედა მხატვრის ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. ნიკოლი მაქსიმალურ კომფორტს უქმნიდა ქმარს. ყველაფერს აკეთებდა, რომ ზახარის ნახატები საზოგადოებას ენახა და შეემჩნია. სწორედ ნიკოლის დამსახურება გახლდათ ის, რომ ორი ახალბედა მხატვრის ცხოვრებაში გოლდსმიტები შემოვიდნენ. ცოლ-ქმარი დაინტერესებული იყო ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებით. პოლის მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაშიც ნიკოლს მიუძღვოდა ლომის წილი. საკმარისი იყო, ზახარს ხელები ჩამოეშვა, რომ ქალი სკანდალებს უწყობდა და ახალ-ახალ იდეებს კარნახობდა. მალე ცოლ-ქმარმა გოლდსმიტებმა მათ ამერიკაში გადასვლა შესთავაზეს. ამერიკაში დაბრუნდა პერი სელინოც. ის ისეთი წარმატებული არ იყო, როგორც პოლი, მაგრამ ამით მათ მეგობრობას არაფერი დაკლებია. ამერიკაში თავიდან ცოტა გაუჭირდათ და აქაც ნიკოლმა იმარჯვა. სწრაფად მოძებნა სამსახური – პრესტიჟულ მაღაზიაში მენეჯერად მოეწყო და მიუხედავად თავისი დამტვრეული ინგლისურისა, კლიენტებსაც და მაღაზიის მფლობელებსაც ერთნაირად შეაყვარა თავი. ქალის დამსახურება იყო ის, რომ პოლ ზახარის რამდენიმე ნახატი ჰოლივუდის კაშკაშა ვარსკვლავმა შეიძინა და აქედან დაიწყო მხატვრის დიდებაც. მალე ცოლ-ქმარმა შესანიშნავი სახლი-სტუდია შეიძინა ქალაქის პრესტიჟულ უბანში. ნიკოლი ყველაფერს აგვარებდა, პოლი კი ბოჰემურად, მხიარულად ცხოვრობდა. აწყობდა ხმაურიან, ხალხმრავალ წვეულებებს, რომლებზეც ახალგაზრდა, სექსუალური ლამაზმანები ჭარბობდნენ. პოლ ზახარი დაუფარავად ერთობოდა მათთან. ნიკოლი კი ითმენდა და არასოდეს წუწუნებდა... სანამ მათ ცხოვრებაში ელიზაბეთი არ გამოჩნდა. ამ ქალს არაფერი ჰქონდა დიდი მკერდისა და ბავშვური გამომეტყველების გარდა, მაგრამ პოლი გაება და როგორც ეტყობოდა, სერიოზულად. პოლი უკვე წარმატებული მხატვარი იყო და საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობის მამაკაციც. ცოლ-ქმარი გოლდსმიტები და პერი სელინო მწუხარედ ადევნებდნენ თვალს მისი და ნიკოლის ურთიერთობის ნგრევას. მათ თავიდანვე ვერ აიტანეს უტიფარი ელიზაბეთი, რომელსაც აშკარად ყველა სძულდა, ყველა, ვინც კი მისი „ნადავლის" – პოლ ზახარის ირგვლივ ტრიალებდა. ელიზაბეთმა იმდენი მოახერხა, რომ ნიკოლს ქმარი პირდაპირ ცხვირწინ ღალატობდა. ერთხელაც ნიკოლი პირდაპირ თავზე წამოადგა სიყვარულში გართულებს... იქ ყველაფერი დამთავრდა. ნიკოლის მოთმინების ფიალა აივსო და ქმარს სკანდალი მოუწყო. ელიზაბეთი როგორ მოიქცა? შეურაცხყოფილი ბავშვივით ასლუკუნდა და პოლ ზახარმაც მისკენ გაიწია. ნიკოლი სახლიდან წამოვიდა. პატარა ბინა იქირავა და ლოთობას მიჰყო ხელი. მეგობრები მწუხარედ ადევნებდნენ თვალს მის თვითგანადგურებას. ბოლოს ლოგიკური აღსასრულიც დადგა. ნიკოლმა საწამლავი დალია და ასე დაასრულა სიცოცხლე. ყველაზე ცინიკური მის დასაფლავებაზე პოლ ხაზარის გვერდით მდგარი, შავებში გამოწყობილი ელიზაბეთი იყო. გოლდსმიტები და პერი სელინო მზად იყვნენ, შუაზე გაეგლიჯათ უტიფარი, რომელიც თავად იყო ყველა უბედურების სათავე. უბედურებები ამით არ დასრულებულა. ელიზაბეთი არ იყო ის ქალი, რომელიც პოლს წინსვლაში შეუწყობდა ხელს. ეს ყველაფერი მალევე აისახა მხატვრის შემოსავლებზე. ელიზაბეთს მხოლოდ ფული აინტერესებდა. ძვირფასეულობისა და ბრენდული სამოსის შესაძენად. მან ჭკუა იხმარა და აღკვეთა ხმაურიანი წვეულებები. მით უფრო ქარაფშუტა ლამაზმანების ვიზიტები. პოლი გვიან მიხვდა თავის შეცდომას. მთელი დღე სახელოსნოში იყო გამოკეტილი და იქ შესვლა ყველასთვის აკრძალა. ელიზაბეთთან ყოველდღე ჩხუბობდა. სვამდა და ჭურჭელს ლეწდა. გოლდსმიტები უკვე წუხდნენ.

იმ საბედისწერო საღამოსაც სპეციალურად შეიკრიბნენ ზახარის ბინაში, მხატვართან დასალაპარაკებლად. რაღაც უნდა შეცვლილიყო. ელიზაბეთი უკმაყოფილო სახით დახვდა დაუპატიჟებელ სტუმრებს.

– რისთვის მოხვედით? თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ.

– ჩვენ მოვედით მეგობართან. მას შველა სჭირდება, – შეუბღვირა გოლდსმიტმა, – შენ ღუპავ და ანადგურებ იმას, რაც ნიკოლმა წვალებით შექმნა.

– ნიკოლი, ისევ ნიკოლი... – ისტერიკულად იწივლა ელიზაბეთმა, – რატომ ვერ გაიგეთ, რომ ეგ ქალი მოკვდა. საიქიოშია და აღარაფერი აწუხებს. ცოცხალი ვარ მე და არანაკლებ მიყვარს პოლი.

– შენ მარტო საკუთარი თავი გიყვარს, – პირქუშად ჩაილაპარაკა პერიმ, – სად არის პოლი? უნდა დაველაპარაკოთ.

– თქვენ მას არ ნახავთ. არ დავუშვებ ამას, – ელიზაბეთი მთელი ხმით კიოდა. მისი ღრიალი მთელ სახლში ისმოდა. უცებ სახელოსნოს კარი გაიღო და სახეშეშლილი ზახარი გამოჩნდა.

– რა ხდება აქ? რა გაღრიალებს? – შეუტია ცოლს.

– ამათ სახელოსნოში შემოსვლა უნდათ... პრინციპში, მეც მაინტერესებს, რას აკეთებ მანდ საათობით გამოკეტილი...

– მართლა? მართლა გაინტერესებს? მაშინ, წამოდით...

სახელოსნოში უამრავი ცარიელი ვისკის ბოთლი ეყარა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. უზარმაზარი ოთახი აკლდამას უფრო ჰგავდა, ვიდრე მხატვრის სახელოსნოს. გარშემო ყველგან ნიკოლის პორტრეტები ეკიდა. შუა ოთახში კი, მოლბერტზე, უზარმაზარი, დაუსრულებელი ნახატი იხილეს. მასზე ზუსტად ის ნიკოლი იყო გამოსახული, როგორიც სიცოცხლეში იყო: ხალისიანი, ენერგიული, ვნებიანი... ყველანი იატაკზე მილურსმულებივით იდგნენ. ზახარი აფრთოვანებული შესცქეროდა საკუთარ ქმნილებას. სიჩუმე ელიზაბეთმა დაარღვია.

– ეს რა საშინელებაა? მე არ მომწონს ეს... არ მომწონს... შეწყვიტე მკვდარზე ფიქრი!

– მართლა?! – აგრესიული, დამცინავი ტონით ჰკითხა ქმარმა.

– რა სიმახინჯეა! – ისევ იყვირა ელიზაბეთმა, – ღმერთო, როგორი ბრმა ხარ, რომ ვერ ხვდები ამას... ახლავე ყველაფერს წერტილს დავუსვამ, – ამ სიტყვებით ქალმა მაგიდიდან ტილოს საჭრელი ვეება დანა აიღო და გარდაცვლილი მეტოქის პორტრეტს მთელი ძალით ზემოდან ქვემოთ დაუსვა... მოხდა საშინელება... ელიზაბეთმა არ იცოდა, რომ ნახატი ჩვეულებრივ ტილოზე კი არ იყო შესრულებული, არამედ ებონიტზე – პრიალა, მკვრივ, თხელ ფირფიტაზე... დანის პირი ასხლტა და თითქმის მთლიანად შევიდა ქალისავე სხეულში... ნიკოლი პორტრეტიდან სევდიანად იღიმებოდა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მხოლოდ ქალებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №48(674)

ცოტა რომ დაწყნარდნენ, გოგოები სავარძლებში დანაწილდნენ და მასპინძელს უბრძანეს:

– ჩქარა, ჩაიცვი და წავედით!

– სად? – გაუკვირდა ანუკას.

– ნატასთან, ბავშვის სანახავად. ყველა იყო ჩვენ გარდა, – დაიქოქა ანი.

– ნატა გათხოვდა? როდის? აქამდე რატომ ვერ გავიგე? – გაუკვირდა ანუკას.



– არ გათხოვილა, მაგრამ, ამას რა მნიშვნელობა აქვს, დედობის უფლება არც ერთი ქალისთვის არ წაურთმევიათ.

– გააჩინა თუ აიყვანა?

– როგორც ვიცი, გააჩინა.

– ვისგან?

– სამი წელია, გიგასთან დადის და ვისგან გააჩენდა? ალბათ, მისგან.

– რომელ გიგასთან? – ვერ გაიხსენა ანუკამ.

– მილიონერი მამიკო რომ ჰყავს, დედისერთა რომაა და ასე შემდეგ.

– თვითონ რას წარმოადგენს?

– დიდს არაფერს. მამამისმა რაღაც ბიზნესი გაუჩალიჩა და იმდენს კი ახერხებს, რომ ფული არ შემოაკლდეს. თანაც, პატარა ბიჭიც აღარაა, მგონი, 40 წლისაა თუ უფრო მეტის არა და, ხომ იცი, ამ ასაკში კაცებს ოჯახური სიმყუდროვის მოთხოვნილება უჩნდებათ ხოლმე.

– ნატას უყვარს?

– ალბათ.

– იმას?

– ალბათ, იმასაც. შენ რა, დაკითხვებს გვიწყობ?

– კი მაგრამ, ამ ორი თუ სამი წლის წინ ლევანს არ ხვდებოდა?

– ხვდებოდა, მაგრამ, აღარ ხვდება.

– რატომ?

– გიგას ლევანზე მეტი ფული აღმოაჩნდა.

– გიგამ აღიარა ბავშვი? გვარი მისცა?

– ალბათ. თუ ასე გაინტერესებს, მივიდეთ და ყველაფერი გავიგოთ. თანაც, ეტყობა, თვითონვე უნდა, რომ თავისი ამბები მოგვიყვეს.

– ეგ საიდანღა იცი?

– გუშინწინ დამირეკა, ბავშვი გამიჩნდა და ოთხივემ გამომიარეთ, რატომ დაიკარგეთო. ისე, მართლაც, ორ წელიწადზე მეტია, არ მინახავს, ხანდახან ტელეფონით თუ შევეხმიანებოდი ხოლმე.

– კი წამოვიდოდი, მაგრამ... – ანუკამ დაბნეულად შეხედა.

– რა – „მაგრამ“? – გაბრაზდა ანი.

– არა, ისეთი არაფერი, უბრალოდ, არ ვიცი, ბავშვს რა წავუღო. თუმცა, ამას კი მოევლება, მაგრამ, იმდენი ხანია, ნატა აღარ მინახავს, რომ... – უხერხულად შეიშმუშნა ანუკა, – შარშაწინწინ რომ ვიყავით კურსელები რესტორანში, ბოლოს მაშინ ვნახე და, იმის მერე, მგონი, ტელეფონითაც აღარ შევეხმიანებივარ.

– მერე რა, რომ არ გინახავს. ასე თუ ისე, ხომ ვმეგობრობდით მასთან?

– ვმეგობრობდით კი არა, თვითონ გვეტენებოდა და მერე ჩვენც მივიღეთ ჩვენს სასტავში, სხვა რა გზა გვქონდა, – თქვა თიკამ, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და სიგარეტს აბოლებდა.

– რა პატარა გოგოებივით დაიწყეთ ჭორაობა! ასე თუ ფიქრობ მასზე, რატომ მიდიხარ სანახავად? – გაბრაზდა ანი.

– მართალი ხარ, არ უნდა ვჭორავდე, მაგრამ, ღმერთო, მაპატიე და, ეგ ნატა გულზე არასდროს მეხატებოდა. რაღაცნაირი შურიანი გოგო იყო; შურიანი, სნობი და მიმწოლი, – თიკამ სიგარეტი ჩააქრო და ყავა მოსვა.

– რას ერჩით, ძლივს აიწყო ქალმა ცხოვრება! – გამოესარჩლა ნატას ანი, – ისე, სახლში ვართ ახლა ჩვენ შესაშვები? – აუტყდა უცბად სიცილი.

– არაფერსაც არ ვერჩი. შენ იცი, რომ მე ხანჟა არა ვარ, მაგრამ, ქალი რომ წელიწადში ორ-სამ საყვარელს გამოიცვლის და რაღაც მიზნების მისაღწევად ყველაფერს იკადრებს, ჩემთვის დიდ...

– ვიცით, ბატონო, ჩვენი მტკიცე და მყარი მორალისთვის მიუღებელია ცხოვრების ასეთი წესი და იმიტომაც ვართ ასე გადასარევად, მაგრამ, ყველა ისე ცხოვრობს, როგორც ესმის და როგორც ახერხებს. თანაც, როცა მეგობარი, თუნდაც ყოფილი, დაგირეკავს და გეტყვის, შვილი გამიჩნდა და მოდიო, ვალდებული ხარ, მიხვიდე და ძველი ცოდვები აღარ გაუხსენო, – თქვა ელენემ. ის ისევ ისეთი მიმტევებელი და „მშვიდობის მტრედი“ იყო, როგორიც სტუდენტობისას, თორემ, წესით, მას უფრო არ უნდა ნდომებოდა ნატასთან წასვლა, იმდენჯერ ჰქონდა მისგან გული ნატკენი. ელენე გაუთხოვარი რომ დარჩა, ამაშიც ნატას ხელი ერია – მეხუთე კურსზე იყვნენ, ელენეს საქმრო რომ წაართვა. ის ბიჭიც კარგი შტერი აღმოჩნდა, რომ ნატას ხაფანგში გაება, მაგრამ, სამაგიერო მასაც მიეზღო – ნატამ ყველაფერში გამოიყენა და მაშინვე მიატოვა, როგორც კი უკეთესი (ცხადია, თავისი გაგებით) კანდიდატურა გამოჩნდა არენაზე. კოტე კი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ, სირცხვილით ველარ გაბედა, ისევ ელენეს შეხმიანებოდა და, თავმოყვარეობაშელახული და სიყვარულდაკარგული, სულ გადაიხვეწა საქართველოდან. ეს სულელი გოგო კი დღესაც იმაზე ფიქრობდა და მას ელოდა.

– ელენე, ეს შენ ხარ თუ მომეჩვენა? – გაუკვირდა ანის, – სად წავიდა შენი თეზისები მორალური სიწმინდისა და ქალწულობის ინსტიტუტის შესახებ?

– გაფრინდა თბილ ქვეყნებში, – ერთგვარი ჯიბრით უპასუხა ელენემ.

– თუ ამას გულწრფელად ამბობ, ეტო უჟე პროგრესს, – თქვა ანიმ და თეატრალურად დაუკრა ტაში.

– ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, – დაეთანხმა ელენე.

– საჩუქარზე არ იდარდო, – საწყის პოზიციას დაუბრუნდა თიკა, – ყველაფერი ვიყიდეთ, რაც საჭიროა: სათამაშოც, ჩასაცმელიც, ტორტიც, შამპანურიც და მანქანაში დავტოვეთ.

– კარგი, ოღონდ, ხარჯების წილში მეც გამიყვანეთ, – როგორც იქნა, გადაწყვიტა ანუკამ და მომზადება დაიწყო.

თხუთმეტ წუთში ჩაიცვა, მხოლოდ თვალებზე უნდოდა, ფანქარი გადაესვა. ის იყო, სარკესთან მივიდა, რომ საწოლი ოთახის კარი გაიღო და იქიდან ჩაცმულ-დახურული გელა გამოვიდა. ანუკას ისე გაუკვირდა მისი დანახვა, რომ გოგოებს გაეცინათ, – ეგონათ,




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო......................................

მარიკა 599 24 28 31

მათმა დაქალმა არ იცოდა, მისი ქმარი მეორე ოთახში რომ იყო.

– შენ სადღა მიდიხარ? – ჰკითხა გაოცებულმა ანუკამ.

– მე არა, ჩვენ მივდივართ. სულ დამავიწყდა, ხუთზე თენგოსთან უნდა ვიყოთ, თანაც – დაუგვიანებლად და, აუცილებლად – ორივე. ახლა კი უკვე ათი უკლია ხუთს. რამ გამომაშტერა, როგორ დამავიწყდა! კარგია, რომ ჩაცმული ხარ. გოგოებო, ბოდიშს გიხდით, მაგრამ, რადგან მაინც აპირებდით წასვლას... – გელა დაბნეული დარბოდა ოთახში და რაღაცას ეძებდა.

– რას ეძებ? – შეეკითხა ცოლი.

– არაფერს, მობილურს ვეძებდი და აგერ მქონია ჯიბეში. წავედით, წავედით!

ანუკას, რატომღაც, საეჭვოდ მოეჩვენა ქმრის მოულოდნელი ფაციფუცი, მაგრამ, არაფერი უთქვამს. გაოცებულ დაქალებს ბოდიში მოუხადა და კარისკენ გაემართა. თიკა, ელენე და ანი ბუზღუნით გაჰყვნენ უკან.

ის იყო, თენგოს სახლს მიუახლოვდნენ, რომ გელას საშინლად ასტკივდა მუცელი და ცოლს კვნესით უთხრა, ეტყობა, რაღაცამ მაწყინა, სახლში უნდა დავბრუნდეთო. ანუკა ისევ დუმილით დაემორჩილა ქმრის სურვილს. შინ მისვლისთანავე გელა ტუალეტში შევარდა და ლამის ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდა იქიდან. მერე ლევომიცეტინი დალია და ლოგინში ჩაწვა. ცოლისთვის აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ ხანდახან წამოიკვნესებდა ხოლმე საბანში გახვეული.

შემდეგ კვირას ანუკას ისევ დაურეკეს გოგოებმა – ახლა მაინც წავიდეთ, იმ დღეს შენ გამო ჩვენც აღარ მივსულვართო.

ანუკამ ქმარს სთხოვა, ბავშვებს მიაქციე ყურადღება, სანამ დედა მოვა. მე გოგოებთან ერთად ნატასთან წავალ, ორ საათში სახლში ვიქნები და როგორმე გაძელით უჩემოდო.

– გამორიცხულია, ვერ წახვალ! – საკმაოდ ცივად გამოუვიდა გელას.

– რატომ? – გაოცდა ანუკა.

– იმიტომ, რომ დამავიწყდა, მეთქვა – საღამოს ბიჭები მოვლენ და სახლში მინდა იყო, – ხმა დაირბილა გელამ.

– მერე, ახლა მეუბნები? – შეწუხდა ანუკა. გოგოებს დაურეკა, ვერც ახლა მოვდივარო და სახლის მოწესრიგებას შეუდგა. მერე სამზარეულოს მიაშურა და პროდუქტების მარაგს გადახედა.

„რამეს მოვასწრებ“, – გაიფიქრა და კერძისა და სალათების მზადება დაიწყო.

საღამოს გელას მეგობრები მართლაც მოვიდნენ. ანუკამ შეატყო, რომ გელა ცოტა დაძაბული იყო, მაგრამ, მაინც კარგი დრო გაატარეს და ძალიან კმაყოფილი დარჩა. დიდი ხანია, ბიჭები არ უნახავს და გაუხარდა მათი მოსვლა.

თვის ბოლოს გელა სამსახურის საქმის გამო რამდენიმე დღით აზერბაიჯანში წავიდა. ერთ კვირაში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, საქმეები გაჭიანურდა და მისი ჩამოსვლა კიდევ ერთი კვირით გადაიდო.

ანუკას ფული შემოაკლდა. გადაწყვიტა, აღარ დალოდებოდა ქმრის დაბრუნებას და საბურთალოს ბინის ქირის გამოსართმევად თვითონ წასულიყო მდგმურთან, მით უმეტეს, რომ გადახდის დრო უწევდა.

მდგმური თბილად შეხვდა ანუკას, ყავა მიართვა და კონვერტით ფული გამოუტანა.

– არ ვიცოდი, თქვენ თუ მოხვიდოდით, თორემ სხვანაირად მოვემზადებოდი დასახვედრად, – ღიმილით უთხრა შუახნის სიმპათიურმა ქალბატონმა, – ბატონი გელა მაშინვე გარბის ხოლმე, არც მის მდივანს უყვარს დარჩენა...

– რომელ მდივანს? – გაუკვირდა ანუკას.

– ბატონი გელას მდივანს. ახალგაზრდა ქალია, ქერა თმითა და შავი თვალებით. ხანდახან მას გზავნის ხოლმე თქვენი მეუღლე ქირის წასაღებად, როცა თვითონ არ სცალია. რა, თქვენ არ იცოდით? ვაიმე, ალბათ, არ უნდა მეთქვა, ეს რა დამემართა! – შეწუხდა ქალი.

– არა, რას ბრძანებთ! როგორ არ ვიცოდი, უბრალოდ, დამავიწყდა. ამას წინათაც მითხრა მაიამ, გელა საბურთალოზე მგზავნის და, რომ მოვალ, დაგირეკავო. ჩემი მეგობარია და... – საკმაოდ არადამაჯერებლად იცრუა ანუკამ და გაწითლდა.

– მაიამ? არა, გენაცვალე, მაია არ ჰქვია, რაღაც სხვა სახელი მითხრა, მაგრამ, არ მახსოვს.

– შესაძლოა. მაიას სამეგობროში ვეძახით, ოფიციალურად კი მართლაც სხვა სახელი ჰქვია და მეც აღარ მახსოვს, – უხერხულად გაიღიმა ანუკამ და წამოდგა, – კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო მერი, დიდი მადლობა და ბოდიში, რომ გაგაცდინეთ.

– რას ამბობ, შვილო, გამაცდინე კი არა, ძალიან გამიხარდა შენი გაცნობა, – მერიმ კარამდე მიაცილა ანუკა და გადაკოცნა, – ხანდახან, როცა მოიცლი, გამოიარე, ჩემები გვიან ღამემდე არ მოდიან სახლში და სულ მარტო ვარ ხოლმე.

– შევეცდები. ნახვამდის.

სახლში დაბრუნებულმა ანუკამ კონვერტი გახსნა და სახტად დარჩა: იქ 300 დოლარის ნაცვლად 600 დოლარი იდო.

„ალბათ, ორი თვის ქირაა. მაგრამ, წინა თვეში ნამდვილად მომცა გელამ 300 დოლარი. თუმცა, შეიძლება, ერთი თვისა წინასწარ გადამიხადა მერიმ და თქმა დაავიწყდა“, – გაიფიქრა ანუკამ და გადაწყვიტა, ახლავე დაერეკა მერისთან.

– დეიდა მერი, ანუკა ვარ, გელას მეუღლე, წეღან რომ ვიყავი თქვენთან.

– გისმენ, შვილო, ხომ მშვიდობაა?

– კი, მშვიდობაა, მაგრამ, კონვერტში 600 დოლარი იდო და...

– მერე? მეტი უნდა ყოფილიყო?

– არა, პირიქით...

– გელამ ბინა 700 დოლარი დაგვიფასა და 600-ზე შევთანხმდით. მთელი წელია, ასე ვიხდით, დედიკო.

– უკაცრავად, ქალბატონო მერი, ისევ რაღაც ამერია. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, – მიაყარა ანუკამ და ყურმილი სასწრაფოდ დაკიდა.

„რაში სჭირდება ჩემი მოტყუება? ეთქვა, რამდენსაც უხდიდნენ ქირას, როდის იყო, რომ ფულს ვართმევდი, თუ თვითონ არ მომცემდა?“ – ანუკამ სამზარეულოს კარი შიგნიდან გადაკეტა და ჩაფიქრდა. გადაწყვიტა, როგორმე გაერკვია, რა ხდებოდა მის თავს. თავისი



ბოლო ორი წლის ცხოვრება გადაეშალა თვალწინ. თითქოს ვიღაცამ მძინარეს ხელი ჰკრა და გამოაფხიზლა, ისე დაემართა – სულ სხვა თვალით შეხედა წარსულსაც და აწმყოსაც. თავისდაუნებურად, არაერთი სცენა ამოუტივტივდა გონებაში: გელასა და ანდროს საშინელი ჩხუბი; ანდროს რეპლიკა – სულ გაგაგდებ სახლიდან, შენ ასეთი ცოლ-შვილის ღირსი არ ხარო; ლელას ისტერიული ქვითინი; გელას ყვირილი – ყველანი ყელში ამომიხვედითო; ტელეფონის ზარები, რასაც გელას აღელვება და ცოლის მიმართ აგრესია მოჰყვებოდა; თვეში რამდენიმე ღამე, როცა გელა „საქმეების გამო სამსახურში რჩებოდა“, ანუკას კი ერთხელაც არ მოსვლია აზრად, სამსახურის ტელეფონზე დაერეკა და შეემოწმებინა; ისიც გაახსენდა, გვიან ღამით ოფისიდან ან მივლინებიდან (ჰმ?!) დაბრუნებულ გელას საერთოდ რომ არ შიოდა; დედამთილ-მამამთილის დაძაბული და შეშინებული მზერა, როცა ანუკა შემთხვევით წაადგებოდა ხოლმე თავს შვილთან მოკამათე მშობლებს; ანდროს ინფარქტი; ლელას განცდები; მამამთილის მოულოდნელი გარდაცვალება; გელას საქციელი მამის სიკვდილის შემდეგ; საკმაოდ გაგრილებული და გაიშვიათებული ინტიმი ქმართან; გელას მხრიდან რაღაც უცნაური გაუცხოება ოჯახის მიმართ... – მოგონებების ფირი სწრაფად ტრიალებდა, მაგრამ ანუკამ ყველა კადრი დაინახა. თუმცა, როდესაც ფირი დამთავრდა, ისევ ის კითხვა დაუსვა საკუთარ თავს,


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



რაც სულ პირველად: „რაღაც ხდება გელას თავს, მაგრამ, რა?“

ღალატი, ცხადია, არ გამოურიცხავს, მაგრამ, ვერ მიხვდა, გელას ქალებში „გაფარცქვალებას“ ამხელა ტრაგედიები რატომ უნდა მოჰყოლოდა.

ბოლოს, თითქოს გონება გაუნათდა: „ალბათ, რამე შარში გაეხვია ფულთან დაკავშირებით; შესაძლოა, „შავებთან“ აქვს საქმე და დიდი თანხა შეაწერეს, ან – საგადასახადოში შეექმნა პრობლემები... ჰო, რაღაც ამდაგვარი იქნება... ვინ იცის, როგორ უჭირდა და ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ არ მენერვიულა, მე კი რა არ ვიფიქრე. უნდა გავამხნევო, გვერდში დადგომა ახლა სჭირდება“, – გადაწყვიტა ანუკამ და ცოტა დამშვიდდა, რადგან, უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩამოვიდოდა გელა მივლინებიდან. ეს რომ გადაწყვიტა, წესით, უფრო მეტი სიმშვიდე უნდა ეგრძნო, მაგრამ, სადღაც შიგნით წითელი აენთო – რაღაც უჩვეულოდ აუფორიაქდა გული. რა იყო ეს, წინათგრძნობა?! ანუკა დაიბნა. კერძო დეტექტივი დაითხოვა – აღარ უნდოდა, ოჯახის საქმეებში უცხო ადამიანი ჩარეულიყო და, გადაწყვიტა, მოვლენების განვითარებას დალოდებოდა. ქმართან ურთიერთობის ტაქტიკის შეცვლა კი ნამდვილად დაისახა მიზნად. „უნდა ვეფერო, თაფლად და შაქრად უნდა ვიქცე. ვიცი, გამიჭირდება, მაგრამ, ასეა საჭირო. ყურადღება უნდა მოუდუნდეს და, არ შეიძლება, რამე არ შეეშალოს...“

აზერბაიჯანიდან დაბრუნებულ ქმარს ანუკა განსაკუთრებით თბილად შეხვდა, რამაც გელა ძალიან გააოცა, მაგრამ კმაყოფილება მაინც იგრძნო. კაცები, საერთოდ, ადვილად გრძნობენ ხოლმე კმაყოფილებას მაშინ, როცა ჰგონიათ, რომ ისინი ერთადერთნი და განუმეორებელნი არიან, განსაკუთრებით კი – ცოლებისთვის, სწორედ იმ ცოლებისთვის, რომლებსაც, ყოველ შესაძლო სიტუაციაში უკანმოუხედავად ღალატობენ, მათგან კი ერთგულებას, ზრუნვასა და ყურადღებას ითხოვენ და დედის რძესავით ირგებენ. ცხელი შხაპის შემდეგ გემრიელმა ვახშამმა და სურნელოვანმა ყავამ დაღლილობა მოუხსნა, ცოლის ყურადღებამ და მზრუნველობამ კი საოცარი სიმყუდროვე და სიმშვიდე მიანიჭა. ვახშმის მერე ანუკამ სთხოვა, დაწოლილიყო და დაესვენა, რომ დილით ადგომა არ გასჭირვებოდა. გელა ბავშვივით დაემორჩილა. ასეთმა მოპყრობამ სასიამოვნოდ მოთენთა. ცოლს თავზე ხელი გადაუსვა, შუბლზე აკოცა, მოუბოდიშა და დასაძინებლად წავიდა.

დილით ადრე ადგა, კარგ ხასიათზე იყო და ჩუმად ღიღინებდა. აბაზანაში პირი გაიპარსა და ფეხაკრეფით შევიდა სამზარეულოში – არავინ გავაღვიძოო. ყავის მოდუღებასაც მოახერხებდა და დალევასაც მოასწრებდა. არ უნდოდა, ცოლი ყავის გამო გაეღვიძებინა, მაგრამ, სამზარეულოს კარი რომ შეაღო, გაოცდა: მაგიდაზე საუზმე იყო გაწყობილი, რომელსაც გვერდით ყავიანი ფინჯანი ედგა, პატარა ტაბურეტზე კი ანუკა იჯდა და ეშმაკურად იღიმებოდა.

– კი მაგრამ, წეღან ლოგინში არ დაგტოვე მძინარე? შენ რა, კიო ხარ? – ჰკითხა გელამ გაკვირვებით.

– სანამ შენ წვერს იპარსავდი, ყველაფერი მოვასწარი. გუშინდელი ნამგზავრი ხარ და დღეს მშიერს ვერ გაგიშვებდი, – მზრუნველად უპასუხა ანუკამ.

კმაყოფილებისგან მთლად დამდნარი გელა მაგიდას მიუჯდა და საუზმეს შეუდგა.

– ანუკა, ცოტა კი მერიდება, მაგრამ, იქიდან უფულოდ ჩამოვედი და, თუ რამე გაქვს გადანახული, იქნებ მომცე, რა! – სთხოვა გელამ და უხერხულობის დასაფარავად ცხელი ყავის საკმაოდ დიდი ყლუპი მოხვრიპა.

ანუკამ პასუხად კონვერტი დაუდო მაგიდაზე.

– ეს რა არის? – ჰკითხა ქმარმა, როცა კონვერტში 500 დოლარი აღმოაჩინა.

– ბინის ქირაა. მეც უფულოდ ვიყავი, თან, მერიმ დამირეკა, მე გარეთ ვერ გამოვდივარ და იქნებ თვითონ მოხვიდე წასაღებადო, – იცრუა და გაწითლდა, – ჰოდა, მივედი და წამოვიღე. ხედავ, რა ყოჩაღი ცოლი გყავს? – დატრაბახება სცადა ანუკამ.

გელას ფერი ეცვალა.

– 500 დოლარი რატომ არის?

– 600 იყო, მაგრამ, 100 დოლარი მე ავიღე, – ბავშვების ინგლისურის მასწავლებლის ფული გადავიხადე.

– 600 იყო? რატომ იყო 600?

– არ ვიცი, მეც გამიკვირდა და მერის დავურეკე, ხომ არ შეგეშალათ, ან ორი თვის ქირა ხომ არ მომეცით-მეთქი, მაგრამ, არაო, – მითხრა, – მთელი წელია, ასე ვიხდითო.

– ეს ქალი მთლად გამოშტერდა, – გელას დაბნეულობა დაეტყო, – აჰა, შენ 100 დოლარი, ცოტა ხანს იმყოფინე, 100 მე მჭირდება, დანარჩენის ამბავს კი მერისგან გავარკვევ. აბა, წავედი, ჭკვიანად იყავით. დღეს, შეიძლება, დამაგვიანდეს და არ შეგეშინდეთ, – გელამ სასწრაფოდ ჩაიცვა და დამდუღრულივით გავარდა.

ანუკა არ აღელვებულა, არც ეჭვი გასჩენია რამეზე. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ყველაფერი ეღონა, რომ გაერკვია, რა ხდებოდა მის თავს.

იმ ღამით გელა სახლში არ მისულა. ჯერ დარეკა, მაგვიანდებაო, მერე, დაახლოებით ღამის პირველ საათზე, მობილურით შეეხმიანა ცოლს – ბიჭებმა დამპატიჟეს და ამაღამ ვერ მოვალო.

ანუკას რაღაც არ ესიამოვნა, მაგრამ აღარ დაუზუსტებია – რა. გონების კარი დაიხშო და მხოლოდ გულის კარი გამოაღო ფართოდ.

დღე დღეს მისდევდა, კვირა – კვირას. ურთიერთობა ცოლ-ქმარს შორის ისევ დათბა. ანუკას დედამთილი ბედნიერებისგან დაფრინავდა.

მართალია, გელა ხანდახან ძალიან გვიან მოდიოდა სამსახურიდან, ხან კი საერთოდ არ ათევდა ღამეს სახლში, მაგრამ ცოლ-შვილისა და დედის მიმართ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ყურადღებიანი გახდა. ანუკას პურზეც აღარ უშვებდა, ყოველდღე თვითონ ეზიდებოდა პროდუქტებს და ბავშვებიც თვითონვე დაჰყავდა სკოლაშიც და მასწავლებლებთანაც.

ტაქტიანი შეკითხვებით ანუკამ გაარკვია, რომ გელას მართლაც ჰქონდა ფინანსური პრობლემები სამსახურში, თუმცა, თანდათან ყველაფერი გვარდებოდა.

ანუკა დამშვიდდა. აღარც ბინის ქირის საკითხს ჩასძიებია. ალბათ, მართლა რაღაც გაუგებრობა მოხდაო, იფიქრა და ის ამბავი სულ დაივიწყა.

***

ერთხელ ანუკამ ბავშვები დედამისთან გაუშვა და გადაწყვიტა, ის დღე საკუთარი თავისთვის მიეძღვნა, ანუ, კარგად დაესვენა.

გელა დილით სამსახურში წავიდა, დედამთილი დასთან გაემგზავრა ქუთაისში და ანუკა სახლში მარტო დარჩა. სახლი დალაგებული იყო, ქმარ-შვილის სახვალიო ტანსაცმელი – მოწესრიგებული.

„სადილს საღამოს გავაკეთებ. გელა, ალბათ, რამეს მოიტანს. ახლა კი უნდა ვინებივრო“, – გადაწყვიტა ანუკამ, ტელევიზორი ჩართო და ტახტზე წამოწვა, მაგრამ ვერ მოისვენა. მერე თავისი უჯრა გამოაღო და ახალგაზრდობის დროინდელი რვეული მოძებნა, რომელშიც ერთ დროს სხვადასხვა წიგნში ამოკითხულ საინტერესო ფრაზებს იწერდა. უცნაური მღელვარებით გადაშალა გაცრეცილყდიანი რვეული და პირველივე ჩანაწერი წაიკითხა: „იმაზე საშინელი არაფერია ქვეყანაზე, როცა დაუმსახურებლად გაწყენინებს ადამიანი, რომელიც ძალიან გიყვარს“. ანუკას ის მომენტიც გახსენდა, როცა ეს ფრაზა ჩაწერა და ის ზღაპარიც, საიდანაც ამოიწერა – ეს იყო ბავშვობაში მისი უსაყვარლესი ზღაპარი „ლურსმანას თავგადასავალი“, რომელიც დიდობაშიც გადაიკითხა რამდენჯერმე.

„რაღა მაინცდამაინც ამაზე გადავშალე რვეული, რამე მინიშნება ხომ არ არის?“ – გაიფიქრა და უცბად გონებაში ამას წინათ ამერიკული სერიალიდან მოსმენილი ფრაზაც გაახსენდა: „არასოდეს ენდო ქალს, რომელსაც სულ ახლახან აწყენინეს“. ანუკამ სასწრაფოდ აიღო მაგიდაზე მიგდებული ფანქარი და ეს სიტყვები ბოლო გვერდზე მიაწერა. მერე დანარჩენი ჩანაწერებიც გადაიკითხა და რაღაცნაირ სასიამოვნოდ სევდიან განწყობაზე დადგა.

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. ანუკა გამოფხიზლდა და ყურმილი აიღო.

– ანუკა, მარი ვარ, სადმე გასვლას ხომ არ აპირებ? – მისი დეიდაშვილი რეკავდა, მეოთხეკურსელი მარი, ანცი, გიჟი და გადარეული.

– არა, ჭირიმე, სახლში ვარ, ხომ მშვიდობაა?

– მშვიდობაა. ლექცია გაგვიცდა, საათ-ნახევარი შუალედი გვაქვს და არ ვიცით, სად წავიდეთ. ამოვალთ რა, შენთან მე და ჩემი დაქალი! თანაც, ძალიან მომენატრე და გნახავ...

– ამოდით, სახლში მარტო ვარ და ცოტა წავიჭორაოთ, – გაუხარდა ანუკას, – ოღონდ მითხარი, მშივრები ხართ?

– არა, არ გვშია. ყავა ხომ გაქვს?

– სამნაირი.

– აბა, ნამცხვარს და ნაყინს ჩვენ მოვიტანთ.

– ნამცხვარიც მაქვს, გუშინ გამოვაცხვე. მარტო ნაყინი ამოიტანეთ.

– მოვქრივართ! – ისე იკივლა მარიმ, ანუკას ყური ეტკინა, – ისევ ისეთი გადარეულია, როგორიც ბავშვობაში იყო, – ჩაილაპარაკა ღიმილით და სამზარეულოში გავიდა.

ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ მარი და მისი დაქალი, ნინიკო ანუკას დაადგნენ თავს. ჟურნალების მაგიდა უკვე გაწყობილი იყო: ლამაზად დაჭრილი ნამცხვარი, ხილი, შოკოლადის ასორტი, ყავის ფინჯნები და ლელას მომზადებული უგემრიელესი ლიქიორი, მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა.

– ნაყინი გამომართვი, არ გადნეს, – ხვევნა-კოცნისა და ურთიერთმოკითხვის შემდეგ თქვა მარიმ, – უი, სულ დამავიწყდა, ეს ნინიკოა, ჩემი უახლოესი მეგობარი, ეს კი ანუკაა, ჩემი უახლოესი დეიდაშვილი, – გააცნო სტუმარი და მასპინძელი ერთმანეთს, გადაიკისკისა და სავარძელში მოკალათდა.

– ერთი საათი გვაქვს. თუ გვასმევ ყავას, დროზე მოგვიტანე და ჩვენთან დაჯექი, ცხელ-ცხელი ამბები მაქვს მოსაყოლი.

ხუთი წუთის შემდეგ ყავაც მზად იყო.

– ანუკა, არ დამიწყო ახლა ჭკუის დარიგება, სიგარეტი უნდა მოვწიოთ, – გამოაცხადა მარიმ.

– როდის იყო, რომ ჭკუას გარიგებდი? მეც მოვწევ, – ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უპასუხა ანუკამ.

– შენ რა, ეწევი? – თვალები შუბლზე აუვიდა მარის, – როდის აქეთ დაიწყე?

– მწეველი არა ვარ, ხანდახან, სიტუაცია რომ ჩავარდება, ერთ ღერს მოვწევ ხოლმე, – თავი იმართლა ანუკამ, – გაქვთ თუ მოგიტანოთ?

– გააჩნია, რას მოგვიტან.

– ნამდვილი ამერიკული „მარლბორო“ აქვს გელას უჯრაში. მოწევთ?

– მოიტა!

ანუკა გელას მაგიდას მიადგა, მაგრამ უჯრა, რომელიც ყოველთვის ღია იყო, ახლა ჩაკეტილი დაუხვდა. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა და გასაღების ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერც გასაღებს მიაგნო.

– რას შვრები ამდენ ხანს? – გამოსძახა მარიმ.

– თქვენ დაიწყეთ ჭამა, ახლავე მოვძებნი, – უპასუხა ანუკამ, უჯრას თავი მიანება და სამზარეულოში გავიდა. სიგარეტის გახსნილი კოლოფი მაცივრის თავზე აღმოაჩინა და საფერფლესა და სანთებელასთან ერთად გოგოებთან გაიტანა.

ის იყო, სიგარეტს მოუკიდეს, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. მარი და ნინიკო შეკრთნენ და სიგარეტის ანთებული ღერები სასწრაფოდ მიასრისეს საფერფლეზე.

– ვაიმე, ვინ არის? ლელა დეიდა ხომ არ მოვიდა? – აფორიაქდა მარი და ფანჯარას ეცა გამოსალებად.

– ლელა ხვალამდე არ ჩამოვა, დაწყნარდი, ალბათ, გელაა; თუმცა, ასე ადრე არც მას ველოდი.

– გელა? მერე არ გამიბრაზდება? – შეშინდა მარი.

– არ გაგიბრაზდება, ნუ გეშინია. თუ გინდა, სულაც არ გამოვუშვებ აქეთ, – ანუკა კარისკენ გაემართა და თან მარიზე გაიფიქრა, ჯერ ისევ ბავშვიაო.

სანამ ანუკა კარამდე მივიდა, ზარი ხელმეორედ გაისმა.

– მოვდივარ, მოვდივარ! – დაიძახა და საკეტი გადაატრიალა. კარში გელა იდგა და ხელში პროდუქტებით სავსე უზარმაზარი პარკი ეჭირა.

– სად ხარ აქამდე, დროზე ვერ გააღებ? – მიაყვირა გელამ და ბარგიანად სამზარეულოსკენ გავარდა.

– რა გჭირს? – გაოცებით ჰკითხა ანუკამ, თან იუხერხულა – გელას უხეში ტონი, ალბათ, გოგოებმა გაიგონესო.

– რა მჭირს და გამისკდა შარდის ბუშტი! – ისევ იყვირა გელამ და ტუალეტის კარს ეცა.

– გელა, სტუმრები მყავს, – თავით ოთახისკენ ანიშნა ანუკამ, – ასე რომ, მაინცდამაინც უხვ მარაგს ნუ გამოიყენებ შენი საშინაო ლექსიკონიდან.

– ვინ სტუმრები? – უკვე ტუალეტიდან იკითხა გელამ, მაგრამ მის ხმაში გალიზიანება აღარ იგრძნობოდა, რადგან, შარდის ბუშტი აშკარად გადაურჩა გახეთქვას.

– მარია დაქალთან ერთად.

– ჰო, კარგი, მაცალე გონზე მოსვლა...

სანამ ანუკასა და გელას შორის ეს დიალოგი მიმდინარეობდა, მარიმ ხელახლა მოუკიდა სიგარეტს, თან ლიქიორი მოწრუპა.

– ნინიკო, რა გჭირს? – შეშფოთებულმა მარიმ გაფითრებულ მეგობარს ხელზე ხელი მოჰკიდა და მსუბუქად მოქაჩა.

– მარი, ვინ არის ეს კაცი? – მიმქრალი ხმით ჰკითხა ნინიკომ.

– ვინ კაცი?

– ვინც ახლა შემოვიდა.

– ჩემი სიძეა, ანუკას ქმარი.

– ნამდვილად ანუკას ქმარია?

– შენ რა, სულ გარეკე თუ ამ ერთმა ნაფაზმა გაგთიშა? ათი წელია, ჩემი სიძეა. რატომ მეკითხები? – დაიძაბა მარი.

– არა, ისე... ერთ ნაცნობს ჰგავს ძალიან და... – დაბნეულმა ნინიკომ წინადადება აღარ დაამთავრა და მარის საცოდავად შეხედა.

– ვინ ნაცნობს? შენ რა, გელასთან ხომ არ... ის... ჰა? – ახლა მარის დაება ენა.

– შენ სულ გაგიჟდი? ვინ გგონივარ? – გაბრაზდა ნინიკო და როცა მიხვდა, საკმაოდ ხმამაღლა გამოუვიდა შეყვირება, სისინით განაგრძო, რომ ანუკას არ გაეგონა:

– ეს კაცი ჩემი კარის მეზობლის ქმარია!..

– რა სისულელეებს ამბობ! რომ გეთქვა, საყვარელიო, კიდევ რაღაც...

– საყვარელი კი არა, ქმარია, უკვე ორი წელია. შვილიც ჰყავთ, დაახლოებით ერთი წლის.

– ნინიკო, ნუ მაგიჟებ, რაღაცა გეშლება! ალბათ, აქედან კარგად ვერ დაინახე და ვიღაცას მიამსგავსე.

– კარგად დავინახე. აი, ამ სარკემიაც აირეკლა და აქაც დავინახე. თანაც...

– რა – „თანაც“?

– რა და, ხმა...

– რა ხმა?

– ხმაც ზუსტად იგივეა.

– შენ რა, მეზობლების ქმრებს ხმით ცნობ? – ხუმრობა სცადა მარიმ.

– ხმითაც, გარეგნობითაც და კიდევ... – ნინიკო შეყოვნდა, არ იცოდა, ბოლომდე ეთქვა თუ არა სათქმელი, მაგრამ, ბოლოს გადაწყვიტა, რომ გაჟღერილს გატეხილი სჯობდა და წინადადება ბოლომდე მიიყვანა: კიდევ ის, რომ ჩემი კარის მეზობლის ქმარსაც გელა ჰქვია!



– თქვენ პირადად იცნობთ ერთმანეთს?

– ვიცნობთ, როგორც კარის მეზობლები, ძირითადად – სალმით.

– მაშინ მე ახლა ერთ პატარა ექსპერიმენტს ჩავატარებ, ოღონდ გთხოვ, ანუკასთან ჯერჯერობით არაფერი წამოგცდეს. არ მინდა, ამ იდიოტის გამო ინერვიულოს, – მარიმ გულში მაშინვე დაიჯერა ნინიკოს ნათქვამი, მაგრამ საბოლოოდ დასარწმუნებლად პატარა ცდის ჩატარება გადაწყვიტა და ანუკას გასძახა:

– ანუკა, გაგვაცანი შენი ქმარი, თუ შეიძლება! – „გაგვაცანიში“, ცხადია, ნინიკოს გაცნობა იგულისხმა.

– მოვდივარ, მოვდივარ! თავად გაგეცნობით! – გელა ღიმილით შემოვიდა ოთახში და გოგონებისკენ გაემართა, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ სახე გაუფითრდა და ადგილზე გაქვავდა. ნინიკო გაწითლდა და თავი ჩაღუნა. საშინელი სიტუაცია შეიქმნა. უხერხულობის გაფანტვა მარიმ სცადა:

– სიძევ-ბატონო, ეს ჩემი მეგობარია, ნინიკო, მე კი მარი ვარ. ჩვენ, მგონი, კარგა ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს. მოდი, გაკოცო, რამდენი ხანია, აღარ მინახავხარ. ისეთი ფერი გადევს სახეზე, მგონი, მარტო შარდის ბუშტის კი არა, კუჭ-ნაწლავის პრობლემაც უნდა გქონდეს, – მარის საკმაოდ უხეში და უტაქტო ხუმრობა გამოუვიდა, მაგრამ გელამ ამით ისარგებლა, – ნინიკოს თავი დაუკრა – სასიამოვნოაო, მერე უცებ ადგილს მოსწყდა და უცერემონიოდ შევარდა ტუალეტში.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-48(674)

## მოდი, ვილაპარაკოთ

ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო საშუალება დიალოგია. თუმცა, ყველა როდი ფიქრობს ასე და, სანამ შესაფერის სიტყვებს იპოვიან, მარტივად ხელის აქნევა ურჩევნიათ. შედეგზე ამ დროს ვინ ფიქრობს?! ისედაც, კაცები ნაკლებად ფიქრობენ საკუთარი საქციელის შედეგებზე. პასუხისმგებლობის ნაკლებობაა ამის მიზეზი თუ, უბრალოდ, არაჯანსაღი ამბიცია, ამის გარკვევას აზრი არა აქვს. ფაქტია, რომ ჩხუბი და მუშტიკრივი, ანუ, ძალისმიერი მეთოდებით ურთიერთობის გარკვევა დღემდე აქტუალურია...



***

ნინიმ უყურადღებოდ დახედა აწრიალებულ მობილურს. კლიენტი ჰყავდა და პასუხის გაცემას არ აპირებდა, მაგრამ, თვალებს არ დაუჯერა... გიგი რეკავდა. მისი ნომერი ისევ სახელით ჰქონდა შეტანილი ტელეფონში, რაც ყოველგვარ შეცდომას ან გაუგებრობას გამორიცხავდა. შეშფოთება დაეტყო. მოუსვენრად აწრიალდა და ათრთოლებული თითები ძლივს დაიმორჩილა. როგორც კი კლიენტი გაუშვა, ლიზასთან მივარდა და მობილური ცხვირთან მიუტანა.

– რა მოხდა, მშვიდობაა? ქეთის ქმარი ხომ არ დაგვესხა თავს? – სიცილით ჰკითხა ლიზამ.

– უარესი... – ხელები აიქნია ნინიმ, – უარესი.

– ოჰო! უარესი რა შეიძლება იყოს? თომას ნაცემის არაფერი ეტყობა, ზის და, ბედნიერებისგან გასხივოსნებული, შენი ცქერით ტკბება.

– რა შუაშია თომა, სხვა პრობლემა მაქვს – გიგი გამოჩნდა.

ლიზამ თვალები მოჭუტა:

– გიგი... გიგი... ერთი, გამახსენე ეგ სუბიექტი, მეხსიერება მღალატობს. მითხარი, ვინ არის?

– გეყოფა, სულაც არ ვარ ხუმრობის გუნებაზე. შეხედე, ხელებიც კი მიკანკალებს. რა ჯანდაბა უნდა, რისთვის დამირეკა?

– აბა, რა გითხრა, გეპასუხა და გაიგებდი.

– რომ არ მინდა?

– მაშინ, დაიკიდე. რა პრობლემაა, ვერ ვხვდები.

– ეგ ტყუილად არ დარეკავდა. ახლა, ამ „მოწმენდილ ცაზე“ რატომ გავახსენდი?

– გეუბნები, დაიკიდე-მეთქი.

– არ შემიძლია, – ამოიოხრა ნინიმ, – შეხედე, ისევ რეკავს... ვაიმე, რა ვქნა?

– ნინი, პანიკაში ნუ ვარდები. თუ ასე განიცდი, მომეცი ეგ ტელეფონი და მე ვუპასუხებ.

ნინი შეყოყმანდა:

– არა! მგონი, აჯობებს, არ ვუპასუხო... მობეზრდება და გაჩერდება. მთავარია, მე შევინარჩუნო სიმშვიდე.

– საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობ იმაში, რომ ეგ ტიპი აღარ გაინტერესებს, მაგრამ, რეალურად ასე არ არის.

– აღარ მაინტერესებს, – ჯიუტად ჩაილაპარაკა ნინიმ, უფრო საკუთარი თავის დასარწმუნებლად.

ლიზამ მხრები აიჩეჩა:

– შენზეა ნათქვამი – „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. აღარ მაინტერესებსო, ამბობ და გაფითრებული კანკალებ. ასე არ გამოვა. იცოდე, თომაც შეამჩნევს, რომ რაღაც ისე არ არის.

– თომამდე არ უნდა მივიდეს ეს ამბავი. არაფერი თქვა, გეხვეწები!

– მე რა უნდა ვთქვა, ხომ არ გაგიჟდი? მაგრამ, ისე იქცევი, გაიყიდები.

– ვნერვიულობ და რა ვქნა? – გამოტყდა ნინი.

– ნუ ნერვიულობ. იცი, რა... მოდი, თუ კიდევ დარეკავს, უპასუხე...

– რა პონტში?

– იმ პონტში, რომ ტვინი არ გიბურღოს. ეტყობა, რაღაც აქვს სათქმელი და მიეცი საშუალება, გადმოაფრქვიოს ვნებიანი, დაფარული...

– რა მშვენიერ გუნებაზე ხარ, ყველაფერზე შეგიძლია „კაიფი“. ორსულობას დავაბრალებდი, მაგრამ, ადრეც ასე იყავი.

– რა არის იმაში ცუდი, რომ სულ კარგ გუნებაზე ვარ?! შენსავით ცხვირ–პირი რომ ჩამომტიროდეს, გაცილებით უარესი იქნებოდა. უარესად დაგსტრესავდი – მეტი კი არ უნდა დეპრესიაში ადამიანის ჩაგდებას.

– შენი არ ვიცი, მაგრამ, გიგი მოახერხებს იმას, რომ დეპრესიაში ჩამაგდოს. აუ, რა დავაშავე? ძლივს დავალაგე საკუთარი ცხოვრება და მაგ იდიოტმა თავიდან უნდა ამირიოს? ბოროტია – სხვა რა უნდა დაარქვა ამისთანას?

– მესაკუთრე, ნინი, ჩვეულებრივი მესაკუთრეა... მე არ მიკვირს – ვერ შეეგუა იმას, რომ მის საკუთრებას ვილაც დაეპატრონა და გადაირია.

– ვინ დამეპატრონა, რა სისულელეა... – აღშფოთდა ნინი, – მე რა, ნივთი ვარ?

– შენ ასე ფიქრობ, ის – ისე, – მხრები აიჩეჩა ლიზამ, – დაელაპარაკე... ზუსტად ის უთხარი, რაც ახლა ჩემთან თქვი. ოღონდ, მოკლედ და კონკრეტულად. კაცების ტვინი დიდ ინფორმაციას ვერ ხარშავს – იბნევიან ეგ საცოდავები.

– საცოდავები უძახე შენ და, რამდენს გვანერვიულებენ...

– კარგი რა, ანერვიულებენ შენნაირებს, მე ყველას ყოველთვის იქით ვანერვიულებდი.

– შენამდე ვერ ვქაჩავ, ხომ ხედავ? ღმერთო, აღარ რეკავს! – აღმოხდა შეწუხებული ხმით.

ლიზას სიცილი აუტყდა:

– რა უცნაური ხარ... ხან ნერვიულობ – რატომ რეკავსო... არ რეკავს და – ამაზეც ნერვიულობ.

– შენ რა, ვერ ხვდები? რამე სიურპრიზი არ მომიწყოს – დღეს მე და თომა კინოში ვაპირებთ წასვლას.

– წადით მერე, ეკრანიდან ხომ არ გადმოხტება?

– აუ... კარგი ჰო, რადგან ვერაფერს მირჩევ, მე თავად მოვუვლი ჩემს პრობლემას, – ნინი წყენით შებრუნდა. ლიზამ მკლავზე მოჰკიდა ხელი და შემოაბრუნა.

– მოიცადე, ბილეთები უკვე ნაყიდი გაქვთ?

– რა ბილეთები?

– ხომ თქვი, მე და თომა კინოში მივდივართო?

– ჰო, ვთქვი... მერე რა... მნიშვნელობა რატომ აქვს, თანაც შენთვის, ბილეთები უკვე აღებულია თუ ახლა მივდივართ ასაღებად? – იფეთქა ნინიმ.

ლიზამ გადაიკისკისა:

– ვაიმე, როგორი ნერვიული და ემოციური ხარ, გოგო, დაწყნარდი! რაღაც იდეა მაქვს. გუშინ კაფეში ხომ არაფერი მოხდა?

– ჰოდა, მადლობა ღმერთს, რომ არაფერი მოხდა, – გააწყვეტინა ნინიმ, – მოვკვდი ნერვიულობით.

– არა, არა, მე უკმაყოფილო ვარ – არ მიყვარს, როცა ჩემი დაწყებული საქმე არ გამოდის. ჰოდა, იმას ვამბობდი, კინოში ქეთი ხომ არ წაეყვანა თომას?

– რა?! – შეჰყვირა ნინიმ, – არავითარ

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

შემთხვევაში, გესმის? საკმარისია, გეყოფა, მოეშვი ამ თომას! ჩვენ რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ... არ უნდა იმ კაცს და რას იზამ?! ჩვენი მისია ამოწურულია, დანარჩენი უკვე მათზეა დამოკიდებული.

– ჯერ ერთი, ნუ ყვირი, ყველამ ჩვენ შემოგვხედა... თომამაც, სხვათა შორის; მეორეც – დაწყებულს ბოლომდე უნდა მიყვანა. მე, ყოველ შემთხვევაში, ასე ვარ. დიდი ამბავი, თუ ერთხელ კინოში წაიყვანს. ნუ გეშინია, ფულს ამჯერადაც მე გადავიხდი. ძალიან რომ არ დავაზარალო თომა.

– ფული რა შუაშია? – ეწყინა ნინის, – ფულზე ვინ ლაპარაკობს? უბრალოდ, უკვე ძალიან მრცხვენია თომასი.

– რატომ გრცხვენია? ბიჭს, პირიქით, მოსწონს, რაინდის როლს რომ თამაშობს.

– ვერაფერი რაინდობაა უნიჭო სპექტაკლში მონაწილეობის მიღება. საკმარისია-მეთქი, მოვრჩეთ ამაზე!

ლიზამ ორი თითით გამოიწია ყელი და შეეხვეწა:

– ნინი, ერთხელაც, რა... ჩემი ხათრით. დარწმუნებული ვარ, ერთი წვეთიღა აკლია და, გამოვა, რაც ჩავიფიქრე. უარს ნუ მეტყვი, დაელაპარაკე თომას.

ნინიმ ჯიუტად გაასავსავა ხელები:

– არა, არა, არა... აღარ მინდა ამ მარაზმში მონაწილეობის მიღება, რა ვერ გაიგე? თავს იდიოტად ვგრძნობ.

– ეს ერთხელაც და მერე მორჩა.

– არა...

– ნინი, ნუ ჯიუტობ.

– არ ვჯიუტობ, მაგრამ, აღარ მინდა.

– ნინი...

თომამ რამდენჯერმე გამოიხედა ქალებისკენ, ბოლოს ადგა და მათთან მივიდა.

– რა ხდება? თქვენი ხმა მთელ ოფისში ისმის.

– თომა, საყვარელო, ნინის ვეუბნებოდი, რომ შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ, გამგები და ყურადღებიანი და ძალიან გვეხმარები. ისეთი კარგი ხარ, რომ, უარს არ იტყვი, ნინის მაგივრად ქეთი წაიყვანო დღეს კინოში, – ენა დაიშაქრა ლიზამ.

თომა გაშრა და დაბნეულად შეხედა ნინის:

– თუ შენ თანახმა ხარ, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – თქვა ყოყმანით. ნინიმ ამოიოხრა:

– ასეც ვიცოდი. შენში ეჭვი არ მეპარებოდა. არაჩვეულებრივი ვინმე ხარ. იმსახურებ ისეთი გოგოს სიყვარულს, როგორიც ნინია, – სულ დადნა ლიზა და ბიჭი საბოლოოდ განაიარაღა.

– ანუ, დავურეკო ქეთის? – იკითხა მორჩილი ბავშვივით.

ნინი იძულებული გახდა, დათანხმებოდა. ლიზას სახე გაუბრწყინდა.

– კეთილშობილურ საქმეს ვაკეთებთ, მეგობრებო, ჩვენი ღვაწლი ფუჭად არ ჩაივლის.

– ფუჭად არჩავლა იქნება, სკანდალი რომ ატყდება, – ხმადაბლა გადაულაპარაკა ნინიმ, – მოკლედ, მაინც მიაღწიე შენსას.

– აბა რა, მე ყოველთვის ვაღწევ ჩემსას და ამჯერად რატომ იქნებოდა სხვანაირად?

– ოჰ, ლიზა, რომ იცოდე, როგორ ვნანობ, შენ რომ აგყევი...

* * *

ლელამ ფანჯრიდან გაიხედა და აღელვებული შემობრუნდა:

– ნატო, რა ჩაიდინე?

ნატო, რომელიც ამ დროს ტანსაცმელს იცვამდა გაოცებული მიაჩერდა:

– რა, არ ჩავიცვა? სახლში არ მივდივართ? დღეს ხომ მოვრჩით მუშაობას! ყოველ შემთხვევაში, მე აღარავინ მყავს ჩაწერილი.

– მაგაზე არ გეუბნები. მოდი, და შეხედე...

ნატო ფანჯარასთან მივიდა და იქით გაიხედა, საითაც ლელა უთითებდა.

– არ მითხრა, რომ შემთხვევით მოვიდა, – საყვედურნარევი კილოთი უთხრა ლელამ, – რატომ დაურეკე?

ნატო გაწითლდა:

– ჰო, დავურეკე, არ უარვყოფ. აუცილებლად ჩავთვალე ამის გაკეთება და იმიტომ. ქეთი ჩემი მეგობარია, მაგრამ, ცუდად იქცევა, ცხოვრებას ინგრევს და, რა ვქნა, არ შემიძლია, ამას მშვიდად ვუყურო. ისეთი სახე გაქვს, თითქოს გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინე. ისე მოვიქეცი, როგორც ჩემმა სინდისმა მიკარნახა.

– მოსაკლავი ხარ, ამას შენგან არ ველოდი. მაინც, რა უთხარი, შენი ცოლი გღალატობს და მოხედეო?! ნატო, გაგიჟდი?

– მე კი არა, ქეთი გაგიჟდა. ყველას დასანახავად ხვდება იმ ლაწირაკს. მე არ ვეტყოდი, სხვა ეტყოდა. ამიტომ, ჯობდა ჩემგან გაეგო ვახოს, – თავის მართლებას მოჰყვა ნატო.

ლელამ საყვედურით გადააქნია თავი:

– ძალიან ცუდად მოიქეცი, ძალიან... მაინც, რა უთხარი?

– რა მნიშვნელობა აქვს? მაგისთვისაც კარგია, ცოტა შეაჯანჯღარებს ეს ამბავი. – ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა ნატომ.

– გიყურებ და არ მჯერა, რომ ეს შენ გააკეთე. ახლა გაბრძანდი და დაელაპარაკე იმ ადამიანს. როგორი დაუფიქრებელი ხარ! ჯობდა, ისევ ქეთისთვის აგეხილა თვალი.

– რომ ვერ ავუხილე, მაგაშია საქმე. დღეს, საერთოდ, კინოში გაჰყვა. მგონი, საქმე სერიოზულად არის და, ვახომ რატომ არ უნდა იცოდეს?

– ჰოდა, თუ უნდა იცოდეს, გადი და დაელაპარაკე. თუმცა, შენი გასვლა საჭირო აღარ არის, თავად მოდის აქეთ. მიდი, კარი გაუღე... ოხ, ნატო, მოსაკლავი ხარ, მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება. რაც გინდა ქენი და დაამშვიდე ეს კაცი. შენი მეტიჩარა ენის წყალობით რამე საშინელება რომ მოხდეს, არ გაპატიებ.

– რა უნდა მოხდეს? – ცოტა შეფიქრიანდა ნატო.

– არ ვიცი, მიდი, შეხვდი, უკვე ზარს რეკავს.

ვახომ ყოყმანით, გაუბედავად შეაბიჯა კლინიკის მისაღებში. უკვე ნანობდა, აქ რომ მოვიდა. გულის სიღრმეში საკუთარ თავს უწყრებოდა, ეს სისულელე რამ გაგაკეთებინაო, მაგრამ, უკან დახევასაც აღარ ჰქონდა აზრი.

– გამარჯობა, მიესალმა ქალებს მორიდებით და გაწითლდა, საჭირო სიტყვების მოძებნა გაუჭირდა და უხერხულად აწრიალდა. ლელამ ნატოს შეუბღვირა – კეთილი ინებე და დაელაპარაკე ამ ადამიანს, რადგან ინიციატივა გამოიჩინე და მოიყვანეო.



– უი, ვახო! ქეთი რომ უკვე წავიდა?! – ისე შეიცხადა ნატომ, თითქოს ყველაფერი შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს – ვახოს მოსვლაც და ქეთის სამსახურიდან დროზე ადრე წასვლაც.

– ვხვდები – ირონიულად გაეღიმა ვახოს, – შენთან მაქვს რაღაც სათქმელი.

ნატომ ლელას შეხედა – მგონი, მართალი იყავი, მეტისმეტად ვიჩქარეო. ლელამაც ნიშნის მოგებით დაუქნია თავი.

– წამოდი, სამზარეულოში გავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ – ნატოს სხვა გზა აღარ დარჩენოდა. რადგან „გადამრჩენის" მისია საკუთარ თავზე აიღო, ბოლომდე უნდა მიჰყოლოდა კიდეც.

... ვახომ სიგარეტს მოუკიდა, ოთახს დაბინდული მზერა მოავლო და აგრესიანარევი ტონით იკითხა:

– ესე იგი, ჩემი ცოლი უკვე აშკარად მღალატობს?!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

გაგრძელება შემდეგ ნომერში


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-48(674)**

– კაროჩე, ძმაო, თუ თანახმა იქნები, მაშინ, ოდესაში მოგვიწევს გამგზავრება და იქ ჩალიჩი, – ვუთხარი ბერძენას, მან კი ღიმილით მომიგო:

– სადაც გინდა, იქ ვიჩალიჩოთ, ოღონდ, გველები და მსგავსი შხამიანი საზიზღრობები არ დამანახვო.

– არა, ის კაცი უბრალო გამყიდველია და ქვეწარმავლებთან არანაირი კავშირი არ აქვს. თუმცა, ნაკოლშჩიკი მიმტკიცებდა, რომ ძალიან დიდი მაყუთი და ძვირფასეულობა აქვს, თანაც ეს ყველაფერი სახლში უდეს და მხოლოდ პოვნა უნდაო.

– ნაკოლი ზონიდან წამოიღე?

– კი.

– დარწმუნებული ხარ, რომ ნაკოლშჩიკი არ ცდება?

– მე მგონი, არ ცდება.

– მაშინ, თანახმა ვარ, მეტი რა გზა მაქვს? სროკიდან ახალი გამოსულები ვართ და მაყუთი გვჭირდება. როდის მივემგზავრებით?

– ზეგ.

ოდესაში მატარებლით ჩავედით და ერთ ქალთან დავბინავდით, რომელიც თავისი სილამაზითა და მოხერხებულობით იყო გამორჩეული და მასთან დიდი ხნის ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა. რომ დამინახა, ძალიან გაუხარდა, კისერზე ჩამომეკიდა და მითხრა:

– კობრა, ძვირფასო, როგორ მომენატრე, რატომ არ მწერდი ზონიდან?

– კლარაჩკა, ჩემო მშვენიერო, რომელი მწერალი მე ვარ, რომ ვწერო? – მივუგე ქალს და ვკითხე, – მარტო ხარ თუ ვინმე გყავს?

– მარტო ვარ, შემოდით.

– ეს ბერძენაა, – გავაცანი კლარას ბერძენა და ბინაში შევედით.

– დიდი ხნით გვეწვიეთ ოდესაში თუ გავლით ხართ?

– გავლით არ ვართ, გარკვეული დროით დავრჩებით, თუ, რა თქმა უნდა, არ გაგვყრი.

– გაგყრით? არა გრცხვენია, კობრა? ძლივს მეღირსა შენი ნახვა და სადმე გაგიშვებთ?

– ჰოდა, ძალიან კარგი. ცოტა გვაჭამე, თორემ გული წაგვივა, – ვუთხარი კლარას, ასმანეთიანი გავუწოდე და დავამატე: – იქნებ რამე სასმელიც გაჩითო.

– ფული შეინახე, კობრა. სასმელების მეტი რა მაქვს, ისურვე და ნებისმიერ სასმელს დაგიდგამ. ოდესაში ჯერ არ დავიწყებიათ ძვირფასი სტუმრების პატივისცემა, – მითხრა კლარამ, რომელიც მხოლოდ იმით გამოირჩეოდა ტრადიციული ოდესელი „ბლატნოებისგან,“ რომ მშვენიერი ქალი იყო. სხვა დანარჩენი კი – ლაპარაკი, მანერები და განუმეორებელი შარმი – ოდესელის ჰქონდა.

– შენ სულ არ იცვლები, კლარაჩკა, – ვუთხარი ჩვენს დიასახლისს.

– არც შენ, ჩემო ძვირფასო. ისევ ისეთი ხარ, როგორიც მრავალი წლის წინ. გახსოვს, როგორ ვგრიალებდით დერებასოვკაზე?

დერებასოვკა ოდესის ცენტრალური ქუჩაა, სადაც ცნობილი ლუდხანა მდებარეობს და სადაც მთელი ოდესის შავი სამყარო იკრიბებოდა. სწორედ ამ დაწესებულებას გულისხმობდა კლარა და მივუგე:

– ამას რა დამავიწყებს, მაგრამ, ნუ გეშინია, კიდევ მოვასწრებთ გრიალს. ამჟამად კი საგრიალოდ არ ჩამოვსულვართ.

– ხომ მშვიდობაა, კობრა?

– მშვიდობა რომ არ იყოს, შენთან მოვიდოდით? პატარა საქმე გვაქვს და საიმედო ბაითი გვჭირდება.

– გასაგებია, – გამიღიმა კლარამ და დაამატა: ახლავე გასადილებთ.

როგორც უკვე ვთქვი, კლარა საიმედო ქალი იყო. მასთან დასამალი არაფერი მქონდა და, ცოტა რომ დავნაყრდით, ვუთხარი:

– თუ წინააღმდეგი არ იქნები, შენი დახმარება გვჭირდება.

– ყოველთვის მზად ვარ. თქვი.

– კლარაჩკა, ერთი კაცი უნდა მოგვაძებნინო ოდესაში. შეძლებ?

კლარას გაეცინა და მითხრა:

– თუ გინდა, ნემსს გაპოვნინებ თივის ზვინში, შენ მხოლოდ სახელი მითხარი.

– გრიგორი ბობენკო. მაღაზიის უბრალო გამყიდველია. იცნობ ასეთს?

კლარამ მხიარულად გადაიკისკისა და მითხრა:

– სწორედ ათიანში მოარტყით, ჩემთან რომ მოხვედით.

– ათიანში?

– რა თქმა უნდა, – მითხრა კლარამ და ხელი მარჯვენა კედლისკენ გაიშვირა, – გრიშა აი, იქ ცხოვრობს, ჩემი კარის მეზობელია.

მე და ბერძენამ ერთმანეთს გადავხედეთ. კლარა კი კედელში ჩამონტაჟებულ წიგნების კარადასთან მივიდა, გამოაღო და გვითხრა:

– თქვენ, რა თქმა უნდა, გრიშას დასაბომბად ხართ ჩამოსულები, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ მის ბაითში მანეთიანსაც კი ვერ იპოვით. ის ძალიან მდიდარია, თუმცა, სახლში არაფერს ინახავს, მთელი ქონება მე მომაბარა.

– შენთან? – ვკითხე კლარას. მან კარადის კედელში ჩამონტაჟებული სეიფი დაგვანახვა და თქვა:

– აი, აქ. ყველაფერი საიმედოდაა დამალული და ეს არცაა გასაკვირი, რადგან, გრიშა ცხონებული მამიდაჩემის ქმარია...

– სიურპრიზიც ასეთი უნდა, – ვთქვი მე. ბერძენამ კი დაამატა:

– მისამართი შეგვეშალა. სულ ტყუილად ჩამოვსულვართ და ცარიელებს მოგვიწევს უკან გამგზავრება.

– სულაც არა, – თავი გააქნია კლარამ, – მე მაქვს ერთი მაგარი ნაკოლი და იქ არანაკლებ კუშს აიღებთ, თანაც, პირადად მოგეხმარებით. დიდი ხანია, ეს საქმე ჩავიფიქრე, საიმედო ხალხს ვეძებდი და თქვენი თავი განგებამ გამომიგზავნა.

– არც ესაა ცუდი. აბა, გვითხარი, – ვუთხარი კლარას.

– მოკლედ, ასე. ლუნაჩარსკის ქუჩაზე ერთი ოქრომჭედელი ცხოვრობს, ადრე მეარშიყებოდა. რამდენიჯერმე სახლშიც კი დამპატიჟა, მაგრამ, ლოგინში ვერ შემიტყუა. ბოლოს ხელი დავუქნიე და აღარ შევხვედრივარ. აი, იმისი ბაითის დაბომბვას გთავაზობთ და, შემიძლია, ზუსტად აგიწეროთ მისი ხუთოთახიანი ბინის განლაგება.

– მასაც რომ მეზობელთან, ან, სულაც, მიწაში ჰქონდეს დამალული ქონება? – ვკითხე კლარას.

– გამორიცხულია. ის ისეთი ჟმოტია, რომ მეზობელს და მიწას კაპიკსაც არ ანდობს, ნაღდად სახლში ინახავს ყველაფერს. უბრალოდ, კარგი მოძებნაა საჭირო და ამას შენზე უკეთ ვინ გააკეთებს?



– სახლიდან ხშირად გადის?

– თითქმის არასდროს.

– ეს უკვე პრობლემაა. მის გამოსატყუებლად რამე ეშმაკობა უნდა მოვიფიქროთ.

– არც ესაა შეუძლებელი. მე ვიცი, როგორ უნდა გამოვიტყუოთ სახლიდან.

– როგორ?

– ჩემი მეშვეობით.

– კონკრეტულად?

– ეს ჟმოტი სუპერ-ოქრომჭედელია და უამრავი კლიენტი ჰყავს, რომლებსაც ტელეფონით უკავშირდება და შეხვედრაზე უთანხმდება; ტელეფონითვე, უკავშირდებიან მას კლიენტები. ერთი სიტყვით, ტელეფონი მისთვის სასიცოცხლო რამაა. ამიტომ, მას ჩვენ ეს საშუალება უნდა მოვუსპოთ – სატელეფონო ხაზი უნდა გადავუჭრათ, რომლის მავთულებიც მის სადარბაზოში გადის.

– მერე, ეს რას მოგვცემს? – ვკითხე კლარას.

– იმას, რომ ის ან პირდაპირ „ატეესში" წავა ხელოსნის გამოსაძახებლად, ან, უახლოესი ქუჩის ტელეფონით ისარგებლებს, რომელიც მისი სახლიდან ექვსას მეტრში მდებარეობს.

– და, რა მერე? – ვერ მივხვდი მე, კლარამ კი ღიმილით მითხრა:

– მერე ის, რომ მე მას „შემთხვევით" ვხვდები ან ქუჩის ტელეფონთან, ან „ატეესში" – გააჩნია, სად წავა, დანარჩენი კი ტექნიკის საქმეა. ის რომ დამინახავს, ურთიერთობის აღდგენას შემომთავაზებს და, ატვეჩაი ვარ, რომ მინიმუმ ორი საათით მაინც გავაჩერებ. ამასობაში კი თქვენ მის ბაითს გაასუფთავებთ. გეყოფათ ეს დრო?

– ვფიქრობ, რომ გვეყოფა. მაქსიმალურად სწრაფად ვიჩალიჩებთ, ვუთხარი მე და იქვე ვკითხე: – დავუშვათ, ის არც „ატეესში" წავიდა და არც ქუჩის ტელეფონით ისარგებლა. რომ ადგეს და მეზობლების ტელეფონიდან დარეკოს „ატეესში", მაშინ ხომ მთელი გეგმა ჩაგვეშლება?

– არ ჩაგვეშლება.

– როგორ?

– როგორ და, მთელ იმ სახლში მხოლოდ მას და მისი კარის მეზობელს აქვთ ტელეფონები, მეზობელთან კი ის ჟმოტი მტრულ დამოკიდებულებაშია. ამიტომ, აუცილებლად გამოვა სახლიდან.

– დარწმუნებული ხარ, რომ შენით ის კვლავ დაინტერესდება?

– მილიონი პროცენტით, – თავდაჯერებულად მითხრა კლარამ და დაამატა: ორი წელია, მითვლის, ერთი წუთით მაინც შემხვდი და დამელაპარაკეო და, რომ მნახავს, ორ საათს არ გამიჩერდება? მეტხანსაც გავაჩერებ, მაგრამ, ისეთი შებერტყილია, შეიძლება, მიხვდეს, მეც რომ საქმეში ვარ... მოკლედ, ორ საათში უნდა ჩაეტიოთ.

ბერძენამ, რომელიც მანამდე უხმოდ გვისმენდა, კლარას უთხრა:

– ვითომ, გამოვა ეს საქმე?

– თუ ორ საათში ჩაეტევით, აუცილებლად გამოვა.

– მაშინ, ვიჩალიჩოთ, – თქვა ბერძენამ და მკითხა: რას იტყვი, კობრა, ვიჩალიჩოთ?

– აუცილებლად, – ვთქვი მე და ღიმილით დავამატე: როგორც ფრანგები იტყვიან: „ეძიეთ ქალი".

– ოპერაცია „შერ შე ლა პა", – ღიმილით თქვა კლარამ, – ოდესელები კი ვამბობთ: ფრაერი დააბი, გააბრუე და გააშიმხონე.

კლარას გეგმამ აწყობილი საათივით იმუშავა. ჩვენ, ყოველი შემთხვევისთვის, ოქრომჭედლის სატელეფონო ხაზთან ერთად, უახლოესი ქუჩის ტელეფონიც დავაზიანეთ. თუმცა, ობიექტი პირდაპირ „ატეესში" გაემართა, სადაც მას „შემთხვევით" შეეფეთა კლარა. ძველი სიყვარულის დანახვაზე ჟმოტმა ოქრომჭედელმა მას ლაპარაკი გაუბა და ეხვეწებოდა, ვიმეგობროთო. სანამ „ატეესის" შენობაში ოქრომჭედელი ხვეწნა-მუდარით იყო დაკავებული, მე და ბერძენამ მისი ბაითი პირწმინდად გავასუფთავეთ და კლარას სახლში უკვე დიდი კუშით დავბრუნდით. მალე კლარაჩკაც მოვიდა და გვკითხა:



– რა ქენით, მოაყომარეთ?

– გენიოსი ხარ, ჩემო გოგონა, – ვუთხარი კლარაჩკას, – იმდენი ოქრო წამოვიღეთ, რომ ლენინის ძეგლი ჩამოისხმება და ცოტა კიდევ დარჩება ბიუსტისთვის. ახლა კი სასწრაფოდ ლენინგრადში უნდა დავგაზოთ, კეშასთან, რომ ტავარი დავუგდოთ და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

– აი, თქვენი ბილეთები, – კლარამ მატარებლის ორი ბილეთი მომცა, – ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ და, როგორც შევთანხმდით, ორ კვირაში იალტაში ვიკრიბებით.

მე და ბერძენა კლარას გამოვემშვიდობეთ, ბერძენამ კი შეახსენა:

– კლარაჩკა, ძვირფასო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ ქსენია უნდა ჩამოიყვანო თან?

– რაზეა ბაზარი, ყველაფერი რიგზე იქნება. ქსიუშა ზეგ ჩამოდის ბულგარეთიდან და ორ კვირაში იალტაში მოგგვრით.

ქსიუშა კლარას სტიუარდესა დაქალი იყო და, მართლაც, ორი კვირის მერე ჩვენი ოთხეული იალტაში გრიალებდა. ქსენიამ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა ოქრომჭედლის ბაითის დაბომბვის შესახებ, მაგრამ, ჩვენ რომ ქურდები ვიყავით, არ დაგვიმალავს და არც მას ჰქონია რაიმე საწინააღმდეგო. კლარაჩკას ორი წლის შემდეგ ისევ შევხვდი, მაგრამ, უკვე მოსკოვში და მან მითხრა:

– ქსიუშა ხომ გახსოვს?

– ბერძენას ნაშა?

– ჰო.

– მერე?

– მერე ის, რომ მან საქმრო ამახია, – გადაიკისკისა კლარამ. მე ვერაფერს მივხვდი და ვკითხე:

– ვინ საქმრო, კლარაჩკა?

– ვინ და, ოქრომჭედელი. ერთხელ ერთად გვნახა, დაევასა, შეაბა და ცოლად გაჰყვა.

– რას მელაპარაკები? – გამეცინა მე და ვკითხე, – მერე ბედნიერები არიან?

– სავსებით. ქსიუშა იმ ჟმოტის მაყუთს მაგრად მოაჯდა და იმ ლოხს ცხენივით აჭენებს.

– რაც რამ ჰქონდა, მე და ბერძენამ გავიტანეთ, ნუთუ რამე დაგვრჩა?

– არა, მაგრამ, ის ჟმოტი მაგარი ჩალიჩაა და მალე ისევ გამდიდრდა.

– გამდიდრდა და ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს.

– ვის, იმ ლოხს თუ ქსიუშას?

– ორივეს, ჩემო გოგონა, ორივეს. ჟმოტიც ხომ ადამიანია და ბედნიერება არც მას აწყენს.

მოსკოვში მე და კლარამ სულ რაღაც ხუთი დღე დავყავით ერთად და შემდეგ სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს. რვა თვის შემდეგ კი შემთხვევით შევიტყვე, რომ კლარას გრიშას ქონების დიდი ნაწილი წაუღია და ვილაც გემის კაპიტნის მეშვეობით ისრაელში გაპარულა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კლარაჩკა ძალიან მოხერხებული, კარგი ცხოვრების მოყვარული ქალი იყო და, ის უფრო გამიკვირდებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო. „გადაგდებული" გრიშას ქონებით კი, კლარაჩკამ ისრაელში სარფიანი ბიზნესი ააწყო, თან, იქაური პარლამენტის წევრზე გათხოვდა და, ალბათ, დღემდე უზრუნველად ცხოვრობს. ბოლო სროკზე ყოფნისას არაერთხელ გავიხსენე ლამაზი, მხიარული და ძალიან მოხერხებული ებრაელი ოდესელი კლარა, რომელსაც თავდავიწყებით ვუყვარდი და ჩემი გულისთვის ბევრ რამეს დათმობდა. ის არც მალავდა ამას და არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, მოდი, ერთად გავიქცეთ საზღვარგარეთო, რაზეც ვპასუხობდი:

– რას ამბობ, ჩემო გოგონა, მე ქურდი ვარ და აქედან გაქცევა ქურდობაზე უარის თქმა იქნება, მე კი ქურდად უნდა მოვკვდე-მეთქი.

მორიგი ასეთი პასუხის მერე კლარამ სი-



ყვარულით შემომხედა, თავისი მწვანე თვალები და მითხრა:

– დაიმახსოვრე, კობრა, დრო მოვა და ქურდები ისევე მოედებიან მსოფლიოს, როგორც ახლა საბჭოეთს არიან მოდებულები.

მე არ მესიამოვნა კლარას სიტყვები, თუმცა, არ გავუბრაზდი და მშვიდად ვუპასუხე:

– არა მგონია, მაგრამ, ვინც აქედან წავა, ის ქურდი აღარ იქნება.

კლარა არ შემომდავებია, თუმცა, მისი სიტყვები, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, მილიონი პროცენტით გამართლდა: საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი, რომ ქურდების მასობრივი მიგრაცია დაიწყო სხვადასხვა ქვეყანაში. იქ უმეტესმა მათგანმა თავთავიანთი კლანები ჩამოაყალიბა და, მართალია, ქურდის სახელი არ დაუთმიათ, მაგრამ, გამაფიოზდნენ და ისეთ საქმეებში ჩაყვეს ცხვირი, რისი უფლებაც მათ, ჩვენი კანონებით, არ ჰქონდათ.

სიტყვამ მოიტანა და, უნდა ვთქვა, რომ ბევრი რამ, რაც დღევანდელ ქურდულ სამყაროში ხდება, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. არ მინდა, ვინმეს რამე დავაბრალო და კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, მაგრამ, ხაზს ვუსვამ, რომ, არცთუ ისე ცოტა ქურდს ჭეშმარიტი ქურდული სახე დაკარგული აქვს. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა, მათ შორის – ქურდიც, თუმცა, შეცდომაცაა და შეცდომაც... როდესაც ქურდი ბიზნესითაა დაკავებული, პარალელურად კი საკუთარ თავს ქურდს უწოდებს, ეს სხვა არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტებით მოქმედება და პატიოსანი ადამიანებისთვის თვალში ნაცრის შეყრა, რადგან, ქურდი მხოლოდ და მხოლოდ ქურდი უნდა იყოს. ვასია ბრილიანტი და მისი კალიბრის ქურდები ცოცხლები რომ იყვნენ, მრავალ დღევანდელ ეგრეთ წოდებული ქურდს, უბრალოდ, მაგარ სილას შემოჰკრავდნენ, გვირგვინს აჰყრიდნენ და ახლოსაც კი არ გააკარებდნენ იმ საქმეს, რასაც ქურდული ცხოვრება ეწოდება. როგორც ადრე ვთქვი, ვასია ბრილიანტს მილიონიანი ქურდული სალარო ებარა და „ჯიბეზე“ დადიოდა“, რომ შავი პური ეყიდა, „პრიმა“ მოეწია და სამმანეთიანი არაყი დაელია. თავისი ძმებისა და, უბრალოდ, გაჭირვებული, პატიოსანი ადამიანებისთვის კი, რა თქმა უნდა, ჩვენი ძმებისავე თანხმობით, ფულის გაცემა არ ენანებოდა. ახლა კი რა ხდება? ზოგიერთი ჩვენი ძმა მილიონებს ატრიალებს, ხიზილალას კოვზებით მიირთმევს, ოქრო-ბრილიანტებშია ჩასმული, საკუთარი იახტით დადის, გარყვნილ ორგიებს მართავს და, უბრალო გაჭირვებულებზე რომ არაფერი ვთქვა, თავისი ჭლექიანი კოლეგისთვის ასი დოლარის გაგზავნა ენანება, რომ სული მოათქმევინოს და წამებული და ტანჯული ცხოვრება შეუმსუბუქოს რუსეთის რომელიმე ციხესა თუ ზონაში. ჩემი ღრმა რწმენით, უკვე დიდი ხანია, დადგა დრო, რომ დიდი ქურდული სხოდკა ჩატარდეს, სადაც ამ პრობლემებზე ვიმსჯელებთ, მოსათხოვს მოვთხოვთ, დასასჯელს კი დავსჯით. დროა, ბოლო მოეღოს იმ ბესპრეძელს, რომელმაც უკვე კარგა ხანია, ჩვენს რიგებში შემოაღწია და სრულ გადაგვარებას გვიქადის. მაშინ, როდესაც პატიოსან ქურდს სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ პასპორტის აღებაც არ უნდოდა, რადგან უდიდეს გრეხად მიაჩნდა, თუმცა, ეს ჩვენი კანონებით არ იკრძალებოდა, დღესდღეობით ზოგიერთ ქურდს დიპლომატიური პასპორტებითა და სხვადასხვა წონიანი ქსივებით აქვს ამოვსებული ჯიბეები, რათა თავი საიმედოდ დაცულად იგრძნოს.

– ქურდის უსაფრთხოება მისი პატიოსნებაა, – უყვარდა თქმა ვასილი ბაბუშკინს, – პატიოსნება ჩვენი ერთადერთი ბაგაჟია, რომელსაც ვერც ბადრაგი და ვერც „ძაღლი“ ვერ ჩამოგართმევს და, ყოველთვის და ყველგან გაიტან, თუკი ის გაგაჩნია.

ეს სიტყვები ვასია ბრილიანტმა მაშინ თქვა, როცა მის როსტოვულ ხატაში ვესტუმრეთ მე და ბერძენა, სადაც ყბედალოც იმყოფებოდა და სუფრასთან ვისხედით. ყბედალომ კი, რომელიც მხიარულ გუნებაზე იყო და შიგადაშიგ ხუმრობდა კიდეც, ბრილიანტს უთხრა:

– ძია ვასია, ეგ კი გასაგებია, მაგრამ, მე მგონი, კიდევ რაღაც უნდა გვქონდეს.

– რა რაღაც? – ვერ მიხვდა ბრილიანტი, – მითხარი, რას გულისხმობ.

– შენ რომ ამბობ, ერთადერთი პატიოსნებაო... ხომ შეიძლება, რომ ის დაკარგო და, ზაპასში კიდევ რაღაც, თუნდაც მცირედი, ხომ უნდა გქონდეს?

ძია ვასიამ ხუმრობის ყადრიც კარგად იცოდა და არც თავად უჩიოდა იუმორს, თუმცა, მყარი პრინციპები ჰქონდა და ყბედალოს მშვიდად, მაგრამ, ძალიან მშრალად და მკაფიოდ უთხრა:

– პატოიოსნება ერთადერთია, რისი დაკარგვაც არ შეიძლება და მას ვერაფრით შეცვლი. პატიოსნების დაკარგვა თავის დაკარგვაზე უარესია. თავი რომ დაკარგო, მოკვდები და სულ ესაა, ხოლო, პატიოსნება რომ დაკარგო, სულსაც დაკარგავ და სულდაკარგულობა ყველაზე ცუდი რამაა, რაც კი შეიძლება, შეემთხვეს ადამიანს. ფიზიკური სიკვდილი – ფიზიკური სიკვდილია, რომლის მერეც კაცს კეთილი სახელი რჩება; სულიერი სიკვდილი კი შეჩვენება და ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი კი ისედაც არ გვაკლია ქურდებს ამ ცოდვილ მიწაზე და ჩვენს სულს მაინც დავუტოვოთ იმის შანსი, რომ ჯოჯოხეთიდან ამოვიდეს და ზეციურ სასუფეველს შეუერთდეს.

ვასია ბრილიანტს, მთელი მისი უბრალოების მიუხედავად, ზოგჯერ ძალიან ფილოსოფიურად და სიღრმისეულად შეეძლო ამა თუ იმ საკითხის ახსნა და ამაში ბადალი არ ჰყავდა. სხვა საქმე იყო, გაუგებდნენ თუ არა მას თანამოსაუბრენი, თუმცა, შეპასუხებას ვერავინ ახერხებდა და ბრილიანტი ყოველთვის გამა-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ც | ი | ხ | ე | | ვ | ე | ზ | უ | ვ | ი | | | | | |
| | ო | | ლ | | | რ | | ი | | ქ | | | | | |
| ა | ბ | ა | დ | | გ | ა | რ | ს | ი | ა | | | | | |
| ლ | ი | | ა | | | ყ | | უ | კ | უ | | | | | |
| თ | | ძ | | ი | ნ | ი | კ | ი | ა | რ | | | | | |
| ა | თ | ნ | ე | ლ | ე | | ა | კ | რ | ი | | მ | | ნ | |
| ი | რ | ე | ტ | ო | პ | | რ | | | | კ | ე | ნ | ი | ა |
| | ო | ლ | ა | რ | ი | | უ | რ | ო | ლ | ო | გ | ი | ა | |
| რ | ბ | ი | ლ | ი | | ი | ზ | ო | ნ | ი | კ | რ | ა | ს | |
| ე | ა | | ო | | ა | | ო | მ | ი | | ო | ე | მ | ა | ღ |
| მ | | ი | ნ | ა | რ | უ | | ი | | ი | ბ | | ო | | |
| ა | ი | ნ | ი | ს | ი | ბ | ა | | ი | ნ | ი | მ | რ | ე | ტ |
| რ | ქ | ა | | | | ა | რ | ა | კ | ი | | | ი | ა | რ |
| კ | | ნ | ა | ს | ა | კ | ი | რ | ა | ლ | ი | | | დ | ა |
| ი | ნ | ა | კ | ე | დ | | ტ | ა | რ | ო | | მ | | | ქ |
| | ო | | რ | | ი | ლ | ა | მ | ო | ს | | ი | კ | ი | ტ |
| მ | ტ | რ | ო | ბ | ა | | ს | ა | ს | უ | ს | ნ | ა | ვ | ი |
| ა | ი | ა | ბ | | | ი | | ლ | ი | მ | პ | ო | პ | ო | |
| რ | | ვ | ა | ნ | ი | ლ | ი | | | | ი | რ | ა | შ | |
| ა | ნ | ა | ტ | ო | ლ | ი | | ა | რ | ფ | ნ | ი | | | კ |
| დ | | | ი | ნ | ა | ვ | ე | რ | ე | | ო | | ც | დ | ა |
| ო | კ | ა | | ე | ძ | რ | | ი | ვ | ა | ზ | ა | ხ | ა | ს |
| ნ | | | ი | ტ | რ | უ | გ | ო | ი | | ა | ვ | რ | | რ |
| ა | რ | ი | ფ | ი | | ს | | მ | უ | ნ | | შ | ა | ჰ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 6 | 4 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 |
| 1 | 4 | 9 | 8 | 5 | 2 | 7 | 3 | 6 |
| 7 | 2 | 8 | 9 | 3 | 6 | 1 | 5 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 3 | 4 | 9 | 8 | 1 | 2 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 | 9 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 7 | 8 | 3 | 6 | 5 |
| 8 | 3 | 2 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 3 | 5 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 5 | 7 | 8 | 4 | 9 | 2 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 9 | 7 | 1 | 6 | 4 | 2 | 5 |
| 1 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 4 | 5 | 6 | 2 | 8 | 3 | 9 | 7 | 1 |
| 2 | 8 | 1 | 4 | 5 | 9 | 6 | 3 | 7 |
| 3 | 6 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 4 | 9 |
| 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 7 | 8 | 1 | 2 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 7 | 1 | 3 | 9 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 |
| 9 | 2 | 8 | 1 | 4 | 5 | 7 | 6 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. სენატი (senax – მოხუცი). 2. სალაპარაკო ენა. 3. მასონთა – თავისუფალ ქვისმთლელთა – ენაზე. 4. ბანკნოტზე ავტოგრაფი წააწერა და უკან დაუბრუნა. 5. როდესაც არაქრისტიანს აჯილდოებდნენ. 6. საუკეთესო კურსდამთავრებულებს უფლება ეძლეოდათ, თავად აერჩიათ ფლოტი, სადაც იმსახურებდნენ. 7. წერდა პატარა მუსიკალურ ნაწარმოებებს საათებისთვის. 8. ელექტრონულ სკამზე პირველივე ცდისას არ გარდაიცვალნენ. 9. სილამაზე. 10. ნაყინის ბურთულა დედამიწას გამოსახავს.**

რჯევებული რჩებოდა ნებისმიერ დიალოგში. დარწმუნებული ვარ, ძია ვასიას რომ სხვა პროფესია აერჩია, ის იქაც მწვერვალებს მიაღწევდა და მისი მრავალმხრივი ნიჭის ფართომასშტაბიანი რეალიზაცია მოხდებოდა. ის კი ჯიბგირი გახდა. მართალია, ქურდული სამყაროს უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო, მაგრამ, მისი ნიჭი და გაქანება ბევრად დიდ მასშტაბებს იმსახურებდა.

ვასია ბრილიანტს თავისი ბავშვობის გახსენება მაინცდამაინც არ უყვარდა. ეს მე კარგად ვიცოდი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაინტერესებდა, ზედმეტი შეკითხვებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. ერთხელ კი, როდესაც მასთან პირისპირ დავრჩი, გავულიმე და ვუთხარი:

– ძია ვასია, შენნაირი განათლებული და ნიჭიერი ადამიანი არც ისე ბევრი მინახავს – მათ ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც მეყოფა. ამიტომ, ერთი რამ უნდა გკითხო და ნუ მიწყენ.

– აბა, თქვი, – სმენად იქცა ბრილიანტი.

– ძია ვასია, ჯიბგირობის გზას როგორ დაადექი?

– ანუ, შენ გაინტერესებს, პროფესორი რატომ არ გამოვედი?

– თუნდაც.

ძია ვასიამ ჭიქაში არაყი ჩამოასხა, ასწია, მომიჭახუნა და, სანამ გადაკრავდა, თქვა:

– ამ ჭიქით ჩვენს ბავშვობას გაუმარჯოს!

– გაუმარჯოს! – ვთქვი მეც და დავლიე.

– როგორც ეგზიუპერი ამბობს: „ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“, მათ შორის – მეც და, არ ვიცი, პროფესორი გავხდებოდი, ინჟინერი, მეცნიერი თუ სპორტის ოსტატი, მაგრამ, ჩემს ჯიბგირობას ჩემს ადრეულ ბავშვობაში ჩაეყარა საფუძველი და, არა იმიტომ, რომ ჯიბის ქურდობა მიზიდავდა ან ვინმემ დამაძალა, არამედ, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა.

– თუ გინდა, ნუ მეტყვი, – ვუთხარი ძია ვასიას, რადგან შევატყვე, რომ მისი ბავშვობის მოგონებამ მას რაღაც დიდი ტკივილი გაახსენა, მან კი სევდიანი ღიმილით მითხრა:

– რადგან დავიწყე, ბარემ ბოლომდე გეტყვი. მომისმინე და არ შემაწყვეტინო, – ბრილიანტმა „პრიმას“ მოუკიდა და განაგრძო, – ათი წლის ვიყავი, როდესაც ჩემი უმცროსი და, ვარვარა, ციებით გახდა ავად. ექიმმა მას ქინაქინა გამოუწერა. წამალი არ იშოვებოდა და მხოლოდ სპეკულანტებში უნდა გეყიდა. ისინი კი სისხლის ფასს ადებდნენ. მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა. დედაჩემი ლუკმაპურის ფულს ძლივს შოულობდა და, დამხმარე კი არა, კეთილი სიტყვის მთქმელიც არავინ გვყავდა, რომ ვენუგეშებინეთ მაინც. დედაჩემი ფულზე დარბოდა, მაგრამ, ვერ იშოვა. ვარვარას ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა და ჩემ თვალწინ ღაფავდა სულს. მაშინ მე ერთ სპეკულანტთან მივედი და დაჩოქილმა ვთხოვე, რომ წამალი ნისიად მოეცა და, შევპირდი, აუცილებლად გადავუხდიდი.

– ასი ოქროც ხომ არ გაჩუქო? – ირონიულად მითხრა იმ ბარიგამ. მე ბავშვი ვიყავი და მიამიტურად მივუგე:

– არა, ძია, ასი ოქრო არ მინდა, მხოლოდ ქინაქინა გამატანე და ფულს აუცილებლად გადაგიხდი.

იმ ნაძირალამ კი კოპები შეკრა და მითხრა:

– ასი მანეთი მომიტანე და წაიღე. ახლა კი აქედან დამეკარგე, თორემ, ცხვირ-პირს ამოგინაყავო.

მე იქაურობას გავეცალე და ხან ვისთან მივედი დახმარების სათხოვნელად, ხან – ვისთან, მაგრამ, ყველამ უარით გამომისტუმრა. სამდღიანი უნაყოფო ხეტიალის მერე, როდესაც ვარვარას მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, გადავწყვიტე, ფული მომეპარა და, მართლაც, ტრამვაიში ერთ კაცს ჯიბიდან საფულე ამოვუღე. მან შემამჩნია და აყვირდა, თუმცა, მე გაქცევა მოვასწარი – ტრამვაიდან გადავხტი და მოვკურცხლე. მოფარებულ ადგილზე რომ მივედი, საფულე გავხსენი და იქიდან ექვსასი მანეთი ამოვიღე. ხუთასი შევინახე, სასწრაფოდ ბარიგასთან მივედი, ასი მანეთი ჩავუთვალე და ქინაქინა გამოვართვი, თუმცა, სახლში რომ მივედი, ჩემი ორი წლის ვარვარა გარდაცვლილი დამხვდა. მეორე დღეს დედაჩემმაც დალია სული და სულ მარტო დავრჩი. ჩემები, როგორც უპატრონოები, ისე უნდოდათ ჩაეყარათ მიწაში, მაგრამ, მე გადანახული ხუთასი მანეთი გადავუხადე და წესიერად დავამარხვინე. შემდეგ ქუჩის ბიჭებს შევეკედლე და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა სწავლა-განათლების მიღება, ქურდობას მივყავი ხელი.

– მაპატიე, ძია ვასია, რომ მძიმე წარსული გაგახსენე და გული გაგიბზარე, – ვუთხარი ბრილიანტს, მან კი მიპასუხა:

– ეჰ, ჩემო ძმაო, გული დიდი ხანია, გაბზარული მაქვს, მაგრამ, ჯერ ბოლომდე არ მომიყოლია და მომისმინე.

– ბოდიში, ძია ვასია.

– ჰოდა, ორი თვე იყო გასული ჩემების გარდაცვალებიდან, როდესაც დავფიქრდი და დავასკვენი, რომ ჩემი უბედურების მთავარი მიზეზი ის ბარიგა იყო, ვინც წამალი არ მომცა. ამიტომ, მისი მოკვლა გადავწყვიტე. ერთ მშვენიერ დღეს, ერთ საყასბოსთან უზარმაზარი ყამა მოვიპარე და ბარიგას სახლისკენ გავემართე. ჩავუსაფრდი და, საღამოს, სახლში რომ ბრუნდებოდა, მის შესახვევთან კიბეებზე დავუშვი, ყამა ვიშიშვლე და მთელი ძალით ვაძგერე მკერდში.

– დაბრიდე ის ბოზი? – წამოვიყვირე მე, ბრილიანტმა კი თავი გააქნია:

– არა, გადარჩა. თუმცა, დაინვალიდდა და, როგორც მერე შევიტყვე, ორი წლის შემდეგ საშინელ წამებაში ამოხდა სული. მაშინ ათი წლის ვიყავი. მართალია, კაცის მკვლელი არ გავხდი, მაგრამ, ჯიბგირობაზე ხელი არ ამიღია და ასე მოვდივარ დღემდე.

ვასია ბრილიანტის ისტორიამ სულით ხორცამდე შემძრა და იმ



ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. დილამდე გონებაში ვატრიალებდი მის მონაყოლს და თვალწინ მედგა ის საზარელი კადრი, თუ როგორ უპობს მკერდს ათი წლის ბავშვი საზიზღარ ბარიგას უზარმაზარი ყამით... ბრილიანტის ბავშვობის ეს საშინელი ეპიზოდი, ჩემი აზრით, თავისი დრამატიზმით შექსპირის არც ერთ ტრაგედიას არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება და, იმ დღიდან ძია ვასიას მიმართ პატივისცემა გამიასკეცდა. ბევრი ადამიანი, ბრილიანტის ადგილას, უკიდურესად გაბოროტდებოდა და ცხოვრებისეულ მიზნად ადამიანებზე შურისძიებას დაისახავდა, იარაღად კი სისასტიკესა და დესპოტიზმს აირჩევდა. ძია ვასიამ კი, მართალია, კრიმინალის, მაგრამ, სულ სხვა გზაზე დადგომა ისურვა და მას არასდროს ამოძრავებდა სიძულვილი და სისასტიკე, პრიორიტეტს ყოველთვის პატიოსნებას ანიჭებდა და, მზად იყო, გაჭირვებულისთვის ხელი გაეწოდებინა. ამ ყველაფერს კი ის ხალასი გულითა და გენიალური უბრალოებით ახორციელებდა, სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა და, სჯეროდა, რომ სიკეთე აუცილებლად გამოიღებდა კეთილ ნაყოფს.

არ მინდა, ჩემი სიტყვები ისე იყოს გაგებული, რომ ძია ვასია მეორე ლოყას შეუშვერდა, თუკი მას სილას გააწნავდნენ – ასე ნამდვილად არ იყო, მაგრამ, არ დადიოდა ამქვეყნად ადამიანი, რომელიც სილის გასაწნავად აღმართავდა მასზე ხელს და, ვინც ამას განიზრახავდა, სასტიკადაც დაისჯებოდა.

ასევე, გასაოცარი ისტორიაა ვასია ბრილიანტის ქურდად კურთხევის ისტორიაც, რომელიც უკვე ნეპმანელი თაობის ქურდებისგან პირადად მსმენოდა და ის მთელმა ქურდულმა სამყარომ ზეპირად იცოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი „მენტალვიტა“ მყუდრო და მშვიდ გარემოში გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ, პიროვნებაზე ორიენტირებულ ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

**თბილისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №39. ტელეფონი: 229 35 25.**



გოჩა მანველიძე

# სერიული მანიაკები

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-48(674)**

ამირან ფოფხაძე თმაშეჭაღარავებული, ბრგე აღნაგობის, ტანმაღალი მამაკაცი იყო. ის პოლიციის ქვეგანყოფილებიდან ხუთასიოდე მეტრის მოშორებით ცხოვრობდა.

მასპინძელი სახლის წინ, მცირე ზომის ბაღში დახვდათ ოთარსა და გიორგის. ოთარი მეგობრულად გადაკოცნა, გიორგის გაეცნო. შემდეგ ფანჩატურში მიიპატიჟა სტუმრები და აივანზე გადმომდგარ მეუღლეს გასძახა:

– აბა, შენი იცი ახლა, დიასახლისო. სტუმრებთან არ შემარცხვინო!..

– არა... არა... – შეეწინააღმდეგა გიორგი, – მაგისთვის არ გვცალია. საქმეზე ვართ მოსული. მაგრამ მასპინძელს ყურადღება არ მიუქცევია მისი სიტყვებისთვის. ოთარი და გიორგი ძალით შეიყვანა ფანჩატურში, მაგიდასთან დასვა და თავადაც მათ პირისპირ ჩამოჯდა.

გიორგიმ შეფარული ჟესტით ანიშნა ოთარს: რამე მოიფიქრე და დროზე წავიდეთო.

– აბა... ეგეთები არ იყოს! – ამირანმა წყენით შეწკიპა წარბები.

– მართლა არ გვცალია. სერიოზული საქმე გვაქვს შენთან, – ჩაურთო ოთარმა.

– მაგ საქმეებმა თავი რომ მომაბეზრეს, იმიტომაც გავედი პენსიაზე!.. ჰო კარგი, – სწრაფად დაამატა ამირანმა, როგორც კი გიორგის წყენა შეატყო, – რა შეგემთხვათ?.. მხოლოდ ერთი პირობით. ოჯახის დაულოცავად აქედან მაინც არ გაგიშვებთ. შევთანხმდით?

– მოსულა, – ულონოდ ამოიოხრა გიორგიმ.

– მაშინ ყურადღებით გისმენთ, – თქვა ამირანმა.

– საქმე ზღვაზე მომხდარ გაუპატიურებას ეხება... – წამოიწყო ოთარმა.

– ვიცი... ვიცი. მურტალი საქმეა, – თავი დაუქნია ამირანმა, – მე რით შემიძლია შენი დახმარება?

– დანარჩენს ჩემი მეგობარი აგიხსნის, – უპასუხა ოთარმა და გიოს ანიშნა, მიდიო.

ამირანი ყურადღებით ისმენდა ნაამბობს, დროდადრო თავადაც სვამდა კითხვებს. ბოლოს უკმაყოფილად გაიქნია თავი და თქვა:

– არა. ასე არაფერი გამოვა. ძალიან მწირი მონაცემებია. ჯინსები, მაისურები, ბოტასები... მთელი თბილისი ასეა ჩაცმული. დანის ტარებაც ნებისმიერ იდიოტს შეუძლია. ერთადერთი თვალში საცემი ნიშანი ხალია, მაგრამ ადგილობრივებში ასეთი არავინ მეგულება.

– ესე იგი, ვერაფრით დაგვეხმარები, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ოთარმა.

– ძველი დრო აღარ არის. ხალხი ერთ ადგილზე აღარ ცხოვრობს. უბანში უამრავი ბინაა გაქირავებული. ზოგიერთ სახლში რამდენიმე ოჯახიც კი ცხოვრობს. ამ ორომტრიალში ყველაფრის გაკონტროლება შეუძლებელია. როგორ უნდა მიადევნო თვალი პიროვნებას, რომელიც სამი თვის განმავლობაში ფონიჭალაში ცხოვრობს, შემდეგ სამი თვით ავლაბარში ქირაობს ბინას და კიდევ სამი თვის შემდეგ ვაშლიჯვარში ამოყოფს თავს. თანაც, ამ დროს ის ოფიციალურად ზესტაფონშია რეგისტრირებული. სხვებზე ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ, ის ხალიანი ტიპი დანითა და პლანით რომ არ დაძრწოდეს ქუჩა-ქუჩა და მთელ თავის დროს კონსერვატორიაში ატარებდეს, მაინც მეცოდინებოდა. ერთი რამ უეჭველია. ისინი ან ამუბნელები არ არიან, ან კიდევ არსად არიან რეგისტრირებულები, – უპასუხა ამირანმა, – იმის დიდი ალბათობაც არის, რომ იმ საქმის შემდეგ, საერთოდ მოშორდნენ აქაურობა და სხვაგან დაიდეს ბინა.

– ცუდია. სხვა გზის გამონახვა მოგვიწევს, – თქვა ოთარმა და ადგილიდან წამოიწია.

– რას აკეთებ?! – გაუკვირდა ამირანს, – გადაგდებას მიპირებ?

– გვაპატიე, მაგრამ ქეიფს შესაბამისი ხასიათი სჭირდება. ახლა მაგაზე ფიქრიც კი არ შემიძლია

– დაჯექი... დაჯექი... მე ვთქვი, რომ პირადად არ ვიცნობ ასეთ ტიპს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვასაც არ ეცოდენიბა რამე მის შესახებ!

– ინფორმატორებს გულისხმობ? – ჰკითხა ოთარმა.

– როდის ისწავლი მუშაობას. ინფორმატორი ყოველთვის სანდო არ არის. თანაც, როგორც წესი, მათ ყველაფერი არ იციან. მე უფრო მარტივ და ეფექტურ მეთოდს გასწავლით. ინფორმაციის მისაღებად ყოველთვის მიაკითხეთ უბნის მაღაზიებს, საპარიკმახეროებსა და ტაქსის მძღოლებს. ისინი ყველას იცნობენ, – ურჩია ამირანმა.



– გავითვალისწინებთ, – თავი დაუქნია ოთარმა.

– არა. ამჯერად არაფერი გამოგივათ. შენ ქვეგანყოფილების უფროსი ხარ. გიორგის არავინ იცნობს ამ უბანში. ადამიანები კი, როგორც წესი, თავს იკავებენ სხვის საქმეში ჩარევისგან. ამ საქმეში მე დაგეხმარებით.

– მაშინ ნულარ გადავდებთ. რამდენი მაღაზია და საპარიკმახერო იქნება უბანში? – გამოცოცხლდა ოთარი.

– არც ისე ბევრი, მაგრამ... – ამირანმა აივანზე გაწყობილ სუფრაზე მიანიშნა ოთარს.

– მოდი, ჯერ საქმეს მივხედოთ, – შესთავაზა მან.

– კარგი. გულს არ დაგწყვეტთ. თანაც, ლამაზი არ იქნება, პოლიციის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელმა ნასვამმა რომ დაიწყოს მაღაზიებსა და საპარიკმახეროებში ბოდიალი, – ჩაიცინა ამირანმა და წასასვლელად ადგა.

პირველი მაღაზია, რომელშიც ამირანმა სტუმრები მიიყვანა, ლოტკინის სანერგე მეურნეობაში მდებარეობდა. ეს იყო მცირე ზომის შენობა, ვიწრო დახლმაცივრებითა და სურსათ-სანოვაგით გადატვირთული თაროებით. დახლს მიღმა ორმოცდაათიოდე წლის ქალი იდგა.

– გამარჯობა, როგორ ბრძანდებით? – ქალი ღიმილით მიესალმა მაღაზიაში შესულ ამირანს.

– რიგითი პენსიონერივით, – უპასუხა მან.

– ჰო, გავიგე, რომ სამსახურს თავი გაანებეთ. რატომ აჩქარდით?

– დავბერდი, ჩემო ნანა. აღარ შემიძლია. კრიმინალების დევნას, მირჩევნია, შვილიშვილებთან გავატარო დრო.

– მართალია, ეგ ჯობია, – დაეთანხმა ქალი, – რა მოგართვათ?

– შენი დახმარება მჭირდება. ქვემო უბანში ლამარას მაღაზია ხომ იცი?

– რა თქმა უნდა, – თავი დაუქნია ქალმა.

– ლამარა ჩემი ახლობელია. ერთ ბიჭს მისი ვალი აქვს, მაგრამ იმალება. ლამარამ ვერაფრით მოძებნა და მე მთხოვა დახმარება, – თქვა ამირანმა, – ხომ არ დამეხმარები მის მოძებნაში?

– ვინაა ის ბიჭი. რა ჰქვია? – დაინტერესდა ქალი.

– სახელი და მისამართი, რომ ვიცოდე, მე თვითონ მოვძებნიდი, – გაიცინა ამირანმა, – ლამარასაც არ ახსოვს რა ჰქვია. მხოლოდ ის იცის, რომ სადღაც აქ ცხოვრობს.

– აბა, რა გითხრათ, ბატონო ამირან. ამ უბანში ბევრია ნისიის მოყვარული. რა ვიცი, თქვენ რომელს ეძებთ?

ამირანი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უთხრა:

– ჰო, გამახსენდა. ლამარამ მითხრა, რომ იმ ბიჭს მარჯვენა ყვირიმალზე მოზრდილი ხალი აქვს.

– აა... ეს ლერი უნდა იყოს. ჩემთანაც ხშირად შემოდის, მაგრამ ნისიად არაფერს ვაძლევ. კარგად ვიცნობ ასეთ ლაწირაკებს. ნისიად წაღებენ საქონელს და შემდეგ უგზოუკვლოდ იკარგებიან. – უპასუხა ქალმა.

– ლერი?.. ვინაა? ადრე არასოდეს შევხვედრივარ. ჩვენი უბნელია?

– არა. მგონი, გალიდან უნდა იყოს. ჭიჭინაძე ხომ იცით?

– რა თქმა უნდა, – თავი დაუქნია ამირანმა.

– მისი შვილი უცხოეთში გაემგზავრა. ჭიჭინაძე კი საცხოვრებლად ბაღში მდებარე პატარა სახლში გადაბარგდა და ბინა გააქირავა. ის ბიჭი იქ ცხოვრობს.

– ბოლო ხანებში ხომ არ მოგიკრავს თვალი?

– ადრე სულ ტრიალებდა თავის ამხანაგებთან ერთად. მაგრამ, რამდენიმე დღეა, რაც

არ გამოჩენილა.

– მისი ამხანაგები ჩვენი უბნელები არიან? – ჰკითხა ამირანმა.

– არა, – თავი გაიქნია ქალმა, – უსიამოვნო ტიპია. რამდენიმე დღით გადმოსახლებული იყო აქ, როდესაც ჩვენს ბიჭებთან შეხვლა-შემოხლა მოუვიდა. მერე დაიწყო საქმეების გარჩევები, ვილაცების აყვან-ჩამოყვანები. საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩვენმა უბნელებმა ცხირ-პირი ამოუნაყეს ლერის. მას შემდეგ აქაურებს ახლო არ ეკარება და ისინიც აღარ აწუხებენ. სადაურები არიან მისი ამხანაგები, არ ვიცი. მაგრამ, მგონია, რომ ისინიც გალიდან უნდა იყვნენ.

– აქ ვისთან ერთად ცხოვრობს?

– ქიჟინაძეს ბინა მისი ძმის ოჯახმა იქირავა. ის წესიერი ახალგაზრდაა. მუშაობს. ჰყავს ცოლი და ორი შვილი. ლერი კი დროდადრო რჩება მათთან.

– კარგი, ქალბატონო ნანა. მადლობას გიხდი დახმარებისთვის, – უპასუხა ამირანმა და გიორგისა და ოთარს ანიშნა, წავედითო.

ლერი წულაიას უფროსი ძმა, მალხაზი ხუთსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე მდებარე ბინაში ცხოვრობდა. საბედნიეროდ, ოჯახი ბინაში აღმოჩნდა. კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო.

– გამარჯობა, – მიესალმა ამირანი, – ლერი აქ ცხოვრობს?

ქალმა ყურადღებით შეათვალიერა ამირანი და მისი თანამგზავრები, შემდეგ შებრუნდა და მეუღლეს დაუძახა.

– მალხაზ, მოდი აქ. შენს ძმას კითხულობენ!

ბინის სიღრმიდან ოცდათორმეტი-ოცდაცამეტი წლის, ტანმაღალი მამაკაცი გამოჩნდა. ის ამირანის პირისპირ შედგა და ჰკითხა:

– რა გნებავთ?

– ლერის ნახვა მინდა.

– აქ არ არის, – მოკლედ მოჭრა მამაკაცმა.

– ვიცი. სად შეიძლება მისი ნახვა?

– რისთვის ეძებთ ჩემს ძმას?

– მაღაზიის ვალი აქვს. როდემდე უნდა დაიმალოს?

– მე უკვე გავაფრთხილე ახლო-მახლო მდებარე მაღაზიების გამყიდველები, რომ ლერის ნისიად არაფერი მისცენ და თუ მისცემენ, თავად მოაგვარონ ეს საკითხი. მე დავიღალე მისი ვალების გასტუმრებით!

– მე ვალის გასტუმრებას არ გთხოვთ. უბრალოდ, მითხარით სად არის?

– არ ვიცი. რაც გალიდან თბილისში გადმოსახლადა, ველარ ვცნობ. ჩემთან ცხოვრება აღარ მოინდომა. ახალი მეგობრები გაიჩინა და მთელ დროს მათთან ერთად ატარებს, – უპასუხა მალხაზმა.

– ესე იგი არ იცით, სად არის ამჟამად? – ჰკითხა ამირანმა.

– წარმოდგენა არა მაქვს. ისინი ხშირად იცვლიან საცხოვრებელს. თუ გინდათ, ტელეფონით დავურეკავ, – შესთავაზა მალხაზმა.

– დაურეკე დაეთანხმა, – ამირანი.

მალხაზმა მობილური ტელეფონი ამოიღო და სწრაფად აკრიფა ნომერი. ორიოდ ზუმერის შემდეგ, ყურმილში ჩახლეჩილი ხმა გაისმა.

– გისმენ, მალხაზ.

– სად დაიკარგე? ერთხელ არ უნდა დარეკო ამდენი ხნის განმავლობაში? – უკმაყოფილოდ თქვა მალხაზმა.

– დაკავებული ვიყავი, რამე ხომ არ მოხდა? ბავშვები როგორ არიან?

– კარგად... აქ ვილაცეებმა მოგაკითხეს.

– ვინ?

– ამბობენ, რომ მაღაზიის ვალი გაქვს. რამდენჯერ გაგაფრთხილე, ასე ნუ იქცევი-მეთქი. შენი გადამკიდე, უბანში ველარ გამივლია. ყველა ფულის დაბრუნებას მთხოვს!

– ნუ პანიკობ რა. რა ამბავი ამიტეხე ორმოცი ლარის გულისთვის?! – ბრაზით წამოიძახა ლერიმ.

– მე მაგ ორმოცი ლარისთვის ორი დღე უნდა ვიმუშავო!

– მიეცი მაგათ ტელეფონი!

მალხაზმა მობილური ამირანს გაუწოდა და უთხრა: შენთან სურს ლაპარაკიო.

– ვინ ხარ, ძმაო, რატომ აწუხებ ოჯახს?! რომ ვთქვი გადავიხდი, ესე იგი გადავიხდი! – ტყვიამფრქვევივით მიაყარა ლერიმ.

– როდის?

– როცა მექნება!

– მექნება გრამაფონშია. შენ ჩემი მაღაზია ჰუმანიტარული ორგანიზაცია ხომ არ გგონია.

– ზედმეტს ნუ ბაზრობ, ბიჭო. მანდ არ გამომიყვანო! – მუქარით წამოისროლა ლერიმ

– მითხარი, სად ხარ და მე თვითონ მოგაკითხავ! – უპასუხა ამირანმა.

– მანქანით ხარ?

– ჰო...

– ნახევარ საათში ელდეპოს სახინკლესთან გელოდები. იცოდე, თუ არ მოხვედი, მე ამოვალ ლოტკინზე და შენივე უბანში გაგიასნებ, ვინ ვინ არის! – მუქარით დაასრულა ლერიმ და მობილური გათიშა.

* * *

აბულაძის მდგომარეობის გასარკვევად, საავადმყოფოში მისული მირიანი და ანა უცნაურ სანახაობას გადააწყდნენ. დერეფანში ათამდე ადამიანს მოეყარა თავი. ისინი ჩხუბითა და ლანძღვა-გინებით ცდილობდნენ განყოფილებაში შეღწევას. პოლიციის ორი თანამშრომელი და დაცვის სამსახურის წევრი კი ამის საშუალებას არ აძლევდნენ. მაგრამ ისინი მაინც ვერ ახერხებდნენ აღელვებული ადამიანების დაშოშმინებას. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი ახალგაზრდა. ის ორივე ხელით ჩააფრინდა სახელურს და გაშმაგებული ცდილობდა კარის გაღებას.

– რა ხდება აქ? – ლიფტიდან გამოსვლისთანავე იკითხა მირიანმა.

უცხო მამაკაცის გამოჩენამ ოდნავ დაამშვიდა განყოფილების წინ შეგროვილი ადამიანები. ახალგაზრდამ სახელურს ხელი გაუშვა, შემობრუნდა და მირიანს უპასუხა:

– პაციენტის მოსანახულებლად არ გვიშვებენ. ასე გვეუბნებიან: გამომძიებლის ნებართვის გარეშე, ზურას არავის შევახვედრებთო!

– აბულაძეს გულისხმობთ? – ჰკითხა მირიანმა.



– დიახ. ზურა ჩემი ძმაა.

– ეს განკარგულება მე გავეცი და კიდევ გაგიმეორებთ. თქვენი ძმა დაკავებულია და ძიების პროცესში მას ვერ შეხვდებით!

– რას ჰქვია, ვერ შეხვდებით?! რა ბესპრედელია! – უმალ იფეთქა ახალგაზრდამ, – ბიჭმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა და თქვენ დედ-მამას მისი მონახულების უფლებას არ აძლევთ?!

– დამშვიდდით, – განაგრძო მირიანმა, – ყვირილითა და ხმაურით ვერაფერს შეცვლით. მესმის თქვენი, მაგრამ იგივეს თუ განაგრძობთ, ბრძანებას გავცემ, იძულებით გაგიყვანონ აქედან!

– ეს სად ვართ?! – გაოცებულმა განაგრძო ახალგაზრდამ, – უკვე ავარიის გამოც აპატიმრებთ ხალხს?!

– თქვენი ძმა სხვა დანაშაულშია ეჭვმიტანილი. ავარია მაშინ შეემთხვა, როცა ჩვენ გაგვირბოდა.

– სხვა დანაშაულში?! – დაიბნა ახალგაზრდა, – რა დანაშაულში?! ის ხომ მეორე კურსის სტუდენტია!

– არასრულწლოვნის ჯგუფურ გაუპატიურებაში!

– არა!.. – დაიბნა ახალგაზრდა, – ეს შეუძლებელია!

– სამწუხაროდ, ასეა. ახლა კი გთხოვთ, შეწყვიტოთ ხმაური. უკეთესი იქნება, თუ საერთოდ წახვალთ აქედან. პაციენტთან შეხვედრის უფლებას მაინც არ მოგცემთ. და კიდევ ერთი, ახლავე იზრუნეთ ადვოკატის დაქირავებისთვის. თქვენს ძმას მისი დახმარება ნამდვილად დასჭირდება! – თქვა მირიანმა და ანასთან ერთად შევიდა ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**იყო დემეტრე სხირტლაძის სასცენო პარტნიორი – არც ისე იოლი საქმეა. გადაცემის, შოუს თუ მეგაპროექტების წაყვანის მისეული სტილი აბსოლუტურად თავისუფალია ჩარჩოებისგან, მაგრამ ყოველ ხუთშაბათს ეკრანზე სულ სხვა სურათს, როგორც „ტელევიზიონშჩიკები“ ამბობენ, „კარტინკას“ ვხედავთ. ნანკა კალატოზიშვილი და დუტა ჰარმონიულად არიან ერთმანეთთან შეთამაშებული და, მიუხედავად იმ უამრავი ტექნიკური პრობლემისა, რომლებზეც ქვემოთ საუბრობენ, შოუს ყურება მხოლოდ მათ გამოც კი ღირს. (ფოტოები მოგვაწოდა გიორგი ცაავამ).**

# იცეკვებენ თუ არა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ნანკა კალატოზიშვილი და დემეტრე სხირტლაძე

**– დუტა, მინდა საუბარი დავიწყოთ შენი ახალი ფილმის – „გივის“ პრემიერით, რომელიც ახლა გადის კინოთეატრებში.**

**დუტა**: წადით, „გივი“ ნახეთ, „რუსთაველში“ და „ამირანში“ გადის, ძალიან სასაცილო ფილმია და ბევრს იცინებთ. „გივი“ არის ფრანგული ფილმის – „ოსკარის“ მოტივებზე და თამაშობს სრულიად ერი. ნანკაც გვინდოდა, მაგრამ, არ ეცალა, უფრო სწორად, ორსულად იყო, დიდი მუცლით. კი გვინდოდა, ფილმში ორსული რომ ყოფილიყო, მაგრამ, მერე ვითომ იტყუება და, აი, ეს უკვე აღარ გამოვიდოდა.

**ნანკა**: თეატრში სპექტაკლი გვაქვს ნათამაშები „ოსკარის“ მოტივებზე და ძალიან სასაცილო იყო. დარწმუნებული ვარ, ფილმიც ძალიან მაგარი იქნება, რადგან, ქართული სიტუაციები კიდევ უფრო სასაცილოა, ვიდრე ფრანგული. ქართული მენტალიტეტია სხვანაირი.

**დუტა**: ერთადერთი, დედაა ფილმში პროგრესული, იმიტომ რომ, ურჩევნია, შვილს ერთი ჰყავდეს, ვიდრე ათასი ***(იცინიან).*** მერე ნაცნობი მამაოც ჰყავს, ბიჭიც მრევლშია და...



**ნანკა**: ყველაფერს ნუ მოვყვებით, ძალიან სასაცილო ფილმია, მიდით და ნახეთ.

**დუტა**: მთავარ როლს თამაშობს ზუკა პაპუაშვილი, არაჩვეულებრივად. „დოლჩიედ“ ცნობილი გიორგი კალანდარიშვილიც ასევე, ძალიან მაგრად თამაშობს. რუსკა და ნინუცა მაყაშვილები, ნუკი, ნატო ებანოიძე. ნუკი რა მაგარია ხედავ?! როგორც ნანკა უნდა თქვა ერთი, ისე ნუკიც და გასაგებია, ვისზეც ლაპარაკობ.

**– დუტა და თანაწამყვანი უცხო ხილია როგორც შენთვის, ისე მაყურებლისთვის, ყოველთვის მარტო იყავი...**

– აბა! მჩაგრავენ, არაფრის თქმას არ მაცდიან.

**ნანკა**: არა, შენ თავს ვფიცავარ, მეგონა, ტექსტი დაგავიწყდა.

**დუტა**: არა, არ იყო ჯერ მაგის გამოცხადების დრო, თანმიმდევრობაში ასე ვიყავით, უბრალოდ, ვილადავე, თავი შევაცოდე მაყურებელს ***(იცინიან).*** მაგ დღეს აცეტებული ვიყავი. ჩემი ფილმის პრემიერა ჩაიშალა – კომპიუტერს ქულერი დაეწვა, ყველაფერი აფეთქდა. ფილმი შევინარჩუნეთ, მაგრამ, პრემიერა არ შედგა და თავს ვირთობდით.

**– გაცილებით სერიოზულები ხართ, ვიდრე მაყურებელი მოელოდა.**

– მოიცა, ის სიტყვა უნდა გავიხსენო... აქაურობა ხომ გლამურულია ***(იცინიან).*** ჰოდა, გლამურს ცანცარი არ უხდება. დღეს, მართალია, წვერით ვიქნები, მაგრამ, მაინც ვეცდები, „გლამურნად“ გამოვიყურებოდე.

**ნანკა**: ეკლექტურები ვართ, მაგრამ, აცეტების მომენტები გვაქვს ხოლმე, ყოველთვის ვერ ვიკავებთ თავს. პირველი, რის გამოც ამ შოუს წამყვანობა გამიხარდა, დუტასთან ერთად რომ უნდა ვყოფილიყავი, ეგ იყო. ქასთინგის სცენები რომ გადავიღეთ, იქაც სულ ვამბობდი: რა მაგარია დუტა რომ იქნება, გავერთობით, ვიხალისებთ-მეთქი. მერე უცებ გვითხრეს, რომ ცოტა სერიოზულები იყავითო; მერე გვითხრეს – ახლა ძალიან ცოტას ლაპარაკობთო; მერე – ცოტა იცანცარეთო. მოკლედ, ჩვენი აქტიურობა იმის მიხედვითაა, თუ როგორ მიდის შოუ. თუ ცეკვებით ცეცხლი არ დაინთება, მაშინ, გვთხოვენ, რომ ცოტა გავაქტიურდეთ, ვიხუმროთ. ჟიურიც კი გვთხოვს, ცოტა გვეკამათეთ, გვეჩხუბეთო. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მონაწილეების ადვოკატები ვიყოთ.

**– შენც ასევე გაგიხარდა, რომ ნანკასთან ერთად უნდა გემუშავა?**

**დუტა**: ნანკა ურთულესი პარტნიორია. საერთოდ, ერთმანეთს პირველად რომ შევხვდით სცენაზე, მაშინაც ძალიან გაგვიჭირდა და იმის მერე სულ ასე გვიჭირს მუშაობაც და ურთიერთობაც ***(იცინიან).*** არა, რეალურად, მხოლოდ ერთი პრობლემა გვაქვს – ერთმანეთის საუბარი: ისეთი ცუდი აკუსტიკა აქვს ცირკს, საერთოდ არ გვესმის და ერთმანეთს პირში ვუყურებთ, რომ გავიგოთ, როდის დაამთავრა წინადადება.

**ნანკა**: ჯერ ერთი, ცუდი აკუსტიკაა, „თიბისის“ ოთახში კი ისეთი გნიასი და ხმაურია, რომ, მართლა ინტუიციით უნდა მივხვდე, ლიკა როდის ამთავრებს ლაპარაკს.

**დუტა**: თუ დაკვირვებიხართ, ოთხნი რომ ვდგავართ, ყველა ერთმანეთს სახეში ვუყურებთ: დაამთავრე? აჰა, ძალიან კარგი ***(იცინიან).*** მაგრამ, ისეც ხომ ხდება, რომ რაღაც იმპროვიზაციაა, ტექსტს ასცდი და, კი იცი რომ დაამთავრა, მაგრამ, აი ის აღარ იცი, რა თქვა. ჩარლზ ბრონსონებივით ვართ – პირის მოძრაობით „ვკითხულობთ“ სიტყვებს.

**– ნანკას წაქცევის ამბავი მომიყევით. ტელევიზორში ისე დრამატულად არ ჩანდა ყველაფერი, როგორც წელან აქ ყვებოდნენ.**

– მე მოვყვები, რა! პატარა პიედესტალია, რაზეც საქანელა იყო დამაგრებული. სოფიკო იქ გადასარევად იჯდა, დამუღამებული ჰქონდა. არადა, საქანელა ჩვეულებრივად, „კალცოებში“ გაყრილი ფიცარი იყო.

**ნანკა**: მე „კეკელკამ,“ გადავწყვიტე, აქ მოვკალათდები-მეთქი.

**დუტა**: მე მივიდოდი, მას გავაქანავებდი და ვიტყოდი – ეს იყო პეტერბურგში-მეთქი და ასე გავიდოდით რეკლამაზე ***(იცინიან).*** აი, უნდა მოვყვე, მე რა ხმა გავიგე, რა! პიედესტალზე მიერთებულია კიბე და მთელი კონსტრუქციები: კიბის უკან – ხარაჩოები და ეკრანის უკან – უზარმაზარი შლეიფი, ფარშევანგის კუდივით გადაშლილი. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთზეა აწყობილი და, ფეხსაც რომ დაარტყამ, სასწაული აკუსტიკა აქვს. ნანკა რომ დაეცა, იყო ერთი პატარა „დგუფ“ და უცებ, დაიძრა ტალღა, აზანზარდა და აგუგუნდა ყველაფერი. სასწაული ხმა იყო.

**ნანკა**: თან, ისე მეცვა, რომ ადგომის შანსი არ მქონდა. ბედნიერად ვიჯექი, სანამ დუტამ არ ამაყენა. ფეხის მოსაჭიდებელიც არაა, ჯერ გამომასრიალეს, მერე ფეხები ოდნავ გადმოვყავი პიედესტალიდან და ისე ავდექი ***(იცინიან).*** არ არის ეს კაბები გათვლილი დაცემაზე, დგომაზეა გათვლილი.

**დუტა**: მერე ველოდებოდი „ფეისბუქზე“ რა კომენტარები იქნებოდა, მაგრამ, ისეთი არაფერი.

**ნანკა**: აქ ხალხი მაწყნარებდა მერე. ხალხი რა ბოროტია – როგორ იცინოდნენო და გადავირიე – ამაზე როგორ არ უნდა გასცინებოდათ-მეთქი, მე თვითონ ძლივს ვიკავებდი თავს.

**დუტა**: კომედიის პირველი პრინციპია: მიდის ადამიანი, ფეხი აუცდა, დაეცა და – ყველა იცინის.

**– ეს სეზონი ყველაზე მაგარი გამოვიდა. მონაწილეების ასეთი ძლიერი შესრულება, ალბათ, თქვენზეც მოქმედებს.**

– რა თქმა უნდა, მოქმედებს. ამაყნი გახლავართ, ბატონო ჩემო.

**ნანკა**: გოჩა ჩერტკოევი გაგიჟებულია – ამდენი ათიანი ცხოვრებაში არ დამიწერიაო. ისე ვნერვიულობთ და ისე ვგულშემატკივრობთ ყველას, ნოდარის გავარდნაზე ისე დამწყდა გული... არა, საერთოდ ყველას გავარდნაზე.

**– თქვენ ვის გულშემატკივრობთ?**

**დუტა**: ყველას წარმატება ძალიან გვიხარია, მაგრამ, ვისაც არ უნდა ეწყინოს, მაინც ვამბობ, რომ გიო ყიფშიძეს. გიო ჩემი ძმაკაცია და ამას ყველგან ვამბობ. მგონია, რომ მას აქვს რაღაც ისეთი, რაც საჭიროა ამ შოუს მოსაგებად.

**– თქვენ როდის იცეკვებთ?**

– არასოდეს.

**– ნანკაზე პირველი სეზონიდან არის მოლოდინი...**

**ნანკა**: ჰოდა, ეს მოლოდინი ისე მაშინებს, რომ, შეიძლება, მართლა საერთოდ არ ვიცეკვო. რატომღაც, ხალხმა გადაწყვიტა, რომ ვცეკვავ. არ ვიცი, ხალხო, ცეკვა, არასდროს მიცეკვია!

**დუტა**: ასე არ ჯობია, როგორც ჩვენ ვართ? – კვირაში ერთხელ მოვდივართ, სიამოვნებას ვიღებთ ამ ყველაფრით, ხელფასსაც ვიღებთ, კვირიდან კვირამდე არ ვრეპეტიციობთ გულის წასვლამდე და მერე გავარდნაზე არ ვნერვიულობთ. ასე არ ჯობია?!

**ნანკა**: ცეკვა სიამოვნებისთვის არის კარგი.

**დუტა**: მე და ნანკა „სარდაფის“ ბანკეტებზე რომ ავიწყვეტდით ხოლმე, ველარ ვჩერდებოდით. ჩვენზე მაგრად ცეკვა მგონი არავის უყვარს.

**ნანკა**: პლუს, არც ვარ ჯერ ისეთ ფორმაში, რომ ვიცეკვო. ასეთი კაბები რომ ჩავიცვა, სასაცილო ვიქნები.

**დუტა**: მე კიდევ, ეს წელი ჩავაგდე და რაღაცეები ცოტა უხერხულია.

**– წინა სეზონებზე წამყვანებიც საკმაოდ ბევრს ცეკვავდნენ...**

**ნანკა**: ჩვენ როგორ გვიდგამენ, იცი შესავალ ცეკვას? რომ მოვალთ, უცებ გვეუბნებიან, დღეს ესა და ეს უნდა იცეკვოთო – გადაწყვიტეს, რომ ორ წუთში ვსწავლობთ ყველაფერს. პირდაპირ ეთერამდე ათი წუთით ადრე გვაძლ-

**(გაგრძელება 73-ე გვერდზე)**

# რა სიახლეები იქნება „მეგა 2013-ში“ და რა სკანდალები ახლავს ქართულ მუსიკალურ დაჯილდოებას

*მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი „მეგა“ უკვე 14 წელს ითვლის – მისი დამფუძნებელი **ბესო ჩუბინიძე** ამბობს, რომ მიუხედავად ინტრიგებისა, სკანდალებისა, დაფინანსების უქონლობისა, ჩარევისა თუ ზოგჯერ პოლიტიკური კონიუქტურისა, „მეგა“ ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შოუ-ბიზნესსა და ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში და, აუცილებლად ჩატარდება წელსაც, ისევე, როგორც აქამდე.*

**ბესო ჩუბინიძე**: წელს შედგება „მეგას“ რიგით მეთოთხმეტე დაჯილდოების ცერემონიალი – „მეგა“ დაარსდა 1999 წელს და მას შემდეგ ყოველ წელს ტარდება – წლის გაუცდენლად. მას მერე მოვყვებით და მოვყვებით. წელს ცერემონიალი მარჯანიშვილის თეატრში შედგება. მართალია, საქართველოში შოუ-ბიზნესის მასშტაბები შემცირდა, მაგრამ ის მაინც არსებობს – რომ არ არსებობდეს, არც კონცერტები ჩატარდებოდა და არც შოუები. სხვა საქმეა, რამდენად შემოსავლიანია წინა წლებთან შედარებით. პირადად მე, ქართული ესტრადის ნამდვილ ვარსკვლავებთან ერთად გასვლით კონცერტებს ვატარებ მთელი საქართველოს მასშტაბით.

**– რა იგეგმება წელს ღონისძიების ფარგლებში?**

– „მეგას“ აქვს ერთი დიდი პლუსი – ძალიან მნიშვნელოვანი სახელების უკვდავყოფა შეგვიძლია. ჯერ გავაკეთეთ დათო ოძელაშვილის სახელობის „მეგა“, შემდეგ – ირაკლი ჩარკვიანისა და თეონა ქუმსიაშვილის. მეფის „მეგა“, ცხადია, ქეთათოსთან შეთანხმებით გაკეთდა. თეონა ქუმსიაშვილის სახელობის „მეგა“ ფოლკლორის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის დავაწესეთ. „მეგას“ სტატუეტი ხელნაკეთია, ავსტრიული სარკის მასალისგან არის დამზადებული.

**– შენ ყოველთვის გებრძოდნენ და გაკრიტიკებდნენ, რაც თავი მახსოვს.**

– შოუ-ბიზნესში ინტრიგები ყოველთვის არის – ასე იყო, არის და იქნება. თუ გაკრიტიკებენ, ესე იგი, ცოცხალი ხარ. ქართული შოუ-ბიზნესი საქართველოში დღეს პრიორიტეტული არ არის, მაგრამ მე მას მაინც ვემსახურები. არ ვადარებ, მაგრამ „გრემიმაც“ გვიან დაიწყო აღმასვლა და ჩვენც ვუძლებთ 14 წელია – არც ფინანსური მხარდაჭერა, არც ხელშეწყობა მთავრობისგან. წლების წინ „საზმაუსგან“ გვქონდა შემოთავაზება პირდაპირი ეთერის, მაგრამ მე უარი ვთქვი – „მეგა“ არ არის კონცერტი, ეს არის დაჯილდოების ცერემონიალი – თავისი იმპროვიზაციებით, ტექსტებითა და ჩახლართული ამბებით. შოუ-ბიზნესში რაღაცეები მაინც კეთდება და თბილისი არ არის ერთადერთი ადგილი ამისთვის. სახელმწიფოსთვის არასდროს ყოფილა შოუ-ბიზნესი პრიორიტეტი – ის იყო კონკრეტული პოლიტიკური პარტიის კორპორატიული კონცერტები – რაც ადრე ტარდებოდა: ვიღაც რომ კონკურსში იმარჯვებს და მერე აღარავის ახსოვს. ჰაერში ან რესტორანში რჩება – რატომ უნდა მუშაობდნენ უცხოეთში ნინი შერმადინი და ოთო ნემსაძე?



**– პოლიტიკურ ანგაჟირებას რაც შეეხება, ხომ ხდებოდა ასეთი რაღაცეებიც?**

– „მეგას“ დაარსების დღიდან ყოველთვის იყო ჩარევის მცდელობა, პოლიტიკოსებისგან, ცისფერებისგანაც, წითლებისგანაც და შავებისგანაც. იმ დროს, როცა ქურდები ქურდობდნენ (იმედი მაქვს, ის დრო აღარასოდეს დაბრუნდება), ქურდები რეკავდნენ „კრიტიდან“ და მეუბნებოდნენ – ვის უნდა აეღო ამა თუ იმ ნომინაციაში პრიზი. მე, პირადად, მივსულვარ ციხეში და სხვა ქურდებთან ერთად საქმე გაგვირჩევია. რა თქმა უნდა, ჩემს სასარგებლოდ წყდებოდა საქმე. რა თქმა უნდა, ქურდი ამაში არ უნდა ერეოდეს – ჩვენთვის ხალხის აზრია მარტო პრიორიტეტული. ყოფილა შემთხვევა, კოლოსალური თანხა დაუდევს ტიპს და უთქვამს: ამ თანხას მიიღებთ, თუ ესა და ეს ქალი გაიმარჯვებს, წადით, ბიჭებო, მოიხმარეთ ეს ფული. ცისფერებიც ხშირად ერეოდნენ, მათაც დიდი გავლენა აქვთ შოუ-ბიზნესში. ჩემი დამოკიდებულება იციან მათდამი, ძალიან არ მომწონს – ისეთ რაღაცეებს შევსწრებივარ გარე კონცერტებზე, რასაც ეგენი აკეთებენ – ხდება ყველაფერი... ერთხელ „ქუჩის ბიჭები“ ავიდნენ სცენაზე და რადგან წლის საუკეთესო ჯგუფის ნომინაცია ვერ აიღეს და სხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს, დატოვეს ცერემონიალი. დავაწესეთ ლალი მოროშკინას სახელობის წლის ნომინაცია „წლის ჩანგალი“ – მაშინ ლალი ციხეში იჯდა და არ ვიცი, რა რეაქცია ჰქონდა. მერე, რომ გაიგო, გაეცინა, წელს იქნება ნომინაცია „წლის სირცხვილია“, „წლის სკანდალი“, ანუ „ჟოლოს“ ნომინაციები. დავაწესეთ ნომინაცია „წლის მაფიოზი“, წარდგენილები არიან მარინა ბერიძე, მამულიჩა, სოსო აბზიანიძე *(იცინის).*

**– პროვოკაციული, ინტრიგნული თემაა, ანუ შოუ-ბიზნესის „რუხი კარდინალები“...**

– არავითარი „რუხი კარდინალები“! მაფიოზები, იმიტომ რომ მაფია რეალურად არის ამ სფეროში. ინტრიგას რაც შეეხება, ჟურნალისტი ვარ და ეს ჩვენი პროფესიის ნაწილია, პროვოკაციას ყოველთვის საჩემოდ ვიყენებ.

**– პოლიტიკური სიმპათიები არ გაქვთ არანაირი?**

– არანაირი! პოლიტიკოსები მიდიან და მოდიან – არ მინდა, ახალმა ხელისუფლებამ იგივე შეცდომები დაუშვას. შარშან, სანდრო კვიტაშვილის დროს, „მეგა“ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში უნდა ჩაგვეტარებინა, შეთანხმებულიც იყო, მაგრამ მოულოდნელად დაგვიკავშირდა პრესსამსახური და უარი გვითხრა, მიზეზი არ გამომიძიებია. მაგრამ, მგონია, ეს ბერასთან უნდა იყოს დაკავშირებული – ბერამ იმ წელს რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა. 21 დეკემბერს ტარდებოდა და ასეთი სლოგანი შევქმენი – „ერთად შევხვდეთ ქვეყნის აღსასრულს!“ *(იცინის).*

# ანა აფრასიძე ფარიკაობაში ევროპის თასის მფლობელი გახდა

*წელს ევროპის თასის გათამაშებაზე ფარიკაობაში ქართველებისთვის ნამდვილი სენსაცია მოხდა – 15 წლამდე ასაკის ტურნირზე თასი **ანა აფრასიძემ** მოიპოვა.*

*მიუხედავად დიდი საფარიკაო ტრადიციებისა, საქართველოს წარმომადგენელ ახალგაზრდას ასეთი შედეგი არასდროს დაუფიქსირებია. როგორც მწვრთნელი, **ქეთევან ერემეიშვილი** ამბობს, ანა ძალიან ნიჭიერი გოგონაა და საფინალო ორთაბრძოლის მოგება შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ის თავიდან აგებდა.*

**ნიკოლოზ ანდრიაძე**: ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაში გაიხსნა ჩემი სახელობის საფარიკაო კლუბი, მალე შემოგვიერთდა ძალიან კარგი მწვრთნელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი – ქეთევან ერემეიშვილი, რომელმაც ჩვენი კლუბისთვის ბავშვების შერჩევა დაიწყო.



**ქეთევან ერემეიშვილი**: მსოფლიოს ჩემპიონის, ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის საფარიკაო კლუბისთვის ბავშვების შერჩევა დავიწყე. გაგეცინებათ და, იცით, რა პრინციპით ვარჩევდი? ძალიან მინდოდა, ჩემს კლუბში ლამაზი, გამორჩეული ბავშვები მყოლოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი სიმაღლეს. მართლა ძალიან კარგი ბავშვები შევკრიბე – მოხდენილი სპორტია და ამიტომ. განსაკუთრებით კარგი შედეგი ანა აფრასიძემ და ნიკა შენგელიამ აჩვენეს. მანამდე საქართველოდან ასეთი მიღწევები ახალგაზრდებში არავის ჰქონია. ახლახან ბულგარეთის ქალაქ სოფიაში ჩატარდა ევროპის თასის ტურნირი, სადაც ბავშვები ჩემთან ერთად იყვნენ წამოსულები. ამ ტურნირზე 100-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა. ჯერ შესარჩევზე 32 მონაწილე შეარჩიეს, შემდეგ ანა 4 კაცში მოხვდა – კარგად იყო მომზადებული. ანა ბევრს ვარჯიშობდა, ფარიკაობდა, დარბოდა სტადიონის გარშემო. თასისთვის ბრძოლა მოიგო ანგარიშით 15:13 და ყველა ძალიან გაგვახარა. გვეამაყება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს მთავარ მწვრთნელს, მერაბ ბაზაძეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ბავშვების მომზადების საქმეში; აგრეთვე, 43-ე სკოლის დირექტორს, თინა აბუთიძეს, ანა აფრასიძე და ნიკა შენგელია საქართველოს ჩემპიონები და, აგრეთვე, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები არიან.

**ანა აფრასიძე**: მანამდე ფარიკაობით არასდროს დავინტერესებულვარ, მაგრამ, ზოგადად, ძალიან მიყვარდა სპორტი, ცეკვაზეც დავდიოდი.

**ქეთევან ერემეიშვილი**: ანას ძალიან კარგი მონაცემები აქვს, თუმცა, სიმკაცრის გამოჩენა მაინც მიწევს. მე თვითონ საკმაოდ კარგი სპორტსმენი ვიყავი და ვაფასებ დისციპლინას – ჩემთან დარბაზში ვინმე რომ შემოვა სავარჯიშოდ, მორჩა, იქ სიზარმაცე აღარ შეიძლება, ბოლომდე გული უნდა ჩადო. რეჟიმი რომ აქვს, ამიტომაც მიაღწია წარმატებას. რაღაც აქვს განსაკუთრებული ანას – აზროვნება შეუძლია. ეს ძალოვანი სპორტი არ არის, აზროვნებაა საჭირო და გონებით უდგება. 8:4-ს აგებდა უძლიერეს რუმინელ მეტოქესთან და შემოაბრუნა ორთაბრძოლა, შანსი აღარ დაუტოვა არც მეტოქეს და არც მსაჯს, რომ არაობიექტური ყოფილიყო.

**ანა აფრასიძე**: ერთწუთიან შესვენებაზე ჩემს მწვრთნელთან ერთად გავაანალიზე ყველაფერი – რატომ ვაგებდი, რა შეცდომას ვუშვებდი...

**ქეთევან ერემეიშვილი**: ანას საოცარი ბრძოლის ჟინი და იმპროვიზაციის უნარი აქვს. პირველ საფეხურზე ანამ ბრძოლა წააგო რუმინელ მოწინააღმდეგესთან, შემდეგ კვლავ მოუწია ამ გოგონასთან შეხვედრა და, როგორც ჩანს, შეცდომები გაითვალისწინა – ფინალურ ბრძოლაში 15:13 მოიგო და ევროპის თასიც მოიპოვა.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# რა მისია შეასრულა ირან-ოსმალეთ-საქართველოს ცხოვრებაში ქართველმა დიპლომატმა ქალმა გულჩარამ

ქართლის მეფე სიმონ პირველმა საკმაოდ რთული გზა განვლო. ჯერ იყო და ირანის ტყვეობაში გალია წლები, საბოლოოდ კი, სიცოცსლე ოსმალთა ტყვეობაში დაასრულა. უამრავი მცდელობის მიუხედავად, მისი გამოხსნა სიცოცხლეში ვერ მოხერხდა. სიმონ მეფის ტვეობიდან გამოხსნითა და ირან-ოსმალეთის დაზავების საკითხით, აქტიურად იყო დაკავებული ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა. სწორედ ამ ქალბატონისა და მისი საქმიანობის შესახებ ვისაუბრებთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ სვანიძის მასალებზე დაყრდნობით.

ირანსა და ოსმალეთს შორის ომში საქართველო ირანის მოკავშირე გახლდათ. ოსმალებთან შეიარაღებული ბრძოლის გარდა, სიმონ პირველი დიპლომატიური საშუალებებითაც ცდილობდა დამპყრობლების საქართველოდან განდევნას. მოგეხსენებათ, 1590 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. პარალელურად, შაჰ-აბასი შეუდგა ახალი ომისთვის მზადებას. ქართველებს ორივენი ერთნაირად სძულდათ, მაგრამ ახლა ქვეყანას საფრთხე უშუალოდ ოსმალეთიდან ემუქრებოდა და ისინი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ირანს დაუკავშირდნენ.




შაჰ-აბასმა, კახთა მეფე ალექსანდრემ და ქართლის მეფე სიმონმა კავშირი შეკრეს და გეგმის განსახორციელებლად გარკვეული ნაბიჯიც გადადგეს. სიმონმა ოსმალეთთან ომი განაახლა, ხოლო ალექსანდრემ ხარკის გადახდა შეუწყვიტა. თავის მხრივ შაჰმაც ოზბეგები დაამარცხა და თავრიზის მახლობლად თავისი ძალების თვალიერება მოაწყო. მომდევნო წელს სიმონ პირველმა, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, გაათავისუფლა ქალაქი გორი. გორის ციხის აღება საფრთხეს უქმნიდა ჩვენში ოსმალთა ბატონობას. შესაძლებელი იყო, რომ სიმონის მაგალითისთვის ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებსაც მიებაძათ.

ამიტომ ოსმალეთის სულთანმა სიმონ მეფის წინააღმდეგ გამოაგზავნა თავრიზისა და განჯის ბეგლარბეგი ჯაფარ-ფაშა. მტრის სიმრავლისა და ადგილობრივი ფეოდალების ღალატის გამო, ქართველები დამარცხდნენ, სიმონი კი ტყვედ ჩაუვარდათ ოსმალებს. სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი წერს: როდესაც სულთანმა სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღე-ღამის განმავლობაში, ეუქმათ და ემხიარულათო. ქართველი მეფე სტამბულში ჩაიყვანეს და იედიკულეს ციხეში გამოკეტეს.

რა თქმა უნდა, ქართველები შეეცადნენ, მეფის გამოხსნას. ამასთან დაკავშირებით შაჰ-აბასის ისტორიკოსი გვიამბობს, რომ ოსმალების მიერ სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ, სტამბულში გააგზავნეს ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც შაჰის კარზე იმყოფებოდა და ოჯახის (დინასტიის) ნათესავი იყო. როდესაც სიმონ მეფის ირანის ტყვეობისაგან გათავისუფლება მოხდა, გულჩარაც საქართველოში დაბრუნებულა სიმონ მეფესთან ერთად. იმის შემდეგ, რაც ქართლის მეფე ოსმალების ტყვეობაში აღმოჩნდა, ზემოხსენებული ქალბატონი სტამბულში გაგზავნეს, რათა მას მომსახურება და ზრუნვა აღმოეჩინა. გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დედას და მოხერხებული ქცევითა და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოიპოვა.

იმის შესახებ, იყოს თუ არა ის ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი სხვადასხვაგვარ ცნობებს ვხვდებით. შაჰ-აბასის კარზე მყოფი პორტუგალიელი ელჩის – ანტონიო გოვეას მიხედვით, სტამბულში ჩავიდა ქართველი ქალი გულჩარა და სულთნის დედის ნდობა დაიმსახურა. ეს ადამიანი გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლედ მიიჩნევს. ქართული წყაროებიდან კი ცნობილია, რომ სიმონს ცოლად ჰყავდა ლევანკახთა მეფის ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი. ისტორიკოსი ბ. გიორგაძე ეყრდნობა გოვეას ამ ცნობას და გამოთქვამს აზრს, რომ გულჩარა სიმონ მეფის ხარჭა იყო. ვ. გაბაშვილის აზრით, გულჩარა სიმონის მახლობელი ქართველი მანდილოსანი უნდა ყოფილიყო.

ისტორიკოს მიხეილ სვანიძის აზრით, გულჩარა სიმონ მეფის შვილიშვილი უნდა ყოფილიყო.

1603 წელს 22 დეკემბერს გარდაიცვალა სულთანი მეჰმედ მესამე და ტახტზე ავიდა 14 წლის აჰმად პირველი. ამ დროს მთელ სახელმწიფო საქმეებს სულთნის დედა განაგებდა. ამ პერიოდში სასახლის კარზე დაწინაურდა გურჯი მეჰმედფაშა. სწორედ მას უნდა გაეწია გარკვეული დახმარება სტამბულში ჩასულ ქართველებისთვის საკუთარი მიზნის განსახორცილებლად. შედეგად, გულჩარა დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა.

ირანთან ომში ოსმალეთი მარცხდებოდა. ამავე დროს ის ევროპაში ავსტრიის იმპერიას ეომებოდა. ოსმალეთში გლეხთა აჯანყებები გრძელდებოდა. ნათელი იყო, რომ ოსმალეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ირანთან დაზავების შედეგად. საფიქრებელია, რომ გულჩარამ აცნობა სულთნის დედას, რომ სიმონ მეფე შაჰ-აბასის სიმამრი იყო და შაჰი მას პატივს სცემდა, ანგარიშს უწევდა. შაჰ-აბასის კარზე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ზეინაბ ბეგუმი, შაჰის მამიდა, რომელთანაც აგრეთვე, კარგი ურთიერთობა აკავშირებდა სიმონ პირველს, ჯერ კიდევ ირანში ყოფნისას. ყოველივე ამან შთაბეჭდილება მოახდინა სულთნის დედაზე და მას სურვილი გაუჩნდა, სიმონ მეფე ირანთან დაზავების საქმეში გამოეყენებინა.

## გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დედას და მოხერხებული ქცევითა და წესიერი სამსახურით, მისი ნდობა მოიპოვა

სულთნის დედამ გულჩარა და სიმონ პირველი მართლაც გაგზავნა ზეინაბ ბეგუმთან და თან წერილი გაატანა. ის სთხოვდა შაჰ-აბასის მამიდას, ზეგავლენა მოეხდინა ძმისშვილზე და უარი ეთქმევინებინა ოსმალეთთან ომზე. ერთი სიტყვით, სიმონ მეფეს შაჰისთვის ოსმალეთთან ზავის დადება უნდა ეთხოვა და ამ რთულ საქმეში მას გულჩარა უნდა დახმარებოდა. ერთი კვირის გამგზავრებულებიც არ იყვნენ, როცა სულთანმა გადაწყვეტილება შეცვალა, სიმონ მეფე უკან დააბრუნებინა და მხოლოდ გულჩარას დაევალა ასე საპასუხისმგებლო მისიის შესრულება.

თუ რატომ შეცვალა სულთანმა გადაწყვეტილება, ამის შესახებ ვკითხულობთ: გოვეას აზრით, სულთნის ამ საქციელის მიზეზი არა მარტო შიში იყო, რომ სიმონი უკან აღარ დაბრუნდებოდა, არამედ ისიც, რომ ის შაჰს გააცნობდა თურქეთის იმპერიის ნამდვილ მდგომარეობას, იმ უმწეობას, რაც სუფევდა კონსტანტინოპოლში.

ოსმალეთის დიდმა ვეზირმა გულჩარას თან გააყოლა თურქი ჩაუში მურად აღა. შაჰ-აბასი ამ დროს ზეინაბ ბეგუმთან სევანის ტბის მახლობლად იმყოფებოდა. დიდი პატივით მიიღეს გულჩარა, რომელმაც მათ სულთნის დედისა და სიმონ მეფის წერილები გადასცა.

შაჰი ოსმალეთს ზავზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდა, თუ ეს უკანასკნელი „დაუბრუნებდა ყველა იმ მიწას, რომელიც ფეხქვეშ გათელა ისმაილის ცხენმა", ანუ ზავის დადების პირობად მოითხოვდა 1555 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების აღდგენას. ამაზე ოსმალეთმა ასეთი პასუხი გასცა: „ისმაილის ცხენი ბევრს დარბოდა, რადგან ცუდად ჰქონდა ლაგამი ამოდებული. ამიტომ, ფეხვეშ გათელა ბევრი მიწა, რომელიც არასოდეს ეკუთვნოდა არც შაჰ-აბასს და არც მის წინაპრებს".

შაჰ-აბასი დათმობაზე არ მიდიოდა. მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ არც შეწყვეტილა. გულჩარა რამდენჯერმე გაემგზავრა შაჰთან მოსალაპარაკებლად.

საფიქრებელია, რომ ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა, რომელიც სიმონ მეფის დავალებით ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის იღვწოდა, შეეცდებოდა, საზავო მოლაპარაკებებისას, საქართველოს ინტერესების დაცვასაც. ამიტომ ალბათ, ყიზილბაშთაგან თბილისის გათავისუფლებაში ღვაწლი მიუძღოდა სიმონ მეფეს და მისი მითითებით მოქმედ გულჩარასაც.

იმ დროს, მეტად უჩვეულო იყო ქალისთვის ესოდენ საპატიო საქმის დავალება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენლები არცთუ ისეთი ხალისით ჩადიოდნენ იმდროინდელ ოსმალეთში, რადგან თურქები ხშირად არღვევდნენ საერთაშორისო ნორმებს – უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს ციხეებში ამწყვდევდნენ და სიკვდილითაც კი სჯიდნენ, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება გულჩარას როლი საქართველო-ოსმალეთ-ირანის რთული პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგებაში.

1612 წელს 20 ნოემბერს მართლაც დაიდო სტამბულში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი. ჰამერი „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში" აღნიშნავს: „ქართველმა ქალმა შეათანხმა ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის".

მართალია, ამ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი საქართველოს შესახებ, მაგრამ 1612 წლის ზავით, ძირითადად, აღნიშნულ იქნა 1555 წლის ზავის პირობები, რომლის მიხედვითაც საქართველო ოსმალეთსა და ირანს შორის ორად იყო გაყოფილი. ქართლ-კახეთი ირანს რჩებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე – ოსმალეთს. საყურადღებოა, რომ ზავის დადების დროისთვის, ირანის გარნიზონი ქართლ-კახეთის ციხეებში აღარ იმყოფებოდა, რამეთუ ყიზილბაშთა ჯარები ქართლ-კახეთის ციხეებიდან გაიყვანეს სიმონ მეფის „კეთილმოსურნეობით", რაც საქართველოსთვის დიდი წარმატება იყო.

ამ ზავის დადების შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ცხადია, ზავის დადების შემდეგ გულჩარა სულთანს სთხოვდა, სიმონ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლებას, როგორც ამას სულთანი ჰპირდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს სიმონ მეფე ცოცხალი აღარ იყო. ის 1611 წელს გარდაიცვალა იედიკულეს ციხეში. გულჩარა სთხოვდა სულთანს ნებართვას, რომ სიმონის ნეშტი სამშობლოში ჩამოესვენებინათ. ზავის დადების შემდეგ 1614 წელს საქართველოში ჩამოასვენეს სიმონ მეფის ნეშტი და მცხეთაში, სვეტიცხოველში მეფეთა საძვალეში დაასაფლავეს. ამაში გარკვეული ამაგი გულჩარას მიუძღვის.

**ეკა სალაღაია**

# როგორ იშოვა ნარკომანმა ყაჩაღმა ნარკოტიკისთვის ფული და რატომ დააბა მან მშობლების ახლობელი ქალი საწყობში



წარსულში ნარკოტიკების მოხმარებისთვის ნასამართლევი 28 წლის ზურა კ-ძე, რომელსაც სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გისოსებს მიღმა მეორედ, მძიმე ბრალდებით – ყაჩაღობისთვის მოხვდა. მისი დაკავება სამართალდამცველებმა კინოლოგიური სამსახურის დახმარებით შეძლეს. დაზარალებული ნანული მ-შვილი მისი მშობლების ნაცნობი ქალბატონი აღმოჩნდა, რომელიც იმ მარკეტის მეპატრონე გახლდათ, რომელიც შეიარაღებულმა ახალგაზრდამ დააყაჩაღა. კრიმინალურ ისტორიას წინ უძღოდა ინციდენტი, რის გამოც ქალს და ახალგაზრდა მამაკაცს შორის კონფლიქტი მოხდა.

ოპერატიული ინფორმაცია სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან, თავად დაზარალებული მოქალაქისგან მიიღეს. მაღაზიიდან, რომელიც მოქალაქე ნანული მ-შვილის კუთვნილება იყო, დამნაშავეს დაახლოებით 120 ლარი, მშრალი საკვები, სიგარეტი და სასმელი გაეტაცებინა. დაზარალებულს სხეულზე ფიზიკური ძალადობის კვალი აღენიშნებოდა – როგორც მან სამართალდამცველებთან განაცხადა, ნიღბიანმა მამაკაცმა ის დანის მუქრით აწამა. სამართალდამცველებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. შემთხვევის ადგილზე ჩატარდა დაქტილოსკოპიური გამოკვლევა, გამოიძახეს კინოლოგიური სამსახური. ინციდენტიდან რამდენიმე საათში, მაღაზიიდან გატაცებული პროდუქტი შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე ასეულ მეტრში, მოქალაქე მალხაზ ძ-შვილის ეზოში აღმოაჩინეს. ბინის მეპატრონეს აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენაც არ ჰქონდა – არ იცოდა, როგორ გაჩნდა მის ეზოში მდებარე ღია სარდაფში საჭმელ-სასმელი და დანა, რომლითაც დამნაშავემ ყაჩაღობა ჩაიდინა. ძაღლმა დამნაშავის კვალი მოხუცი ქალის სარდაფში დაკარგა, მაგრამ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა დამნაშავის ვინაობა – ზურა კ-ძე სამართალდამცველებმა დააკავეს, დაკავების დროს ის ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, 53 წლის ნანული მ-შვილი ზურა კ-ძეს და მის ოჯახს ახლოს იცნობდა. მას იმ უბანში, სადაც ზურა კ-ძე ცხოვრობდა, სუპერმარკეტი ჰქონდა გახსნილი. თავიდან ნანული ს-შვილი ზურას მშობლებს დაუახლოვდა, მოგვიანებით კი, მათ შვილთანაც ჰქონდა ხშირი ურთიერთობა. მოგვიანებით, დაზარალებულმა სამართალდამცველებთან განაცხადა: „ზურას იმდენად კარგი მშობლები ჰყავს, მათი ხათრით, უფასოდ ხან რას ვატანდი, ხან – რას. ფულს ზოგჯერ თვითონ იხდიდა, ზოგჯერ მშობლები უხდიდნენ. თუმცა, ამის გამო პრობლემები არასდროს გვქონია. ვიცოდი, რომ ნარკოტიკის მომხმარებელი იყო, მაგრამ ძალიან კულტურულად იქცეოდა ჩემთან. ინციდენტამდე სამი დღით ადრე, მაღაზიაში შემოვიდა. გამყიდველმა მითხრა, თქვენთან აქვს საქმეო. ცალკე გამიყვანა და ასი ლარი მთხოვა. არ მქონდა ფული, რომ მიმეცა და უარი ვუთხარი. ამის გამო, მოულოდნელად, ისეთი რამ ჩაიდინა, ყველანი გაოცებულები ვუყურებდით. ჯერ ლანძღვა დამიწყო, მერე ლამის ხელი დამარტყა – ჩემზე საცემად იწევდა. შემთხვევით მაღაზიაში შემოსული მეზობელი ჩაგვიდგა შუაში და იმან გაგვაშველა. ძალიან გავბრაზდი, გადავწყვიტე, მისი მშობლებისთვის მეთქვა, რაც მოხდა, მაგრამ მომდევნო დღეებში მათი ნახვა ვერ მოვახერხე. მეორე დღეს, მაღაზიაში გვიანობამდე შემოვრჩი. გამყიდველი გავუშვი და მის მაგივრად მე ვიყავი. მეუღლემ დამირეკა, მოსვლას ვერ მოვახერხებო და მე თვითონ უნდა დამეკეტა მაღაზია. მოულოდნელად, მაღაზიაში ნიღბიანი ბიჭი შემოვარდა, კარი შიგნიდან გადაკეტა, წამებში მომიახლოვდა, ჯერ ძირს დამაგდო, მერე დანა ამოიღო და ყელზე მომადო. მე ვუთხარი, ნუ მომკლავ, მაღაზიაში სულ რაღაც ასი ლარი მაქვს, აიღე და წაიღე-მეთქი. ას ლარზე მოსულს ვგავარო? – მითხრა, თითქოს ხმა მეცნო, მაგრამ ისე ვნერვიულობდი, ხმას ყურადღებას ვერ მივაქცევდი. ნიღბიანმა საწყობისკენ წამათრია ძირს დაგდებული. საწყობში რკინის საწოლი დგას, იმ საწოლის ფეხზე მიმაბა თოკით, რომელიც, როგორც ჩანს, თან ჰქონდა. საწყობში დაბმულს ცემა დამიწყო და ფულს მთხოვდა. მაღაზიაში მართლაც არ მქონდა მეტი ფული – ჩემს ქმარს გავატანე საღამოს მთელი ნავაჭრი თანხა. არ მიჯერებდა, სეიფი გამიხსენი კედელში რომ გაქვსო, – მეძახდა. მივხვდი, რომ მცდარი ინფორმაცია ჰქონდა. როგორც იქნა, დამანება თავი. მე საწყობში გამოკეტილი დამტოვა და მაღაზიაში გავიდა. ალბათ, ნახევარი საათი ვიყავი საწოლზე დაბმული – ჩემს ბედზე, მაღაზიაში მოხუცი ქალი შემოვიდა, ჩემი ყვირილი გაიგო და მიპოვა. მე მაშინვე პოლიცია გამოვიძახე, მათ კი სასწრაფო დახმარების სამსახური, რადგან შოკისგან გული მქონდა ცუდად. კინოლოგიური სამსახურიც მოიყვანეს, რომლის მეშვეობითაც დამნაშავის კვალს მიაგნეს."

ზურა კ-ძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა. როგორც მან განაცხადა, მხოლოდ მაღაზიის გაძარცვა სურდა და გვიან ღამით, მარკეტშიც ამ მიზნით შევიდა. თუმცა, ის, რომ წინასწარ შეიძინა თოკი და დანით იყო შეიარაღებული, საპირისპიროს ამტკიცებდა. საქმის მასალებით და ბოლოს ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების მიხედვით, მან ნანული მ-შვილის დაყაჩაღება იმის გამო გადაწყვიტა, რომ მან წინა დღეს ასი ლარი არ მისცა. „ნარკოტიკისთვის ფული მჭირდებოდა, ნანულიმ უარი მითხრა და ლომკაში დამტოვა. მაშინ გადავწყვიტე მასზე შურისძიებაო, – აღიარა ახალგაზრდამ, რომელმაც, როგორც მერე გაირკვა, უბნელი ქალის დაყაჩაღების იდეა ჯერ მეგობარს შესთავაზა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მისგან უარი მიიღო, გადაწყვიტა, თავად განეხორციელებინა საკუთარი გეგმა. „მაღაზიაში თოკი ვიყიდე, დანა სახლიდან წამოვიღე. საღამოს რამდენჯერმე ჩავუსაფრდი ქალს მაღაზიასთან და როგორც კი დავრწმუნდი, რომ მარტო იყო, მაშინ გადავწყვიტე, მისთვის ფულის წართმევა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მაღაზიაში ფული იქნებოდა, მაგრამ სალაროში სულ რაღაც ასი ლარი აღმოჩნდა. ხელს რამდენიმე კოლოფი სიგარეტი, სასმელი და საჭმელი გავაყოლე. ყველაფერი იმ პატარა ზურგჩანთაში ჩავყარე, რომლითაც მაღაზიაში თოკი შევიტანე," – განაცხდა სასამართლო პროცესზე. რაც შეეხება საქმეში ძ-შვილების ოჯახის მონაწილეობის ფაქტს, დაკავებულმა აღიარა, რომ მეგობრის ბებიის ბინაში გატაცებული პროდუქტი დილამდე გადამალა და ამაზე სახლის მეპატრონისგან ნებართვა არ აულია – იმ ეზოში ვარ გაზრდილი, ღია სარდაფი აქვთ, სადაც გვიან აღარავინ შევიდოდა. ეს ადგილი სამალავად გამოვიყენე – განაცხადა ზურა კ-ძემ აღიარებით ჩვენებაში. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო ჩადენილი დანაშაულისთვის და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# იცეკვებენ თუ არა „ცეკვავენ ვარსკვლავებში" ნანკა კალატოზიშვილი და დემეტრე სხირტლაძე

(70-ე გვერდიდან)

ევენ მონახაზს და, მიდი, იცეკვეთო. როცა უკან ვართ, კიდევ არა უშავს. ერთხელ გაირკვა, რომ ოც კაცთან ერთად, წინა პლანზე, სინქრონში უნდა გვეცეკვა...

**– იციან, რომ შეგიძლიათ...**

**დუტა**: ჩვენ ამ პრობლემაზე საუბრით ხაზს ვუსვამთ, თუ როგორი ნიჭიერები ვართ ***(იცინიან)***, მაგრამ, ეს ნერვიულობის ფასად გვიჯდება.

**– მოკლედ, ახალი წელი ბედნიერი გექნებათ – 31 დეკემბერს, 10 საათზე, იქნება ბევრი ცრემლი და სიხარული..**

– და, გიჟებივით გავვარდებით სახლში და, თორმეტამდე თუ მივაღწევთ, კარგია. ნუ, ეს ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია უკვე ბოლო ათი წელია. მოკლედ, მე და ნანკას ან შოუ მიგვყავს ახალი წლის დადგომამდე, ან – თვითონ ახალი წელი ***(იცინიან).***

**ნანკა**: და ახალ წელს ვილაცეები ერთმანეთს ხოცავენ და ხალხს მე ვგონივარ მთვრალი. ნეტავ, მართლა მთვრალი ვყოფილიყავი იმ დღეს, ვიყინებოდი გაუთბობელ სცენაზე სულიკაშვილის ულამაზეს და უთხელეს კაბაში. თვითონ ყველანი „უშანკებითა" და კონიაკის ჭიქებით დადიოდნენ.

**დუტა**: მე, საერთოდ, წლებია, არ ვსვამ. ნანკამაც ფხიზლად უნდა წავიყვანოო და, ასე ვიყინებოდით სცენაზე. რაღაც მოხდა პირდაპირ ჩართვასთან დაკავშირებით და ოპერატორებმა ისეთი ჩხუბი ატეხეს, რომ მე, საერთოდ, ჩავედი.

**ნანკა**: ჩვენ ვმოძღვრავთ ერთმანეთს – გვიყვარდეს ერთმანეთი-მეთქი და, ეს ყველაფერი, თურმე, პირდაპირ ეთერშია. ჩემმა ძმამაც გადაწვიტა, რომ მთვრალი ვიყავი – ვერ მეტყველებდიო.

**– წელსაც იგივე გელით?**

**დუტა**: წელს მოკრძალებული ახალი წელი გვექნება ოჯახებში ყველას ***(იცინიან).*** ძალიან კარგია სახლში, კაცო: გოზინაყი გადაიღე, შვილო... ასე ტკბილად დამიბერდით და ყველაფერი.

**ნანკა**: წელს პირველი ახალი წელი მაქვს შვილთან ერთად და ძალიან მიხარია. ერთადერთი, რაზეც ვნერვიულობ, ისაა, ბათქა-ბუთქი რომ ატყდება გული არ გაუსკდეს. როგორ დავახშო ბავშვის ოთახი, კვერცხის „ლატოკები" ხომ არ ავაკრა?

**დუტა**: რა კვერცხის „ლატოკები", ხომ არ გაგიჟდი! საერთოდ ვერ გაიგებს, დაანებე ბავშვს თავი. ან, თუ გაიღვიძებს, აყურებინე, რაც გარეთ ხდება და მოეწონება. მუსიკა ჩართე თან.

**– როგორც ვხვდები, მომავალ წელსაც გიხილავთ ცირკის პარკეტზე, თუ როგორ ეძახიან საცეკვაო მოედანს?**

– „ამ ამაღლებულ ფიცარნაგზე" – როგორც ჩემი ლევან ხურცია იტყოდა.

**სალომე გველესიანი**

**სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, როცა თორნიკე გოგრიჭიანი მეგა-პროექტის „ერთი ერთში“ წამყვანის ამპლუაში დავინახე. მისთვის ეს მიმართულება საინტერესო არასდროს იყო, ამის გამო თქვა უარი პოპულარულ სერიალზე, არ „მეგობრობს“ მედიასთან, თორნიკესთან მისი ფილმების პრემიერების დროსაც კი ჭირდა კომენტარის ჩაწერა. პროექტის სცენაზე კი გამოჩნდა, რომ თორნიკე ძალიან მხიარული, იუმორით სავსე და ლაღი ადამიანია.**

# როგორი პოპულარობა არ სიამოვნებს თორნიკე გოგრიჭიანს და რა სტერეოტიპები დაინგრა მის გარშემო

**თორნიკე გოგრიჭიანი**: ამ პროექტს ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ეს მოსალოდნელიც იყო. კონცეპტუალურად ძალიან საინტერესო, გასართობი და სანახაობრივია და ჩვენც, ვინც ამ პროექტზე ვმუშაობთ, მთელი არხი, მონდომებულია, რომ შოუ სრულყოფილი გამოვიდეს. შედეგიც ადეკვატურია, მაყურებლისგან ძალიან დიდი გამოხმაურება წამოვიდა პირველივე ლაივ-შოუს შემდეგ.

**– შენ აქამდეც მიგყავდა გადაცემა ამ არხზე...**

– ეს იყო დოკუმენტური ფილმების სერია – „ლეგენდა“. ფილმები ეხებოდა უცნაურ, პარანორმალურ მოვლენებს, ძველ და გაუხსნელ საქმეებს. საინტერესო გადაცემა იყო.

ეს იყო ჯაბა მელქაძისა და ლევან დაბრუნდაშვილის იდეა, ისინი იყვნენ გადაცემის ავტორები. ამ გადაცემის ფორმა, ესთეტიკა კი უკვე ჩემთან ერთად შეირჩა, რადგან ამ გადაცემის წამყვანი და სცენარის ერთ-ერთი ავტორიც ვიყავი.

**– სერიალის პერიოდში მქონდა შენთან ინტერვიუ და მახსოვს, სატელევიზიო პოპულარობას გაურბოდი, არ მოგწონდა სახის გაცვეთა და გინდოდა მთელი შენი ენერგია თეატრისთვის მოგეხმარა. რა შეცვალა GDS-მა?**

– საქმე ის არ არის, რომ ან არხთან მქონდა პრობლემა ან რაიმე მსგავსი, უბრალოდ, ის სერიალი ახალი და საინტერესო იყო. მან თავისი სიტყვა თქვა და მგონი, ძალიან დროულად ვთქვი მასში მონაწილეობაზე უარი. ახლა მსგავს პროექტში მონაწილეობას აღარ მივიღებ. არა იმიტომ, რომ ცუდია, არამედ – არ მაინტერესებს მსგავსი ესთეტიკის სერიალები. ჩვენ არხზე დეკემბერში იწყება ძალიან მაგარი სერიალი – „პარადოქსი“, უფრო სწორად, მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი, რომლის სერიები, მთელი თავისი ესთეტიკით და შინაარსით, ერთი დასრულებული ფილმია.

**– ამერიკული სერიალის „გეიმ ოფ ტრონის“ მსგავსია?**

– მთლად „გეიმ ოფ ტრონს“ ვერ იქნება, მაგრამ რაღაც მსგავსია. „ლეგენდაც“ არ იყო ტიპური გადაცემა. ყველაფერი რაც იმ გადაცემაში ხდებოდა, თვითონაც ძალიან მაინტერესებს.

**– ანუ, მონაწილეობ იმაში, რაც გაინტერესებს. მსახიობმა ყველაფერი უნდა გააკეთოს – ამას, როგორც ჩანს, არ ეთანხმები.**

– არა, ამ გამონათქვამს არაფრით არ ვეთანხმები. ეს პროექტიც ახალი და საინტერესოა, მომეწონა.

**– შენ და შოუები – მართლა ძალიან გამიკვირდა...**

– კი, მართლა ძალიან შორს ვართ მე და შოუები ერთმანეთისგან, მაგრამ ვთქვი თანხმობა და ძალიან კარგად მოვიქეცი, საერთოდ არ ვნანობ. ეს შოუ ამართლებს ჩემს წარმოდგენას და იმედებს. ეს პროექტი ახალ წლამდეა, მერე იქნება ახალი სეზონი, ახალი ადამიანებით.



ჩვენი შვილი ორი წლისაა. ახლა ჩართული ვარ შვილის გაზრდაში და მსიამოვნებს მისი მოვლა, მასზე ზრუნვა

**– ამ პროექტმა შენი ის სტერეოტიპიც დაანგრია, რომ ჩაკეტილი ხარ და არ გიყვარს მედიასთან ურთიერთობა...**

– მედიასთან გახსნილი არც ახლა ვარ ბოლომდე, თუმცა ამ ჩაკეტილობამ შესაძლოა გააჩინა რაღაც არასწორი ვარაუდები. რაც ვარ, ეგეთი ვარ, მაგრამ ჩაკეტილი ნამდვილად არ ვარ, არც ადამიანებთან ურთიერთობაში მაქვს პრობლემები და იუმორიც, მგონი, მაქვს *(იცინის).*

ამას წინათ ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, აქტიურად გამოჩნდიო. აქტიურად გამოჩენაში ალბათ ტელევიზია იგულისხმა, თორემ სერიალის შემდეგ ექვს-შვიდ კინოპროექტში მივიღე მონაწილეობა და ეგეც, მგონი, აქტიურობაა, არა?! *(იცინის).*

**– კინოს მაინც არ აქვს ის გამოხმაურება.**

– ცუდია, არადა თითქოს ყველა ფილმი ერთმანეთისგან განსხვავებული იყო, მათ შორის იუმორისტულიც. ზაზა რუსაძის ფილმი „ბერლინალეზე“ იყო წარდგენილი ოფიციალურ სექციაში, საკონკურსო ჩვენებაში, წარდგენილი იყო საუკეთესო დებიუტზე. ახლა გამოდის ლევან თუთბერიძის ფილმი „ფორ გლორი“, რომელიც ასევე ძალიან საინტერესოა. უბრალოდ, ბაზრიდან გამომდინარეა, ასეა მთელ მსოფლიოში. ტელევიზია უფრო იოლად გხდის პოპულარულს. რაღაც დოზით აუცილებელია ასეთი პოპულარობა, მსახიობს გჭირდება, რომ შემდეგ, კინოში იქნება ეს თუ თეატრში, მაყურებელი მოვიდეს და გნახოს.

**– შენ გამო იყიდოს ბილეთი.**

– ეგ, საუკეთესო შემთხვევაში, ძალიან გამიხარდება. მაგრამ, სულ ასეთი კუთხით ცნობადობა მოსაბეზრებელია – არ მაინტერესებს და ამას ვერაფრის გამო ვერ გავაკეთებ. ვცდილობ, ბევრი მიმართულებით მოვსინჯო საკუთარი ძალები – იმაში, რაც ახლოსაა ხელოვნებასთან, შემოქმედებასთან.

**– თეატრში რა ხდება?**

– ახალ სპექტაკლში არ ვარ, მაგრამ „მაკბეტით“ ძალიან ბევრ ფესტივალზე ვიყავი და კიდევ ბევრი გასტროლი იგეგმება. დაიდგა რამდენიმე ძალიან კარგი სპექტაკლი: „კარმენი,“ „ზაფხულის ღამის სიზმარი“, მაგრამ ამ სპექტაკლებში არ ვარ. ჩვენი თეატრი ძალიან კარგად მუშაობს.

**– მაგრამ, თეატრმაც დაკარგა რაღაც ფუნქციები და პოპულარობა.**

– ალბათ, ოთხმოცდაათიან წლებს გულისხმობ, მაშინ, როცა ქვეყანაში და ქალაქში ერთადერთი გასართობი მხოლოდ თეატრი იყო და ამა თუ იმ ემოციების კათარზისს, ხალხი მხოლოდ თეატრში ახდენდა. დღეს ადამიანებიც უფრო გახსნილები ვართ და ყველაფერია ჩვენ გარშემო – კინო, ტელევიზია, ინტერნეტი... საგრძნობლად აიწია კინოს დონემ, რაც ძალიან მიხარია. ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში, დაახლოებით ხუთი-ექვსი ფილმი ვნახე, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარგი ფილმია. ასე თუ გაგრძელდება, და დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ასე გაგრძელდება, ქართული კინო საინტერესო რაღაცეებს შესთავაზებს მსოფლიო კინოს. „ბერლინალეზე“ ოფიციალურ სექციაში ორი ქართული ფილმი იყო წარდგენილი: ჩვენი და ასევე, ნანა ექვთიმიშვილის „გრძელი ნათელი დღეები“, რომელმაც შემდეგ ძალიან ბევრი ფესტივალი მოიარა და პრიზებიც აიღო, მაშინ ამბობდნენ, რომ საქართველომ უკვე შეძლო, ევროპის ფოკუსირება მოეხდინა ამ ქვეყანაზე და ევროპას ეთქვა ეს არის ქვეყანა, რომელიც კინოს აკეთებს და აქვს დიდი პოტენციალი. ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. მგონია, რომ ეს ტენდენცია ძალიან კარგ შედეგებს მოგვიტანს.

**– ერთი პერიოდი შენი პარადი ცხოვრება პრესაში სერიოზული აჟიოტაჟის მიზეზი გახდა. მერე, როცა ყველაფერი მშვიდად გაგრძელდა, პრესაც დამშვიდდა. ახლა უკვე გოგონას მამა ხარ...**

– ჩვენი შვილი ორი წლისაა. უი, ეს აჟიოტაჟი კიდევ არის?! მგონი, აღარ. ახლა ჩართული ვარ შვილის გაზრდაში და მსიამოვნებს მისი მოვლა, მასზე ზრუნვა.

**– უკვე შემოსულია კომუნიკაციაში?**

– კი, ძალიან ბევრს ლაპარაკობს, უსაყვარლესია. მოკლედ, ძალიან ჰარმონიული სიტუაცია გვაქვს ოჯახში, როგორც მე და ნინოს, ისე ბავშვთან და ყველასთან.

**– ოჯახში ბევრმა მსახიობმა მოიყარა თავი, ნინოს მამიდან დაწყებული, რომელიც მაინც არ ამბობს, რომ მსახიობია...**

– რაღა აღარ, ისეთი სახეები აქვს შექმნილი ქართულ კინოში, პროფესიით მსახიობსაც რომ ცოტა ექნება. ჩვენს ოჯახში ხშირად არის საუბარი ხელოვნებაზე, კინოზე, იმაზე, რაც გვაინტერესებს. ნინოც აქტიურად დაბრუნდება კინოში. ეს ორი-სამი წელი, ბავშვის გამო პაუზა ჰქონდა აღებული. პროფესიით მხატვარია, მაგრამ კინოში იმხელა გამოცდილება აქვს დაგროვილი, რა ვიცი. რამდენიმე მოკლემეტრაჟიან ფილმში გადაიღეს ამ ბოლო დროს. ახლა უკვე ისიც აქტიურად ჩაებმება საქმეში. ერთმანეთს ყველაფერში ვეხმარებით და გვერდში ვუდგავართ.

**სალომე გველესიანი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როდის გაიმართება ქულიოს კონცერტი თბილისში და რა მოთხოვნები წაუყენა ლეგენდარულმა რეპ-შემსრულებელმა ქართველ ორგანიზატორებს

*12 დეკემბერს კლუბი „მოსკოვი” მსმენელს სიურპრისს უმზადებს – წინასაახალწლოდ ქულიოს კონცერტზე ეპატიჟება. პოპულარული და წარმატებული რეპ-შემსრულებელი თბილისს 11 დეკემბერს ეწვევა, 13 დეკემბერს კი პარიზში გაფრინდება. 50 წლის რეპერი ლას-ვეგასში ცხოვრობს, არის აზარტული თამაშების მოყვარული და, შესაბამისად, კაზინოს ხშირი სტუმარი. ძალიან მოსწონს თეთრკანიანი ქალები, არის 6 შვილის მამა, რომლებიც რამდენიმე ქალმა გაუჩინა.*

*ქულიოს თბილისში სტუმრობასთან დაკავშირებით და უფრო დაწვრილებითი ინფორმაციისთვის, კლუბ „მოსკოვის” პიარ და ივენთ-მენეჯერს, ნათია ცაბუტაშვილს გავესაუბრეთ.*

**– ვის ჩამოჰყავს ქულიო და როგორ მოახერხეთ მისი დათანხმება?**

– ქულიო ძალიან დიდი ხანია, საქართველოში არ ყოფილა, ამჯერად კი კლუბ „მოსკოვს“ ჩამოჰყავს. სიმართლე გითხრათ, ქულიოს დათანხმება ადვილი არ ყოფილა. ჩვენი პარტნიორი კომპანია „მაქსიმუმის“ საშუალებით ქულიოს პროდიუსერს დავუკავშირდით. ყოველი ნაბიჯი წინასწარ გვაქვს შეთანხმებული: რომელ გადაცემაში მივა, სად დაიბეჭდება მისი ინტერვიუ და ასე შემდეგ. „თბილისელები” კი ის ჟურნალია, რომელიც მას მოეწონა.

**– კონცერტი სად გაიმართება?**

– კლუბ „მოსკოვში,“ ბამბის რიგის №7-ში. გადავწყვიტეთ, ჩვენი მსმენელისთვის წინასაახალწლო სიურპრიზი მოგვეწყო. ქულიო მართლა ლეგენდაა, ის ერთადერთი რეპერია, რომელმაც თუფაქთან დუეტი ჩაწერა მის სიცოცხლეში – სხვას არავის არ ხვდა წილად ეს ბედნიერება.

**– რამდენი დღე იქნება საქართველოში?**

– 11 დეკემბერს თავის საქსოფონისტთან ერთად ჩამოფრინდება, 12-ში, 22:00 საათზე კონცერტს გამართავს კლუბ „მოსკოვში,“ ხოლო 13-ში შუადღეს უკვე პარიზში გაფრინდება. ეს ვიზიტი განსხვავებული იქნება, რადგან, მანამდე ფესტივალის ფარგლებში იყო საქართველოში ჩამოსული და მხოლოდ ორ-სამ სიმღერას მღეროდა. ამჯერად კი კლუბ „მოსკოვში“ ერთსაათიან კონცერტს გამართავს თავის საქსოფონისტთან ერთად. ემოციურად დატვირთული კონცერტის დასრულების შემდეგ კი საღამოს გააგრძელებს კლუბ „მოსკოვის“ დიჯეი ალექსა.

**– რამდენ მაყურებელზეა გათვლილი ეს კონცერტი?**

– კლუბი მოსკოვი 500 ადამიანს იტევს. უკვე ძალიან ბევრმა გამოთქვა დასწრების სურვილი.

**– ვინც ახლა გაიგო, ალბათ, საკონტაქტო ნომერიც დააინტერესებს.**

– 5 93 03 03 04, ამ ნომერზე შესაძლებელია ბილეთების დაჯავშნა.

**– რა მოთხოვნები აქვს ქულიოს ქართველი ორგანიზატორებიგან?**

– მინდა გითხრა, რომ ძალიან თავმდაბალი ადამიანია და დიდი მოთხოვნებით არ გამოირჩევა. მოითხოვა „ფრი ვაიფაი“ – ალბათ, 2000 წელს რომ იყო ჩამოსული, სასტუმროში უკაბელო ინტერნეტი არ იყო და ამიტომ; მოითხოვა „აიპადი“ – ალბათ, სიმღერის დროს სჭირდება; ასევე, მოითხოვა 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო. როგორც აღმოჩნდა, თბილისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო მხოლოდ „შერატონია“ და იქ იცხოვრებს. რაც შეეხება კვებას, მოითხოვა არაყი „გრეიგუსი,” შამპანური „მოეტი,” „კოკა-კოლა“ და „სპრაიტი“ – ექვს-ექვსი დიდი შეკვრა, ყველის ასორტი და თაფლი – ეს ყველაფერი კლუბში სჭირდება. გარდა ამისა, წინასწარ უნდა შეგვითანხმოს, რა მანქანით დავხვდებით აეროპორტში, რამდენი კაცი ვიქნებით და ასე შემდეგ. მანქანის მარკას თავად ირჩევს, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ოფიციალური ჩამომყვანია ტუროპერატორი „კაპიტანი პლუსი“, რომელიც გენერალური სპონსორია და უზრუნველყოფს ქულიოს ლას-ვეგასიდან გადმოფრენას. კი ვიცოდით, რომ ქულიო ძალიან პოპულარული მომღერალი იყო, მაგრამ, ამხელა აჟიოტაჟს თუ გამოიწვევდა, არ გვეგონა. ყველა გვიკავშირდება და თავის მომსახურებას გვთავაზობს, თუმცა, მათ შორის, ვისთანაც აქამდე მქონია ურთიერთობა სხვადასხვა პროექტში, უპირატესობა სწორედ მათ მივანიჭე. პროექტის მხარდამჭერია ასევე, „აფიონ პლუსი“, რომელიც ქულიოს საჩუქრად გადასცემს „აიპედს“.



**ქულიო ძალიან დიდი ხანია, საქართველოში არ ყოფილა, ამჯერად კი კლუბ „მოსკოვს“ ჩამოჰყავს. სიმართლე გითხრათ, ქულიოს დათანხმება ადვილი არ იყო**

**– იმ დღეებს, რომლებსაც ქულიო თბილისში გაატარებს, ცხადია, ორგანიზატორები გამოიყენებთ. სად გეგმავთ მის გასეირნებას?**

– თბილისსა და მცხეთას აუცილებლად დავათვალიერებინებთ. მას შემდეგ, რაც ქულიო საქართველოში არ ყოფილა, ჩვენთან უამრავი რამ შეიცვალა, ასე რომ, სანახავი ბევრი ექნება. მოკლედ კლუბი „მოსკოვი” თავიდან ბოლომდე ემზადება იმისთვის, რომ ქულიოს ღირსეულად დავხვდეთ, ყველაზე მეტად კი ის გვიხარია, რომ კონცერტზე მოსული ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩება.

**– ქულიოს კონცერტი წინასაახალწლო სიურპრიზია ქართველი მსმენელისთვის. ამ წელს კიდევ გეგმავთ ვინმეს ჩამოყვანას?**

– ჩვენ ქულიოთი ვიწყებთ და, რა თქმა უნდა, საახალწლოდაც ვგეგმავთ ძალიან ცნობილი მომღერლის ჩამოყვანას, თუმცა, ამ ეტაპზე მის ვინაობას ვერ გაგიმხელთ – სიურპრიზად დავტოვოთ. ჩვენ ხშირად გვეყოლება სტუმარი არა მხოლოდ ამერიკული და ევროპული შოუ-ბიზნესიდან, არამედ, რუსეთიდანაც. ასე რომ, კლუბი „მოსკოვი“ თავის ხმამაღალ სიტყვას აუცილებლად იტყვის.

**მარიკა ხიდურელი**


სახლი მარშალ გელოვანის გამზირზე

აქცია მხოლოდ ერთი თვით - 90მ$^2$ ბინები ყველაზე ხელსაყრელ ფასად!

* შიდა განვადება – 0%
* VTB-ბანკის სესხი მხოლოდ პირადობის მოწმობით.



გაყიდვების ოფისი:
სარაჯიშვილის №1
Tel: +995 32 254 04 27;
+995 599 30 14 18
www.ed-development.ge
www.facebook.com/eddevelopment.ge

# ბრძნული აზრები

**სუხომლინსკი**: ის, ვინც საკუთარი სურვილების საზღვარი არ იცის, კარგი მოქალაქე ვერასოდეს გახდება.

**ბლოხი**: ოპტიმისტებმა თვითმფრინავი გამოიგონეს, პესიმისტებმა – პარაშუტი.

**საადი**: ბოროტი ადამიანების შეწყალება კეთილების შევიწროებაა; აპატიო შემვიწროებლებს, ნიშნავს, დაჩაგრო შევიწროებულები.

**შექსპირი**: მშვიდობიან პერიოდში ადამიანებს ერთმანეთი დასანახავად ეჯავრებათ.

**ფრანკლინი**: ის, რაც მრისხანებით იწყება, სირცხვილით მთავრდება.

**ლესინგი**: ყველაზე ნელი ადამიანი, რომელიც მხედველობის არიდან არ უშვებს მიზანს, უფრო ჩქარა მოძრაობს, ვიდრე ის, ვინც უმიზნოდ დაეხეტება.

**ბარბიუსი**: სიკვდილის შემდეგ ადამიანი ცოცხლობს მხოლოდ დედამიწაზე.

**ვოლტერი**: ვინც თავისი ასაკის მიხედვით არ იქცევა, ყველა ისჯება.

**რუსო**: ყველანაირი ბოროტება უძლურებისგან იბადება.

**ბაირონი**: ზოგჯერ სიმამაცე შიშისგან წარმოიშობა ხოლმე.

**ლემი**: კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა: ერთნი გაასესხებენ, მეორენი სესხულობენ.

**გოეთე**: ბავშვებს უნდა მოვეპყრათ ისე, როგორც ღმერთი გვექცევა ჩვენ: ის გვხდის ჩვენ ყველაზე ბედნიერ ადამიანებად, როცა ჩვენ მხიარული დაბნეულობისგან აქეთ-იქით ვაწყდებით.

**სტანისლავსკი**: გაიგო, ნიშნავს – გრძნობდე.

**ვინდელბანდი**: შეუძლებელია, ლოგიკური ან მეცნიერული კანონები განიხილო იმასთან ერთად, ვინც კანონების მნიშვნელობას უარყოფს. შეუძლებელია ზნეობრივი გაგების მიღწევა იმასთან, ვინც საერთოდ უარყოფს მოვალეობას.

**შოპენჰაუერი**: გენიოსსა და უგუნურს შორის მხოლოდ ის საერთოა, რომ ორივე სხვა სამყაროში ცხოვრობს, ვიდრე დანარჩენი სხვები.

**ლანკლო**: სიყვარულში, როგორც ყველაფერში, გამოცდილება – ავადმყოფობის შემდეგ მოვლენილი ექიმია.

**აპულიუსი**: ბრალი შეიძლება უდანაშაულოსაც დაედოს, მხილება კი მხოლოდ დამნაშავისა შეიძლება.

**კანტი**: გაიძვერას თავგამოდებული გამბედაობა უაღრესად სახიფათოა.

**ჰეგელი**: სინდისი მოურჩენელი ქრილობაა, რომელიც არავის კლავს.

**შოპენჰაუერი**: საშუალო ნიჭის ადამიანთა თავმდაბლობა – პატიოსნებაა, ხოლო დიდად ნიჭიერთა – პირფერობა.

**დიდრო**: სიყვარული ხშირად ართმევს გონებას მას, ვისაც ის აქვს და აძლევს მას, ვისაც არა აქვს.

**იბსენი**: ქალი დედამიწაზე ყველაზე ძლიერი არსებაა. მასზეა დამოკიდებული, წავა თუ არა მამაკაცი იქით, საითაც უფალი მიუძღვის.

**მენკენი**: რაც არ უნდა ბედნიერი იყოს გათხოვილი ქალი, მას ყოველთვის სიამოვნებს იმის დანახვა, რომ, არსებობენ ამქვეყნად მამაკაცები, რომლებიც ისურვებდნენ, ის გასათხოვარი ყოფილიყო.

# თუ გამოიცნობთ

1. ზოგიერთი სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ მოხუცები იყვნენ და სახელიც შესაბამისი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს წესი არ მოქმედებს, რიგ საკანონმდებლო ორგანოს იგივე სახელი ჰქვია. **დაასახელეთ, რა.**

2. მკვლევართა მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მისი საერთო რაოდენობის მხოლოდ 5 პროცენტს იყენებს, დანარჩენ 95 პროცენტს კი – მხოლოდ 500 ათასზე ნაკლები ადამიანი. მეცნიერების პროგნოზით, ძალიან მალე მათგან მხოლოდ ნახევარი დარჩება. **რა?**

3. **რომელ ენაზე** ნიშნავს პური – „დაუმუშავებელ ქვას", პილპილი – ცემენტს, მარილი – ქვიშას?

4. ერთხელ „დინამო" თბილისი ინგლისურ კლუბს „კარდიფს" შეხვდა და მოუგო. მატჩის შემდეგ ბანკეტი გაიმართა. ერთ-ერთმა მასპინძელმა, რომელსაც თბილისელების დამცირება უნდოდა, საფულიდან 5-ფუნტიანი ბანკნოტი ამოიღო და დავით ყიფიანს გაუწოდა. **რა გააკეთა ყიფიანმა?**

5. წმინდა გიორგის წარჩინების ორდენის შუაში გამოსახული იყო ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი. **რა შემთხვევაში იცვლებოდა ეს გამოსახულება სახელმწიფო გერბით – ორთავიანი არწივით?**

6. საბჭოთა სამხედრო-საზღვაო სასწავლებლების ერთ-ერთმა ტრადიციამ გამოიწვია ის, რომ თითქმის ყოველთვის, შავი ზღვის ფლოტი ყველაზე ძლიერი და ბრძოლისუნარიანი იყო. **რა ტრადიცია იყო ეს?**

7. შედევრების შექმნასთან ერთად, სიღარიბის გამო, მოცარტი არანაირ სამუშაოზე არ ამბობდა უარს. გარდა იმისა, რომ წერდა მუსიკას სამეჯლისო ცეკვებისთვის, ასწავლიდა, თანამშრომლობდა მესაათეებთანაც. **რა სამუშაოს ასრულებდა მოცარტი ამ პროფესიის ადამიანებთან?**

8. 1947 წელს ვილი ფრენსისი – 2-ჯერ, 1983 წელს ჯონ ლუი ევენსი – 3-ჯერ, 1989 წელს ჰორას დანკერსი – 4-ჯერ, 1985 წელს ვენ დივერი – 5-ჯერ. **რა გადაიტანეს ამდენჯერ ტექნიკური პროგრესის ამ მსხვერპლებმა?**

9. არისტოტელე მას „ღვთიურ საჩუქარს" უწოდებდა, სოკრატე – „დროებით მეფობას", პლატონი – „ბუნებრივ უპირატესობას", თეოფრასტე – „მდუმარე სიცრუეს". **დაასახელეთ ის ერთი სიტყვით.**

10. მსოფლიო ველური ბუნების ფონდის პლაკატზე გამოსახულია ვაფლის ჭიქიანი ნაყინი, რომელიც დნება. **რას გამოსახავს ნაყინი?**

*პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* მეორე მსოფლიო ომამდე, ფირფიტებს, რომლებზეც ჩაწერილი იყო პოპულარული მომღერლების: ლეონიდ უტიოსოვის, ვადიმ კოზინის, თამარ წერეთლის სიმღერები, ფულით ვერ იყიდდით. ისინი მხოლოდ იცვლებოდა... გატეხილ ფირფიტებზე.

* 1930 წლის 15 მაისს ინსტრუქცია მიიღო პირველმა სტიუარდესამ – ელენ ჩერჩ მარშალმა: მას უნდა დაეხოცა ყველა ბუზი, მოემართა საათი, გაეწმინდა ფეხსაცმელი მსურველთათვის...

* ვენაში რუსეთის ელჩს პოტიომკინისთვის კლავისინისტად მოცარტის გაგზავნა უნდოდა და მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა.

* 1985 წელს უიტნი ჰიუსტონმა გამოსცა თავისი პირველი ალბომი 14-მილიონიანი ტირაჟით. ალბომმა, სახელწოდებით „უიტნი ჰიუსტონი", რეკორდი ორ ნომინაციაში დაამყარა – როგორც დებიუტანტმა და როგორც ქალმა.

* 1942 წელს საბჭოთა ჯარები მდინარე ვოლხოვთან ალყაში მოექცნენ. პრობლემა გახდა მათი კვება, რადგან პროდუქტით ჰაერიდან ამარაგებდნენ. მზარეულმა-ეფრეიტორმა პიმენოვმა წინადადება წამოაყენა, რომ ყველაზე ოპტიმალური პილმენი იქნებაო. იდეა მოიწონა მიქოიანმა და ჯარისკაცებს მოსკოვის ხორცკომბინატში დამზადებული 5 მილიონი პილმენი „ჩაუყარეს".

* გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებმა მიიღო 500 ცალი ელექტროგამომთვლელი მანქანა, ტექნიკური მონაცემებით: წონა 50-100 კილოგრამი, სიგრძე 510 მილიმეტრი, სიგანე – 410 მილიმეტრი, სიმაღლე 610 მილიმეტრი. ისინი 90-იანი წლების დასაწყისამდე გამოიყენებოდა.

* მოგზაურმა ჟერარ დე აბოვილმა ნიჩბებიანი ნავით გადალახა წყნარი ოკეანე. თან ჰქონდა მხოლოდ საკვები და ზღვის წყლისგან მტკნარი წყლის მისაღები აპარატი, რომელიც ნიჩბების მოსმის დროს გამომუშავებული ენერგიით მუშაობდა.

* დღე-ღამის განმავლობაში ცხენს მხოლოდ 3 საათი სძინავს, ძროხას – 4, ღორს – 8, თხუნელას – 9, ზღარბს – 10, იაგუარს – 11, მგელს – 13, ციყვს – 15, ღამურას – 20.

* საბჭოთა დროს თეატრალურ საზოგადოებაში საიუბილეო საღამოებს „საბავშვო დადგმებს" ეძახდნენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ლh8-b8!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– უყურებ ზოგიერთ ადამიანს და ფიქრობ,




რომ მშობლებთან მიყვანისას გზაში დავარდნია წეროს...

***

ყველა ქალში სძინავს სწერვას, სულელს, კახპას, ჯადოქარს, ანგელოზს, მშვენიერ პრინცესას... ასე რომ, იცოდეთ, რასაც მასში გააღვიძებთ, იმას მიიღებთ!

***

ფრაზა „ყველა კაცი ერთნაირია“, ნამდვილად ჩინელმა ქალმა მოიგონა, როდესაც ქმარი ხალხის ტალღას შეერია და ველარ იპოვა...

***

მარომ შვილი ბაღში მიიყვანა და გააფრთხილა, ხმა არ ამოიღო, არ შემარცხვინოო. შვილმაც დაუჯერა. ერთი კვირის შემდეგ შეწუხებული აღმზრდელი ბავშვის წამოსაყვანად მისულ მიხოს ეუბნება:

– იცით, თქვენი ბავშვი საერთოდ არ იღებს ხმას.

– მუნჯია... – უთხრა მიხომ.

– მა მტყუნის.... – ველარ მოითმინა პატარამ.

***

სამი ებრაელი საფლავების თვალიერებაში პროცესიას ჩამორჩა....

– ხედავთ, როზას რა მაგარი სასაფლაო აქვს – თეთრი, ქათქათა მარმარილოთი, სადა, მაგრამ დიდებული... ყვავილებიც გემოვნებით აქვს შერჩეული... სიამოვნებით დავწვებოდი მის გვერდით.

– მე სარას გვერდით ვარჩევდი. ნახე, რა მდიდრული საფლავი აქვს, შავი – ოქროსფერით, მაინც კლასიკაა!

– მე ესთერის გვერდით მირჩევნია წოლა...

– კი მაგრამ, ესთერი ხომ ცოცხალია?!

***

რით განსხვავდება მამაკაცის ლოგიკა ქალის ლოგიკისგან:

მამაკაცის – მართალია, ქალის – საინტერესო.

***

ვცხოვრობ ღარიბულად: თევზის ქვირითი, ძველი ღვინო, უსახურავო მანქანა, ულილაკო მობილური...

***

– იცით, ასეთი მთვრალი ავტობუსში არ უნდა ამოსულიყავით. საშინლად მთვრალი ხართ, გულისამრევად...

– თქვენ, გოგონავ მოღუნული ფეხები გაქვთ, საშინლად მოღუნული... მე კი ხვალ ფხიზელი ვიქნები...

***

– თავისუფალი ხართ? – ეკითხება განყოფილებაში შემოსული ქალი ახალ თანამშრომელს.

– ცოლიანი ვარ, ორი შვილი...

– მაგ გაგებით არა, პრინტერში ქაღალდი გაიჭედა, თუ შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ...

***

ცოლი ზამთრისთვის ხილის წვენს ამზადებს, თან ქმარს უხსნის.

– ნატურალური წვენი უნდა გავაკეთო, იცი, როცა ხილის წვენში არაფერს ვურევთ – 100 პროცენტი წვენია, სასმელია, 50-80 პროცენტიანი – სასმელია, 40-პროცენტიანი კი – ნექტარი.

– ჰოდა, მე რამდენი ხანია, გეუბნები, რომ არაყი ნექტარია-მეთქი, ნექტარი...

***

შეიკრიბნენ კურდღელი, ზღარბი და კუ. დალევა გადაწყვიტეს და არაყზე კუ გაგზავ-




ნეს. სხედან, ელოდებიან... გავიდა 15 წუთი, ნახევარი საათი...

– ვა, სად წავიდა ეს მართლა კუ...

– აბა, აბა! თუ გამლანძღავთ, არსადაც არ წავალ...

***

ქორწილამდე, პაემანზე:

მამაკაცი: როგორც იქნა! უკვე მეგონა, ვერ ველირსებოდი...

ქალი: წავიდე?

მამაკაცი: არა, არც იფიქრო!

ქალი: გიყვარვარ?

მამაკაცი: რა თქმა უნდა!

ქალი: ოდესმე გიღალატია?

მამაკაცი: არა, ასეთი აზრი თავში როგორ მოგივიდა?

ქალი: მაკოცებ?

მამაკაცი: რა თქმა უნდა?

ქალი: მეჩხუბები?

მამაკაცი: არასდროს?

ქალი: შემიძლია გენდო?

ქორწილის შემდეგ: ახლა ქვემოდან ზემოთ წაიკითხეთ!

***

– როგორც ამბობენ, ერთწუთიანი სიცილი სიცოცხლეს 5 წუთით ახანგრძლივებს...

– ო... გააჩნია ვისზე იცინი, შეიძლება, შეამციროს...

***

– რას ნიშნავს ქორწილის დროს ორი ნიშნობის ბეჭედი OO?

– რომ საწყისი ანგარიში 0:0-ია.

***

რატომღაც, როდესაც უფროსი საღამოს 10 საათზე სამსახურიდან გირეკავთ და გეუბნებათ: „საღამო მშვიდობისა“, ყოველთვის გრძნობთ, რომ საღამო ნამდვილად არ იქნება მშვიდი.

***

ჭკვიანი მამაკაცი ყოველთვის ცდილობს, არ მისცეს ქალს გაბრაზების მიზეზი.

ჭკვიან ქალს კი არასდროს სჭირდება მიზეზი გაბრაზებისთვის.

***

ადამიანს არ შეუძლია გულის, ღვიძლის, ფილტვების გარეშე ცხოვრება, თუმცა უტვინოდ მთელი თაობები ცხოვრობენ...

***

– ვერაფერი გავიგე, შავი დავიბადე, გავიზარდე – შავი დავრჩი. პლაჟზე, მზეზე მთელი ზაფხული რომ ვიწვეთ, მაინც შავები ვართ; როცა გვცივა – შავები ვართ, ავად ვხდებით




– შავები ვართ, ვკვდებით – მაინც შავები ვრჩებით.

თქვენ კი – თეთრები, ვარდისფერები იბადებით, იზრდებით თეთრი ხდებით, მზეზე – ყავისფერდებით, გცხელათ – წითლდებით, გცივათ – ლურჯდებით, კვდებით – ნაცრისფერი ხდებით... და კიდევ ჩვენ გვეძახით ფერადკანიანებს?!

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ გალახეს ბაბუამ, შვილმა და შვილიშვილმა კოლა ნადირაძე

არსებობს აზრი, რომ ადამიანის შეძენილი თვისებებია სიძუნწე და გულმავიწყობა.

ფილიპე კოპაძე რომ ძუნწი იყო, მთელმა სოფელმა იცოდა, მისი მეზობელი კოლა ნადირაძე კი გულმავიწყი – ისიც.

მიადგა ერთ ავბედით დღეს კოლა ფილიპეს – თუ ძმა ხარ, 7 ლარი მასესხეო.

– სად მაქვს, თუ გიყვარდე, 7 ლარი... შვიდი ლარი რომ მქონდეს, ცოლს ვითხოვდიო, – იმან.

გაბრაზდა კოლა და რა გაბრაზდა:

– შე ძუნწო, ექვსი ცოლი გამოიცვალე და ყველა შვიდლარიანი იყო, შე მართლა წუწურაქო?! ზამთარში თოვლს არ ასესხებ მეზობელს, შე ძუნწოო! – უკივლა და უკივლა.

– მე ვარ ძუნწიიი?! – გადაირია ფილიპე, გაექანა და ისეთი სთხლიშა ლოყაში საწყალ კოლას, რომ იქვე მოსეირნე დაფეთებული კატა წამში ავარდა ხის კენწეროზე. დარეტიანებული კოლა სახლში იმ განზრახვით წაბარბაცდა, რომ მეორე დღეს უჩივლებდა წუწურაქ და ახლა მოძალადე მეზობელს, მაგრამ, გულმავიწყი იყო-მეთქი, ზემოთ არ გითხარით? გადაავიწყდა და ასე დამთავრდა ეს ამბავი. ოღონდ ის კი ახსოვდა, რომ ფილიპემ რაღაცა აწყენინა და დაემდურა.

ერთ წელიწადში ფილიპემ თქვენი ჭირი წაიღო.

სამი შვილი ჰყავდა... ჩამოცვივდნენ ქალაქიდან და მამა საკადრისად გაისტუმრეს იმ სამყოფელში.

ქელეხზე კოლაც დაპატიჟეს... ან, დაპატიჟება რად უნდოდა, ღობის მეზობელი იყო და ასეთ დროს მდურება რა საკადრისია!

მიაბარეს მიწას უბედური.

უკან მობრუნებულები სახელდახელო, „საცხონებელ“ სუფრას მიუსხდნენ.

თბილისელმა შვილმა, ჯამბულამ, თამადობა კოლას სთხოვა.

ამანაც, ბევრი „თავპაიჯი“ არ გაიღო და საქმეს შეუდგა. შეუდგა და, არცთუ ურიგოდ – გულუხვად აქო მიცვალებული (ასეა წესი!) და თანდათან შევიდა ეშხში...

არა... არ შეგეშინდეთ, სიმღერა არ წამოუწყია, უბრალოდ, შვილი მოიხმო (თბილისელი) და ყურში უჩურჩულა:

– რაია, იცი? ახლა განსაკუთრებული სადღეგრძელო უნდა ვთქვა და ცოტა მოზრდილი სასმისი მომიტანე, იმით ვაპირებო.




შვილი (თბილისელი) უხერხულში ჩავარდა:

– ბატონო კოლა, უხერხულია, აქ მიცვალებულის საპატივცემულო ტრაპეზია და დიდი სასმისი ნამდვილად ზედმეტიაო, – უთხრა.

– რავა შენც მამაშენივით ძუნწი გამოხვედი, შე კაცო! – იწყინა კოლამ და...

– ვინაა ძუნწი, მე?!! – გადაირია თბილისელი ფილიპიჩი, – მე ვარ ძუნწი?! გაუქანა და ისეთი თხლიშა ფანტაზიებში მოცურავე თამადას, რომ საქათმეში მიყუჩებულმა ქათმებმა ერთი ამბავი ატეხეს – არიქა, ომი იწყებაო. ძლივს გააკავეს თბილისელი.

წალასლასდა სახლში ამჯერად შვილის მიერ გალახული მეზობელი. ამას მაინც ვუჩივლებ, რავა წარამარა მირტყამენ მამა და შვილიო, – გადაწყვიტა. მაგრამ მეორე დღეს აღარ ახსოვდა და ასე დამთავრდა ამბის ციკლის ეს მეორე ეპიზოდიც.

ორმოცზე ჩამობრძანდა თავის 16 წლის ბიჭთან ერთად თბილისელი ფილიპიჩი და, დარცხვენილი, თავისი ფეხით მიადგა კოლას.

– რაც იყო, იყო, კოლია ბიძია, ჰმ... ისა... მაპატიე და გვეწვიე ორმოცზე, დაგვაფასეო.

კოლა გულმავიწყი იყო, მაგრამ, უბოროტო და – კარგი, ბიძიკო, კარგი, მოვალო...

– მაშინ, კოლია ბიძია, სანამ სტუმრები მოვლენ, მე და შენ სასაფლაოზე ავიდეთ, მოვასუფთაოთ იქაურობაო, – სთხოვა თბილისელმა და დილაადრიან ვერცხლისფერი „მერსედესით“ ავიდნენ ფილიპეს სასაფლაოზე.

გაზაფხული ძალაში შედიოდა. მეტიჩარა ჩიტები საამურად დასჭიკჭიკებდნენ ნაძვის ხეებით შემოჯარულ სასაფლაოს.

ფილიპიჩი, მისი 16 წლის ანზორა და კოლა მანქანიდან ჩამოქვეითდნენ და სასაფლაოს მიადგნენ.

ერთი ხებალახა მცენარე ამოზრდილიყო საფლავის გვერდზე.

შეაბიჯა ფილიპიჩმა მამის საფლავზე და – ეს რა ამოსულა, კაცო, კაი რამე რო იყოს, ხო არ ამოვიდოდაო, – და, გაგულისებული, ორივე ხელით მოეპაწკურა ამოზრდილ ხებალახს. მოქაჩა – არ მოჰყვება... ისევ მოქაჩა – არა... არ ემორჩილება წყეული მცენარე... მესამედაც ამაოდ მოქაჩა და კოლამ ველარ მოითმინა:

– კარგი ახლა, ჩემო ფილიპე, კაი, შე კაცო, გოუშვი ხელი ფესვებს, რა ჯანდაბად გინდა ეს ხებალახი... მარა, რავარი ძუნწიც სიცოცხლეში იყავი, ისეთ დარჩი მკვდარიც... არც ეს გეთმობა და გემეტება, შე ძუნწოო!

– ვინაა ძუნწი, ბაბუაჩემი?! – იბღავლა 16 წლის ანზორიკომ, იქვე წააძრო მოზრდილი სარი და უცხუნა ბეჭებში საწყალ კოლას.

– ვაი დედა! – დაიკლაკნა გამწარებული გულმავიწყი... – ვაიმე, დედა!!! არა, თქვენ უნდა მომკლათ მამიან-შვილიან-შვილიშვილიანად, თქვე უპატრონოებო, თქვე უჯიშოებო?! ეხ, ფილიპე, ფილიპე... შენზეა ნათქვამი, ცოცხალმა მომკლა, მკვდარმა ამომაგდოო... უი... – და დაეშვა თავდაღმართში კვანჭალ-კვანჭალით.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ჩინელი ბიჭის თვალით დანახული ქართული აღზრდის მეთოდები

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად. ამ წერილში ჩვენს პატარაზე მოგიყვები. ელისო პატარა აღარაა, როგორც ქართველები იტყვიან, იზრდება და ვირდება. ეს ერთადერთი შეურაცხმყოფელი გამოთქმა არ არის, რასაც ქართველები ბავშვის მიმართ ხმარობენ ხოლმე, მაგრამ, ახლა ყველაფერს არ დავწერ.

საქართველოში გოგოს და ბიჭს სხვადასხვანაირად ზრდიან. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, ის არის, რომ დაბადებისთანავე ქრისტიანულად ნათლავენ, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ნათლული ნათლიას ვერასოდეს ველარ ნახულობს – გააჩნია, როგორი მთვრალია ნათლობის დღეს ბავშვის მამა.

ბიჭის აღზრდას კაცები, 5-6 წლიდან იწყებენ და, ცდილობენ, მათ ვაჟკაცური თვისებები განუვითარონ, მაგალითად, აიძულებენ, თანაკლასელების ცემას ან შეურაცხყოფას; ასევე, ხშირად აიძულებენ, რომ ღვინო დალიონ და მერე სიმთვრალისა და გულისრევისგან გონებამიხდილ ბავშვზე კმაყოფილები ხითხითებენ – ჰგონიათ, რომ ბავშვს კაცობა ასწავლეს. ამას წინათ რადიოშიც კი ამაყობდა ვიღაც კაცი – ჩემი ბიჭი პირველი კლასიდან სვამს ღვინოსო. ერთმა თქვა, ჩემმა ბიჭმა სკოლა რომ დაამთავრა, მერე დაიწყო სმაო და ძალიან შეარცხვინეს.

გოგონებს, პირიქით, სასმელთან გაკარებაც კი აკრძალული აქვთ, თუმცა, თუ მამას ბიჭი უნდოდა და მაინც გოგო გაუჩნდათ, ხშირ შემთხვევაში, ბიჭივით ზრდიან: მამას დაჰყავს სანადიროდ, სათევზაოდ, აჩვევს ღვინის სმას; ადრეულ ასაკში ასწავლის მანქანის მართვას და ყველა კაცურ თვისებას ავითარებს მასში, თუმცა, უკვე ზრდასრულებს, ქალურ კდემამოსილებასა და ქმრის მორჩილებას აიძულებენ, ასეთ ადამიანებს, ხშირ შემთხვევაში, ცხოვრება ენგრევათ ხოლმე, მაგრამ, რაც მთავარია, ოჯახის უფროსია ხოლმე კმაყოფილი. ჰო, კიდევ, ბიჭის შემთხვევაში რომ პირიქით მოხდეს და გოგოსავით დაიწყოს მოქცევა, ვერაფრით ვერ მიაღწევს ზრდასრულ ასაკამდე.




თუ ბიჭი ცუდად სწავლობს სკოლაში, მამები არ ბრაზდებიან და სიყვარულით „პატარა ყაჩაღს“ ეძახიან, მაგრამ, გოგომ რომ ცუდად ისწავლოს, შეიძლება, ხელში შემოაკვდეს რომელიმე მშობელს. მოკლედ, სულაც არ მინდა, ბავშვის აღზრდა ქართველებივით გავაგრძელო. ჩემი ბავშვი ქართველებისაგან მარტო თვალების ფორმით არ უნდა განსხვავდებოდეს!

დაახლოებით ასე ესმით ქართველებს ბავშვის აღზრდა, დედა. მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





ტურისტული სააგენტო

საქართველო

გთავაზობთ
კომფორტულ
ავტობუსებსა და
მიკროავტობუსებს
გაქირავებით.
ტელ.: * 18 18
2 18 18 18



## ტურისტული კომპანია

## „საქართველო“

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის: ყოველ შაბათ-კვირას გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით, სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ და მოინახულოთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. ავტობუსები ყოველ შაბათ-კვირას დილის 8 საათზე გადის სპორტის სასახლიდან. ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ტური ჩატარდება ნებისმიერი ამინდის პირობებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:
ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე:
ტურისტული კომპანია „საქართველო“

## საფინანსო კომპანია საქართველო,

ვილებთ მოსახლეობისგან სესხს წლიურ 30 %-ად. ასევე, კომპანია გთავაზობთ ავტოსალომბარდო მომსახურებას ყველაზე დაბალ პროცენტად, ავტომობილების ადგილზე დაზღვევით და გადაფორმებით. ავტოდაზღვევას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგი ბისიაი“

www.saqartvelocompany.ge
მის. აღმაშენებლის გამზირი №151
ტელ: * 18 18





%
ბილაინი®
საახალწლო ფასდაკლება ტელეფონებზე!
45
30 ლარი
275
200 ლარი
585
550 ლარი
100
90 ლარი
ALCATEL
ALCATEL
ALCATEL
მობილური ტელეფონი 1060
ანდროიდი დუოსი M POP
ანდროიდი IDOL ULTRA
სმარტფონი დუოსი 815
ფასდაკლება მოქმედებს განვადების შემთხვევაშიც!
აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ბალანსის შევსება 10 ლარით
2 20 22 20
www.beeline.ge